

შოთა ლომსაძე

მისეილ თამარაშვილი

ავტორის აცხადება

ჩვენი წარსულის მეკვლევეართა შორის მიხეილ თამარაშვილს განსაკუთრებული და თავისებური ადგილი უკავია. ქართულ ისტორია-მცოდნეობაში იგი უცხოეთის არქივებიდან შემოვიდა და დიდძალი მეცნიერული საზრდო შემოიტანა. ამ მხრივ მას ბადალი არ ჰყოლია. სამწუხაროდ მ. თამარაშვილის ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მონოგრაფია დღემდე არ არსებობს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა დაუღალავმა ზ. კიჭინაძემ ორჯონის (1904 და 1912 წ.) გამოსცა თამარაშვილისადმი მიძღვნილი პატარა წიგნი, მაგრამ იგი, როგორც თვით ავტორიც აღნიშნავდა, უფრო ცნობარის ხასიათს ატარებდა. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში (საქ. 2801) ინახება უცნობი ბიოგრაფის, მცირე ზომის, უთარილო ხელნაწერი: „მღვდელ მიქელ თამარაშვილის ცხოვრების და ნაღვაწ შრომათა შემოკლებული აღწერა“, რომელიც არ გამოქვეყნებულა.

წინამდებარე მონოგრაფიაში, თამარაშვილის პირად არქივსა და წერილებზე მუშაობის შემდეგ, ჩვენ ვცადეთ შედარებით სრულად წარმოგვედგინა მისი, როგორც უაღრესად საინტერესო პიროვნების, მეკვლევეარის, მეცნიერისა და პატრიოტის სახე. თუ როგორ შეეძვლით ჩვენი წაღილის ასრულება ამას მკითხველი განსჯის.

ადრიატიკის ზღვის სანაპირო სოფელ სანტა-მარინელაში 1911 წლის 3 ოქტომბერი ალბათ ბევრ მომსწრეს კიდევ ემახსოვრება.

ამ დღეს სოფლის ეკლესიის გვერდით მიწას აბარებდნენ კაცს, რომელიც პირადი ვპირობის მსხვერპლი გამხდარიყო და უცხო ქვეყნისა და ხალხის გაკვირვება და სიყვარული მოეპოვებინა.

ეს კაცი მოვერცხლილ კუბოში იწვა, გულზე რკინის ჯვარი და სამიოდე სქელტანიანი წიგნი ედო, კათოლიკური სასულიერო სამოსელი ემოსა და დაღლილი სახე გაფითრებოდა.

ცხედრის გარშემო ტრიალებდნენ რომის აკადემიისა და უნივერსიტეტის, საფრანგეთის აკადემიისა და სხვა სკოლების წარმომადგენლები: პროფესორები, მასწავლებლები, სტუდენტები, საეკლესიო მოღვაწენი. აქვე მოსულიყო კათოლიკური სამყაროს უმაღლესი წარმომადგენლობა კარდინალ მერრი დელა ვალლის მეთაურობით.

სანტა-მარინელას სამრეკლოს ზარების ზრიალში დაიწყო წირვა და განსვენებულის შესახებ ბევრი კარგი და გულამაჩუყებელი სიტყვა ითქვა ლათინურ, იტალიურ თუ ფრანგულ ენებზე. წირვის დროს გულდაშწველი სამკლოვიარო სიმღერით ცვლიდნენ ერთიმეორეს წმინდა ჯაყსეს საქრისტიანო სასწავლებლის მოსწავლენი და წმ. იოსების კოლეგიის ძმობის მომღერალთა გუნდები.

პროცესია დამთავრდა და სანტა-მარინელას მიწაში ჩასვენეს შევევრემანი, ხუტუქთმიანი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და სიცოცხლეს მოწყურებული ქართული სახე. მერე ეკლესიის ეზოც დაიცალა ხალხისაგან და ახალ გათხრილ სამარის თავზე დარჩა პატარა ხის ჯვარი წარწერით — „აქ განისვენებს აბატი მიქელ თამარათი“.

საღამოს ქართველ სტუდენტთა და ბერთა ჯგუფმა ფრთხილად გამოიხურა სანტა-მარინელას ეკლესიის კიშკარი და სამშობლოში წამოიღო მძიმე მოგონება მისი შვილის ტრაგიკული დასასრულისა.

ალბათ მისმა პატივისმცემელმა იტალიელებმა მაშინ არც იცოდნენ, რომ ეს კეთილშობილი აბატი იყო თავისი ქვეყნის ისტორიის

დიდი მოქირნაჭულე, დაუღალავი მამიებელი მკვლევარი და შემადი-
ანე, რომლის სიცოცხლის ტრაგიკულმა დასასრულმა დაამწუხრა
მთელი საქართველო. საქართველოში შწარედ გრძნობდნენ, რომ თა-
მარაშვილის დაღუპვით „დაუშრა ქვეყანას სხვა და სხვა საბუთის და
თხზულების წყარო“¹, რომელიც უცხოეთის არქივებიდან მოედინე-
ბოდა, რომ ის „მარტოდ-მარტო იყო ამ საქმეში“² და ქვეყანა მისგან
ჯერ კიდევ ბევრი ახალი ისტორიული ცნობების აღმოჩენას მოელო-
და, მაგრამ მასაც ეწვია ბედი ქართული დოკუმენტებისა, რომელ-
ნიც ისტორიის უკუღმართობის წყალობით სხვაგან დაიღუპნენ.
ისიც სხვაგან დაიღუპა და „მწუხარებით აავსო ჩვენი ერი, შეგნებუ-
ლი მისი ნაწილი, რომელსაც კარგად ესმის რაოდენ ძნელია უღროოდ
დაკარგვა ასეთი მუშაკისა“³.

მ. თამარაშვილის ცხოვრების აღნუსხვა და აღწერა ცოტად თუ
ბევრად კათოლიკე ქართველთა ისტორიის შესწავლას და გამოკვლე-
ვას ნიშნავს. თამარაშვილმა თავისი დაუღალავი და შეგნებული
ცხოვრება მთლიანად საქართველოს ისტორიის დოკუმენტალური მუ-
სალების მოძიებას და მის გაშუქებას მიუძღვნა; მან ჩვენი ქვეყნის
ნაკლულოვან ისტორიულ ცნობებს უცხოეთში მოძიებულ დოკუმ-
ენტურ მასალები შეაშველა და თითქმის ორი ათეული წლის მან-
ძილზე სულმოუთქმელი და ნაყოფიერი მუშაობით „მეორე ქართ-
ლის ცხოვრების“ შემქმნელს სახელი დაიმკვიდრა.

თამარაშვილების მკვიდრი სამყოფი თავიდანვე შესხეთი იყო. ეს
გვარი აქ ორნაირი სახით გვხვდება: თამარაძე და თამარაშვილი. გად-
მოცემით რაბათელი თამარაშვილები ჯავახეთის სოფელ თოკიდან
(თამარაძეებიდან) გადმოსულან და ახალციხის რაბათში დასახლე-
ბულან, სადაც მისიონერ პატრებს მათთვის კათოლიკობა მიუღებ-
ნებიათ და მთელი ოჯახი სომხურ კათოლიკურ რიტზე მიუქცევიათ.
სომხურ კათოლიკურ ეკლესიას ერთხანს უცდია კიდევ თამარაშვი-
ლებისათვის გვარის შეცვლა და საეკლესიო წიგნებში ისინი ბაინდუ-
როვებად მოუხსენებია. როგორც ჩანს თამარაშვილები განაწყენებუ-
ლან გვარის შეცვლაზე და ეკლესიისათვის წინააღმდეგობა გაუწვევი-
ათ. გარკვეულ პერიოდში ზოგიერთი თამარაშვილი საეკლესიო სა-
ბუთებში ბაინდუროვად იწინიებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სა-
მოქალაქო საბუთებში კვლავ თამარაშვილებად იწერებოდნენ. ზო-

¹ გაზ. „თემი“, № 38, 1911.

² იქვე.

³ ძველი საქართველო, ტ. 2, გვ. 3, 1913.

ლოს და ბოლოს, თამარაშვილებს მაინც თავისი გაუტანიათ და ასრეზული მოძღვარნი თავიანთ ნებაზე დაუყოლებიათ.

ახალციხეში გადმოსულმა თამარაშვილების ოჯახმა რუმბების მოკუპერა-დამზადებით ისახელა თავი და მთელს ამ მხარეში გაითქვა სახელი. მე-18 საუკუნეში სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის მასობრივი გამაჰმადიანებისა და გათურქების შედეგად, როცა მცირდებოდა და ისპობოდა მევენახეობა მესხეთში, რუმბების დამზადების საქმრობეაც კლებულობდა და წვილი ხელოსნის ოჯახს დაღუპვითა და ვაკოტრებით ეშუქებოდა. ყოველივე ამის გამო საგონებელში წავარდნილი სოლომონ თამარაშვილი (მ. თამარაშვილის პაპის მამა) ახალციხის სხვა ხელოსან-ვაჭართა ჯგუფთან ერთად, იმერეთს წასულა და იმერთა მეფის სოლომონ II წყალობა და ვაჭრობის უფლება მოუპოვებია. შემდეგ ის ახალციხეში დამზადებული ტოკებით ხშირად დაიარებოდა ბაღდათის ბაზარზე და ოჯახისათვის სარჩოს მოულობდა. ხალხის ამგვარი ურთიერთობა ცოცხლად ინახავდა მესხეთის საქართველოს სხვა კუთხეებთან ეკონომიურსა და კულტურულ კავშირს. ეს კავშირი ისე ძლიერი იყო, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის არსებულმა საომარმა მდგომარეობამაც ვერ შეწყვიტა. ომის მიუხედავად ახალციხელი ვაჭრები თავისუფლად დადიოდნენ ბაღდათის ბაზარზე. ამ ვაჭართა შორის იყვნენ თამარაშვილებიც. თანამედროვეთა მოწმობით მ. თამარაშვილის მამის, პეტრე თამარაშვილის დამზადებული რუმბები, უმეტესად, დასავლეთ საქართველოში საღდებოდა. დასავლეთ საქართველოში იგი თურმე ისე ხშირად დაიარებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს ქუთაისში საკუთარი ბინა გაუჩენია და ერთხანს მთელი ოჯახით გადასახლება დაუპირებია. მაგრამ შემდეგ მამისეული კერა მაინც ვერ მოუშლია და ახალციხეში მშობლიური სახლი ვეღარ მიუტოვებია.

მიხეილის დედა გაიანე არლელ ბათმანათ (ბათმანაშვილების) ქალი იყო. იგი თავის გულისხმიერებით, კჳუითა და გამჭირიხობით გამოირჩეოდა. კარგად იცოდა ქართული წერა-კითხვა, ხალხური ვეფხისტყაოსანი, კატეხიზმო და ზოგიც სხვა საერო თუ სასულიერო ლიტერატურა. გაიანე ბათმანაშვილი შვილებს სამშობლო ქვეყნისა და მშობლიური ენის ერთგულების გრძნობით ზრდიდა.

მიხეილ თამარაშვილი დაიბადა 1858 წ. სექტემბერში. მიხეილის მშობლებს სულ 10 შვილი ჰყოლიათ, ორი ქალი და რვა ვაჟი. მიხეილი, რომელსაც ერისკაცობაში ალექსანდრე ერქვა, შვილებს შორის მეცხრე ყოფილა. პეტრე თამარაშვილს გღაწყვეტილი ჰქონია შვილებისათვის ხელობა ესწავლებინა, ამიტომაც უფროს შვილს სოლომონს თავისთან დააწყებინა მუშაობა და კარგი მე-

რუმბეობაც ასწავლა. სოლომონის მაგალითს შემდგომ სხვა ძმებიც მიჰყვნენ და ყველამ ხელობა შეისწავლა. მამას მიხეილი, როგორც ყველაზე უფრო გონებამახვილი ბავშვი, /ჯერ სწავლაში გამოუცდიდა და განთქმული მღვდლისა და საზოგადო მოღვაწის „ვინმე შესხის“ სახელით ცნობილ ივანე გვარამაძისათვის მიუბარებია იოანე ნათლისმცემლის, ე. წ. „ქვემო ეკლესიის“ სამრევლო სკოლაში. ამ სკოლაში, როგორც შემდეგ აღნიშნავდნენ, მ. თამარაშვილმა ივ. გვარამაძისაგან მარტო წერა-კითხვა კი არ შეისწავლა, არამედ „ღრუბელსავით შეისვა მამულის სიყვარული და მისთვის თავდადების აუცილებლობა“. ივანე გვარამაძეს, როგორც განათლებულ პუბლიცისტს, ისტორიკოსს, მწერალს, პოეტს, თეოლოგსა და მოძღვარს, იმ დროს რაღაც ეროვნულ-ანდამატური ძალა და შემკრებლობითი უნარი ჰქონდა. მისი ხმა ყველა ქართველ კათოლიკეს სწვდებოდა და ყველგან დამაკმაყოფილებელ ძალას იძენდა.

ივ. გვარამაძემ თავიდანვე შენიშნა ნიჭიერი შეგირდის მისწრაფება და როგორც თამარაშვილის ერთი უცნობი ბიოგრაფი წერს: „საგანგებო წვრთნა დაუწყო მას, ვითარცა დიდი საქმისათვის მოვლენილ კაცსა“. სწავლითა და აბატიური ყოფაქცევით დაწინაურებულმა ყმაწვილმა, უმაღვე ყველა მასწავლებლისა და მეთვალყურის ყურადღება მიიქცია და „თქმულ საიდუმლოთა მიმღებ მოსწავლეთა რიცხვში ჩაიწერა“. სასწავლებელში წარმატებას წარმატება მოსდევდა და როცა მის ოცნებებს ფრთები ესხმოდა, როცა მისი მეცადინეობით აღფრთოვანებული მასწავლებელი ნიჭიერი ყმაწვილის მომავალ ბედზე ფიქრობდა, სწორედ ამ დროს 14 წლის მიხეილს მამა გარდაეცვალა და მისი ცხოვრების გზები ჰულ სხვანაირად შეტრიალდა... უშამოდ დარჩენილ ოჯახს ცხოვრება გაუჭირდა. მიხეილმა სწავლას თავი მიანება. სკოლას თავგანებებული ბავშვი ხარაზს მიებარა და ფეხსაცმელების კერვა ისწავლა. 1874 წ. ყმაწვილი ხელოსანი ქუთაისში თავის ძმასთან, სოლომონთან გადავიდა, რომელსაც იქ საბაყლო დუქანი ჰქონდა და ხელოსნობაში სცადა ბედრი. იქდა ის ერთხანს დუქანში და შუღლებსა ჰკერავდა, ხოლო თავისუფალ დროს კათოლიკეთა ეკლესიაში მიდიოდა და ასომთავრულსა და ხუცურ წერა-კითხვას სწავლობდა, ეკლესიაში დარჩენილ ბიბლიის უძველეს ხელნაწერებს უკვირდებოდა და მისი ფრაგმენტების გარჩევას ცდილობდა.

ორიოდე წლის შემდეგ ძმები ქუთაისიდან ხაშურში გადმოვიდნენ და ფეხსაცმელების სახელოსნო გახსნეს. არც ამ სახელოსნომ მოუტანა მათ დიდი სარგებელი. მალე გაყოტრდნენ, სახელოსნო და-

ზურეს და კვლავ მშობლიურ ახალციხეში დაბრუნდნენ. ახალციხეში დაბრუნებულმა მიხეილმა, რომელიც უკვე ძველ-ქართული ძეგლების კითხვას ახერხებდა, თავისი მასწავლებლის ივ. გვარამაძის აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია. ბოლოს და ბოლოს ივ. გვარამაძის დაჟინებითი რჩევით 1878 წ. 20 წლის მ. თამარაშვილმა გადასწყვიტა სწავლის გაგრძელება და კონსტანტინოპოლში, ქართველ კათოლიკე მოძღვრის პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ სასწავლებელში შევიდა. სასწავლებელში, სადაც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა სწავლება, საფუძვლიანად ისწავლებოდა ფრანგული და ლათინური ენები. სამი წლის თავდადებული მუშაობით მიხეილმა შესძლო თავისუფლად დაუფლებოდა ფრანგულსა და ლათინურ ენებს.

იმის გამო, რომ თამარაშვილმა კონსტანტინოპოლის სასწავლებელში გამოიჩინა თავი და დიდი ერუდიცია გამოამჟღავნა, კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა ძმობამ გადასწყვიტა სამიოდე მოსწავლე მაინც სწავლის გასაგრძელებლად თავისი ხარჯებით ესპანეთში გაეგზავნა. ესპანეთში გასაგზავნ მისწავლეთა გამოცდა ცალკე ჩატარდა. მ. თამარაშვილი გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდა. სკოლის მასწავლებელმა იოანე გიორგაძემ მოსწავლენი ესპანეთში ჩაიყვანა. სემინარიაში მათ გამოცდასა და მიღებას დაეწერო და გაზარებული დაბრუნდა კონსტანტინოპოლში.

სასულიერო სემინარიაში სწავლა სამ წელს გაგრძელდა. სამი წლის შემდეგ პ. ხარისჭირაშვილმა ყველა ისინი კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში მიიწვია. სემინარიაგავლილ მოსწავლენი „ხმის გაღების“ უფლებით აღჭურვეს და ძღვენლებად აკურთხეს. მონასტერში ყოფნისას ხმის გაღების უფლებით აღჭურვილმა მიხეილმა ძმობას განუცხადა, რომ მას მიღებული განათლება არ აკმაყოფილებდა და უნდოდა სწავლის გაგრძელება მიხეილს ასეთივე მოთხოვნით მხარში ამოუღვა მისი განუყრელი ამბანაგი იოსებ მერაბაშვილი. გულისხმიერმა მოძღვარმა და ძმობის დამაარსებელმა პეტრე ხარისჭირაშვილმა ანგარიში გაუწია ახალგაზრდების დაუოკებელ მისწრაფებას, მოუწონა მათ ასეთი სურვილი და ძმობის ნებითა და ხარჯით გაისტუმრა პარიზში სწავლის გასაგრძელებლად⁴. პარიზში ჩასულმა ახალგაზრდებმა გამოცდები ჩააბარეს და „მამაცურის მოწადინებობით განაგრძეს სწავლა“ დიდ სასულიერო ე. წ. ლაზარეს სასწავლებელში.

⁴ ზელნაწერთა ინსტიტუტის ფ. 10, საქ. 2801, გვ. 7.

პარიზის სამეცნიერო ცხოვრების გაცნობამ თამარაშვილზე წარუ-
შლელი შთაბეჭდილება მოახდინა. პარიზის მუზეუმებსა, წიგნთსაცუ-
ებებსა და არქივებშივე მიიღო მან მომავალი მეცნიერული კვლევა-
ძიებისათვის პირველი ნათლობა.

1888 წ. თამარაშვილმა და მერაბაშვილმა წმინდა ლაზარეს სასუ-
ლიერო სასწავლებელიც წარმატებით დაამთავრეს. ისინი კვლავ
კონსტანტინოპოლის ქართველთა ძმობაში მიიწვიეს.

პეტრე ხარისკირაშვილი ამ დროს უკვე დასწრელებული, ლოგი-
ნაუ ჩაეარდნაღყო და საქმეების გაძლოლა ნიკოლოზ მანველიშვი-
ლისათვის მიენდო. მანველიშვილს საამისოდ არ შესწევდა არც ძალა,
არც გამოცდილება და არც გულისხმიერება, მონასტერში ის
ძველი აღტინებაც თითქმის ჩამქრალიყო. ამიტომ მიხეილი იქ აღ-
დადგა და გადაწყვიტა საქართველოში „ღედა ბინაზე“ დაბრუნება-
ის ჩამოვიდა საქართველოში „ვითარცა მომზადებული მოლაშქრე და
გაჩერდა ქ. თბილისში“⁵: თბილისში იმ დროს აშკარად იგრძნობოდა
დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც შავრაზმულ-
შოგინისტური შემოტევის შედეგად გაღვიძებულიყო. აქ ცარიზ-
მის სამხედრო-ბიუროკრატიული რეჟიმის გვერდით თავი წაპოეყო
უცხო, კომპრადორულ ბურჟუაზიას და ადგილობრივ ეროვნულს
(რომლის იდეურ მესიტყვეებად გამოდიოდნენ ჩვენი მესამოციანე-
ლები) ყოველმხრივ ზღუდავდნენ და ახშობდნენ. შემოტევა
იგრძნობოდა ყოველი კუთხით. დადგა დრო, როცა სამშობლოს
სიყვარული ოფიციალურ წრეებში თვითმპყრობელობის დალა-
ტად ითვლებოდა და იდევენებოდა. მ. თამარაშვილი სწორედ
ამგვარი სიყვარულით იყო შეპყრობილი და დიდი იმედით მოაშურა
თავის ქვეყანას ათასნაირი ფიქრებითა და გეგმებით დატვირთულმა.

1898 წ. დაწერილ ერთ-ერთ წერილში მ. თამარაშვილი საქართვე-
ლოში დაბრუნებისა და მისი მიზნების შესახებ აღნიშნავდა:

„წარსული საქართველოდან 1879-ა მოვბრუნდი თბილისში-
1888-ს იმედით და დიდის მოწადინებით. რომ მეც ჩემი შეძლებას
დაგვარ მეშრომა თუ სულიერს და თუ პორციელს საგანში, მაგრამ
ქართველ კათოლიკეებს მტერმა არლოვსკიმ კაის თვალთ ვერ შემო-
შხედა, რადგან ჩემში შენიშნა ერთგულება და მამულის მოყვარუ-
ლობა“-ო⁶.

როგორც ჩანს საქართველოში დაბრუნებულ თამარაშვილს მუდ-
მივად უნდოდა თბილისში დაბრუნება. აქ მან ფიქრად ჰქონდა სასული-

⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. 10, საქ. 2801, გვ. 8.

⁶ ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 5456—6

ერო საქმე მეცნიერული მუშაობისათვის შეეფარდებინა და საქართველოს ისტორიის შესწავლაში თავისი წვლილი შეიტანა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე იგი ქართველ კათოლიკეთა „მიძინების ეკლესიის“ მოძღვრად იქნა განწესებული. ეკლესიაში თამარაშვილმა თავისებური „განაწესი“ შემოიღო. ამ განაწესით ყოველი საზოგადო წირვისა თუ ლოცვის დროს, ეკლესიის კათედრიდან მრევლს ეროვნული ისტორიის პატრიოტულ ფურცლებს აწსენებდა და სიმბტიკისა და ერთიანობისაკენ მოუწოდებდა. მ. თამარაშვილს ივ. გუარამაძესთან ერთად სწამდა, რომ ეკლესიის კლერიკალური საფარველის მიღმა ყოველთვის ჩვენი სოციალურ-ეროვნული საკითხი იჭარბებოდა.

თამარაშვილის მოსვლამ და ამგვარი აზრების გატარებამ ეკლესიაში ერთგვარი განხეთქილება შეიტანა. თუ ეს დიდად სასიხარულო იყო ქართველი მრევლისათვის, მას ჰყავდა თავისი მტრებიც და ეს მტრები ენერგიულად ამოქმედდნენ. ბოლოს და ბოლოს ეს საკითხი ქართულ-სომხური კათოლიკური ეკლესიის მოღვაწეთა საერთო დავის საკითხად იქცა და იმით დასრულდა, რომ ქრთამიისა და დაბეზლებით მოხიბლულმა პრელატმა მაქსიმე ორლოვსკიმ მიხეილ თამარაშვილს თბილისსა და საქართველოში მღვდელმსახურება აუკრძალა; შემდეგ კი მთავრობის განკარგულებით (საქართველოს ამდროინდელ მთავარმმართველ დონდუკოვ-კორსაკოვის ხელის შოწებით) მ. თამარაშვილს, როგორც არა კეთილი აზრების მქონე მოაღვაწეს, ნაციონალისტური პროპაგანდისათვის საქართველოდან კაძეკება მიეწაჭა. „სინამდვილეში არავეითარი კანონიერი დანაშაულობისა არა მაქვს“ — წერდა მიხეილი იოანე ანტონოვს, მაგრამ „ორლოვსკი სიბრანისაგან არ დასცხრა, მთავრობას ჩემზე ახალი დანოსი მისცა, მთავრობამაც გამოგზავნა კაცი და გამოიძია ჩემი გარემოება“. კაპობიებამ საქმე „სერიოზულად საშიშად“ ჩათვალა და „გუბერნატორმა პოლიციის საშუალებით 30-გავლილს დეკემბერს, გამომიცხადა, რომ: რადგან შენ უცხოეთში ნაკურთხი მისიონერი ყოფილხარ და აქ მთავრობის უნებართოდ და უდოკუმენტოდ მღვდლობის ვალდებულებას ასრულებ, უნდა წახვიდე ახალციხეს საცხოვრებლად და არავეითარი მღვდლობის სამსახური არ უნდა აღასრულოვო“. თამარაშვილის განდევნის შემდეგ თბილისის ქართველ კათოლიკეთა მიძინების ტაძარში პრელატმა ორლოვსკიმ შემოიღო წესი, რომ აქვე ეწირათ არაქართული ტიპიკონის მღვდლებსაც. მიხეილი იმავე 1389 წ. დეკემბერში ჭერ გორში ნიკო ჭულაბაშვილთან, შემდეგ კი ახალ

ციხეში მამისეულ სახლში ავიდა და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ რამდენიმე ზანს დარჩა, ვიდრე ახალციხიდანაც სამუდამო გაძევება არ მიესაჯა. ახალციხეში ის წიხი მასწავლებლის ივ. გვარამაძის დარიგებებს იღებდა. ერთაღერთი კაცი, რომელთანაც შეიძლებოდა ესაუბრა „საყვარელ საგნებზე“ იმდროინდელ ახალციხეში ივ. გვარამაძე აღმოჩნდა. ამ ამბავს თვითონ გვარამაძე ამგვარად იხსენიებს: „მე არ მშორდებოდა, ვებრალებოდი, ნუგეშს მაძლევდა და მპირდებოდა შეველას.... ჩაიდვა გულში რომში წასვლა... და 1891 წ. წავიდა რომში სამოწაფოდ. დაიწყო კიდევ შრომა და გაამართლა“.

ვიდრე ახალციხიდან რომს ჩავიდოდა თამარაშვილს ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა. მდგომარეობას ის ართულებდა, რომ საქართველოდან გაძევებულ მიხეილს უცხოეთში წასასვლელ ვიზას არ აძლევდნენ. „არ ვიცი თუ აქ რანაირი დამშლულობა უნდა იყოს... მე არ ვითხოვ რომ ეს მოწმობა იყოს ოფიციალური და ყველა ფირმანებით შემოსილი, ვითხოვ ჩასწად. როგორც უცხო და აქ დროებითი მყოფი. მე“ ეს მოწმობა ხომ ვინმეს არ უნდა წარუვლდინო, რომ მაგის თავს საფიქრებელი იყოს“...—იხვეწებოდა 1890 წ. თამარაშვილი ახალციხიდან, მაგრამ მთავრობის უადგენილებით გაძევებულ თამარაშვილს, როგორც „უცხოა“ და „უცხო იდეების“ მქონე პირს არ ეძლეოდა არავითარი დოკუმენტი. მას თითქოს ყველამ ხელი ჰკრა და ზურგი შეაქცია. ახალციხეში მიხეილს უარესი მდგომარეობა დახვდა. სომხური ტიპიკონის მქონე კათოლიკე ეკლესიამ იგი არ მიიღო, მამისეულ სახლში კი მხოლოდ შიშნოლი და სიღარიბე მძვინვარებდა. უკიდურესად დაღარიბებული ოჯახი ვალეებში იყო ჩავარდნილი. გაჭირვებაში მყოფი მიხეილი აკვირდებოდა, რომ ახალციხე მის თვალწინ თანდათან იცვლებოდა მკვიდრი ქართული მოსახლეობისაგან და ამჩნევდა, რომ ამის მიზეზები როგორც სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ, ისე რელიგიურ საკითხებთანაც იყო დაკავშირებული.

ახალციხეში ყოფილას მიხეილს მარტო ქალაქის მცხოვრებ ამაღ ბეგის ასთორმეტი მანეთი ჰქონდა სესხად. და ასე ყოველდღიურად სესხი მატულობდა და მოვალენი თანდათან მრავლდებოდნენ. ასეთ მდგომარეობაში ისედაც დევნილმა მიხეილმა გადასწყვიტა, რადაც არ უნდა დააჯდომოდა გასკლოდა საქართველოს და უცხოეთისათვის მიემართა, მაგრამ უცხოეთში. წასვლას მეორე მხრივ ვალებიც აბრკოლებდა. იგი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. ბოლოს მისმა უმცროსმა ძმამ გრიგოლმა წერილობით იკისრა ძმის ვალების გადახდა იმ პირობით, თუ მიხეილი შემდგომ გრიგოლს ვალს დაუბრუნებდა. 1890 წელს მ. თამარაშვილი ყოველგვარი მოწმობებისა და

დოკუმენტების გარეშე სტამბოლს ჩავიდა და იქიდან რომს გაემართა. რათა იქ სწავლა განეგრძო და ის მიზნები, რომლის განხორციელებაც საქართველოში ვერ შესძლო, უცხოეთში შეესრულებინა.

კონსტანტინოპოლში ჩასული მიხეილი ქართველ კათოლიკეთა ფერეიქოვის ძმობის უფროს მოძღვრებს სტეფანე გიორგაძესა და ალფონს ბითარიშვილს წერილით მოახსენებდა თავის განზრახვას: „მე, როგორც თქვენ უწყით, ახლა აქედან ვაპირებ წასვლას ან ფრანციაში ან იტალიაში, ერთი ანუ ორი წლით, რათა რაოდენადაც შეიძლება შევითავო საჭირო სწავლა“. ე. ი. მ. თამარაშვილი კონსტანტინოპოლიდან გამგზავრების წინ ძმობას, რომლის წევრიც თვით იყო, ატყობინებდა თავის გამგზავრებას.

კონსტანტინოპოლიდან კათოლიკე ეპისკოპოსის დაუკითხავად მიხეილის რომში წასვლამ, მაინც დიდი აურზაური გამოიწვია. ეპისკოპოსი ამ „უგვანო“ საქციელისათვის პასუხს სთხოვდა და ადანაშაულებდა ფერეიქოვის ქართველ კათოლიკეთა ძმობას. „იმას მოგახსენებთ, რომ კანონიერად არ მოიქცეით — წერდა 1890 წ. ნოემბერს ამ ძმობის ერთ-ერთი წევრი ლევან აფრიაშაშვილი მიხეილს რომში — როცა აქაური ეპისკოპოსის ქვეშევრდომი ოყავით (რადგან ჭერ სხვა ეპისკოპოსისაგან შეწყნარებული არ იყავით), საჭირო იყო ევროპაში წასვლისათვის აქაური ეპისკოპოსის ნება გქონოდა. და თუ არა — ისე გაგველო და წასულიყავით, რომ აქ სულ არავის გაეგო... ახლა უწინარეს ჩვენი გაგების ეპისკოპოსს გაეგო თქვენი საქართველოდან უკან დაბრუნება და... თვინიერ ვისმეს შეტყობინებისა ევროპაში წასვლა. ამისთვის ეპისკოპოსს კაცი გამოეგზავნა ფერეიქვევში გასაგებად საქმისა... შევედით თუ არა (ეპისკოპოსთან), ის დაგვეკითხა: *il est T. Michel*. ჩვენ ვუთხარით, რომ წარსულს წელს რომ საქართველოში წავიდნენ იქ მთავრობამ არ მიიღო და იქიდანვე პირდაპირ რომში წავიდა სწავლის დასასრულებლადო. გაჯავრებით თავი გაიქნია და ხმაც აღარ გაგვცა; შიგნით თავის ოთანში შევიდა. ამისათვის დიდად გვეშინია არაფერი გვავნოსო“-ო.

საქართველოდან მთავრობისა და სამღვდელთაგან დევნილ თამარაშვილს პროტესტი გამოუცხადა და დევნა დაუწყო კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსომაც, რომლის ხელთ იყო აღმოსავლეთის კათოლიკეთა „სულიერი სადავეები“.

დევნილმა მიხეილმა იმდენი მაინც გააკეთა, რომ იმავე წელს წარმატებით ჩააბარა მოსკოვში რომის სასულიერო აკადემიაში და სწავლა განაგრძო. მის „მფარველად მისივე ნიჭიერება აღჩნდა“.

კონსტანტინოპოლის საეპისკოპოზო დიდხანს ვერ ურიგდებოდა ან ფაქტს და რამდენიმეჯერ კიდევ სცადა ვატიკანის შეწუხება, რათა თამარაშვილი აკადემიიდან დაეთხოვათ. ბოლოს საეპისკოპოზომ ის „მოკვეთა კონსტანტინოპოლის კათოლიკეთა ძმობიდან“ და ყველა ქართველ ბერ-მონაზონს აუკრძალა მასთან რაიმე კავშირის დამყარება. ბევრი ქართველი სასულიერო პირი არ ემორჩილებოდა ამ დადგენილებას და მ. თამარაშვილთან მაინც აწარმოებდა საიდუმლო მიწერ-მოწერას. 1891 წ. ლ. აფრიაშაშვილი კონსტანტინოპოლიდან რომში მიხეილს აცნობებდა: „ბონეთმა აგვიკრძალა თქვენთან ქომუნიკაციონი თქმით: იმ უპიზრძნომ და რეგვენმა საქმე გააუფუტაო. გვეკითხება თუ ვისმეს იმასთან ქომუნიკაციონი აქვს თუ არა? და სხვ. არ იქნას გაგვყიდოს სადმე არ თქვა, რომ მე რაიმე მოგწერე. რასაც გწერ სეკრეტის ქვეშ გწერ, რათა წიგნიც დახიოთ შემდგომ წიკოზებისა. რათა შენის მიზეზით კიდევ ძმარი არა ვსვათ“ო.

ზოგიერთი თამარაშვილს ამის გამო უსაყვედურებდა. თბილისიდან გაგზავნილი წერილით ბალაშვილი პირდაპირ ეუბნებოდა: „ჰსჩასს რომ თქვენ აჩქარდით და მოუფიქრებლად წახვედით მანდა“.

ივანე ხიშტიძე კონსტანტინოპოლიდან მიწერილი წერილით მ. თამარაშვილს მისი „დაუინებელი იდეებისათვის“ „უნებართოდ გაქცულს“. „ურჩს“ უწოდებს და გმობს მის ამგვარ საქციელს, რაც თურმე არ შეეფერება „სულით მაღალ აღაშიანს“, ისიც კათოლიკეს. ისინი წერდნენ, რომ საქართველოს დატოვებით მან ბევრი რამ დაკარგა... და განა ეს თვით თამარაშვილს არ მოეხსენებოდა. რომელსაც „კიდევ სხვანაირი სოცვარულით“ უყვარდა საქართველო. მაგრამ იგი გრძნობდა, რომ ისეთ პირობებში მისი თბილისის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში დატოვება არ შეიძლებოდა, რომ ეკლესია ბოლოს და ბოლოს „არ შეიწყნარებდა“ ეროვნული ისტორიის ფურცლების შრიალს სახარების გვერდით. მიხეილი თანდათან რწმუნდებოდა, რომ ამ საქმის მოვლა სხვა კუთხით შეიძლებოდა. ბალაშვილისადმი რომიდან მოწერილ პასუხში იგი ოპტიმისტურად აცხადებდა: „...თვინიერ იმა დაკარგულისა საქმეს აქ კარგად ვაწარმოებთ“-ო.

მიხეილის ამგვარ განცხადებას ზოგიერთი მის გაკაღნიერებულ მიზნევედა და კვლავ უსაყვედურებდა: „საუკუნო ქალაქში დიდხანს დგომით რომაული ფანდები და ოსტატობა გისწავლიათ, რაც არ შეეფერება სასულიერო მუშაკსო.“

მ. თამარაშვილმა ყური არ ათხოვა არც დესპოტური მთავრობის მოხელეთა მუქარებს. არც კლერიკალ-ფილისტერთა მითქმან-ლოქმებსა და კორებს. იგი მთელი მონდომებით სწავლობდა სასუ-

ლიერო აკადემიაში, რომელიც 1894 წ. წარმატებით დაამთავრა და ღვთისმეტყველებაში დოქტორის წოდება მოიპოვა. ამიერიდან იგი მთელი ბრძანებით მეცნიერულ მუშაობას მიეცა. ამ მეცნიერული მუშაობის კონტურები მან უკვე აკადემიის პირველ კურსზე ყოფნისას მოხაზა ფრანგულ გაზეთ „La Croix“-ში, სადაც გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი წერილი საქართველოს ისტორიისა და ქართველი კათოლიკეების შესახებ. ამ პერიოდის ევროპული ისტორიული მეცნიერება ბარბად ეწაფებოდა აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლის საკითხებში. თამარაშვილის „დამაფიქრებელმა“ წერილმაც ამიტომ დიდი გამოცდილი და მხარდაჭერა ჰპოვა ევროპაში.

ახალციხეში ამ დროს მართლაც მწვევე ბრძოლა იყო გაჩაღებული კათოლიკური ტიპიკონის საკითხებზე. მეფის მთავრობის რეაქციული მოხელენი სულ უფრო და უფრო აღვივებდნენ ამ ბრძოლას და ერთიმეორის საწინააღმდეგოდ ათასნაირი დაღვენილებანი გამოჰქონდათ. 1886 წ. მთავრობის დაღვენილებით კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ენა ბრძანებით იქნა აკრძალული, რამაც ქართველ კათოლიკეთა გულსწყრომა კიდევ უფრო გააღრმავა. ბრძოლა თანდათან მწვევდებოდა და დაძაბულ ხასიათს იღებდა. აღრევე სომხურ-კათოლიკურ რიტზე შემდგარი სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსახლეობა 1328 წელს საქართველოდან შეერთების შემდეგ ეკლესიაშიც მშობლიური ენის შემოღებასა და დამკვიდრებას მოითხოვდა. ეს მოთხოვნა თავის მხრივ გაპირობებული იყო იმით, რომ ქართველმა კათოლიკეებმა საქართველოსთან შეერთების შემდეგ მთელი ქართველობა სახით ამ ბრძოლაში თავიანთი მოსარჩლე და მფარველი დაინახეს. ეკლესიის ძველი მესვეურები კი თავიანთი გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებას ფიქრობდნენ სამცხე-ჯავახეთის კათოლიკურ მოსახლეობაში და ყოველმხრივ ცდილობდნენ ამ გზაზე დამდგარი მებრძოლი ქართველებისათვის გზა გადაეღობათ. მათ უარყვეს ქართველთა კათოლიკობა და ყველა ისინი არაქართველებად გამოაცხადეს. საკითხი თავისთავად საქართველოს ამ მხარის ქველი სამცხე-საათაბაგოს გამოვლილი ისტორიული ცხოვრების დაწვრილებით შესწავლასა და დასაბუთებას მოითხოვდა და როგორც ერთის, ისე მეორეს მხრივ იწერებოდა მრავალი წერილები. პამფლეტები, მოწოდებანი.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის ოთხმოციანი წლები აღინიშნა რეაქციის ახალი შემოტევებით. რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში რეაქციონერთა შემოტევა დიდმპყრობელურ, შოვინისტურ ხასიათს ატარებდა და პატარა ხალხების ერთიმეორეზე წასისრულებას ემსახურებოდა. ეს იყო დრო, როცა წინა პლანზე წამოვიდა

პურიშკევიჩების, ვოსტორგოვების, კატკოვების, ილიოზორების, დონ-
დუკოვ-კორსაკოვების და სხვათა სატანური სახელები. რეაქცია ცდო-
ლობდა გზა გადაეღობა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლე-
ბელი მოძრაობისათვის, ხელი შეეშალა მისი ეთნიკური კონსოლიდა-
ციისათვის და შეეცვალა იგი მეზობელ ხალხებს შორის კინკლაობი-
თა და სისხლის ღვრით, ხოლო შემდეგ თვითვე გამოსულიყო მოძრი-
გებელ მოსამართლის როლში.

ცარიზმის ეს რეაქციული ზრახვები საქართველოში მთელი ქართ-
ველი ხალხისა და მისი პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის
წინააღმდეგობას წააწყდა, რომელსაც მეთაურობდა ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძის დიდმა დაპრაზმავემა ძალამ, მისმა შეუღრეკელ-
მა ნებისყოფამ, პირდაპირობამ და ნათელმა გონებამ, ეროვნულ-გან-
მათავისუფლებელი მოძრაობის მიზნები დაუკავშირა რუსეთისა და
რუსი ხალხის წამდვილ მიზნებსა და გრძნობებს და მთელი სისასტი-
კით წარმოართა ბნელი რეაქციისა და პოლიტიკური „ბეზლობის“ წი-
ნააღმდეგ.

„როცა ბეზლობა,—ეგ უწმინდური ძალღონე გაცვეთილის კაცი-
სა, პირახდილი დაიარება. არამც თუ უსიროცბილოდ, თავმოწონები-
თაც ფარფაშობს და ლუკმა პურს აწვდის მამბეზლარას, — მაშინ
პირდაპირ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საზოგადოების წყობას საძირ-
კველი შერყევიაო და აღსასრული მოახლოებიო...“

ეს ოციოდ წელიწადია, რაც ბეზლობამ ენა ამოიდგა რუსეთში...
და დროა ვიცოდეთ, საიდან დაგვეყვდეს ეს შავი ყორანი* თავზეო —
აფრთხილებდა ხალხს ბრძენი ილია.

რეაქციონერთა წაქეზებით 80—90-იან წლებში კათოლიკე მღვდ-
ლების ერთმა ნაწილმა ლიბერალურ-ბურჟუაზიული და შოვინისტუ-
რი გაზეთის „მშაკის“ ფურცლებზე წამოიწყო წერილების შეთითხ-
ნა იმის შესახებ, თითქოს ისტორიულად არ არსებობდნენ ქართვე-
ლი კათოლიკენი. თითქოს ქართული კათოლიკური მოსახლეობა მეს-
ხეთში სხვა პოვდემის მოსახლეობა იყო, რომელთაც ბოლო დროს
მიეღოთ ქართული ენა და გადავიწყებიათ თავიანთი მშობლიური ენა.
ამ ბრძოლაში რამდენიმე შოვინისტ კათოლიკე მღვდლის მხარდამ-
ხარ დადგა მდიდარი ბურჟუაზია და უკვე მოქრთამულ კავკასიის აღ-
გილობრივ მთავრობას ყოველდღიურად მათი გულის გასახარი ახალ-
ახალი დადგენილებები გამოჰქონდა.

1886 წ. გამოვიდა უმაღლესი ბრძანება კათოლიკურ ეკლესიებში
ქართული ენის აკრძალვის შესახებ, ამ ბრძანების მე-ნ მუხლში ნათქ-

* ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრულ კრებული, ტ. II, გვ. 145, 1941 წ.

ვამი იყო: „Воспретить употребление грузинского языка в Армяно-католических церквах при Богослужении и в латинских приходах на Кавказе“⁹.

აქედან გამომდინარე, რომ ქართველი მოსახლეობისათვის კათოლიკურ ეკლესიებში მღვდელმსახურება მხოლოდ სომხურ ენაზე უნდა შესრულებულიყო. ქ. №30 გავლილ ივლისს — წერდა ივ. გვარამაძე მ. თამარაშვილს 1890 წ.—№ 228-ით მიბრძანეს მე ჩემს სადევანოს ყოფილნი ყოველნი ბაროხნი და ვიქარნი განვაფრთხილო სომეხთ კათოლიკეთა, რომ ეკლესიაში ღვთის მსახურების დროს აღარ იხმარონ ქართული ენა¹⁰. მთავრობის ამ ბრძანების ვატარებისათვის ახალციხის მხარეში თავგამოდებით იბრძოდა ვინმე. კათოლიკე მღვდელი ტერ-შაანოვი. ამ შაანოვმა საქმე ისე გააშუქვა, რომ ქ. ახალციხის მცხოვრებლებმა 1891 წ. უჩივეს მას. საჩივარს ხელი მოაწერა 130 კაცმა და მისი ახალციხიდან დაუყოვნებლივი გასახლება მოითხოვა..

ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში. მიუხედავად იმისა, რომ, ქართული რიტი კონგრეგაციის მიერ შეწყნარებული არ იყო, ეს ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან სავალდებულო ლოცვანის შემდეგ, მრევლთან ერთად მოძღვარიც ქართულად გალობდა ხოლმე. ახლა კი მთავრობა ქართული ენის ეკლესიაში ყოველმხრივ აკრძალვას მოითხოვდა. განსაკუთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს ამ დადგენილებას ქართველმა კათოლიკე ქალებმა: „ქალების მიზეზით კვლავ ქართულად დავიწყე სახარების ქადაგებაო“¹¹. წერდა 1892 წ. ივ. გვარამაძე. მაგრამ ეს ყველაფერი დროებითი მოვლენა იყო. რეაქციის შეტევები არ წელდებოდა, ქართველი კათოლიკე მოძღვარნი თავის მხრივ ცდალობდნენ, რომ მთავრობას უკან წაეღო გამოცემული ბრძანება. ისინი ფიქრობდნენ, როგორმე მოეხიბლათ რომი და მშობლიური ენის დამკვიდრების საკითხი გადაეჭრათ. მათ გადაწყვიტეს 1893 წ. პაპ ლეონ მე-13-სათვის იუბილეს დროს, სპატიო აუდენციაზე წარედგინათ ეს საკითხი. შედგა ვრცელი მოხსენება, რომელიც დაწერილი იყო ლექსად. ეს ვრცელი ლექსი ქართულიდან თარგმნეს იტალიურად და ორ ენაზედ ნაწერი მიართვეს პაპს. სხვათა შორის პაპ ლეონ მე-13-სადმი წარდგენილ ლექსში ნათქვამი იყო: „ჩვენ ქართველ კათოლიკენი, უნარჩევლენი ქართველთა,

⁹ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 180.

¹⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 10. საქ. 165, ფურც. 4.

¹¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10, საქ., 165, ფურც. 5.

შავის ზღვით კასპის ზღვამდისინ მკვიდრნი ვართ ქალაქ და ველთა.
დაჩაგრული ვართ შინ-გარედ ხელ დებულნი მძლავრ
მმართველთა

გვდევნიან უწყალოდ, მეტად, გვიჭირებენ ერთობ მრთელთა!
გვიშლიან ჩვენს ენაზედა საერო ლოცვა-გალობას,
სახარების ქადაგებას, ღვთის მადლსა და ღვთის წყალობას
ვსტირით მწარედ დღე-ღამ ცრემლით, ვერ ავიტანთ ამ ძალობას
გვიპატრონეთ გაჭირებულთ, მოგვარჩინეთ ამ საღმობას“-ო.¹²

პაპი ქართველთა თხოვნისადმი ყრუ აღმოჩნდა, ეპტიკანი ქართუ-
ლი რიტის დამტკიცების საქმეს აყოვნებდა. 1894 წ. პაპ ლეო-
ნის მიერ გამოცემული დეკრეტით აღმოსავლეთელებს (ე. ი. აღმოსავ-
ლეთის კათოლიკებს) ეკრძალებოდათ ლათინურ ტიპიკონზე გადასე-
ლა. ეს ნიშნავდა რომ ძალაუწებურად ქართველი კათოლიკენი სომ-
ხურ ტიპიკონთან ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი¹³.

1893 წ. მაისში გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, სადაც თბილისის
ქართველ კათოლიკეთა ეკლესია მოხსენიებული იყო სომხურ ეკლესი-
ად. და ასე ბრძანებას ბრძანება სცვლიდა. ქართველი კათოლიკე-
რი მრევლისათვის ყველაზე მძიმე ჩანდა ეკლესიის დაკარგვის საკი-
თნი, რადგან თუ ეკლესიას სხვა ერის კაცი დაეპატრონებოდა, მაშინ
მისი ერთგული თავმოყვარეობა თავისთავად შელახული იქნებოდა.
ამის გამო ქართველმა კათოლიკებმა მთავრობის დადგენილებას წინა-
აღმდეგობა გაუწიეს და ზოგიერთი ქართველი ინტელიგენტის დახმა-
რებით საქმე გასარჩევად სასამართლოში გადაიტანეს. ქართველი სა-
სულიერო მოღვაწენი ამტკიცებდნენ, რომ ეკლესია მთავარმართე-
ბელ ციციანოვის დროს ქართველ კათოლიკეთა სახსრებოთა და მთავ-
რობის დახმარებით იქნა აგებული და ამიტომ ის ქართველ კათოლი-
კეებს ეკუთვნითო. სხვა სასულიერო მოღვაწენი ამტკიცებდნენ ამის
საწინააღმდეგოს, რომ ეკლესია აშენებულია სომხური კაპიტალით
და სომეხ კათალიკოსებს უნდა გადმოეცესო. ამ კონკრეტულმა შემ-
თხვევამ საჭირო გახადა სასამართლოზე დოკუმენტურად დამტკი-
ცებულიყო, როგორც ერთი მხარის, ისე მეორე მხარის საჩივარი და
საქმე ამგვარად გადაწყვეტილიყო. იმის გამო, რომ ეკლესიის არქივ-
ში არ მოიპოვებოდა შესაფერისი ცნობები, საჭირო გახდა ამგვარი
დოკუმენტების რომის არქივებში მოძიება და გამომზეურება. ქართ-
ველ კათოლიკეთა ისტორიის საკითხებზე ნამუშევარი და ყველაზე
უფრო ავტორიტეტული მაშინ მ. თამარაშვილი ჩანდა, რომელსაც

¹² ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 10, საქ. 165, ფურც. II.

¹³ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზ. ხელნაწერთა ფონდი, საბუთი № 177.

უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ევროპის პრესაში რამდენიმე წერი-
ლი. 1892 წ. თამარაშვილმა მიიღო შეკვეთა თბილისის კათოლიკე ეკ-
ლესიისაგან, რათა ემუშავა ვატიკანის სხვადასხვა წიგნთსაცავებში და
შეეკრიბა თბილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ისტორიის სა-
კითხებზე საჭირო დოკუმენტები. მ. თამარაშვილმა ამგვარი დავალებ-
ა სიამოვნებით მიიღო და ვატიკანის სხვადასხვა არქივებში მუშაო-
ბას შეუდგა.

ვატიკანის არქივებში მუშაობამ ის ისტორიის მღელვარე ოკეანე-
ში გადაისროლა, სადაც ხანდახან ნატვრის თვალივით გაიღვებდ-
ნენ საქართველოს ისტორიის შესახებ დოკუმენტები, რომელთაც
მ. თამარაშვილი ხარბად ეტანებოდა. ასე თანდათან მისი საკვლევ-
საძიებო არე იშლებოდა და მის ხელთ როგორც საეკლესიო, ისე სო-
ციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი ბევრი დოკუმენტი
იყრიდა თავს. „მანდეთგან წამოსვლისთანავე --- წერდა იგი ზაქარია
ჭიჭინაძეს --- აღვიბეჭდე გულში რომ საქართველოს შორითგან შეე-
წყოდნი. ამის გამო პირველად მოველ რომში თუ არა, დავიწყე საქარ-
თველოს გაცნობა მაღალ სხვადასხვა წოდების პირებთან.. პარიზის
განუთებში ართიქული დავაბეჭდინე... მაშინათვე დავიწყე ძებნა და
შემოკრეფა ქართველობაზე სხვადასხვა ცნობებისა, რაც კი ევროპა-
ში დაუწერიათ საქართველოზედ“-ო¹⁴. სამშობლოდან გაძევებულმა
მამულიშვილმა თავისი ქვეყნის „შეწევნა“ შორიდან გადასწავიტა და
დიდ ეკონომიურ თუ მორალურ სიღარიბის პირობებში, ისეთ
პატარა პერიოდში, რომელშიც მან იცოცხლა, შესძლო გამხდარიყო
სტინქის მადლითაცხებული მამიებელი და მკვლევარი.

მის გაწეულ დიდ შრომაზე სამართლიან გაცვირვებას გამოსთქვა-
მდნენ ისეთი ხელზავიანი და დაუცხრომელი მეცნიერებიც კი რო-
გორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი და ალექსანდრე ხახანაშვილი.

1898 წ. თამარაშვილი რომიდან ახალციხეში ვინმე მესხს წერდა:
„წიგნებს დღიდან დღეზე ვპოულობ. ძებნაზე დიდ შრომასა ვდებ.
ყოველდღე ვატიკანის არქივებში მივდივარ, ვეძებ... ამისთანა წერი-
ლების საძიებელი არაფერი არ არის. ხშირად 40—60 ტომს და ათასო-
ბით ფურცლებს ვფურცლავ და ზოგჯერ სრულებით ვერაფერს ვპო-
ულობ და ზოგჯერ უცბად და მოულოდნელად შესანიშნავსა და სასი-
ამოვნო ქაღალდებს შევხვდები. კიდევ დრო ბევრი უნდა, რომ ამის-
თანა დოკუმენტები ყველა შეეკრიბო“¹⁵.... იგი რაღაც მოწამებრივი

¹⁴ ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 5455—6.

¹⁵ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საბუთი
№ 154.

გულისმოდგინებით იტანდა უმძიმეს საარქივო სამუშაოს და სიხარულით ამბობდა „რაც შემძლია ვმოულობ და არაფერს ვზოგავ, იმედი მაქვს რომ თუ აქ რამდენიმე წელიწადი გავატარებ ბევრს საჭირო რამეებს ვიპოვნი“¹⁶ კიდევო. 1898 წ. მარტში ზ. კიკინაძეს წერდა: „ამ ხანებში სხვას არაფერს ვაკეთებ თუ არ მუდამდღე სხვადასხვა არქივებში და ბიბლიოთეკებში დავეძებ კიდევ ცნობებს. ღვთის შეწევნით ჩემი შრომა უნაყოფოდ არა რჩება“-ო¹⁷. „საკმაოდ შესანიშნავ ცნობებს ვკრებ — ამბობს იგი სხვა წერილში. — კაცმა რომ ყველა შემოკრიფოს წლები უნდა, რადგან ძველს მწერლებში ცოტაცოტა მოიპოვება საქართველოს შესახებ ცნობები, მაგრამ ძლიერ უთავბოლოდ გაფანტულია... ძლიერ ბევრი ძებნა სჭირიათ: ამისათვის მეც რაც შემძლია ვშრომობ და ვეძებ ყველანაირ წიგნებში. დრო ბევრი მჭირია, რომ რიგიანი საისტორიო მასალები შემოვიკრიბო“-ვო¹⁸. იჯდა რომშიც ეს მართლაც ბიბლიური იობი და ახალახალი ცნობებთ ამდიდრებდა თავისი შორეული ქვეყნის ისტორიას. ყოველი ახალი დოკუმენტის აღმოჩენას იგი შინაგანად განიცდიდა და აღფრთოვანებული იწერებოდა სამახარობლო წერილებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: ვეძებ, ვპოულობ, გაიხარეთო.

„მე იმისათვის არ ვშრომობ რომ თბილისიდან შემწეობა მიგზავნონ“¹⁹. თუმცა ძალიან ღარიბად ვცხოვრობ და არსაიდან დახმარებას არა ვღებულობო — აცხადებდა საქვეყნოდ. მაგრამ შინაურობაში ძალაუნიებურად უჩიოდა მწარე სინამდვილეს. უცხო ჭერს შეფარებულ მკვლევარს მართლაც არავითარი ეკონომიური სახსარი არ გააჩნდა, რაც მძიმე დაღს ასვამდა ყოველ ნაბიჯზე. „ამ დროს მოწერილ ერთ-ერთ წერილში ვინმე მესახს ჩუმაღ შესჩიოდა „მე შემოსავალი არსაიდგან მაქვს, მართო წირვები მაქვს“²⁰. რაიც პურის ფულადაც არა მყოფნისო. ქონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა ძმობა მიხეილ თამარაშვილს რომში დახმარების მაგივრად ფერიქოვის მონასტრისაკენ მოუწოდებდა და ანუგეშებდა ახალი ეპისკოპოსი დევნას არ დაგიწყებს, ჩამოდი აუცილებლადო.

1893 წ. ივლისში სტ. გიორგაძე კონსტანტინოპოლიდან რომში მიხეილს წერდა: „საყვარელო ძმაო და საიმედო სულიერო შვილო.

¹⁶ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საბუთი № 154.

¹⁷ ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 54—56—6.

¹⁸ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საბუთი № 151.

¹⁹ იქვე, № 156.

²⁰ იქვე, № 154.

კახოვი მიიღო რა ეს ჩემი წერილი მოემზადე და ამ ივლისის დამ-
ლევს დღეებში გამოემგზავრე და წამოდი აქ კონსტანტინოპოლს
დედა მონასტერში რომ უთუოდ საჭირო ხართ“²¹.

ისტორიული საბუთების შეკრება-მოპოვებით თავდავიწყებული
მიხეილი ერთხანს უარზე იყო რომიდან დაბრუნებაზე, მაგრამ ბოლოს
„ძმობამ“ მაინც თავისი გაიტანა. 1894 წ. იგი კონსტანტინოპოლში
ჩაიყვანა და იქ ფერიქოვის ქართული სკოლის მასწავლებლად დანიშ-
ნა. 1896 წ. 18 ივლისს მიხეილი „ძმობის“ მთავარი მოძღვრის
სტეფანე გიორგაძის შესახებ სამღუთავეს იწერებოდა „ძვირფასი ად-
გილი დამატოვებინა რომში და სასწრაფოდ მომიყვანა აქ“-ო²². ფე-
რიქოვის ქართულ მასწავლებელში მ. თამარაშვილი ახალი მონდომე-
ბითა და ენერგიით შეუდგა ყრმათა წვრთნას. მან პირველმა შემოი-
ტანა ამ სკოლაში „მალალი სწავლება“. მ. თამარაშვილი ღვთისმეტყ-
ველებასა და ფილოსოფიას უკითხავდა მოსწავლეებს და აღფრთო-
ვანებაში მოჰყავდა პატარა შეგირდები. მიხეილს დიდხანს არ დაუ-
ყვია ფერიქოვს. იგი ვერ ეგუებოდა იმ ყალბ ფორმალისმს, რაც
ფეხმოკიდებული იყო ეკლესიის მოღვაწეთა შორის.

ამ ჩემი დადგომა აღარ იქნება და უსარგებლოთაც წავა.. იქნება
აქედან იმ ჩემს უწინდელს ადგილს მივიდე“-ო²³ საიდუმლოდ სწერდა
ივანე გვარამაძეს. მიხეილი ვერ ითმენდა უსულგულო დამოკიდებუ-
ლებას მოსწავლეთა სწავლების საქმეშიც. ეკლესიის წინამძღვრები
კი სახსრებს უფრო მეტად დეკორაციული მორთულობისათვის ხარ-
ჯავდნენ, ვიდრე მოსწავლეთა აღზრდისათვის. მას არ მოსწონდა, რომ
ს. გიორგაძემ „სახლის გათავების შემდეგ დაიწყო ბალისა და შად-
რევენების გაკეთება“ და უფრო აუცილებელი მოსწავლეთა აღზრდის
საქმე ბედის ანაბარა მიატოვა.²⁴

მიხეილს მართლაც არ დაედგომებოდა კონსტანტინოპოლში, ქო-
რითა და გაცვეთილი ანეგდოტების ღეჭვით მომბებზრებელ საზოგა-
დოებაში. მას ვატიკანის მყუდრო, მაგრამ ხმაურიანი არქივები ეძახდ-
ნენ და მანაც ოქროს რქის საწინაპიროზე ლურჯი დაფნების ქვეშ სუფ-
თა ჰაერის სუნთქვას, ვატიკანის არქივების მტვერი არჩია და 1897 წ.
რომში დაბრუნდა. დაბრუნდა რომში და კვლავ შეუდგა უმაღლეს,
მაგრამ დიდ საკვლევო მუშაობას. მიხეილმა უკვე „სადაც მიპმართა
ყველგან თანაუგრძნობდნენ თუ ბიბლიოთეკის მეთვალყურენი თუ

²¹ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საბუთი
№ 151.

²² იქვე, № 145.

²³ იქვე.

²⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 10, საქ. 169, ფურც. 11.

დაცულ-დამარხული საისტორიო მასალები! ვატიკანის, პროპაგანდის, კაპუცინების და სხვათა საუნჯენი მის ნახვას ელოდნენ, თხოულობდნენ მისივე უკვდავი მარჯვენის გაგარჯიშებას²⁶.

მ. თამარაშვილის მოძიებული დოკუმენტები განეკუთვნებიან ძირითადად მე-13 — მე-19 საუკუნეებს და ქართული ისტორიული მეცნიერების უდიდეს შენაძენს წარმოადგენენ. როგორც უკვე ვთქვით, თამარაშვილი ყოველი ახალი აღმოჩენილი დოკუმენტის შესახებ იწერებოდა საქართველოში. მარტო მისი წერილების გაცნობაც ადვილად დაანახვებს ადამიანს თუ რა ფიქრებითა და რა ტყვივლებით ცხოვრობდა უცხოეთსა და სიღარიბეში გადახვეწილი მკვლევარი. ამ ზოგიერთი ამონაწერები მისი წერილებიდან. 1898 წ. ნოემბერში იგი ვინმე მესხს სწერდა:

„ვიპოვე რამდენიმე შესანიშნავი საბუთი მისიონერების წერილებში, კაპუჩინების არქივებში, რომლებიდგანაც რაც კი საქართველოს შეეხებოდა ყველა გადმოვსწერე“²⁷. იმავე წლის დეკემბერში იტყობინებოდა: „ვიპოვე ვახტანგ მეფის ორი წერილი 1722-იანა, რომელიც მიუწერია ერთი სტამბოლში მყოფ ავსტრიის ელჩისათვის და მეორე თვით ავსტრიის იმპერატორისათვის კარლ VI. და სთხოვს შემწეობას თათრების წინააღმდეგ და ეუბნება, რომ საქართველოში ბევრი კათოლიკეა და მათ რიცხვში მეც კათოლიკე ვარო, თუმც კი ჭერ ცხადად ვერ გამომიცხადებია აქაური არეულობის გამო“²⁷.

„საბაჟს შესახებ აქ კაცი ცნობები შევკრიბე. მას ორი ცოლი ჰყოლია, მეორე ცოლი კათოლიკედ მოქცეულა. საბა მეორე ცოლის სიცოცხლეშივე შემონაზუნებულა“²⁸.

„წერილებიდან შევტყვევ. რომ დომინიკანს, რომელიც დასწრებია პერსიაში ქეთევან დედოფლის წამებას, იმაზედ — აქ რომ მოსულა დაუწერია... საქართველოს მეფეების წერილები შემხვდა მოწერილი პაპებთან, ეგრეთვე პაპების მათთან“.

„შარშან ჰაჩილიაში აღმოვაჩინე მისიონერების მიერ დახატული სურათები საქართველოს მთავრებისა და ეკლესიებისა და სხვ.“

წრეულს სექტემბერს კიდევ წაველი დიდის შრომითა და ხარჯით, შევიძინე 137 ცალი ფოტო, გადავადებინე ეს სურათები. ამით საქართველოს კვლად შევიძინე მეტად ძვირფასი საისტორიო განძი...

²⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი H 2801.

²⁸ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საბუთო № 154.

²⁷ იქვე, № 156.

²⁸ იქვე, № 162.

კიდევ კარგი რომ ახლა მოეუსწარი, თვარა ესეც მალე დაიღუპებოდა საქართველოსათვის. ამ ფოტოგრაფიებიდან თქვენ გიგზავნით სამს დიდსა და 5 პატარას, რომელსაც გადმოგცემთ კ. შეშაბერიძე“²⁰ ... სწერდა 1905 წ. კვლავ ივ. გვარამაძეს. X

„ამ დღეებში თასკანაში იტალიის ზემო მხარეში წავედი დოკუმენტების სამეზნელად აქ სხვათაშორის ვიპოვე ის ყველა გარემოება (ფლორენციაში) შესახებ საბა-სულხან ორბელიანისა, რომელიც ფლორენციაში მისულა 1714-ში და იქ გრანდუკას მიუღია დიდის პატივით. ამ საბას იმისთვის გადაუცია საქართველოზედ მოზსენება. ეს კი ვერ ვიპოვე ჩერ. სხვა ამისთანა ცნობები საკმაოდ მაქვს“-ო²⁰. წერდა ზ. კიკინაძეს.

„ამ ხანებში ბევრი ახალი დოკუმენტი აღმოჩნდა არზივეზში და კიდევ იმედი მაქვს, რომ ბევრი რამ აღმოვაჩინო. ასეთი დოკუმენტები საქართველოსათვის უძვირფასესი განძია, რაის გამო მე არც შრომასა და არც ფულის დახარჯვას ვზოგავ, გარნა სამწუხაროდ ამისთანა ძვირფას საგანს ჩემს მეტი დამფასებელი არავინ ჰყავს. ესეც ერთი ცნაღია, რომ ჩემზედ უწინ ევროპაში ბევრი ქართველი იყო, გარნა აქამდინ არავის აზრად არ მოსვლია, რომ ეგოლენი საუკუნეების დოკუმენტები, მტვერში დაფლული და დავიწყებული მოეძიათ და შეეკრებათ. გარნა ახლა, როცა აღმოჩნდა მათი მომწეგარი და შემკრები საქართველო განურჩევლად და გულგრილად უცქერის მას. სხვა ქვეყნებში ესრე როდია. მამულისათვის მშრომელს კერძოდ ბელს უწყობენ და შემწეობას აძლევენ. რადაა ასე?“²¹. გულგატეხილად კითხულობდა 1907 წ. და პასუხს თბილისიდან მოელოდა უსახსრობითა და სიღარიბით სვეგამწარებული მკვლევარი.

განსაკუთრებით მძიმე იყო მიხეილ თამარაშვილის ოჯახური მდგომარეობა. წერილი ხელოსნის გაღარაბებული ოჯახი ახალციხიდან ვერავითარ დახმარებას ვერ უწყევდა მას. პირიქით რაც დრო გადიოდა ახალციხეში დატოვებული ოჯახის წევრები მძიმე ტვირთად აწევბოდნენ მას. ყველა მისი ახლობელი მისგან ითხოვდა შევლასა და დახმარებას.

„შიელო... ერთი კაბა არ მაცვია ტანზე, წარეთ, უკანასკნელად ვარ“²² — შეაჩიოდა შორს გადაკარგულ შვილს მოხუცი დედა და

²⁰ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. საბუთი № 176.

²¹ ლიტერატურის მუზეუმის ფონდი 5456—6.

²² რქვე, № 5463—6.

²³ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი 10, საქ. 173, ფ. 127.

დახმარებას სთხოვდა. მიხეილი მოხუც დედაზე განსაკუთრებით ზრუნავდა, იგი იკლებდა უკანასკნელი ლუკმის ფულს და დედას უგზავნიდა. ბოლოს ისე მოახერხა, რომ მის დედას ყოველთვიურად მიეღო 5 მანეთი ახალციხის ქვემო ეკლესიიდან. ვარდა ამისა ეს ღარიბი შვილი არ აკლებდა არც სხვა „სახარჯოს“, მაგრამ ოჯახში რძალ-დედამთილის მოურიდებლობა ახალ-ახალი აყრა-დაყრისა და უსიამოვნების ჰიზები ხდებოდა. ოჯახური დავა ისე გაღრმავდა და გაართულდა, რომ მოხუცი ქალი სახლიდან დაითხოვეს და ახალი საფიჭრებელი და საღარდებელი გაუჩინეს უცხო მხარეში გადახვეწილ მიხეილს.

მიხეილი თავის ძმას გიგოს ემდუროდა, რომ გიგომ იმდენი ვერ გააკეთა სახლში შფოთი არ ატეხილიყო, რომ მან არ შეინახა არც მოხუცი დედის პატივი, არც ჩემი ხათრი და დედა კარში გამომიგდოვო²⁹. მ. თამარაშვილმა აიღო ვალი და გადასწყვიტა დედის ახალციხიდან რომში ჩაყვანა. ჯმის თაობაზე 1897 წ. ივ. გვარამაძეს სწერდა: „გიგომ მაცნობოს ღროით დედაჩემი უნდა წამოვიდეს თუ არა. თუ წამოვა აქ არაფერს მოვაკლებ რაც კი შემეძლია. მე ძალას არ დავატან როგორც უნდა ჰქნას. თუ წამოვა გზაში არაფერს შეწუხებებს არ გამოვლის, რადგან ზღვა კარგია... აჩქარდეს და წამოყვეს პარმასიზოვის მეუღლეს. გიგომ ორი თავისი ბავშვი ერთი 8 წლის და მეორე 9 წლისა დედას გამოატანოს. მე უკვე გაახლეთ ორმოცი მანეთი დედაჩემის მგზავრობისათვისო“³⁰.

მაგრამ დედამ მიხეილს რომში ჩასვლაზე უარი შეუთვალა; მე უკვე ღრმად მოხუცი ვარ და სამშობლოდან სხვაგან წასვლას ვეღარ გავბედავო³¹. იგი ახალციხეში დარჩა.

„დედათქვენს გასჭირებოდა და რომ ვერ გაუვედი ავსწიე და 2 თუმანი გავაგზავნე აინეს ხელითა“³² — სწერდა მიხეილს 1896 წელს ივანე გვარამაძე.

მ. თამარაშვილი ყოველივე ამის გამო დიდად დარღობდა, მას აწუხებდა როგორც დედის, ისე ძმისა და მისი ოჯახის ამბავი, რომელიც უკიდურეს სიღარიბეში იყო ჩავარდნილი. სიღარიბე უსიამოვნების მთავარ მიზეზად ხდებოდა ხოლმე. „გიგო წვრილშვილის პატრონია და სიგლახაკემიც არის, დედის ყურადღება სწორედ მაგას არ შეუძლია. ვალი მაქვს რომ მე შევეწიო და მეც რა ღვნა რით

²⁹ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საბ. № 135.

³⁰ ახალციხის მხარეთმცოდნეობის ხელნაწერთა ფონდი, საბ. № 149.

³¹ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. 10, საქ. 165, ფურც. 21.

³² იქვე, ფურც. 18.

„მევეწიო“³⁷ — შესჩიოდა ის მის აღმზრდელსა და მეგობარს ივ. გვარამაძეს.

ივ. გვარამაძის ენერგიული ჩარევით რძალ-დედამთილი ბოლოს წერიგდა და მათ შორის თითქოს ჩამოვარდა ოჯახური მყუდროება. მაგრამ ის დიდხანს არ გაგრძელებულა. ეს დამცირება, გასაჭირი და აყალ-მაყალი ვედარ აიტანა მოხუცმა ქალმა. 1898 წ. მაისში ვინმე მესხი მიხეილს ატყობინებდა: „ცვლილება მოხდა, დედა ოქტენ 5 დღის მსუბუქი სნეულებით გარდაიცვალა ჩემს ხელში... 16 აპრილს, გამსვენებულს ნიადაგ თქვენ ჰყავდით ფიჭრშიდ და ლაპარაკშიდ და თქვენის წერილის დაკავებაშიდ მიაბარა გამჩენს სულიო“.³⁸

„...ძმავ თუ ძმობა გწამს, — შესტიროდა მიხეილს შემდგომ მისი ერთადერთი და ძუძუნა, — ეს ორი ქალი გამომიზარდე მადა, ძმავ ისე გაჭირვებული ვარ რომ ზოჯევანთ პიოსთან მყავს მოსამსახურეთ. ძმავ ისე შეწუხებული ვარ, რომ სოფელში დავდივარ ზაფხულობით კინახულზე ვემსახურები და ცოტაოდენ რამეს ვშოულობ და ისე ვაყმაცოფილებ ჩემს წვრილშვილსო“³⁹. ოჯახის უკიდურესი გაჭირვების გამო მიხეილის უფროსი ძმა სოლომონი ცოლ-შვილით აიყარა ახალციხიდან და საშოვარზე წავიდა. სახლში მისი ძმა გრიგოლიდა დარჩა. რომლის შესახებ მიხეილს უცხოეთში წამდაუწუმ სწერდნენ: „თქვენი ძმა გრიგოლი სარეცელშია ჩავარდნილი სნეულებითო“⁴⁰. გრიგოლი იმ ხანად მართლაც ბევრს ავადმყოფობდა. ავადმყოფს წაქლის ფულიც არ ჰქონდა და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ოჯახი ვალეებში ვარდებოდა. მოვალეთა გასტუმრება კი შემდეგ ძნელდებოდა, რადგან სნეულ გრიგოლს შრომა აღარ შეეძლო.

„ვიფიქრევი, რომ ამ მოვალეებს თავითგან მოვიშორებდი და წაველ იმერეთში და წავილდევი ჩემი ტიკების ხელსაწყო და წავედი სამტრედიას სამუშაოდ. მაისის ხუთშიდ წავედი, შინ სახარჯოთ დაუტოვევი ორი აბაზი და ერთი საპანე შეშა ვიყიდევი და ისე წავედიო“⁴¹... მაგრამ ვაი უბედურებაე, საშოვარზე წასული გრიგოლი სამტრედიასი ავად გახდა და ლოგონად ჩაჯარდა. „წამლის ფული მიქირს ეგებ რამე მომაშველოვო“ — ეხვეწებოდა უცხოეთში გაღაქარ-

³⁷ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის საბ. № 132.

³⁸ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საბ. № 132. უერ. 29.

³⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10, საქ. 173, ფ. 126.

⁴⁰ იქვე, ფ. 39.

⁴¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10 საქ. 229, ფურც. 2.

გულ ძმას და მიხეილიც რაც შეეძლო თავს არ ზოგავდა. მცირე შემწობას უგზავნიდა.

„თქვენი ძმა გრიგოლისათვის, — წერდა ამის შემდეგ სტ. გოზალიშვილი, — გამოგიგზავნიათ 125 მანეთი და თქვენი დისათვის კი არაფერი. ამ შეზღუდვაში მე ვალდებულად ვგაჩნობ ჩემს თავს ვაშინოთ, როგორც მცოდნემ მათის მდგომარეობისა. თქვენი და უკანასკნელს გაჭირვებაშია, მით რომ მისი ქმარი, როგორც ნერვებით ავადმყოფი ვერაფერს შოვებლობს და კიდევაც დააზიდა პირი თავის ცოლშვილს, ანუ იციან სად არის. დასტოვა ოჯახობა მეზობლის ხანუგეშოდ და ბედის წილად... გთხოვთ გულმოწყალებრივად ბრძანდებოდეთ მათთვის, რომლებსაც თქვენს გარეთ შესაფარი არა აქვთო“⁴².

ამავე დროს თბილისში დაბინავებული სოლომონი ატყობინებდა „ქალაქისათანა ადგილას ცხოვრება ძალიან გაგვიჭირდა“ და რა მეშველება არ ვიციო.

„თქვენი ძმისწული ევგენია დასნეულდა — წერდნენ კვლავ მას — ენაჭიროება ოპერაცია, ამის მოხდენა ახალციხეში შეუძლებელია, რის გამოც უნდა წაიყვანონ სნეული თბილისს, თუ დროთაღებოდა არ უშველეთ მკურნალთა სიტყვით არ ასცდებია სიკვდილიო“⁴³.

„თქვენს ძმას დაუსნეულდა ცოლი და ყველა ზედ გადაავო და დარჩა უნივთოდ. ამისათვის დიდი მადლი იქნება, რომ ხელი გაუშაოთო“ — წერდნენ სხვა წერილში.

„თქვენი ძმის ასულმა ბაბალემ დაამთავრა პრა-კერვის საკრებულო და პსურს საკერაის მანქანა შეიძინოს. თქვენს სახსოვრად, მანქანის შეძენას მოუხდება 40 მანეთი“⁴⁴.

„თუ გაჭირვება არ მქონოდა შენ არ შეგაწუებდდი... ახლა შენი წიგნი და სამი თუმანი მივიღეთ“ წერდა მიხეილს მისი რძალი კეკელა.

„თქვენს ძმას მესამე ცოლი მოუკვდა“ — ატყობინებდა ნ. გოზალიშვილი მიხეილს და სწერდა: „შენი ძმა გრიგოლი შემოგეხვეწა, რომ როგორმე სამაზი მანეთი გამოუგზავნო ცოლის შესაძრავად და პატარა სავაჭროს შესაძენადო“.

„თქვენი დის ადრესი მე როგორ უნდა მოგცე, როდესაც თითქმის თვეში თითო ადგილს იცვლიან ლარიზობისა და ქირის გადაუხდებლობის მიზეზით. თქვენი და მართლაც შესაბრალის მდგომარეობაშია“⁴⁵. პასუხობდა მიხეილს ლევან აფრიმაშვილი ბორჯომიდან 1910 წელს.

⁴² ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10. საქ. 173.

⁴³ იქვე, საქ. 173, ფურც. 52.

⁴⁴ იქვე, საქ. 173, ფურც. 60.

⁴⁵ იქვე, ფურც. 79.

და სთხოვდა როგორმე ფულადი დახმარება მიეწოდებინა დისათვის. ყველაფერი ეს მ. თამარაშვილს გამოუვალ მდგომარეობაში ავლენდა: „ჩემიანი ყველა ფულებსა მთხოვს... მე სადა მაქვს ფულები“⁴⁶... — ჩიოდა ის და თვითვე უმატებდა — რა გაეწყობა, მოხოს ჩემი და და მეც გული შევალბა“⁴⁷.

მიხეილს ხშირად დახმარებას სთხოვდნენ ევროპაში მყოფი პელო-მოკლე სტუდენტები და სხვადასხვა გარემოებით გადარიბებული ქართველები. „დიდად პატივცემულო მამაო მიხეილ, მოგმართავთ რა თქვენ გთხოვთ მოგვიტეოთ—სწერდნენ თამარაშვილს ვიცებურგის სტუდენტები 1905 წლის დეკემბერში --- თუ არა ჩვენი უსახსრო მდგომარეობა, არ შეგაწუხებდით. ერთი თვეა ველით საქართველოდან ფულს ჩვენი მშობლებიდან, მაგრამ რუსეთში ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვის გამო არ მოგვდის. ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ. მუშაობა რო იყოს სადმე ვიმუშავებდით, მინამ კი შეველა გვიქირს რამე ადგილის შოვა, თუნდა უბრალო მუშისა აქ, ქალაქ ვიცებურგში ძნელია, ამიტომ გთხოვთ მატერიალურად დაგვეხმაროთ. ველით პასუხს. სტუდენტები მედიკი მე-VII სიმესტრისა ნიკოლოზ ტურრა-შვილი, მედიკი პირველი სიმესტრისა ალექსანდრე გურგენიძე“⁴⁸.

მ. თამარაშვილი ევროპაში მყოფ ყველა ქართველს შეგობრულ ზელს უწვდიდა და შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფრით ეხმარებოდა, ეს და სხვა მრავალი წერილები ნათლად გადმოგვცემენ მ. თამარაშვილის განწყობილებას, შეხედულებებსა და მდგომარეობას ამ დროისათვის.

ამ დროს თამარაშვილის მუშაობას თვალყურს ადევნებდა მიკელი საქართველოს ინტელიგენცია. ყველას აინტერესებდა იქ, შორეულ რომში რა ისტორიული წყაროები აღმოჩნდებოდა ჩვენი ქვეყნის შესახებ. ამას ნათლად მეტყველებენ ის წერილები, რომელსაც თამარაშვილს უგზავნიდნენ. „ჩვენოვანში რა წიგნები იშოვნენ? მონასტრისა და საქართველოს საქმე როგორ მიდის“⁴⁹. კითხულობთ 1897 წ. თამარაშვილისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში. „მიხეილ, დაწერილებით მაკოდინე რას ეძებ, რას პოვნა გინდა, რის შესახებ“⁵⁰. კითხულობდა მისი საქმიანობით გატაცებული მ. ათით-შვილი.

⁴⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10, საქ. 229, ფურც. 58.

⁴⁷ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდისაბ. № 123

⁴⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. № 10, საქ. 181, ფურც. 1.

⁴⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. № 10, საქ. 98, ფურც. 15.

⁵⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. № 10, საქ. 98, ფურც. 35.

„მიხეილ, შენგან ნაპოვნი დოკუმენტები საქართველოს ისტორიის შესახებ ფრანკულსა და ისტორიულ ენებზე უნდა გამოსცე თუ არა? ამას ვარდა რისთვის თერასენტში შენი ნაპოვნი დოკუმენტების ართიკლებს არ აწერიან?“⁵¹. ეკითხებოდნენ სსჯვანი.

„სად არის თქვენი შედგენილი საქართველოს ისტორია?“⁵²—კითხულობდა ლ. აფრიმაშვილი.

როცა შეიტყო ვინმე მესამე მ. თამარაშვილის გადაწყვეტილება ფრანგულ ენაზე საქართველოს ისტორიის შედგენის შესახებ გახატებული თავის მოწაფეს სწერდა:

„მე გამეზარდა თქვენი მოწადინება ფრანგულად ქართლის ისტორიის შედგენაზედ. დააწყისში ჩემი ისტორია იხელმძღვანელე. ევროპიული წყაროები მიხმარია სახელმძღვანელად და ბევრიც მე მიპოვინია“⁵³ და თან პირუბოდა „მე რაც შემიძლია ჩემის მხრივ წყაროებს არ მოგაკლებო“⁵⁴ და მართლაც ვინმე მესხი მთელი ცხოვრების მანძილზე უკლებლად უგზავნიდა თამარაშვილს ცნობებს საქართველოში ახლად აღმოჩენილი ისტორიული დოკუმენტების შესახებ.

ზოგიერთი მათგანი მ. თამარაშვილის მიმართ იქვსაც კი გამოთქვამდა რომ მისთვის ძნელი იქნებოდა „ამხელა საქმის თავში გატანა“. ი. აფრიმაშვილი პირდაპირ აფრთხილებდა „საქართველოს ისტორიის შესახებ ზომ აღრეც მომიწერია და ახლაც ვწერ, რომ არ იქმნას სამასხრო რაიმე არ იყოს და სავსე შეცილებით. როგორც რაფიელ ისარლოვის დაბეჭდილშია, რომელიც დააბეჭდინა პარიზის ექსპოზიციონის განმავლობაში-ო“⁵⁵. ასეთივე იქვით სავსე წერილს სწერდა ბადაშვილი და ურჩევდა: „მის დაბეჭდვას ჭერეთ ნუ დასჩქარდებით, კარგი იქნება, რომ იგი ვააშინჯოთ რამოდენიმე სწავლულთა და ისტორიის მქოდნე პირთა; თუ შესახებ ისტორიული ფაქტებისა და თუ შესახებ ფრანგული ენისა“-ო“⁵⁶. შემდეგ, ახლობელთა და მეგობართა რჩევით მიხეილმა აზრი შეიცვალა და გადაწყვიტა პირველ რიგში, რაც შეიძლება სასწრაფოდ გამოეცა საბუთები ქართველი კათოლიკების შესახებ. ამას ავალებდა ფერიქოვის ქართველთა ძმობაც და უკვე

⁵¹ ზელნაწერთა ინსტიტუტის ფ. № 10, საქ. 96, ფურც. 35.

⁵² იქვე, საქ. 119, გვ. 13.

⁵³ ზელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 10, საქ. 165, ფურც. 27. აქ იგულისხმება ვინმე მესხის მიერ 1888 წ. გამოცემული „ქართლის ცხოვრება“, დასაბამოდან, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამდე.

⁵⁴ იქვე, ფურც. 28.

⁵⁵ ზელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 10, საქ. 729, ფურც. 1.

⁵⁶ ლიტერატურის ინსტიტუტის ფონდი № 5456—6.

900-იანი წლებისათვის მცირე დახმარებასაც უგზავნიდა მკვლევარს³⁷. ქმობიდან ავალუბდნენ „თქვენი შედგენილი ისტორია უფრო უნდა იყოს საქართველოს კათოლიკეთა ისტორია და არა მთელი საქართველოს ისტორია“³⁸. თამარაშვილმა შეკრებილ საეკლესიო საბუთებს პირველად ფრანგულად გაუქეთა კომენტარები; თარგმნა (მ. თამარაშვილს შეკრებილი ღოკუმენტების ლათინურიდან ფრანგულად თარგმნაში შეელოდა მონათობანის ქართველი ქმობის ზოგიერთი ბერ-მონაზონი³⁹), მისცა საკუთარი ახსნა-განმარტებანი და დასაბეჭდად მოამზადა შრომა, რომელმაც ორი დიდი ტომი შეადგინა. მუშაობის პერიოდში ჰყვლევეარმა აზრი შეიცვალა; გადასწყვიტა იგი ჯერ ქართულად გამოეცა, რათა ჯერ ქართველ კათოლიკებსა და მთელ ქართველ ხალხში მოეფინა ეს ჰეშმარიტება, რომელსაც მაშინ პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა და ამის შემდეგ თუ საჭირო გაზდებოდა გამოეცა ფრანგულ ენაზე. თამარაშვილის ამ განზრახვას თუ კმაყოფილებით შეხვდა ბევრი ქართველი ინტელიგენტი, ზოგიერთმა შეიცხადა და მას კიცხვაც კი დაუწყო „ჰწერ რომ თქვენი აზრი შეგიცვლიათ შესახებ თქვენი ისტორიისა — წერდა ბალაშვილი 1900 წ. — და აბლა გინდათ, რომ ქართულად დაწეროთ, თუმცა კეთილი აზრია, რომ ყველა საქართველოს ხალხს შეეძლება წაკითხვა და ცნობა თავიანთი ისტორიისა, მაგრამ მე არ მიჩანს იგი კარგათა, რომ ქართულს ნაწერს ეუროპის ხალხს ვერ წაიკითხავს... თქვენს ისტორიას არა, საქართველოში არ შემოუშვებენ, და მანდ ზომ ვის რაში გამოადგება?“⁴⁰ ჩემის აზრით სჯობია. რომ იგი კვლავ ფრანგულად დაბეჭდოთ — დაყინებით მოითხოვდა იგი თამარაშვილისაგან და წიგნის გამოცემის საქმეში ყოველგვარი დახმარების გაწევას პირდებოდა.

მ. თამარაშვილს, მეორეს მხრივ პროფ. ალ. ხაბანაშვილმა, თ. სახოკიამ, ა. ცაგარელმა და სხვებმაც უორჩიეს მის მიერ შედგენილი ქართველი კათოლიკების ისტორია ჯერ მშობლიურ ენაზე გამოეცა და მანაც გადაწყვიტა ნაშრომის ქართულ ენაზე დასტამბვა, რაც მოითხოვდა ხელნაწერის ხელახლა მომზადებასა და გადამუშავებას. 1900 წლისათვის შრომა სრულიად მომზადებული იყო. ამავ დროს კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა ქმობის ერთმა ჯგუფმა კვლავ მოითხოვა თამარაშვილის მონასტერში დაბრუნება და მის წმინდა საზონასტრო საქმიანობაში ჩაბმა. ამ ჯგუფმა ერთხანს მონასტრის წი-

³⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 10, საქ. 128, გვ. 14.

³⁸ იქვე, გვ. 12.

³⁹ იქვე, საქ. 319, ფურცლები 29, 53.

⁴⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 10, საქ. 128, ფ. 17.

ნამძღოლები აღფონს ხითარიშვილი და სტეფანე გიორგაძეც დაითან-
ჯნეს, მაგრამ მაშინ საქმეში ივანე ანტონოვი ჩაერია და თამარაშვი-
ლის რომიდან გამოწვევა შეჩერდა.

„მივიღე ივანე ანტონოვის წერილი — ატყობინებდა ს. გიორგა-
ძე მ. თამარაშვილს კონსტანტინოპოლიდან რომში — სადაც მწერს
თქვენზე, რომ თქვენ მანდ დარჩეთ ვიდრე საქმე გაიმარჯვებდესო
სხვა მეტი გზა არ არისო და თუ ვინმე გყავს მეორეც გაგზავნე მის
შემწეთ... იქ საჭიროა რომ უჩიჩინოსო და საქმეს კულში სდოსო...
მართალია აქეთ საქმეა და საჭირო ხართ; გარნა ეგ საქმე ამაზედ მე-
ტია და ყოველთვის პატარაში დიდს უნდა დაუთმოთ და ამისათვის
შეიცადეთ და ნულარ წამოხვალთ, სანამ მანდ მაგ საქმისათვის საჭი-
რო იქნება. ...და შემდეგში გაცნობებთ. მე არ მინდა რომ ეგ საქმე
აცრუვდეს და რამე ვნება მიეცეს. კარგათ შეაღვინე საბუთები; გა-
აწყე და ყველას კოპიოები შეინახე ყოველთვის მონასტერს გამოად-
გებ. მომავალში, დახარჯე ფული და კვალად მოსწერე, მეც მოწერ
რომ ფული კვალად გამოგიგზავნონო“⁶¹. წერდა გიორგაძე და თითქოს
ყოველგვარ დახმარებას პირდებოდა, მაგრამ შემდეგ ორივე მოძღვარ-
მა შეიცვალა აზრი და მ. თამარაშვილს კვლავ კონსტანტინოპოლის-
კენ მოუწოდეს. ან როგორი მომზიბვლელი ტონით სთხოვდა აღ. ხი-
თარიშვილი მას:

„ჩემი ერთად ერთი იმედი და სასოება შენ ხარ; შენ უნდა შე-
მეწიო და შენთან ერთად უნდა ვმართო ეს მონასტერი და აღვადგინ-
ოთ. ამისთვის შენდაში მოვილტვი და შენ გთხოვ, რათა რა მიიღებ
ამა წერილსა მალე გამოემგზავრო. აქ ბევრით უკეთესი გექნება ცხოვ-
რება. ნივთიერს არას დაგაკლებ რას და ზნეობრივად შენ იქნები თუ
ჩემიდა ყველას ნუგეშის მცემელი, შენ იქნები ჩემი გულის, აზრისა
და ნატურის აღსარულებისათვის საიდუმლო მრჩეველი. ოთახი დაეამ-
ზადებინე და შევამკე ყველაფრითა რაც შესაძლო იყო და არაფერს
მოგაკლებ. რაც შეეხება მანდაურს შრომას, არც მაგას დავსტოვებ
დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მე მარადის მქონია მაქუს და
მექნება, რომ გვარს შევეწიო; ახლა აქ მაქუს კარგი მაქინა ტიპოგრა-
ფიისა, ყოველს შენს ნაშრომს დავებეჭდინებ და რა ეს ვაყები შეიქ-
მნებიან ხელდასხმული მღვდლად, მაშინ თუ ისურვებ, კიდევ შეგეძ-
ლება და თვითონ მე მოგეცე ყველა საშუალებას, რათა იშრომო
მანდ, რომში და არა ეგრეთი სიგლაზაკითა; ვითარცა აწ იტანჯები,
არამედ ვითარცა შეეფერება ერთს გონიერად მშრომელ პირსა“-ო“⁶².

⁶¹ ხელნაწერთა ინსტ. ფონდი № 10, საქ. 169. ფურც. 23.

⁶² ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. № 10, საქმე 475. ფ. 19--20.

მაგრამ მიხეილს უკვე გამოცდილი ჰქონდა თუ რას ნიშნავდა მკვლევარისათვის არქივებიდან თუნდ მცირე ხნით გაცლა. მან ყური არ ათხოვა ხითარიშვილის ამ მომაჯადოებელ საუბარს და რომიდან დაბრუნებაზე გადაჭრით უარი შემოუთვალა. ალფონს ხითარიშვილი კიდევ ბევრს უცადა დამრიგებლური ტონით მოეხდინა თამარაშვილზე ზეგავლენა და მოსწერა: საცალკეო პირის მოქმედება რაოდენადაც ღიძი სარგო არ იყოს მაინც არის დროებითი უძლური და მისავე ცხოვრებასთან განქრება და განქარდება... და დაბრუნდი ერთობით აქ უფრო მეტ საქმეს გავაკეთებთ¹⁰.

მ. თამარაშვილმა დაბრუნებაზე კვლავ ცივი უარით უპასუხა, რახედაც ალ. ხითარიშვილმა ლანძღვისა და მუქარის წერილი მისწერა მას. სხვათა შორის ალფონსი სწერდა, რომ თუ არ ჩამოხვალ შენის ნებით „ფიცხელის საშუალებით“ გაგხდით იძულებულს, რომ ჩამოგიყვანოთ. 1900 წ. აპრილში ალ. ხითარიშვილს რომიდან მ. თამარაშვილმა ამ წერილების პასუხად შემოუთვალა: „იმჟღად მქონდა რომ სანუგეშო ამბავს მომწერდით ჩემი დარჩენის შესახებ, მაგრამ მიმტყუნეს ყველა მოლოდინებმა. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ თქვენმა მეორე წერილმა ძლიერ რიგის გარეთ დამადონა. გამიკვირდა რომ ცოტა დროს სულ აღარ მძლეეთ. მონასტერი რომ სულ უკანასკნელ მდგომარეობაში ყოფილიყო მაინც ეს ცოტა დრო ამისთანა საქმისათვის, რომელშიაც მე ვარ გათვლილი აგერ რამდენი ხანია, მაინც არ იყო დასაშურა... დღეს აქამდე მე აქ უნებურად არ ვყოფილვარ. თქვენი შარშან ზაფხულში გამოგზავნილი წერილის ვადა ერთი წლით ჩემს აქ დარჩენაზედ ჯერ არ შეწყურლებულა. გარდა ამისა აქ უსახლვროდ, როგორც კთხოვე ნება განმიხზლეთ და კიდევაც მითხარით მანარო ქალაღიე მინდოდა მისი შავი გამომეგზავნა და სხვა. მამ აქამდინ მე კანონიერი ნება მქონდა. ახლა მიპირებთ დამცირებას, სანელის დაკარგვასა და ფიცხელის საშუალითაც წაყვანას! ამაზე მე რაღა ვსთქვა! გმადლობთ ჩემთვის ეგრეთის კაი სასყიდლის მომხადებისათვის. რახან ასეა მეც დამპირნე გავხდები, რათა მოვიშოვნო აღაქმის განთავისუფლება და მონასტრის განშორება... ჩვენს მონასტერში უთავბოლობისა და სულის წაწყმედის მეტი არა არის რა. ვინც მონასტრიდან შორს არის ის ღმერთთან ახლოს არის!

მე წინათ ვინც ჩვენი გარემოება საკმაოდ იცოდა, კიდევაც მიჩიეეს, რომ ნება მომეტანინებინა და განეთავისუფლებულიყავი მონასტრიდან... ამიტომ შესახებ რამ სამსახურისა, რომელზეც ჩემი დანიშ-

¹⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. № 10, საქმე 475, ფ. 22.

ვნა უნდა ეპისკოპოსს იმედია სხვას უკეთეს იშოვნისო“⁶⁴. და თამარაშვილი 1900 წ. იძულებული გახდა აღთქმისაგან განთავისუფლებულიყო და კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა ძმობის ტაძარს საბოლოოდ ჩამოსცილებოდა. ამ ძმობიდან განშორებით მის ეკონომიკას მოაკლდა კიდევ ერთი სახსარი. იგი ახლა რომში ბედის ანაბარა დარჩა. და ვატიკანის მმართველ წრეებში იალა მოახერხა, რომ შეინარჩუნა წირვის თქმისა და არქივებში მუშაობის უფლება. რის შემდეგ ახალი ენერგიით დაიწყო „მაშულიშვილური შრომა“ და სიკვდილამდე ამ არქივების დაბეჭდვით სარდაფებს აღარ მოსცილებია.

როგორც აღვნიშნეთ 1900 წ. თამარაშვილს თავისი შრომის „ისტორია ქართველი კათოლიკებისა“ ხელნაწერი დასაბეჭდად უკვე მომზადებული ჰქონდა, ოღონდ მისი დაბეჭდვისათვის არც საჭირო პირობები და არც სახსარი არ გააჩნდა. ფულადი სახსარიც რომ გამონახულიყო, ამ წიგნის თბილისში დაბეჭდვა მაინც საეჭვო ხდებოდა, რადგან მ. თამარაშვილი პოლიტიკურად დევნილი პიროვნება იყო და რალა თქმა უნდა მეფის ცენზურა მისი დასტავების საქმეს ყოველმხრივ დააბრკოლებდა.

ალბათ ამიტომ, ჯერ კიდევ ადრე ვინმე მესახი ურჩევდა მას „აქაური ცენზურა ფიქნია. უბრალო სიტყვასაც არ აბეჭდვინებს. ჯ. პეტერბურგის მთავარ ცენზორის ნება თუ არ იქნება, ვერ დაბეჭდავენ ჰაე თქვენს შრომას კიდევაც რომ იცისროს ვინმემ მაგის დაბეჭდვინება. ახლა სიტყვა სხვა არს და საქმე სულ სხვა. უკეთესი არ იქნება კონსტანტინოპოლში ჩვენს მონასტერში დააბეჭდინოთ თქვენის რედაქტორობით ვისმე შემძლე მადლიან კაცსა?“⁶⁵.

მაგრამ 1900 წლის შემდეგ კონსტანტინოპოლის ქართული კათოლიკური ეკლესიისაგან გაშორებულ პირს რალა თქმა უნდა აღარც ეკლესია აღარ შეივროდომებდა და მისი წიგნის გამოცემით თავს არ შეიწუხებდა.

მ. თამარაშვილმა თავისი გამზადებული ხელნაწერი ბევრ ქართველ მეცნიერსა და ინტელიგენტს წააკითხა. 1900-დან 1902 წ. ქართული პრესის საშუალებით ა. ხახანაშვილმა, ა. ცაგარელმა, თ. სახოკიამ და სხვებმა საზოგადოებას გააცნეს საქმის ვითარება და მისი ცალკე წიგნად დაბეჭდვა შეაპირობეს. ზ. ჰიჭინაძისა და პ. მირიანაშვილის მეცადინეობით აღებულ იქნა ცენზურის ნებართვა. ქართველმა კაპიტალისტმა, ქველმოქმედმა სტეფანე ზუბალაშვილმა ამ საქმისათვის

⁶⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 10, საქმე 72, ფურც. 3.

⁶⁵ იქვე, საქმე 165, ფურც. 39.

გაიღო 1000 მანეთი⁶⁶ დი წიგნის გამოცემა გადაწყდა წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართველთა ამხანაგობის სტამბაში.

1901 წლის ბოლოს თამარაშვილმა რომიდან თბილისში გამოგზავნა ხელნაწერი. თბილისში იგი ჯერ რემექტონზე გადაიბეჭდა. შრომის რედაქტორ-კორექტორად გამოყოფილ იქნა პეტრე მირიანაშვილი. კორექტურისათვის ყოველ 32 გვერდზე 10 მანეთი იყო დაწესებული, პეტრე მირიანაშვილი გაეცნო რა წიგნს განაცხადა: მე არავეითარი სასყიდელი არ მინდა, ყველა ჩემს შრომას მამულსა ვწირავო⁶⁷ და წიგნის ბეჭდვაც როგორც იქნა დაიწყო.

მ. თამარაშვილი დიდის სიყვარულითა და გულისხმიერებით აღევნებდა თვალყურს პ. მირიანაშვილის მუშაობას. ერთხანს დ. მულაშაშვილსაც კი კიცხავდა: პ. მირიანაშვილს კარგად ვერ მოქცევიხარო და მიუხედავად იმისა, რომ თავისი წიგნის კორექტურა არ აკმაყოფილებდა მირიანაშვილის შრომას დაუფასებელს არა სტრუქტურა და რომიდან მისი შრომის ჯილდოდ ფულს უგზავნიდა. ამგვარი დამოკიდებულებით გახარებული მირიანაშვილი მ. თამარაშვილს ეუბნებოდა „განუსაზღვრელად გმადლობთ ჩემის შრომის ჯეროვნად დაფასებისათვის ...მეგობრობა თქვენი და ადამიანობა სამუდამოდ მექნება გულში ჩარჩენილიო“⁶⁸. ავტორის პატიოსნებითა და ადამიანობით მოხიბლული მირიანაშვილი სხვა წერილში წერდა: „შემდეგშიაც მე მხოლოდ თქვენთან მექნება საქმე თუ მიშახურობთ, რისთვისაც მუდამ მზადა ვარ უსასყიდლოდ გავსწიო შრომა, რომ დაგიმტკიცოთ აგრეთვე ჩემი გულკეთილობა და ამხანაგობა“⁶⁹.

წიგნის ბეჭდვის დროს ყოველგვარ ტექნიკურ საქმეებს კარგად უძღვებოდა ქურნალ „ჯვარი ვაზისას“ რედაქტორი დ. მულაშაშვილი⁷⁰. წიგნის ბეჭდვას თვალს აღევნებდა აგრეთვე ბევრი მოწინავე ქართველი ინტელიგენტი. 1902 წ. გაზაფხულზე გახარებული დ. მულაშაშვილი თამარაშვილს მოახსენებდა „დაბეჭდვაში მიგვდის 32-გვერდში 29 მანეთი. თქვენი ათი თავი წიგნისა ტექსტებითურთ გამოდის შვიდასი — 700 გვერდი, დაახლოებით 640 მანეთის. ქალაქში, 700 მან. წიგნის ფორმა მოამბეზე ცოტა დიდი მოდის; ასე რომ ამაზე იმას აღარ შევაწუხებ ფულისათვის, ახლავე ხელში მაქვს 1000 მანეთი. გამოცემის სახელი არ დაიწერება და არც გამოცხადდება.. გარ-

⁶⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 10, საქ. 319, ფ. 65.

⁶⁷ იქვე, საქ. 119, ფ. 71.

⁶⁸ იქვე, ფურც. 62.

⁶⁹ იქვე, ფურც. 65.

⁷⁰ იქვე, საქ. 488-ა, ფურც. 17.

დავწყვიტეთ რომ 600 ეგზემპლარი გამოვცეთ კი ქალღმერთი⁷¹ ამის საპასუხოდ მიხეილმა მოითხოვა, რომ წიგნის ტირაჟი გაზრდილიყო 1200 ეგზემპლარამდე, რამაც ხარჯები თითქმის ორჯერ გაზარდა. ამგვარად წიგნის ბეჭდვა დაიწყო და იგი სულ 1818 მანეთი დაჯდა⁷². 1902 წ. ოქტომბერში თედო სახოკია წერდა: „თქვენი წიგნი ამ ერთ თვეში მზად იქნება“⁷³ და უკვე 1902 წ. 4 დეკემბერს დ. მულაშაშვილი აცნობებდა „დასრულდა ბეჭდვა თქვენი დიდი ხნის ნატრული წიგნისა. თქვენი მოწერილობისამებრ ყველა რაც შემეძლო ისე მოვიქეციო“. თითქმის 5 წლის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ თამარაშვილი ეწია გულის წაღიღს—მისი წიგნი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ დაიბეჭდა. ამ წიგნის გამოსვლით ქართული ისტორიოგრაფია ერთბაშად წინ წავიდა.

წიგნში მოტანილი დოკუმენტები და მკვლევარის მიერ წამოჭრილი საკითხები მის ვიწრო ფარგლებს (ქართველი კათოლიკების საკითხს) სცილდებოდა. იგი საქართველოს ისტორიის მრავალ საკითხს მოიცავდა და აზღებურად აშუქებდა მას.

ამ წიგნში შემოტანილი უტყუარი დოკუმენტებითა და მოსაზრებებით თამარაშვილმა გაარკვია და პასუხი გასცა ბევრ მანამდე დაუდგენელ ფაქტებსა და საკითხებს.

სრომის პირველ თავში თამარაშვილს განხილული აქვს ქართველ კათოლიკეთა საკითხი მე-13 საუკუნეში. ეხება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს და გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ საქართველოს ეკლესიას რომის ეკლესიასთან, ქრისტიანული სამყაროს გათიშვისთანავე 1054 წ. არ გაუწყვეტია ურთიერთობა. რომ საქართველოს ეკლესიის სიგელ-გუჯრებში შემდგომაც მე-12-13 საუკუნეებში, უწინდებურად იხსენიებოდა მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ დამტკიცებული ხუთი პატრიარქი: ანტიოქიის, რომის, იერუსალიმის, ალექსანდრიისა და კონსტანტინოპოლის. რომ საქართველოს ეკლესია გათიშული ყოფილიყო რომის ეკლესიისაგან, მაშინ ბერძნებით ოთხ პატრიარქს დასახელებდნენ და რომის პატრიარქის სახსენებელს მოშლიდნენ, როგორც ეს მეცამეტე საუკუნის შემდგომ მოხდა. ამ მტკიცებას თამარაშვილი იმიტაც ამართლებს, რომ ქართველებს ზოგნი პირდაპირ კათოლიკებად „Viri catholici“ სთვლიანო და აქვე მოაქვს მის მიერ დასაველეთის არქივებში აღმოჩენილი მეტად მნიშვნელოვანი მიწერ-მოწერანი საქართველოს მეფე-

⁷¹ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 10, საქ. 319, ფურც. 19.

⁷² იქვე, საქმე 119, ფურცელი 70.

⁷³ იქვე, საქმე 416. ფურცელი 10.

მთავრებისა რომის პაპებთან და რომის პაპებისა საქართველოს მეფე-მთავრებთან. მე-13 საუკუნის პირველი ნახევრის ეს ძვირფასი დოკუმენტები. მაგალითად რუსუდან მეფისა და ივანე მხარგრძელის წერილები პაპ ონორიო მესამესთან და პაპ ონორიოს პასუხები, პაპ გრიგოლ მეცხრის წერილები რუსუდანთან და მის შვილ მეფე დავითთან და რუსუდან მეფის პასუხი და სხვა მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებო არიან.

რუსუდან მეფის წერილი პაპ ონორიო მესამესთან უნდა იყოს პაპის მიერ ვიორგი მეფისადმი (ლაშა გიორგი) მოწერილი წერილის პასუხი. როგორც ჩანს ლაშა გიორგის პაპის წერილი მიუღია ფრანგების მიერ დამიეტის აღების, ე. ი. 1220 წლის შემდგომ, თხოვნით, რათა საქართველოს მეფეც წასულიყო წმინდა ადგილების გასანთავისუფლებლად, მაგრამ ქართველთა წმინდა ადგილებში გალაშქრების სამზადისი მონღოლთა ჭამოჩენას შეუჩერებია და მხოლოდ გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ (1222 წ. იანვარი) შეუტყობინებია რუსუდანს პაპისათვის, რომ წმინდა ადგილებში გასლაშქრებლად მზად იყვნენ. თამარაშვილს ვარაუდით რუსუდანის წერილი დაწერილი უნდა იყოს არა უადრეს 1222 წ. იანვრისა და არაუგვიანეს 1223 წლისა, რადგან უკვე 1224 წ. რუსუდანს ონორიო პაპისაგან ამ წერილის პასუხი გამოგზავნილი აქვს. ეს პასუხი მკვლევარს თავიდან ბოლომდე მოუტანია.

ვატიკანის არქივებში მ. თამარაშვილის მიერ აღმოჩენილი აღნიშნული საბუთების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება აიხსნას და დათარიღდეს ზ. ავალიშვილის მიერ 1930-იან წლებში მოძიებული, ამ ხანის ერთი უთარიღო, მაგრამ მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ეინძე ფრანგ რაინდს პალესტინიდან საფრანგეთის მეფისათვის მიუწერია. დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოს მეფე გიორგი, რომელსაც თან მოაქვს თავისი დედის ნეშტი, დიდი ლაშქრით მოემართება წმინდა ადგილებისაკენო. წინამდებარე დოკუმენტების გათვალისწინებით წერილის დათარიღება შესაძლებელი ხდება მხოლოდ 1220—1222 წლით.

ამ წერილების აღმოჩენითა და გამოქვეყნებით თამარაშვილმა ნათელჰყო, რომ მე-12—13 საუკუნეების (მონღოლთა შემოსევებამდე) საქართველოს სამხედრო პოლიტიკური ძლიერება შესაჩინევი იყო ლაერთაშორისო მასშტაბით და რომ მსოფლიოს ბევრ სადაო საკითხს მოწესრიგებაში მას ზოგჯერ გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მას როგორც პოლიტიკურ, ისე იდეოლოგიურ სააწმუხნობრივ შეხედულებებში სრული დამოუკიდებლობა ჰქონდა მოპოვებული და საბერძნეთისაგან ანგარიშგაუწევლად ამყარებდა ურთიერთობას და-

სავლეთის სახელმწიფოებთან. ამ მიწერა-მოწერებიდან ნათლად ჩანს მონღოლთა საქართველოში შემოჭრით გამოწვეული სიმძიმე, სადაც ლაპარაკია მონღოლთა მოძრაობის ფორმებისა და მათი საომარი ტაქტიკის შესახებ. ნაჩვენებია ქართული დიპლომატიის ცდა საქართველოს პოლიტიკური კატასტროფიდან გამოსაყვანად. მაგ., პაპ გრიგოლ მეცხრის 1240 წ. მოწერილი წერილიდან აშკარად ჩანს, რომ ქართველებმა განსაცდელის უამს პოლიტიკური გზების ძიებისას „აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეერთებისათვის“ „დაიწყეს ბრძოლა და რომთან შეერთების სურვილი განაცხადეს“⁷⁴.

მე-13 საუკუნის ამავე დოკუმენტებშია ფიქსირებული იტალიიდან მოსულ მოქალაქე მისიონერების სხვადასხვა ორდენთა, როგორც მაგალითად: მონორიტების (ფრანჩისკიანების) და დომინიკიანების საქართველოში დაბინავება და მათი საქმიანობა.

სამწუხაროდ, შ. თამარაშვილმა ეს წიგნი — „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“—შეადგინა გარკვეული მიზნით. სადაც ვერ მოხვდნენ „გათიშვამდე“ არსებული დოკუმენტები, ერთი დოკუმენტის—პაპ გრიგოლ პირველის, საქართველოს კათალიკოს კირიონისადმი გამოგზავნილი წერილის გარდა, რომელიც თამარაშვილის მტკიცებით მეექვსე საუკუნის ბოლოს 596 წ. უნდა იყოს შედგენილი და გამოგზავნილი.

საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთებით პაპები განსაკუთრებით დაინტერესდნენ მე-14 საუკუნის დასაწყისში და გიორგი მეფესთან გააბეს ენერგიული მიმოწერა.

აქვე მიხვილ თამარაშვილი ახალი დოკუმენტების მოტანით იზილავს გიორგი ბრწყინვალეს ზოგიერთ საქმიანობას. ახასიათებს მის ეპოქას და აღნიშნავს, რომ მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში ზელმეორედ დაუბრუნდა საქართველოს გავლილი დიდება: რომ გიორგი ბრწყინვალემ განდევნა ყველა მტერი... შემოიერთა კავკასიის სხვადასხვა დაკარგული ნაწილი და საქართველოს დიდებულ სკაპტრის ქვეშ შემოიკრიბა ყოველი ერი ნიკოფაიით დაწყებული ვიდრე დარუბანდამდე... რომ ევროპას, რომელიც თვალყურს ადევნებდა საქართველოს, ეს აღორძინება შეუჟმწნეველი არ დარჩენიაო⁷⁵. რომის საეკლესიო მეთაურნი: რომელნიც ამ დროისათვის მსოფლიოში სასულიერო გაბატონებისათვის ენერგიულად იბრძოდნენ, საქართველოს ძლიერი მეფის წინაშე მოწინებითა და ვედრებით აღსავსე ბარათებს გზავნიდნენ და კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთებისაკენ მოუწო-

⁷⁴ შ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 16—17.

⁷⁵ იქვე, გვ. 28.

დებდნენ მას. აღმოსავლეთში გაძლიერებული ქრისტიანული საქართველოს კათოლიკობასთან შეერთებას⁷⁶ ისინი მსოფლიო ზემოდასახედდნენ, „ამ შეერთების შესრულების დროს—წერდა რომის პაპი იოანე ოცდამეორე გიორგი ბრწყინვალეს 1321 წ. — გამოვიღებთ ახალ სამოსს, დაეკლავთ ქამებულ ზვარაკთა, გავუშარათავთ მსოფლიო წვეულებას ყველა მორწმუნეება“⁷⁷ და ასე დიდებულად ვიზიემებთ, რომ მსგავსი არავის ენახოსო.

აქვე მოტანილი საბუთებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ იკიდებდნენ ფეხს და თანდათან ძლიერდებოდნენ წინა აზიაში ოსმალები. როგორ ხდებოდა იძულებული რომი მოეშალა სმირნის საეპისკოპოსო და შემდგომ იგი თბილისში გადმოეტანა; რაც გადაიქცა ოსმალო ბარბაროსთა წინ ნასროლ ჩრდილად, რომლებთანაც უთანასწორო ომს საქართველომ ასეული წლები შეაღია. წიგნში მოტანილი მასალებიდან ისიც ცხადი ხდება, რომ თბილისი და საქართველო მეთოთხმეტე საუკუნის მიწურულისათვის კვლავ ხალხმრავალი და მჭიდრო დასახლებული ქვეყანა ყოფილა— „*Multitudo habitantium*“, სადაც ლათინთ დომინიკეელობისა და ფრანჩისანების ორდენები მოქმედებდნენ. ააინტერესოა რომ მომდევნო მეთხუთმეტე საუკუნე მისიონერთა არქივებშიც ბუნდოვნადაა წარმოდგენილი, თუმცა კარგადა ჩანს ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დანაწევრების პროცესი და ფეოდალური ომების დაწყება ქვეყნის შიგნით. თურქთა წინააღმდეგ კავკასიაში ქრისტიან და სხვა სამეფო სამთავროთა კავშირის შექვრა, მიწერ-მოწერა რომთან და სხვა⁷⁸.

აქვე ლაპარაკია ქართული ეკლესიისა და კათოლიკური ეკლესიის „დოგმატებრივ ერთგეარობაზე“, რაც საქართველოს სამეფოს საშუალებას აძლევდა უფრო ახლოს მდგარიყო რომთან, ვიდრე ამ დროს სხვა მართლმადიდებლური სახელმწიფოები.

როგორც აქ მოტანილი დოკუმენტებიდან ჩანს მე-15 საუკუნეში „კათოლიკური სარწმუნოების ერი“ მომრავლებულა მთელს საქართველოში. განსაკუთრებით სამცხესა და თბილისში, რომელთაც ჰქონიათ, როგორც ლათინური, ისე ქართული ტიპიკონაჲ. ამ საუკუნის საბუთებში თავის ანარეკლს პოულობს ფეოდალური პარტიკულარიზმის გზაზე შემდგარი საქართველოს მძიმე საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური ცხოვრება. მაგ., პაპ პიო II-ის მიერ 1458 წ. ოქტომბერ-

⁷⁶ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 28.

⁷⁷ 1313 წ. შექმნილ თბილისის კათოლიკე საეპისკოპოსოს პირველი ეპისკოპოსი იყო იოანე ფლორენციელი. იგი 1348 წ. გარდაიცვალა კონსტანტინოპოლში.

ში თბილისის კათოლიკე ეპისკოპოსისადმი გამოგზავნილ წერილში საქართველოს მეფე-მთავრები ასე იხსენიებიან „...აგრეთვე ქართველი კათოლიკოსი, მეფე სპარსეთისა (გიორგი), მეფე ქართველებისა (სამცხის ათაბაგი), მეფე სამეგრელოსი (ბენდია), იმპერატორი ტრაპეზუნტისა, და აგრეთვე სპარსეთის ერი (ქართლის ერი), რომლებიც ეკლესიის წესსა და დოგმებზე შეერთებულნი არიან“⁷⁸. მ. თამარაშვილი აცხადებს, რომ მასწავლებელი საქართველოს ანთონიური დაყოფა და მოხსენიება მისი პოლიტიკური „დეფაქტო“ იყო. მკვლევარი აქვე ცდილობს დაამტკიცოს, რომ „თვით საქართველოს კათალიკოსს, ქართლის მეფე გიორგის, სამცხის მთავარ ყვარყვარე მეორეს და სამეგრელოს მთავარს (ბენდიას) „კათოლიკური სარწმუნოება აერთიანებდათო. და თუ მათ პირადად ვერ მივიჩნევთ კათოლიკე სარწმუნოების მალიარებლად, რაც მეტად სარწმუნოა, ის მაინც უცილობელია, რომ ყველა ესენი ამ სარწმუნოების დიდად თანამგრძობნი და პატივისცემულნი იყვნენო“⁷⁹.

გვამათება რა მარი ბროსეს ეპისკოპოსს ლუდოვიკე ბოლონიელის შეფასების საკითხში მ. თამარაშვილს მოაქვს აუარებელი დოკუმენტალური მასალა იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ლუდოვიკე — „ქვებუდანი და მოშულლე ფანატიკოსი“ — არ ყოფილა და საქართველოს სამეფო სამთავროებისათვის არაფერი დაუშავებია, როგორც ეს ბროსეს ეგონათ. თავის მიერ მოძიებული პირველწყაროებით მ. თამარაშვილმა დააბუთა, რომ ეს ლუდოვიკე ბოლონიელი არის მნიშვნელოვანი და საინტერესო პიროვნება, რომელიც ითვლებოდა პაპ კალიკსტრო მესამის თანაგამზრახველად და რომელიც შრომობდა აღმოსავლეთში ანტითურქული კოალიციის შენაჩვენებლად. როგორც ამკარად მტკიცდება ამ ლუდოვიკეს აქტიური მონაწილეობით შერიგებულან გიორგი მერვე და სამცხის ათაბაგი ყვარყვარე.

ყვარყვარესა და გიორგი მერვის წერილების მოტანითა და მისი ინტერპრეტირებით მკვლევარმა ფარდა ახადა ამ მეტად საინტერესო კოალიციის საიდუმლოებას თურქთა წინააღმდეგ და ნათლად დაგვანახა მასწავლებელი საქართველოს მმართველთა პოლიტიკური თვალსაზრისი. კითხულობთ 1459 წ. დაწერილ და რომისადმი მიმართულ ამ წერილებს და გესმით ყვარყვარე ათაბაგის ლაღადისი, რომლის შესრულებლობამ მომდევნო საუკუნეებს ცრემლებად გადმოუარა: „... ჩემს წინაპართა მსგავსად ვეომები ურწმუნოთ... გასულ წლებში მეზობელ ქრისტიანე მთავრებთან ომი რომ არ მომხდენოდა უფრო

⁷⁸ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკებისა ქართველთა შორის, გვ. 52.

⁷⁹ იქვე.

მომეტებულად გავიმარჯვებდი ურწმუნოებზე. ახლა შევეუბრები ყველა ჩემს მეზობელ ქრისტიან მთავარს და გარდავსწავიტიე მთელი ჩემი ღონე და შეძლება მოვიხმარო ოსმალების წინააღმდეგ. მევე უნდა წავუძღვე 20.000 ცხენოსანს საომრად, რათა შეერთებულის ძალით შევებათ და ვძლიოთ ოსმალთა. გპირდებით, რომ ერთის ზაფხულის განმავლობაში დავიპყრობთ ანატოლიას და ყველა ქვეყნებს, რომელიც ოსმალს ამ მხარეს უჭირავს, მეორე მხარეს თქვენ დაგიტოვებთ. ორჯარს შუა მოქცეული ოსმალეთი დამარცხდება, თუ ლათინი ჩვენთან შეერთებულნი იქნებიან. თვინიერ ამისა ყოველი ჩვენი ხელშეკრულება უქმია. უწყოდეთ, რომ თუ ახლა ჩვენთან ერთად არაფერს იმოქმედებთ, შემდეგში, კიდევაც რომ გულით მოინდომოთ ვერაფერს გააკრიგებთ, რადგან ურჯულო ოსმალეთი მუდამ დღე ძლიერდება და ვეღარც შევძლებთ შემდეგში გულმოდგინედ შეერთებას⁸⁰.

მკვლევარმა ისიც გამოიძია და ახალი საბუთებით დაამოწმა, რომ ესოდენ მოშზადებული და ძლიერი კოალიცია ჩაიშალა სწორედ დასავლეთის სახელმწიფოების მიზეზით, სადაც აგრეთვე ფეოდალური ომი გაჩაღებულიყო, რის გამო დასავლეთმა მხარი არ აუბა ჩვენებს და რეალური მოკავშირეობა არ იკისრაო. აქვეა ნაჩვენები ქართველი ელჩების ნიკოლოზ თბილელისა და ფარსადანის მოგზაურობა ამ საკითხებზე ევროპის სახელმწიფოებში. იმედებს გაცრუება და მათი უკან მობრუნება⁸¹.

მ. თამარაშვილს დამაჯერებელი საბუთიანობით აქვს მოთხრობილი მე-16 საუკუნის საქართველოს მძიმე მდგომარეობა და ოსმალთურქთა პოლიტიკური გაძლიერება, რამაც საქართველოს და ევროპას შორის კავშირი თითქმის მთლიანად გაწყვიტა და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას დაემუქრა. აქვე ლაპარაკია ლუარსაბ მეფისა და სიმონ მეფის რომთან ურთიერთობის ცდებზე. ისტორიკოსი დამაჯერებლად მოგვითხრობს სომეხ-უნითორ ბერების მოქმედებაზე, რომელთაც ზოგიერთ შემთხვევაში დომინიკელებისა და ფრანჩისკელების ადგილი დაიჭირეს და სომხური ელფერი მისცეს ბევრ სასულიერო საქმეს (რადგან თურქეთი ევროპელებს საქართველოში არ უშვებდა).

როგორც ცნობილია, მე-17 საუკუნე თავისი სისხლიანი შედეგებით უმძიმესი გამოდგა ქართველი ხალხისა და მისი სახელმწიფოებ-

⁸⁰ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 58.

⁸¹ აქვე, ყვარყვარე ათაბაგის წერილი, გვ. 58.

რივი ცხოვრებისათვის. ორი დიდი მტრული ქვეყანა — თურქეთი და სპარსეთი საქართველოს ორმხრივ ემუქრებოდა. ყველაზე მეტად უჭირდათ განაპირა კახეთის სამეფოსა და სამცხე-საათაბაგოს სამთავროს. მე-17 საუკუნე, როგორც მთელი საქართველოსათვის, ისე ამ მხარეებისათვის პოლიტიკური გზების ძებნით დაიწყო. ეპოქის ხასიათიდან გამომდინარე თამარაშვილიც აღნიშნულ წიგნში მე-17 საუკუნის ამბების თხრობას იწყებს კახეთის მეფის ალექსანდრესა და მანუჩარ ათაბაგის მიერ კათოლიკე მისიონერების მიპატიუებით, რაც ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს, რომ პოლიტიკური ორიენტაცია ევროპაზე გრძელდებოდა.

მკვლევარს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს ჩვენთვის მანამდე უცნობი მრავალი დოკუმენტი — პირველწყარო, როგორც მაგალითად: მისიონერების პავლე მარია ფიანცელოს, ანტონიო პორტუგალელის, გრიგოლ ორბინის, პიეტრო დელა ვალეს, ქრისტეფორე კასტელის, მაჯო და კლემენტი გალანოს და სხვათა მოხსენიებისა და აღწერების სახით.

საქართველოში ნამყოფ მისიონერთა წერილებისა და სხვადასხვა ჩანაწერების მიკვლევით თამარაშვილმა თვითმხილველთა თვალთ დაგვიანა მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის სისხლიანი ტრაგედიები, რაც საქართველოში დატრიალდა. მესხეთის საბედისწერო დაკარგვა, მისი თურქთაგან დაპყრობა და კახეთის აკლება შაჰ-აბას პირველს მიერ, რომელმაც მთელი მხარე თითქმის „დაპაპოცა, დაატყვევა, გადაასახლა და ერთიან მოაოხრა“. ეს მოოხრება ისე დიდი იყო, რომ თოთხმეტი წლს შემდეგ თეიმურაზ მეფე ჩიოდა — „ჩემი სამეფოს აწმყო მდგომარეობა ძალიან სამწუხაროა. დანგრეულია ყველა ქვისა თუ ხის შენობები, ეკლესიები, აჩეხილია ბალვენახები, წაღებულა ძვირფაჲი ქურტლები, ყველა შესამოსლები, სამკაულები და ხატებიც კი ერთიან გაძარცულია“⁸².

ამ დროს გორში მოსული მისიონერებიც აღასტურებენ, რომ იქაურობას ჭერ ისევ ეტყობოდა მტრის ცეცხლისა და მახვილის კვალი: რომ მცხოვრებნი აღარსად ჩანდნენ. ზოგი გაეწყვიტათ და ზოგიც შორს გადაესახლებინათ“.

ამ ამბების მომსწრე პიეტრო დელა ვალე კახეთის აოხრებას აღარებდა „ეროდეს მიერ ბეთლემის ჩვილი ყრმების ამოწყვეტას“. აქვე თამარაშვილი შეეცადა გაერკვია საკითხი თუ რამდენი კაცი იქნა გასახლებული კახეთიდან და ჩვენს ისტორიაში ამის თაობაზე არსებული ძუნწი ცნობები დაეზუსტებინა. სამწუხაროა, რომ თამარაშვი-

⁸² მ. თამარაშვილი, აღნიშ. ნაშრ., გვ. 109.

ლი¹ პიერ მოწოდებულ ცნობებს დღემდე არ გასწევია სათანადო ანგარიში შესაფერისა სახელმძღვანელოებისა თუ ნარკვევების გამოქვეყნების დროს. ჩვეულებრივად განაგრძობენ წერას, რომ შაჰ-აბასმა ასიათასი კაცი გაასახლა კახეთიდანო. დროა ეს შეხედულება გადაისინჯოს, რადგან როგორც თამარაშვილი წერს: „*Histoire de Kemiski, Paris, 1687, გვ. 24.* მოგვითხრობს ესრედ: შაჰ-აბასმა 50.000 მეტი ქართველთა ოჯახი წაიყვანა და დაასახლა შირვანსა, ფერეიდანსა და სასომხეთში, ხოლო მათ ადგილას გადმოსახლა სპარსები და სომხებიო“, შარდენი მოგვითხრობს „რომ ტყვედ წაყვანილნი 80,000 კვამლი იყო“, გამბა ამბობს „რომ შაჰ-აბასმა 500 ათასი სული წაიყვანა ტყვეთო. თიათინელი მისიონერი ჯუსტო პრუტო: ამის თაობაზე 16 ოქტომბერს 1633 წ. რომში თავიანთ უფროსს გორიდან წერს: „დღეს მთელი სპარსეთი სავსეა გამაჰმადიანებული ქართველებით და მთავრობის ყველა უმაღლესი სამსახურის ადგილები მათ ხელშია. თვით დღევანდელი სპარსეთის მეფეც შვილია ერთი ქრისტიანი ქართველი ქალისა. რადგან ამ ოცი წლის წინათ შაჰ-აბასი მოვიდა აქ, მოაოხრა საქართველო და აქედგან წაიყვანა 60,000 კვამლი: აქ თითო კვამლში ოც სულზე ნაკლები არ ირიცხება. ამ ერთთ გაამდიდრა სპარსეთიო“². ამ ცნობების ანგარიშგაუწვევლობა არ იქნება. მით უმეტეს ვიცით, რომ მე-16 საუკუნეში კახეთი საკმაოდ მოშენებული, დიდი, ძლიერი და ერთ-ერთი ყველაზე ზალმწრავალი კუთხე იყო საქართველოსი.

3. თამარაშვილი ერთხანს ამ გასახლებულთა ნაკვალევსაც მიჰყვება და მისიონერთა საბუთებით გვაჩვენა მძიმე მდგომარეობა და პირობენი, რომელშიაც სამშობლო ქვეყნიდან აყრილი ზალხი აღმოჩნდა. თამარაშვილი ზოგჯერ დაწვრილებით ეხება მისიონერთა სულიერ სიხლოვეს გასახლებულ ქართველებთან და მოაქვს მრავალი ფაქტი. ეს ფაქტები ხშირად საინტერესო ამბავთა შემცველია. მაგ. ცნობილი მოგზაური მისიონერი პიეტრო დელა ვალე — ქართველების სიმეც კი გაშხდარა. მას სპარსეთში გადასახლებული ერთი ობოლი ვოგო სახელად თინათინ შეურთავს, რომელისთვისაც შემდეგ მარიუჩა დაურქმევია³.

დომინიკელი პატრების წერილებში ვპოულობთ აგრეთვე ცნობებს ქეთევან დედოფლის წამების შესახებ, სიმონ მეფის ტყვეობის და სპარსეთში გასახლებული ქართველობის შესახებ, საქართველოში ატეხილი შინაფეოდალური ომების შესახებ და სხვ.

¹ 3. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, გვ. 124, 1904 წ.

² 3. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 89.

თამარაშვილი თავის შრომაში დიდ აღვივებს უთმობს თიათინელთა წესის მონაზვნების (ორდენის) შემოსვლას საქართველოში. თიათინელ მონაზვნებთან ურთიერთობაში ჩვენ ვხვდებით ძვირფას ცნობებს თეიმურაზ მეფის (თეოფილე⁸⁵), ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ბერი, ჩოლოყაშვილი) და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა შესახებ. აგრეთვე ცნობას პირველი ქართული წიგნის --- ქართული-ტალიური ლექსაკონის გამოცემის გარშემო, ეცნობით სტეფანე პაოლინისა და ნიკიფორე ირბახის ურთიერთობას ლექსიკონის გამოცემის საქმეში და სხვ.⁸⁶ ცალკე აღსანიშნავია მისიონერების ჯუზეპე ჯუდიჩესა და არქანჯელო ლამბერტის რედაციები და ჩანაწერები საქართველოს სხვადასხვა კუთხეების შესახებ. ამ მისიონერ მოგზაურთა დოკუმენტალური წერილების აღმოჩენით მ. თამარაშვილმა ერთხელ კიდევ დაამოწმა და დაადასტურა, რომ ძველი მესხეთის ისტორიული საზღვრები სამხრეთით შორს იყო გადაშლილი. რომ იგი მდინარე არაქსს აღწევდა. არაქსს აქეთა მხარე იბერიების მკვიდრ და განუყოფელ მამულად ითვლებოდა⁸⁷, რომ ძველთაგანვე საქართველოს ისტორიული საზღვარი „შიფაქლუს მთის იქით გურჯიბოლახის ხეობა იყო“⁸⁸ როელიც ქ. არზრუმის ახლოს გადიოდა და სხვ... 1631 წ. არქანჯელო ლამბერტიმ ჯუდიჩესთან ერთად გამოიარა ქ. არზრუმში, სადაც „მრავალნი ქარველნი ნახეს, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ და რომლებსაც ჰყავდათ თავიანთი ქართველი ეპისკოპოსი აზრუმელად წოდებული“. საინტერესოა, რომ მასვე უნახავს არზრუმის გარშემო ჯერ კიდევ შერჩენილი ქართული სოფლები⁸⁹, თუ ამასთან ერთად მხედველობაში მივიღებთ, რომ ქართველური მოდგმის ლაზ-ქანთა ეთნიკური განვითარება სანაუნამდე მიდიოდა და ტრადიციონალური იქით პალსის (ყიზილ ერმაკი) ნაპირებს უწევდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ფეოდალური ჩიხიდან გამოსვლასა და საგარეო მშვიდობიანობის შემთხვევაში შესაძლებლობა მიეცემაოდა გადაქცეულიყო ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე დიდ და ძლიერ ფეოდალურ სახელმწიფოდ.

თამარაშვილმა აქვე დაბეჭდა და კომენტარები დაურთო მე-17 საუკუნის დოკუმენტებს, რომლებიც ასახავენ დასავლეთ საქართვე-

⁸⁵ ჩოლოყაშვილმა ევროპაში მეფე თეიმურაზი თეოფილედ გააცნო, ალბათ ქრისტიანული სახელის გამო.

⁸⁶ კონსტანტინე პორფირგენეტი, ტ. 4. ნაკვ. 2, გვ. 271.

⁸⁷ ვახუშტი, აღწერა სამეფოისა საქართველოსა, გვ. 141.

⁸⁸ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა... გვ. III, პასუხად სომხ-ს მწერლებს, გვ. 105.

ლოში (ჩერქეზეთის ჩათვლით) მოქმედი მისიონერების საქმიანობას. მისიონერთა საქმიანობის გადმოცემის კვალდაკვალ, ჩვენს წინ იშლება მთელი დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება. ამ მასალების გაცნობით ჩვენ ვსწავლობთ მე-17 საუკუნის ქართულ სამეფო-სამთავროთა დიპლომატიური ურთიერთობის ვიწრო და ფორმებს თურქეთ-სპარსეთთან. მისიონერთა როლს ამ ურთიერთობაში და ევროპასთან დამოკიდებულებას. მ. თამარაშვილმა ჩვენს ისტორიოგრაფიაში პირველმა შენიშნა და დაასაბუთა, რომ მისიონერები მართო „სასულიერო საქმიანათვის, „ქრისტეს სიყვარული-სათვის“ მოვლენილი მოძღვრები არ იყვნენ, რომ ისინი იყვნენ აგრეთვე ევროპის პოლიტიკური დავალებებით აღჭურვილი ელჩები; რომლებიც გარკვეულ სახელმწიფო დავალებებს ღებულობდნენ აგრეთვე საქართველოს სამეფო-სამთავროებიდან. რომ ასეთი ურთიერთობა ხელს უწყობდა კულტურული ცხოვრების გავრცელებას (ქართული სკოლებისა და წიგნების გაჩენა)¹⁰.

წინამდებარე წიგნში ავტორმა დიდი ადგილი დაუთმო გვიანფეოდალური, დაქუცმაცებული საქართველოს სამეფო სამთავროებს შორის ატეხილი ფეოდალური ომების გაშუქებას. ფართოდ შეჩერდა იმ სოციალური სენის დახასიათებაზე, რომელიც უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე ღრღინდა განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს და რომელსაც „ტყვის სყიდვა“ ერქვა. თამარაშვილმა ამ პროცესს — „ერის სულიერი და ხორციელი უბედურება“ უწოდა. მისი გამოანგარიშებით დასავლეთ საქართველოდან ყოველწლიურად 4000 ყმაწვილი და ქალიშვილი ოყიდებოდა. რომ გაუთავებელ ომებთან ერთად ტყვის სყიდვამ ფიზიკურად გააჩანაგა და შეამცირა ქართული მოსახლეობა, აქვე ვპოულობთ ცნობებს ლაზეთისშესახებ. ვეცნობით ლაზეთში მამაღიანობის გავრცელების პირობებს, თურქთა მიერ შევიწროებული ლაზისტანის კათალიკოსის მწარე ღალატის, მათ მძიმე ეკონომიურა და პოლიტიკურ ზედას. აფხაზეთის, ჩერქეზეთისა და სხვა კავკასიის ხალხთა მდგომარეობას; მათ მიერ ატეხილ ფეოდალურ ომებს, ლტოლვას საქართველოსაკენ და სხვა.

თიათინელთა ორდენის წარმომადგენლებმა: ქრისტეფორე კასტელმა, ანტონ ჯორდინამ, ანდრია ბორომემ. იოსებ ტურინელმა, კირჯენთიმ, გულინო ტურქომ და სხვა მრავალმა დაგვიტოვეს მე-17 საუკუნის დასავლეთ საქართველოს აღწერილობანი, რომელთაც თავიანთი ასახვა ჰპოვეს თამარაშვილის აღნიშნულ წიგნში.

¹⁰ არის ცნობები, რომ მისიონერებმა ქრისტეფორე კასტელმა და ანტონ ჯორდინამ დაწერეს ქართული წიგნები და გურიაში გახსნეს ქართული სკოლები.

ასეთივე ძვირფასი ცნობები შეუგროვებია თამარაშვილს მე-17 ს. მეორე ნახევრის ქართლისა და მთელ საქართველოს შესახებ კაპუკინების არქივში. ამ ცნობებში აღსანიშნავია ბევრი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური თუ სტატისტიკურ-ტოპონიმიკური ხასიათის მონაცემები.

მიხეილ თამარაშვილი თვლიდა, რომ მე-17 საუკუნის ზოგიერთი მისიონერი, მაგალითად, პიეტრო დელა ვალე, პეტრე ავიტაბლიე, სილოსი, არქანჯელო ლამბერტი, ეუზებე ჯულიჩე, კლემენტო გალანო, ვერაჩელი და სხვა იყვნენ ნამდვილი მეისტორიენი, რომელთაც დიდი ერუდიციით, სიყვარულითა და თვითმხილველის სიპართლით აღწერეს ქართველი ხალხის იმდროინდელი თავგადასავალი. რომ ამ საუკუნეში ევროპამ უკეთესად გაიცნო საქართველო, დაინტერესდა ჩვენი ცხოვრების შესწავლით, ჩვენი ენით, ლიტერატურით. მათ დააარსეს ქართული ენის შემსწავლელი კათედრა, გამოსცეს ქართული ლექსიკონი, გრამატიკა, კათეხიზმო და სხვა.

მომდევნო მე-18 საუკუნის დოკუმენტების მიმოხილვისას ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საქართველოს გართულებულ პოლიტიკური მდგომარეობის მიმოხილვას, ვახტანგ VI წერილებსა და სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობას ევროპაში. ეხება ევროპაში განათლება მიღებული ქართველების საქმიანობასაც (ტულუქაშვილი, ბალინაშვილი, ჯანიძე და სხვ.), ფართოდ მიმოიხილავს თეატურაზისა და ერეკლე მეორის ხანას. მათ ორიენტაციას ევროპაზე, მათთან მომუშავე მისიონერების შრომებსა და სხვ. გაკვირვებით აღწერს მესხეთში მამამადიანობის გავრცელების პროცესს, ამიერკავკასიაში წარმოებულ საწმინდოებრივ ბრძოლებს და სხვ. შემდეგ ეხება საქართველოს რუსეთთან შეერთების ხანას, ახალციხის საფაშოს დაწილის რუსთა ჯარის მიერ აღებას, სომხების გადმოსახლებას მესხეთში და მოდის მე-19 საუკუნის 50-იან წლებამდე, სადაც სრულდება კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობა.

როგორც ვხედავთ საკითხთა წრე, რასაც შეიცავენ წიგნში გამოქვეყნებული დოკუმენტები და საბელოვანი ისტორიკოსის კომენტარები მეტად ფართო მასშტაბისაა და მოიცავს დაწყებული მე-13 ს. მე-19 ს. შუაწლებამდე მომხდარ ბევრ ფაქტსა და მოვლუნას ისტორიული წარსულის შესასწავლად.

ჩვენი ისტორიის ასეთი გაბმული თხრობა ქართლის ცხოვრების გარდა ისტორიოგრაფიაში იშვიათად გვხვდება.

ამ წიგნის გამოცემამ ერთიანად ააღაპარა ქართული საზოგადოება, რომელმაც თავისი გამოხატულება კპოვს, როგორც ჩვენს პრესაში, ისე სხვადასხვა საზოგადოებრივ თათბირებსა, სხდომებსა

და პირად წერილებში. იმის ნათელსაყოფად თუ რა აღფრთოვანება გამოიწვია ზალბში ამ წიგნის გამოსვლამ. მოვიტანთ ზოგიერთ წერილს.

„გამოცემულმა თქვენს მიერ „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, ყოველი საქართველოს ყურე და კუთხე დაიარა და ყველგან აღფრთოვანებული ნათელი წაიღო და სიბნელეს სწივი მიუყენა და დასძრა და დაძვანტა იკვიანობა... გამოვიდნენ ასპარეზზედ თქვენის პაზრების დამცველნი“⁸⁰. წერდნენ ერთნი მ. თამარაშვილს წიგნის გამოსვლისთანავე.

„შენი გამოცემული წიგნები, რომელნიც არიან დოკუმენტები, საქართველოს ისტორიის გვაროვნობისა და ქართული ტიპიკონისა, მართლაც ძვირფასი და დაუფასებელი საუნჯენი არიან მამულის შვილებისათვის და თავგასული მტრებისათვის აღვირის ამოსაღებად. მართლა რომ შენი შრომა ძვირფასია ჩვენი საწყალი ქვეყნისათვის... შენი გამოცემული წიგნები წავიკითხეთ სუფრაზედ და ძალიან გვესიამოვნაო“⁸¹. წერდნენ მეორენი კონსტანტინოპოლის ქართული კათოლიკური მონასტრიდან 1906 წ.

„...ზალბი აღტაცებით მიეგება თქვენს თხზულებას; დიდი სიამოვნებით ვკითხულობთ და ყველა საგანს დაწვრილებით ვარჩევთ“ — წერდნენ სტვანი. გაზეთ „ცნობის ფურცელის“ სიტყვებით ამ წიგნმა „სიმართლის დამთრგუნველ“ მეცნიერებას „უბაჟოდ ლაპარაკის ზღვარი აჩვენა და ჩვენი ისტორიის ნაკლულოვანი ადგილები შეავსო“.

დაბოლოს მ. თამარაშვილის თხზულებას თავის დამაკანონებელ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძის ივერია.

1902 წ. № 254 ივერიაში ვკითხულობთ: „წიგნს ქართველობისა“ თვის უფრო მეტი, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამ მნიშვნელობას გამოჰხატავს თვით გამოცემის სათაური. ეს მართო კათოლიკობის ისტორია კი არ არის, არამედ საქართველოს შინაგანი ცხოვრების და პოლიტიკური მდგომარეობის ისტორია; და ამ მხრივ ეს შესანიშნავი წიგნი მეორე „ქართლის ცხოვრებაა“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქართლის ცხოვრება უფრო პოლიტიკური მდგომარეობის ამბებს გვაძლევს და ეს წიგნაკი პოლიტიკურსაც და ეტნოგრაფიულსაც-ო“⁸².

⁸⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 10, საქ. 173, ფ. 28.

⁸¹ იქვე, საქ. 98, ფურც. 36.

⁸² გაზ. „ივერია“, 1902 წ. № 254.

აღსანიშნავია, რომ თამარაშვილის წიგნის შესახებ წერილები და-
იწერა უცხოეთის პრესაშიც, სადაც აგრეთვე მაღალ შეფასებას აძ-
ლევდნენ და მის ავტორს ქება-დიდებათ იხსენიებდნენ.

თამარაშვილის შრომის დიდ მნიშვნელობაზე ჩვენს პრესაში თუ
პირად წერილებში ლაპარაკობენ: იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერე-
თელი, სიმონ ქვარიაძე. მოსე ჯანაშვილი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი,
თ. სახოკია, მ. შერეთელი, ივ. გვარამაძე და მრავალი სხვანი. ყველა
იანი ერთხმად აღიარებდნენ რომ მ. თამარაშვილმა სასწაულებრივი
შრომით ეროვნული ისტორიის საგანძურში შემოიტანა ფასდაუდებ-
ელი ისტორიული დოკუმენტები, რომლის სრული დაფასება მხო-
ლოდ ჩვენს დიდ მომავალს შეეძლება.

ამ წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით რომში მყოფი მ. თამა-
რაშვილი საქართველოდან (ღებდა აურაცხელ წიგნილებს, მილოჩ-
ევს და საქმიან შენიშვნებსაც, რაც მკვლევარს აღფრთოვანებდა და
შეზღვრვი მუშაობისათვის ახალ ენერჯიას მატებდა.

ბევრმა ქართველმა მაშინ კარგად იცოდა რომ ყოველი სიტყვა
ნუგეშისა, წაქეზებისა, საშობლოდან შემოთვლილი, შორს, უცხოე-
თში მყოფს ქართველის გულს, რომლებსაც მართოდენ ქართველე-
ბის დღევრძელობა ასულდგმულებს, ღრმად ჩასწვდებოდა და უფრო
გაუადვილებდა შრომასა და ღვაწლს⁸². მკვლევარი ისტორიკოსი
მართლაც გახარებული და აღფრთოვანებული იყო იმ შეფასებით,
რაც მის შრომას ხვდა წილად მიწასავე საშობლოში.

როგორც ცნობილია მ. თამარაშვილმა — ისტორია ქართველი კა-
თოლიკებისა — სიდიდის გამო ორ ტომად გააყო. „ეს ჩემი წიგნი—
წერდა 1900 წ. — რადგან დიდი წიგნი მოდის ამისათვის ორ ტომად
გაყავი. პირველი ტომი დასრულებულია და მეორე ტომისაც პირ-
ველი თავი დაეასრულო“⁸³. შემდეგ როგორც ახვა წერილებიდან
ირკვევა მას მეორე ტომიც მალე დაუსრულებია და გამოსაცემად
მოუშვადებია. მაგრამ მისი სრული გამოცემა ვედარ მოუხერხებია,
უსახსრობისა და იმ ეკონომიური შეჭირვების გამო, რომელსაც მწა-
რედ განიცდიდა შორს გადახვეწილი მკვლევარი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ გასული საუკუნის 80—90-იან წლებში
ცარიზმის ბიუროკრატიულმა ხელისუფლებამ შეუტია იმპერიის გა-
ნაპირა მხარეების მოსახლეობას. ცარიზმს სურდა ფეხქვეშ გაეთელა
არაქუსი ხალხების ეროვნული ინტერესები, გაეტეხა მათი ძალები,

⁸² „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. 1956.

⁸³ ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საბ. № 161.

ხელი შეეშალა მათი ეროვნული კონსოლიდაციისათვის და ამრიგად გამოეთიშა ამ ქვეყნების მშრომელი მოსახლეობა იმ საერთო ბრძოლიდან, რომელსაც ეწეოდა რუსეთის გამოღვიძებული მუშათა კლასი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამ ვერაგულ ბრძოლაში ცარიზმის ხშირად შეზობელი ხალხების ერთიმეორეზე წასისინების პოლიტიკას მიმართავდა და მათ თანდათან აშორებდა ბრძოლის მთავარ გზას. ცარიზმის ამ პოლიტიკას უმთავრესად წვერილ ბურჟუაზიულ ინტელიგენტურ ფენებში ჰქონდა გასავალი და ყველგან, სადაც მან ფეხი მოიკიდა და გაღვივდა, არასასურველი და ზოგჯერ შემზარავი შედეგები მოჰყვა.

ამგვარად იყო საქმე კერძოდ ამიერკავკასიაში, სადაც არა ერთგზის მოხდა სომეხ-აზერბაიჯანელთა შეტაკება და სისხლის ღვრა. ქართველი და სომეხი ხალხის ერთიმეორეზე მისუვის ყველა ცდა მარცხით თავდებოდა. ამ ხალხთა საუკუნოვანი ძმობისა და თანამეგობრობის დარღვევა ასე აღვილი არ აღმოჩნდა, და ცარიზმმა სწორედ მისი ისტორიული თანამეგობრობისა და ძმობის ფესვების შერყევა მოინდომა. ამ მხრივ პოზიტივი ნიშნები მან სომეხ დაშინებებში და ულტრა ნაციონალისტურ ელემენტებში ნახა და მათ „მეცნიერული“ თოფიარაღის აღკაზმვისაყენ მოუწოდა. „ბრძოლის ასპარეზზე“ გამოჩნდნენ ხუდაბაშოვეები, ქიშიშოვეები, ნახაპეტიანები, იეზოვეები, პატკანოვეები, არწუნები და სხვა და სხვა. ამ ვაი მეცნიერებმა მიზნად დაისახეს სომხური და ქართული ეროვნული ისტორიული ცხოვრების გაყალბებითა და გაბიაბრუებით მკვიდრი ნიშნები შეექმნათ სომხური ბურჟუაზიისათვის საქართველოში და ხელა შეეწყოთ კლასთა ბრძოლის შენელებისა და ეროვნული ბრძოლის გაღვივებისათვის.

ყოველივე ამის გამო მ. თამარაშვილმა საჭიროდ ჩასთვალა მისი უკვე გამზადებული მეორე ტომიდან საკითხების ნაწილი გამოეყო და ცალკე პოლემისტურ წიგნად დაებეჭდა; იმ „მეცნიერ“ გამოყალბებლების წინააღმდეგ, რომელთაც ახალი იერიშები მიიტანეს ქართველი კათოლიკეებსა და მთელი საქართველოს ისტორიული ცხოვრების წინააღმდეგ.

1902 წ. იტალიაში იტალიურ ენაზე მხიტარისტთა კონგრესაციის წევრმა ტერ გაბრიელ ნახაპეტიანმა გამოსცა წიგნი „სომხის კათოლიკეები საქართველოში და საკითხი კათოლიკე სომეხთა და ქართველთა შორის“, რომელშიაც გაყალბებული და ცილისმწამებლური აზრები იყო გამოთქმული საქართველოს შესახებ.

„რა ვნახე ეს წერილი გამოქვეყნებული, — შერდა მ. თამარაშვილი, — დიდად გავკვირდით ავტორის მეტიჩრობასა და თავგასუ-

ლობაზედ, რომ ჩვენს წინააღმდეგ ეგოდენ სიცრუესა და ცილისწამებას ევროპაში ავრცელებს. არ იკპარა რაც აქამდე... გაეგრცელებინათ... ამისათვის არ გვინდა ყურადღებელი დავტოვოთ ესეთი თავხედური წერილიო“⁸⁵.

მართლაც 1904 წ. კვლავ ქველმოქმედ სტეფანე ზუბალაშვილის „წარსაგებელითა“ და პ. მირიანაშვილისა და ზაქარია ჭიჭინაძის აქტიური მონაწილეობით დაიბეჭდა მიხეილ თამარაშვილის შრომა „პასუხი სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველთ კათოლიკობას (ისტორიული გამოკვლევა)“.

ამ წიგნის წინასიტყვაობაში მკვლევარი განმარტავდა, რომ „აზრად არა გვაქვს პოლემიკა ვაგმართოთ საერთოდ სომხის მწერლებთან. გარნა უპასუხოთ არ გვინდა დავტოვოთ, ეგოდენი უსაფუძვლო და ცრუ აზრები, რომელიც-კაღნიერად გამოაქვეყნეს ქართველ კათოლიკების წინააღმდეგ სომხურ გაზეთ „მშაკში“ 1897 და 1898 წლებში“. იგი ხაზს უსვამდა იმ აზრს, რომ ჩემი პასუხები მხოლოდ „სომხის ზოგიერთ მწერალთ“ შეეხებათ, რომელთაც თავიანთი სინიღის ფასად იცრუეს, და ისტორიაში ჩაუხედავი, მდაბიო ხალხის მოტყუება მოინდომესო.

შრომის პირველ თავში მ. თამარაშვილი შეეცადა თეორიული დასაბუთება მიეცა „გვაროვნობისა და ეროვნულობისათვის“ და დაედგინა ჯარწმუნოებრივი და ეროვნული საკითხების ურთიერთ მიმართებანი. მ. თამარაშვილი ამ შრომაში აყენებს „ეროვნების მარადიულობის“ პრინციპს. მისი აზრით, ამ „პრინციპს ემორჩილება არა მარტო კერძო არსება, არამედ საზოგადოებაც, რომელიც ბუნებითად იცავს და ავრცელებს თავის ვინაობას“.

იგი დაბეჭდებით იღგა იმ აზრზე, რომ ერის შიგნით ყოველთვის მოსალოდნელია საზოგადოებრივი ცვლილებები. ცვლილებები მოსალოდნელია მის ჭეულიერი თუ მატერიალური ცხოვრების ყოველ სფეროში, რომ ამგვარი სოციალური, პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ცვლილებები, კანონზომიერად ახასიათებს ყველა ერის ისტორიას, რაც ზოგადი განვითარების პრინციპებიდან გამომდინარეობსო. თამარაშვილის აზრით ამგვარი ცვლილებები არ შეიძლება განიცადოს „ეროვნებამ“, და ეს ცვლილებები თავის მხრივ ეროვნულობის სახეს ვერასოდეს ვერ შეცვლიანო. ეს მისი აზრით მარადიული და უცვლელი საზოგადოებრივი ერთეულია, რომელსაც თავისი ყველასაგან განსხვავებული და დამახასიათებელი, ბუნებით იმთავითვე თანდაყოლილი უცვლელი თვისება აქვს. „რადგან ეს ნათესავეტომობა ერთი ბუნებრივი თვისებაა და ჰყვება კაცს დაბადებითგანვე... მაგალითად

⁸⁵ გაზ. „ივერია“ № 228, 1903 წ.

სომეხს შვილი ებადება სომხურის და ქართველს ქართულს თვისებით, ამიტომ ვერც ერთს შეუძლია თავიდან აიცილოს, გაშორდეს თვისტომობას და სხვა ტომად გადაიქცეს⁶⁶. ეს ინდივიდის ეროვნებისაგან განუშორებლობის პრინციპი თამარაშვილთან ისე შორს მიდიოდა რომ ავტორი პირდაპირ ამბობდა „უკეთეს ვინმემ მოინდომა ამის ქმნა, მაშინ იგი იძულებული იქმნება ხელაწლავ დაიბადოს სხვა დედმამისაგან, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ იმ წინანდელ ტომობას“⁶⁷ და ის რომ ასე არ ხდება ამის გამოა, რომ რუსს, ქართველს, სომეხს, გერმანელს, ურიას... უნდა თუ არ უნდა, რჩება რუსად, ქართველად, სომეხად, გერმანელად, ურიად“⁶⁸ და სხვ.

ეროვნულობის ეს ბუნებრივ-ბიოლოგიური პრინციპი ამ წიგნში მკვლევარის შეხედულებათა ამოსავალ წერტილს წარმოადგენს.

„სწორედ ამ აუცილებელის პრინციპის ძალით ჩვენ საქართველოს კათოლიკენი ვამბობთ და აღვიარებთ რომ ჩვენ ქართველნი ვართ, რადგან ქართველი დედმამისაგან ვშობილვართ, ამიტომ ჩვენს არსებაში ვგრძნობთ ჩვენს ქართველობას, ქართველის სისხლსა და ხორცს“⁶⁹.

მ. თამარაშვილი დაწვრილებით განმარტავდა იმ პროცესებსაც, რომ აღმოსავლეთის ქრისტიანეთა შორის ხშირად ტომობა (ეროვნება) და სარწმუნოება გაიგივებული იყო და პოლიტიკური ძნელებდობის ღროს სარწმუნოების ნებით თუ უნებლიეთ შეცვლა ხშირად მათი ვინაობის გაუგებრობასაც იწვევდა. ამგვარმა დინებამ გვიანფორმალურ საქართველოს ეროვნულ სხეულს თავს დაატეხა დიდი უბედურება. ამ გაუგებრობის წყალობით ბევრი მაჰმადიანი, ებრაელი, კათოლიკე თუ გრიგორიანი ქართველი იმ ზომამდე მივიდა, რომ ცდილობს უარყოს თავისი ნამდვილი ვინაობა. და ახალი მისი არსებისათვის შეუფერებელი ნათესავ-ტომობა აღიაროსო. ამგვარ საქმეში მ. თამარაშვილი ბრალს სდებდა და ადანაშაულებდა ცრუმწერალ-მეცნიერთა იმ „გუნდს“, რომელნიც თავიანთი შეთითხნილის ნაწერებით ცდილობდნენ დაეხიზნათ და არეგდარევა შეეტანათ ხალხის ნამდვილ ისტორიულ ვითარებაში. თამარაშვილს საამჟამაოზე გამოჰყავს და ამათრახებს რეაქციულ-ბურჟუაზიული „მშაქის“ ე. წ. მწერლები, როგორც იყვნენ თამაზოვი, სარუხანი, ნახაპატიანი, ინჯიჯიანი და სხვა,

⁶⁶ მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს, 1904, გვ. 6.

⁶⁷ იქვე.

⁶⁸ იქვე, გვ. 7.

⁶⁹ იქვე.

რომელთაც ზოგიერთი თავიანთი წერილებით არეგლარევა შეიტანეს და ჩირქი მოსცხეს ჩვენი ხალხის ნამდვილ ისტორიულ ცხოვრებას.

ამავე შრომაში იგი არკვევს ჩვენი ისტორიისათვის მეტად საჭირო საკითხებს, როგორც მაგალითად, ქართული დამწერლობის წარმოშობის, საქართველოში სომეხთა შემოხიზნისა და გადმოსახლების, სომეხ-ქართველთა ურთიერთობის, ავანტიურისტის ისმაილორის საქმიანობის, ერეკლე მეფის პოლიტიკური კურსის, ქართლ-კახეთის აყრა-აოხრების, მისიონერთა საქართველოში მოღვაწეობის, ქართველთა კათოლიკობის, საქართველოში არსებული კათოლიკეთა ეკლესიების, ქართველ კათოლიკეებში სომხური რიტის გავრცელების და სხვა ისტორიულ-ენიკურ თუ ტოპონიმიკური ხასიათის მრავალ საკითხებს. არანაკლები აღფრთოვანება გამოიწვია ხალხში იკვლევარის ამ ახლად გამოცემულმა შრომამ:

„გამოვიდა თქვენი შრომა, წამკითხველები ჰაერში აფრინდნენ სიზარულით მაგეთ ამბებისა... ძლივს გამოვიდა ვინმე ასპარეზზედ, რომელმაც უნდა გააცნოს ქვეყნიერებას ჩვენი ქვეყნის აზბავ“¹⁰⁰ — წერდა ქ. ახალციხის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ლაზარე გოზალიშვილი 1904 წ.

წიგნის გამომხეურებამ რომში მყოფ მკვლევარს ახალი ენერჯია შემატა და უფრო დიდი სამუშაოს შესრულებისათვის შრომას შეუდგა. ამჯერად თამარავილმა მიზნად დაისახა შეედგინა და გამოეცა მთელი საქართველოს ეკლესიების ისტორია ფრანგულ ენაზე. პირველ მონახაზში იგი ფიქრობდა ეს შრომა დაეწყო დაახლოვებით მეოთხე საუკუნიდან, ე. ი. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებიდან უკანასკნელ დრომდე; ე. ი. მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე. მაგრამ მუშაობის პროცესში მკვლევარი ვერ ჩაეტია წინდაწინ მოხაზულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში, რის გამოც ნაშრომში დასმული საკითხების ერთი ჯგუფი პრეისტორიულ ხანამდე მივიდა.

1904 წ. გაზ. „ცნობის ფურცელი“ აცნობებდა მკითხველს, რომ ისტორიკოსი თამარავილი მოკლე ხანში დაამთავრებს და გამოსცემს საქართველოს ეკლესიის ისტორიას ფრანგულ ენაზეო. მსგავსი ცნობები დაბეჭდეს თითქმის ყველა ქართულმა გაზეთებმა.

დაუტყაროველი მუშაობის წყალობით მკვლევარმა აღნიშნული შრომა დაამთავრა და გამოსაცემად მოამზადა უკვე 1905 წელს, რის შემდეგ დაიწყო ჩვეულებრივი ბრძოლა გამოსაცემი სახსრების მოძიებისათვის. იმის გამო რომ წიგნში მოტანილი დოკუმენტალური ტექსტები მრავალენოვანი იყო, და ამავე დროს გეოგრაფიული რუკე-

¹⁰⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტი № 10, საქ. 173, ფ. 35.

ში და სხვადასხვა სურათები ერთვოდა, გამოცემა უფრო რთულ-
დებოდა და ძვირი ჯდება. თამარაშვილის წინასწარი გაანგარიშე-
ბით გამოცემა თორმეტი ათასი ფრანკი დაჯდება. სინამდვილეში
იგი გაცილებით მეტი დაჯდა.

ამ საქმეში მ. თამარაშვილს კვლავ ზუბალაშვილების იმედი ჰქო-
ნდა, მაგრამ იმედმა ამჯერად უმტყუნა. სტეფანე ზუბალაშვილი, რო-
მელიც ნამდვილი მამულიშვილური სიყვარულით ბედავდა ისტო-
რიკოსის ყოველგვარ აღმოჩენას და მას მულამ ფულად დახმარებასა
და სუბსიდიასაც აპლევდა, 1904 წ. გარდაიცვალა, ზოლო მის დარ-
ჩენილ მემკვიდრეთა და ძმებს შორის აღარავინ მოინდომა რომში
მყოფი „ვილატ“ მკვლევარისათვის ეძლია სახსრები. ამ ამბავს დაე-
მატა ისიც რომ 1905 წლის რევოლუციის დროს ბაქოში ზუბალა-
შვილს დაარბიეს და მათი კანტორა აიკლეს¹⁰¹. ზუბალაშვილის ოჯა-
ხის წევრები ამ დროიდან რუსეთსა და ევროპაში გაიხიზნენ და ზო-
გი მათგანი სამუდამოდ დარჩა იქ საცხოვრებლად. მიხეილ
თამარაშვილმა როგორც იქნა ევროპაში გაიხიზნულ პეტრე ზუბალა-
შვილის მისამართი გაიგო, მისწერა საქმის ვითარება და წიგ-
ნის დაბეჭდვის საქმეში ფულადი დახმარება სთხოვა. თამარაშვი-
ლის ამ თხოვნაზე პ. ზუბალაშვილი უპასუხებდა: „მანამ ჩვენი სი-
ცოცხლე რუსეთში არ გამოაშკარავდება და ნიადაგში არ ჩავარდება
დახმარებას წიგნის ბეჭდვაში ვერ აღმოვიჩინათ“¹⁰². ბოლოს საქმე
ისე წავიდა რომ წიგნის ბეჭდვაში დახმარების მაგიერ სტეფანე ზუ-
ბალაშვილის მემკვიდრეებმა მას მოუხსნეს ის ყოველწლიური სუბ-
სიდიაც, რომელიც დანიშნული ჰქონდა განაგებულ სტეფანე ზუ-
ბალაშვილისაგან,¹⁰³ და რომელიც მკვლევარის ერთადერთ შემოსა-
ვალს წარმოადგენდა. ამის გამო მ. თამარაშვილი იძულებული გახდა
პირადად ხლებოდა ზუბალაშვილებს. 1907 წ. დეკემბერში იგი პ. ზუ-
ბალაშვილთან ჩავიდა ქენევაში. მას იქ ეგულებოდა იაკობ ზუბალა-
შვილი, რომელიც ძმებს შორის უფრო მოწყალე ჩანდა. მაგრამ საუ-
ბედუროდ არც პეტრე და არც იაკობი იქ არ დახვდა და იმედგაცრუ-
ებული მკვლევარი უკან დაბრუნდა.

1906 წლის ზაფხულში მ. თამარაშვილმა მიმართა საქართველოს
თავადაზნაურთა საჭრებულოს, რათა ანგარიში გაეწიათ მისთვის და
თავიანთი თანხიდან მიეცათ მცირე ფულადი დახმარება, მისი საქარ-
თველოს ეკლესიის ისტორიის ფრანგულ ენაზე დაბეჭდვისათვის. ქარ-

¹⁰¹ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 10, საქ. 120, ფურცელი 2.

¹⁰² იქვე, საქ. 224, ფ. 1.

¹⁰³ ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაკის ფონდი, საქ. 117.

თველ თავადახანაურობამ არ შეივრდომა ეს უმორჩილესი თხოვნა და არავითარი შემწეობა არ მისცა მას¹⁰⁴.

შემდეგ მ. თამარაშვილმა მიმართა ცნობილ ქველმოქმედს დ. სარაჯიშვილს. აუხანა საქმის ვითარება და დახმარება სთხოვა. ამ თხოვნის პასუხად ნ. ლოლობერიძე, რომელსაც აგრეთვე პირადად ეთხოვა სარაჯიშვილისათვის, რათა დახმარებოდა თამარაშვილს წიგნის დაბეჭდვის საქმეში; პარიზიდან რომში მიხილს წერდა: „დავით სარაჯიშვილს მოველაპარაკე თქვენ შესახებ, მან მოახდინა განკარგულება, რომ მის კანტორას თქვენთვის რომში ფული გამოეგზავნათ“¹⁰⁵. ამავ საკითხზე შეუწუხებია დ. სარაჯიშვილი ზაქარია ჭიჭინაძეს და ბოლოს ქველმოქმედი დაუთანხმებიათ, რომ თამარაშვილისათვის სულ ცოტა 500 მანეთი მაინც გაეგზავნა. სინამდვილეში კაპიტალისტმა 150 მანეთზე მეტი ვერ გაიძეოდა. სამართლიანად წყრებოდა ამის გამო ზ. ჭიჭინაძე „ღმერთმა შეარცხვინოს სარაჯიშვილი.. ვილაც გამოუსადეგრებს წელწადში სტიპენდიად 18 ათას მანეთს აქლევს და თქვენთვის ერთი სტიპენდიის ტოლა მაინც გამოეგზავნათ“¹⁰⁶. მ. თამარაშვილის თხოვნა არც ქართულმა კათოლიკურმა ეკლესიამ დააკმაყოფილა, და საჭირო სახსარი ვერ გამოუწახა წიგნის გამოსაცემად.

1907 წ. 5 ნოემბერს მ. თამარაშვილმა ვრცელი წერილით მიმართა თავად გიორგი ბაგრატიონ-დავიდოვს: მკვლევარი წერალის დასაწყისში უსურათებდა ჩვენი ისტორიოგრაფიის უსუსურ მდგომარეობას, და დასძენდა იმას თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა ფრანგულენაზე ნამდვილი საბუთებით შედგენილ საქართველოს ისტორიის, ქართველი კაცის მიერ გამოცემას. იგი წერდა: „...შემდგომ დიდი განწირული შრომისა და ხარჯისა დავამთავრე ფრანგულად საქართველოს ეკლესიის ისტორია. შრომა რომ სრული ყოფილიყო, თავში ჩაურთე გეოგრაფიული, ეტნოგრაფიული და პოლიტიკური საქართველოს ისტორია, რომელიც ერთს შესანიშნავ წიგნს შეადგენს თუ ცალკე გამოიცემოდესო“—ო „ეს დიდი შრომა — განაგრძობდა იმავე წერილში მკვლევარი — რომლის ხელნაწერი შეადგენს 1160 გვერდს დავასრულე შარშან შვიდი ანუ რვა წლის მოღვაწეობის შემდეგ. მინდოდა მაშინვე დამეწყო ამ წიგნის დაბეჭვდა, გარნა ჩემდა დიდ სამწუხაროდ საჭირო ფული ვერ ვიშოვე. დიდი იმედი მქონდა ზუბალოვებისაგან, მაგრამ ამ გზობას იმით შეეწეობა აღარ აღმომაჩინეს სხვადასხვა მიზეზების გამო. ამისათვის ესრეთი შესანიშნავი შრომა

¹⁰⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 10, საქ. 445, ფ. 1.

¹⁰⁵ იქვე, საქ. 253, ფ. 9.

¹⁰⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 10, საქ. 469, ფ. 35.

ღღევანდლამდე დაუბეჭდავი დამბრჩა. ამნაირ გარემოებამ დიდად დაშალონა და გულიც გამიტეხა, რის გამო მოზავალში აღვილად ვე-
ლარ გავებედავ საქართველოს შესახებ რამე შრომა დაეიწყუ, თუმცა
კიდევ ბევრი საინტორიო დოკუმენტები მაქვს გამოსაქვეყნებელი¹⁸⁷.
თამარაშვილს ჩივილი გაისმოლა ამაოლ. მ. თამარაშვილმა წიგნს
დასაბეჭდავ საქირა თანხის შოვნის თითქმის ყველა გზები მოსინჯა,
მაგრამ არსაიდან არაფერი არ გამოლიოლა. ბოლოს მან შეადგინა თა-
ვისი წიგნის მოკლე ანოტაციები და სადაც საჭიროდ სცნობდა ყველ-
გან დაგზავნა ისინი. არც ამ ანოტაციებს მოუტანიათ მისთვის მნიშე-
ვნელოვანი რამ, თუ არ ჩავთვლით ორიოდე ფაქტს, როცა პოლონე-
ლებმა ანოტაციის ვაცნობის შემდეგ გაუგზავნეს მის ავტორს 100-მდე
ფრანკი. ამდენივე თანხით დაეხმარა მას რუშინეთის აკადემია. აქვე
უნდა აღვნიშნოთ, რომ ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ
ნიკო ცხვედაძემ პირადად იკისრა მ. თამარაშვილს დარჩენილი წიგ-
ნების გავრცელება და ხალხში შემწეობის მოგროვება¹⁸⁸. თუმცა
არც ამგვარის თაოსნობიდან გამოსულა მნიშვნელოვანი რამ და
მკვლევარისათვის რეალური დახმარება არ გაუწევია.

ერთხანს დ. მულაშაშვილი ურჩევდა თამარაშვილს მისი თხზუ-
ლების ნაწილს ბეჭდვა დაეწყო ქართულად „ჯვარი ვაზისაში“ და
მოემზალებინა მისი ქართულ ენაზე გამოცემის საკითხი¹⁸⁹.

მ. თამარაშვილმა მაშინ ეს არ ისურვა იგი მთელი წიგნის გამო-
ცემისათვის იბრძოლა. რადგან მკვლევარმა ვერსაიდან დახმარება
ვერსიილო და წიგნის დაბეჭდვის საშუალება ვერ გამონახა კვლავ ზუ-
ბალაშვილებს დაუწყო ხეწნა და წერილების წერა: „ეს შრომა თქვე-
ნის იმედით დამიწყვია და თქვენის შემწეობით მოველი იმის გამო-
ცემასა“ო. თამარაშვილი ატყობინებდა პეტრე კონსტანტინეს-ძე ზუ-
ბალაშვილს რომ მან ორი ათასი ფრანკი უკვე მიიღო ერთის მოწყალე
პირისაგან და „კიდევ მკირლება ათიათასი ფრანკი ამისათვის უმდაბ-
ლესად გთხოვთ თქვენ და ბატონ თქვენ ძმებს, რომ ეს დანარჩენი
ხარჯი ათიათასი ფრანკი კეთილინებოთ და მიწყალობოთ, რათა შე-
ვიძლო ამ წიგნის დამთავრება. თუ ჩნებებთ და ერთად გამომიგზავნით
ამ ფულსა, რომ მერე აღარ შეგაუზღოთ, ხომ კარგი თუ არა ერთი
ნაწილი ეხლა მიბოძეთ, და მეორე ნაწილი შემდეგში როცა საჭირო

¹⁸⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 10. საქ. 729, ფ. 1.

¹⁸⁸ იქვე, საქ. 246, ფ. 3.

¹⁸⁹ იქვე, საქ. 319, ფურც. 82.

იქნებაო¹¹⁰. ზუბალაშვილების დუმილი მ. თამარაშვილს გულს უღრ-
ლნიდა და გამოუვალ მდგომარეობაში აგდებდა.

„უკეთუ ეს დიდი სიკეთე უნდა მიყოთ — წერდა იგი 1908 წ.
დასაწყისში ზუბალაშვილებს — და შემეწიოთ ამ წიგნის დაბეჭვდი-
სათვის. უპირველესად გთხოვთ, რომ ახლავე გამომიგზავნოთ, რათა
ბოლო მოვუღო ამოღენა შრომას, რაის გამო დიდად ვწუხვარ... დარ-
წმუნებული ბრძანდებოდეთ ესრედ არ შეგაწუხებდით უკეთუ საჭი-
როება არ მქონოდა. დიდად დაიმედებული ვარ თქვენი კეთილშობი-
ლი გულისაგან, რომ ამ ჩემს თხოვნას ყურადღებას ზაატევეთ და მა-
ლე მომაწვდით საჭირო შემწეობას წიგნის დასაბეჭდათ“-ო¹¹¹. საზოგ-
და აგრეთვე არ შეეწყვიტათ მისთვის აწ. გარდაცვალებული სტეფან-
ე ზუბალაშვილის მიერ დანიშნული სუბსიდიის. ამის გამო მ. თამარა-
შვილი ეხვეწებოდა პარიზში ჩასულ აკაკი წერეთელსაც, მიუხამდ-
გომლეთ ზუბალაშვილებთან, რომ თავიანთი უფროსი ძმის სტეფანეს
მიერ დანიშნული სუბსიდიის არ შემოწყვიტონო“¹¹².

1909 წ. 8 მაისს პ. ზუბალაშვილი მკვლევარს ატყობინებდა:

„ჩემი ძმა იაკობი მოგზაურობს... და მთხოვა თქვენ გაცნობოთ,
რომ მოელის თქვენგან ცნობებს და ანგარიშს „ეკლესიის ისტორი-
ისა“, რომლის მიღების შემდეგ გიბოძებს საბოლოო პასუხს. მანამ კი,
ამ კვირას, გამოგიგზავნის 2,000 ფრანკს დაპირებულ სუბსიდიის ან-
გარიშში“-ო¹¹³. არც ამ ანგარიშის წარდგენამ უშველა იმ ხანად
მკვლევარს. იგი ფულის მოლოდინში დიდად ნერვიულობდა და უქმად
იჯდა, თანდათან ქრებოდა ძველი აღმაფრენა და უიმედობის გრძნო-
ბა ეუფლებოდა. ამგვარ ყოფაში, თითქმის გატყდა მისი შეუღრეკე-
ლი და მტკიცე სხეულიც. 1909 წ. ზაფხულში ყოველმხრივ გზაშეკ-
რული ისტორიკოსი ავად ვაზდა და ლოგინად ჩავარდა, მან ერთხელ
კიდევ სცადა, მოეგო ზუბალაშვილების გული და მათგან საჭირო დაზ-
მარება მიეღო. ისტორიკოსმა საუბარი ჩამოაგდო მის მიერ აღმოჩე-
ნილ კასტელის სურათების რაობაზე და მნიშვნელობაზე. მართლაც
ჩვენი კულტურის ისტორიაში კასტელის აღნიშნული ალბომის აღმო-
ჩენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ეს მოხდა 1904 წელს. იტალიის სხვადასხვა არქივებსა და წიგნთ-
საცავებში ნაპოვნეებში მ. თამარაშვილმა იკარაუდა, რომ სიცილიის

¹¹⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტი, საქ. 734, ფ. 5.

¹¹¹ იქვე, ფ. 6.

¹¹² მ. თამარაშვილი უკვე ამ სუბსიდიის წელიწადნახევრის განმავლობაში არ
ლებულობდა.

¹¹³ ხელნაწერთა ინსტიტუტი, საქ. 124, ფ. 3.

ad Orientales Principes ita ut isti etiam vitam propriam
 suam datur ab ipsis in manibus illorum maxime in in-
 caribus suis filiarumq. perire possint in orationibus nostrorum
 Patrum quam Gregorum siardum.



De Persiana Regina

Elena de Artabac Regina
 Persarum filia vero spiritantis
 nostrorum Bilisiamensis
 matrimonium in Provincia
 Guabellis in qua coheruerat
 Anno Domini



De Benefactoribus.
 Elia Princeps Aedon Primitivus Samifichin in mof...

ერთ-ერთ წიგნთსაცავში შესაძლებელი იყო მოხვედრილიყო საქართველოში ნაყოფი მისიონერების წერილები, ამ წიგნთსაცავს უტრი-ალა მკვლევარმა მთელი 1903 წელი, სარჩევო კატალოგების უქონ-ლობა თითქმის შეუძლებელს ხდიდა ნაყოფიერ მუშაობას, მაგრამ მეორე წელს, ალბათ რამდენიმე ათასი ფურცლის უიმედოდ გადაშ-ლის შემდეგ მკვლევარს შეხვდა საქართველოში მყოფი მისიონერი ქრისტეფორე კასტელის ჩანახატების ცნობილი ალბომი, საიდანაც მთელი მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველო იყურებოდა- თითქოს პი-რადად გაეცნო მკვლევარი თეიმურაზ პირველს, ქეთევან დედოფალს, გიორგი სააკაძეს, ალექსანდრე იმერეთის მეფეს, ათაბაგებს, დადიანებს, გურიელებს და სხვა მრავალ სასულიერო და სამოქალაქო წარ-ჩინებულ პირებს. ისინი უცხოეთის არქივში იყვნენ შეფარებულნი, რადგან მათ სამშობლოში ბევრჯერ დაინთო ყველაფრის მოპსპობი ხანძარი. ეს ერთ დროს გულზნეიანი მეფე-მთავრები მ. თამარაშვილმა აღმოაჩინა არქივის მტვერში, ბოლოს დაიხსნა და დააბრუნა საქართველოში.

მ. თამარაშვილის მიერ სიცილიაში კასტელის ალბომის აღმოჩენის ცნობამ მთელს საქართველოში ელვასავით დაიარა; ამ ამბავს საქართველოს პრესა მხურვალედ გამოეხმაურა.


თვითონ მკვლევარი რომში ღებულობდა აურაცხელ მისასალმებელ წერილებს, მილოცვებსა და შეკვეთებს აღნიშნული ჩანახატების ფოტოპირების გამოგზავნის შესახებ. როცა გაზ. „ცნობის ფურცელის“ სურათებიან დამატებაში დაიბეჭდა სამი სურათი ამ ალბომიდან (1904 წ.) აჰან ნამღვილი სენსაცია გამოიწვია.

როგორც მკვლევარი წერდა, ეს ჩანახატები მან გადააღებინა ყველაზე საუკეთესო ფოტოგრაფს, შეკრა ის ცალკე ფოტო-ალბომად, გააკეთა წარწერების ქართული თარგმანი და წინასიტყვაობის სახით საკუთარი შენიშვნები დაურთო. შენიშვნებში თამარაშვილმა სცადა კასტელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარკვევა. იგი წერდა: „ავტორი აქ მოქცეული სურათებისა არის ქრისტეფორე კასტელი, თითინელი მონაზონი. ეს ევროპიდან მოვიდა გორში 1623 წ. იქიდან წავიდა გურიაში 1634 წ. ხოლო გურიიდან სამეგრელოში გადავიდა 1649 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრემ სამეგრელოდან მოიწვია ქუთაისს 1643 წ. საქართველოში მან დაჰყო 21 წელიწადი. ქართული კარგად შეისწავლა და სხვათაშორის დაწერა ორი წიგნი: ერთი „განზრახვა ქრისტეს ენებისათვის“, მიუძღვნა მალაქია კათალიკოსს, ხოლო მეორე წიგნი „სიტუარფე საღვთო სიყვარულისა“ გაუგზავნა თავის მიერ გაკათოლიკებულ ელენე ათაბაგის ასულს, სპარსეთის დედოფალს. მან საქართველოს დიდი ამაგი გაუწია ბევრნაირათ თავისი

განწირული შრომით. ეს იყო შესანიშნავი მხატვარი. ალექსანდრე იმერეთის მეფეს თავის სურათის გარდა დაუხატა წმინდანების ხატებიც. ყველა აქ მოყვანილი სურათები მან საქართველოშივე დიდის ხელოვნებით დახატა იმ დროს, როცა თვალთ ხედავდა სურათებში წარმოდგენილ პირებს. გარნა ყველა მისმა ძვირფას ნახატმა საქართველოს შესახებ ჩვენამდე ვერ მოაღწია, ვინაიდან თვითვე ერთ ადგილს ანობს: რომიდან პალერმოში დაბრუნების დროს ზღვაში ღელვის გამო დაკარგე ერთი წიგნიო. დარჩენილია მისი სხვა წიგნები, რომლებიც ინახებიან პალერმოს სამოქალაქო ბიბლიოთეკაში სიცლიას. სამწუხაროდ არც ამ წიგნებში დაცულ სურათებმა სისრულით ვერ მოაღწიეს ჩვენამდისინ, რადგან შეგნიშნეთ, რომ რამდენიმე სურათი ამოუჭრიათ წიგნებიდან და ესრე სამუდამოდ დაკარგულა ჩვენთვის. ამ დანარჩენი სურათების ერთი ნაწილიც მალე დაიღუპებოდა საქართველოსათვის უკეთათ ჩვენ არ მოგვესწრო და არ გადაგველო ეს სურათები. რადგან ქალაღი ძლიერ დაძველებულია და ახლო ხელისშეხების დროს ფურცლები იხვევა; რის გამო იძულებული გავხდით და ბევრს ადგილს დავაწებეთ ფურცლები. ყველა სურათს თავის შესაფერი მოკლე წარწერა აქვს. ჩვენ რაც შეგვეძლო ვეცადნეთ და ყველა წარწერა სისრულით გადმოვიღეთ; ზოლო იძულებული გავხდით ზოგიერთი გადმოგვეხატა, რომლებს ამოკითხვა შეუძლებელი გავვიხდა. აქ მოყვანილ წარწერებს ზოგიერთი შენიშვნა ჩვენ მიუვმატეთ სხვა წერილებიდან, რომლებიც ხელში გვაქვს. ეს ყველა მხატვრობა არის კალმით მოხაზული რაც აძნელებდა მათს სისრულით გადმოღებას. ამისთვის ჩვენ ბევრი ვიშრომეთ და ორგზის სიჩილიაში მგზავრობით გარდა დიდი ხარჯიც თავზე ავიღეთ, რადგან საქირო გახდა კარგად გადმოღებისათვის ყველაზე საუკეთესო ფოტოგრაფისტი მოგვეწვია და ბევრი გვეშრომა, გარნა ყველა დიდის სიამოვნებით ვიტვირთეთ, რათა საქართველოსათვის შეგვეძინა ეს ძვირფასი განძი ჩვენის წარსულისა¹¹⁴.

ქრისტეფორე კასტელიის აღნიშნული ალბომის აღმოჩენითა და სურათების გადაღება-შენახვით მ. თამარაშვილმა ჩვენთვის თითქმის ნივთიერად ხელშესახები გახდა მე-17 საუკუნის მოვლენები და პერსონაჟები, მან ჩვენს წინ დააყენა ადამიანები მათი სოციალური, ეთნიკური და პოლიტიკური მდგომარეობით. ჩვენ ამ ადამიანების ჩაცმულობაში ვხედავთ კლასობრივ სხვაობასა და ეროვნულ ხასიათს. აქ მოთავსებული თამაშობანი, სამხედრო ვარჯიშობანი და ბატალური სცენები იმდროინდელი მძიმე დიპლომატიურ-პოლიტიკური მდგომარეობის

¹¹⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი, 10, საქ. 582.



თეიმურაზ მეფე მეუღლით. ვარციხის აღბოძო

რეობის ნამდვილ ანარეკლს წარმოადგენენ. აქვე დახატული ქართული არქიტექტურული ძეგლები საქართველოს მარადიულობის სიმბოლოებს ჰგვანან და იმ მძიმე დროშიც ჩვენს ეროვნული სულის სიმტკიცეზე ნიუთითებენ.

ამდგავარად გამზადებული და შეკრული ალბომის ცალი მკვლევარმა მიართვა ზუბალაშვილებს და კვლავ თავის შევიწროვებულ ნივთიერ მდგომარეობაზე მოახსენა, რომ ადრე გამოცემული წიგნის ვალი 189 მანეთი ჯერ კიდევ გასტუმრებული არ ჰქონდა, რომ ახლად დასაბეჭდი ფრანგული წიგნისათვის საპროაფოდ სჭირდებოდა 10000 ფრანკი. თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ ამ ახლად აღმოჩენილი ალბომი: გამოცემასაც, მაშინ სულ ცოტა 700 ფრანკი მაინც იყო საჭირო დაბეჭდვისათვის.

მ. თამარაშვილის ზონზიბვლელმა საუბარმა კასტელის ნახატის თაობაზე ზუბალაშვილებთან ამჯერად თითქმის უნაყოფოდ ჩაიარა, იღონდ ალექსანდრე ზუბალაშვილმა იკისრა მისი დარჩენილი ვალის ვადა და შემდგომ ზუთასამდე ფრანკიც გაუგზავნა¹¹⁵.

ამავე დროს ზუბალაშვილებმა მ. თამარაშვილის განუახლეს თავიანთი უფროსი ძმის ბტეფანეს მიერ დანიშნული სუბსიდიის და გამოტოვებული თანხა ერთდროულად გაუგზავნეს, რამაც ორი ათას მანეთამდე შეადგინა.

ამ ჰციერე სახსარმა ისტორიკოსი დიდად შეაფულიანა და წიგნის ბეჭდვის დაწყება გააბედვინა. 1909 წ. ნოემბერში მ. ჯანაშვილს სწერდა: „უკვე ვაპირებ ჩემი ფრანგული წიგნის საქართველოს კვლევის ისტორიის დაბეჭდვასო“¹¹⁶. მას იმედი ჰქონდა რომ წიგნის გამოცემის შემდეგ მაინც შეიგნებდნენ ზოგიერთნი, რომ ამისთანა საქმეში გაწეული ხარჯი ნამდვილი საშვილიშვილო და სამამულო საქმე იყო.

ეს წიგნი „როცა დაიბეჭდება --- წერდა იგი ზ. ჰიკინაძეს — ვიცი კარგად თუ ქართველები და თუ ევროპელები დიდ ქებას იტყვიან, გარნა მარტო ქება არ კმარაო“. იმედოვნებდა, რა რომ წიგნის გამოცემის შემდეგ დახმარებაზე უარს აღარავინ იტყოდა, აიღო დიდძალი სესხი. მცირე სახსრით, რომელიც მას უკვე გააჩნდა და აღებულ სესხით 1910 წ. დასაწყისშივე დაიწყო წიგნის ბეჭდვა და ოთხ თვეში წიგნი უკვე მზად იყო.

მ. თამარაშვილის წიგნის „L'église géorgienne“-ს გამოსვლა ფრანგულ ენაზე მოასწავებდა ევროპის ისტორიოგრაფიაში (ქართ-

¹¹⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტი ფ. 10, საქ. 226, ფ. 4.

¹¹⁶ ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 21880.

ველოლოგიის შესწავლის საკითხებში) ნამდვილ აღმოჩენას და წინ გადადგმულ ნაბიჯს. მაშინ ეს თითქმის ევროპულ ენაზე ქართველია მიერ დაწერილი ერთადერთი „უნივერსალური“ ნაშრომი იყო. თვით მიხეილ თამარაშვილი სთვლიდა, რომ „ადრე ჩემს მიერ გამოცემული წიგნები ამ წიგნთან მოსატანი და სახსენებელიც არ არიან“. და მართლაც თამარაშვილის ეკლესიის ისტორია, საქართველოს საკითხით დაინტერესებული ევროპელი და უცხო მეცნიერებისათვის ნამდვილ მაგიდის წიგნად გადაიქცა, რასაც მის დიდ მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად განაპირობებს მისი შედგენილობის ხასიათი და მდიდარი, ლიტერატურული მომხიბვლელი ფრანგული ენა.

„საქართველოს ეკლესიის ისტორია“ შედგება 12 თავისაგან. წიგნში ჩართულია 100 სურათი, 2 გეოგრაფიული რუკა და შეიცავს 700 გვერდს. აქვს შესავალი და საძიებლები. შრომის შესავალში ლაპარაკია საქართველოს გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და პოლიტიკურ საკითხებზე. საქართველოს გეოგრაფიული საკითხების გადმოცემისას იგი განააყოფრებით უსვამს ხაზს საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას, მოაქვს მრავალი ენობრივ-ტოპონიმიკური ცნობები და ქართულ ლინგვისტურ ძირებზე დაყრდნობით იძლევა ბევრი საკითხის ორიგინალურ გაგებას. ამგვარი თხრობა გრძელდება წიგნის 24 კვერდზე.

როცა ეხება ეთნოგრაფიას მკვლევარი პირველ რიგში „ქართველური ტომების“ მომდინარეობის, მის პირველყოფილ ნათესაობასა და შემდეგ დროინდელ ძირეულ ცვლილებებს არკვევს და თავისებურ დასკვნებს აკეთებს. ასევე იგი იყენებს იმდროინდელ ახლად აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს წინა აზიასა და სომხეთში.

შემდეგ ეხება საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას, ამ გეოგრაფიულ-ეთნიკურ არეში მისი პოლიტიკური განფენილობისა და უფლებების საკითხს და მიღის საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე. აღსანიშნავია, რომ მკვლევარი საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვს უნარს, მის შინაგან ეროვნულ თვისებად მიიჩნევს და მის მომავალს მულამ პერსპექტივაში ხედავს. როგორც მისი სხვა წერილებიდანაც მტკიცდება ისტორიკოსს განზრახული ჰქონდა ამ ნაწილის შემდგომი გაფართოება და ცალკე წიგნად გამოცემა. ამის შესახებ ქვემოთ.

შრომის პირველ თავში იგი არკვევს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების დროსა და პირობებს, ისტორიკოსი დოკუმენტურად ააბუთებს, რომ საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარებამდე მრავალი ქრისტიანი ცხოვრობდა, რის გამო შესაძლებელი და საძიებელია მე-2—3 საუკუნეებში ქართული ტარს-

ბის არსებობა წმინდა ადგილებში. აქვეა მსჯელობა საარწმუნოების სიმტკიცესა და ზოგიერთ დარღვევებზე იმ დროის საქართველოში. შემდეგ ლაპარაკია უფლის კვართის საქართველოში არსებობაზე. არის ცდა იმის მტკიცებისა, რომ უფლის კვართი საქართველოში არსებობს პირველი საუკუნეებიდან. აქვეა გაბათილებული ყველა სხვა მოსაზრება და თეორია, რომელნიც სხვადასხვა ქვეყნის მიმართ ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ. /ჩნება რა ანდრია პირველწოდებული მოციქულის საქართველოში ყოფნას, მკვლევარი ძველი ქართული და ბერძნული სასულიერო მწერლობის მხარდაჭერით ცდილობს გაამტყუნოს ის მოსაზრება, თითქოს ანდრია პირველწოდებული მოციქული საქართველოში არ ყოფილიყო.

ცალკე თავია მიძღვნილი საქართველოში წმინდა ნინომღე ქრისტიანობის გავრცელების საკითხებისადმი. პირველ ქრისტიანთა, პირველ მოწაშეთა და პირველ მწერალთაში.

ასევე ცალკე თავშია გაშუქებული წმინდა ნინოს ცხოვრება. საყურადღებოა, რომ აქ არის პირველი ცდა, უცხოური და ქართული წყაროებს შეჯერებით დაწერილიყო წმინდა ნინოს მოძრაობის, მოღვაწეობისა და ცხოვრების ისტორია. მიმოხილულია ქრისტიანობის პროგრესი საქართველოში წმ. ნინოს შემდეგ. აქვეა აღწერა პირველი ეკლესიისა და თარგმნა საღმთო წერილისა. შემდეგ მოთხრობილია იმის შესახებ თუ რა პრეტენზიები ჰქონდა სომხურ ეკლესიას ქართული ეკლესიის მიმართ, კერძოდ ქართველთა კათალიკოსის დანიშვნის თაობაზე. აქვეა მოცემული პირველ თარგმანთა დადგენისა და გამოკვლევის ცდები.

წიგნის მეცხრე თავი წმინდა პოლიტიკურ-ისტორიული ხასიათისაა და საქართველოში არაბთა და სელჯუთა შემოსევის საკითხებს აშუქებს. ავტორს ამ საკითხებს დამუშავებისას გამოუყენებია დიდძალი სხვადასხვა ენაზე არსებული დოკუმენტალური მასალა და პირველწყარო. აქ შესანიშნავად არის ნათელყოფილი ის როლი, რაც შეასრულა საქართველომ წინა აზიაში ნსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის გადსარჩენად. სხვათაშორის დღესაც შესაძლებელი და სასარგებლო იქნება თუნდაც მარტო ამ თავის ცალკე წიგნად თარგმნა და გამოცემა.

შემდეგ თავში ლაპარაკია საქართველოში მონასტრული ცხოვრებისა და მონაზვნობის აღორძინებაზე. დიდ სამონასტრო მშენებლობებზე. აღწერილია ყველა ღირსშესანიშნავი ტაძარი, საქართველოსა თუ საქართველოს გარეთ (წმინდა ადგილებში), ლაპარაკია ამ მონასტრებთან დაკავშირებულ ღირსშესანიშნავ პირთა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ეკლესია-მონასტრების აღწერის შემდეგ, ავტორი იწ-

ეებს საქართველოს კათალიკოსთა ცხოვრების აღწერას და ცდილობს იმ დროს მომხდარ საყურადღებო ამბავთა გაკვირით გადმოცემას.

ამის შემდეგ ლაპარაკია მულალთა ანუ მონღოლთა საქართველოში შემოსევაზე, ქართული და ბრავალი უცხოური წყაროს მომველიებით ავტორი ცდილობს საქართველოსათვის ამ უღიდესი ისტორიული ტრაგედიის სწორად დახატვასა და გადმოცემას. ჩერდება კათოლიკე მისიონერთა გამოჩენაზე საქართველოში (ძე-12—13 სს.) და აღწერს მათ საქმიანობას. შემდეგ ებება გვიან ფეოდალური საქართველოს მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას, ქვეყნის შიგნით ატეხილ ფეოდალურ იშვებსა და თურქთა და სპარსთა შემოსევებს სამხრეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ კახეთის დაკარგვას — კათოლიკების მისიის უკანასკნელ ხანას—თიათინელ მისიონერთა (1626—1700 წლები) საქმიანობას, ამ დროს მომხდარ საქმეთა აღწერას,

კახუცინების მისიის მოღვაწეობას (1666—1845 წწ.), მათ სასულიერო, თუ პოლიტიკურ საქმიანობას, რასაც ისინი ეწეოდნენ საქართველოში და სხვა.

წიგნის უკანასკნელ თავში მოცემულია შრომის რეზიუმე და გაკეთებულია მეტად საყურადღებო დასკვნები.

მ. თამარაშვილის წიგნმა— *L'église géorgienne des origines jusqu'à nos jours. Rome, 1910* -- საქართველოში მოაღწია 1910 წ. ივნისში. ფრანგულის მცოდნე ქართული საზოგადოება მას უცბად დაეწაფა.

1910 წ. 25 ივნისს თბილისიდან გაგზავნილ წერილში ლ. გოზალიშვილი მ. თამარაშვილს სწერდა: თქვენი წიგნი „დიდის ამბით შე თვითონ გადავეცი ბ. ყიფშიძეს, თავადაზნაურთ კრებულის მოხელეს, რომ გარდაეცა თავმჯდომარისათვის. ჩემს იქ ყოფნისას ბლომად შემოვიღინენ, რო ნახეს წიგნი განცვიფრებაში მოვიღინენ... წიგნის სიდიადეზე და ავტორის მხნეობაზე... და უზენაესს ემადლნენ, რომ მოველინა ქვეყანას ჩვენი კულტურის დასავლეთში გასაცნობად თქვენი მაშობა. ვერ მოვახერხებ მათი სიხარულის გამოთქმას. დამპირდნენ, რომ ახლა მათნე შეგეწევიან, რომ სინდისი გაძსწორონ; მგონი 1000 მანეთამდინ გაახლონ... ბევრმა იფიქრეს ქართულ ენაზე ესეც აქ ითაონ რადგან ფრანგთა ენის მცოდნე და ქართულისა მოიპოება აქ აღვილალო“¹¹⁷.

1911 წ. 5 თებერვალს ცნობილი ქართველი მწერალი და ისტორიკოსი სიმონ ქვარიანი მ. თამარაშვილს ქუთაისიდან რომში სწერდა: „ეს ერთი თვეა რაც ჩამივარდა ხელში თქვენი ფრიალ შესანიშნა-

¹¹⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტი, № 10. საქ. 173, ფ. 88.

ვი თხზულება ფრანგულ ენაზე: *L'église géorgienne*“. წაკითხულმა აღტაცებაში მომიყვანა თავისი მეცნიერული ნაშენობით, საგულისხმო მასალა ფაქტებით და კარგი ფრანგული ენით. გულაზდილად მოგახსენებთ, რომ ეგ თქვენი კაპიტალური ნაშრომი ძვირფასი განძია ჩვენსა და ევროპის ლიტერატურაში. ამ საგანზე ჯერ მაგისი მსგავსი არაფერი დაწერილა. წიგნის ავტორს ეტყობა დიდი ერუდიცია და შრომის დიდი უნარი. ბ-ნ. მიხეილ ქვეშარიტად ვაშა თქვენს ბზნეობას, მეცადინეობას და სამშობლო ქვეყნის სიყვარულს¹¹⁸. და უცბად კვლავ მიხეილ თამარაშვილის გარშემო ახმაურდა მთელი ქართული პრესა. საქართველოს ეურნალ-გაზეთები ქართველი ისტორიკოსის ფრანგულად გამოცემულ წიგნს თავისებურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მას მსოფლიო რეზონანსის მქონე ნაშრომად მიიჩნევდნენ. ზოგი ქართველი კორესპონდენტი საკითხს სევამდა ამ შრომის ქართულ ენაზე თარგმნისა და დაბეჭდვის შესახებ. ქართულ პრესაში აღნიშნულ წიგნზე იბეჭდებოდა მოკლე ანოტაციები.

თბილისში მცხოვრები მისი ძმა სოლომონ თამარაშვილი გახარებული სწერდა 1910 წ. რომში მყოფ ძმას: „უფალმა უკეთეს განათლებას მიგწიოს. ქვეყანას უკვირს შენ რომ თავადაზნაურობას და პატრი ლაზარეს რომ წიგნი გამოუგზავნევი“-ო¹¹⁹ და ჩვენ გაგვახარე და ქვეყანაზე ხალხში გამოგვაჩინე და კაცური ფასი დაგვადებინეო.

მ. თამარაშვილის წიგნმა ევროპელი მკითხველის აზრსაყლები ინტერესი გამოიწვია. როგორც თამარაშვილისავე წერილიდან ჩანს, რაღაც ზუთიოდე თვის განმავლობაში 50-ზე მეტი რეცენზია დაიწერა ევროპის სხვადასხვა ეურნალ-გაზეთებში — ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ, იტალიურ, გერმანულ, პოლონურ და სხვა ენებზე. წიგნს უმაღლესი შეფასება მისცეს რომის პაპმა და კარდინალეებმა¹²⁰.

იმის ნათელსაყოფად თუ როგორი შეფასება მისცა ევროპის კრიტიკამ აღნიშნულ წიგნს, ჩვენ აქ მოვიყვანთ მოკლე ამონაწერს ცნობილი ფრანგი ეურნალისტის ჟოზეფ პტის რეცენზიიდან, რომელიც გამოაქვეყნა ფრანგულ ეურნალ „განათლებამ“, „...სახელოვანმა ავტორმა მიხეილ თამარაშვილს მოგვიძღვნა თავისი შესანიშნავი წიგნი ფრანგულ ენაზე. საუცხოო სტილით, სისწორით და გემოვნებით დაწერილი... ეს თხზულება შესანიშნავია ძველი ღრრის საბუთების და მასალების საქართველოს ეკლესიის შესახებ ბრძნული კრიტიკით და თავისი ქვეყნის მტერთა მიმართ წყნარი ტონით... შიგ გამოსკვივის

¹¹⁸ იქვე, საქ. 449, ფ. 5.

¹¹⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი № 10, საქ. 230, ფ. 2.

¹²⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 10, საქ. 173, ფ. 97.

მხურვალე, მაგრამ შეგნებულა პატრიოტიზმი ავტორისა, რომელიც ერთგვარი სისწორით აღნიშნავს თავის ერის, როგორც ბრწყინვალე საქმეებს, ისე შეცდომებს და საშუალებებს, რითაც შეეძლო მას თავი ეხსნა... თამარათის ნაშრომი ფრიალ საინტერესოა არა მარტო შინაარსით, არამედ იმ დიდი შთაბეჭდილებით, რასაც იგი ახდენს... მკითხველნი, რომელნიც შეიძენენ ამ დიდებულ თხზულებას, მიუძღვნინან მის ავტორს დიდ მადლობას. ისინი გულის ფანქვალით წაიკითხვენ ამ წიგნში საგმბრო ისტორიას იმ ერისას, რომელმაც მიუხედავად ხანგრძლივი და საშინელი დევნისა და ტანჯვაწამებისა შეინარჩუნა სიმამაცე, სულგრძელობა, სამართლიანობა და უმეტეს შემთხვევაში დარჩა თავისი ქრისტიანული ტრადიციების ერთგული¹²¹.

თამარაშვილის აღნიშნული ნაშრომი გამოითხოვა ევროპის თითქმის ყველა აკადემიამ და უშაღლესმა სასწავლებლებმა.

აღსანიშნავია რომ მეცნიერის შრომამ ბუქარესტის (რუმინეთი) აკადემიის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. თამარაშვილის, „ეკლესიის ისტორიას“ რუმინეთის მეცნიერები მაღალ შეფასებას აძლევენ და ყოველნაირ თანაგრძნობას უცხადებდნენ მის ავტორს. ისინი ცდილობდნენ ქართველ მეცნიერთან მჭიდრო კონტაქტი დაემყარებინათ და თავის მხრივ საქართველოს ისტორიის მეტად საყურადღებო ცნობებს სთავაზობდნენ. როგორც 1911 წ. 13 აპრილს წყერდა ზ. კიკინაძეს: რუმინელებმა თანაგრძნობის გამოცხადებასთან ერთად მომწერეს „ის გარემოება, რომელიც შეეხება ქართველ ანთიმოზ მღვდელ-მონაზონს... ეს იქ მისულა 1691 წ. დაუარსებია მონასტრები და დიდი მოღვაწეობა დაუღია იქაურობისათვის. ამ ანთიმოზის ორი ქადაგების წიგნი დარჩენილა, რომლებიც შეადგენენ რუმინელების საუკეთესო ლიტერატურას. იმის მოთავეობით ყოფილა რომ ტფილისში მიხეილ სტეფანეს-ძე უნგრელ-რუმინელი მოსულა და 1709 წ. ჩტამბა დაუარსებია. ამ დროს დაბეჭდილა ერთი ქართული სახარება და ერთიც ლიტურდიის წიგნი. სახარების ერთი ეგზემპლარი ჰქონიათ ხოლო ლიტურდიისა კი არა. ახლა მთხოვენ და მეხვეწებიან, რომ ეს მაშინდელი დაბეჭდილი ლიტურდიის წიგნი მოუპოვო“¹²². სხვა წერილებში რუმინეთის აკადემიის თანამშრომლები, სთხოვდნენ მ. თამარაშვილს, რომ „საქართველოს ეკლესიის ისტორიის“ მეორედ გამოცემის დროს გაეთვალისწინებინა ანთიმოზ ივერიელის ღვაწლი და ვინაობა და ამ შრომაში შესაფერი აღვილი მიეჩინა მისთვის.

¹²¹ Iosef Petit „Etudes“ 5, octobre, 1910, გვ. 148—150.

¹²² ლიტერატურის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდი № 5465—6.

რომის სასულიერო აკადემიის მოსწავლე თ. საფარაშვილი მ. თამარაშვილს 1911 წ. ივლისში წერდა: „თქვენმა ფრანგულმა წიგნმა ჩვენი იეროსინი ცამდის აიტანა. გავზავნით მისგან გამოგზავნილ მადლობის წერილს“¹²⁸.

ასეთსავე საინტერესო ცნობებს აწვდიდნენ მკვლევარს ევროპის, აზიის და აფრიკის ბევრი მეცნიერები, რომელთაც გაიცნეს მისი ღრუს შესანიშნავი შრომა.

თამარაშვილს ამ შრომებმა ერთგვარად შეაჯამეს უცხოეთში მოღვაწე ქართველ კათოლიკეთა პატრიოტული საქმიანობაც. რომ უფრო ნათელი გახდეს ამ პატრიოტული საქმიანობის შინაარსი ჩვენ მოკლედ დავახსიანებთ უცხოეთში არსებულ კულტურის კერებს, რომლის წევრადაც მ. თამარაშვილი ითვლებოდა.

როგორც ცნობილია მე-17 საუკუნეში სამშობლოს მოწყვეტილი, ერთიანი და ერთმორწმუნე მესხეთი მე-19 საუკუნეში მრავალი სარწმუნოებითა და უცხო შეხედულებებით გაბრუნებული დაუბრუნდა საქართველოს.

სარწმუნოებრივი სხვაობის მიუხედავად, მესხეთის იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრი საჭიროდ თვლიდა ქართული ენისა და ქართული კულტურის განმტკიცებასა და მის გარშემო გაერთიანებას. მაშინ ამ დიდი საქმის მეთაურებად გამოდიოდნენ ქართველი კათოლიკეები და თავიანთი საქმიანობით იძლეოდნენ საუკეთესო მაგალითებს. ქართველ კათოლიკეთა ცხოვრების ისტორია ქართული ერისათვის საუკუნეების განმავლობაში ბრძოლის ისტორიაც იყო. მათი აზრით ქართული ენის განმტკიცება-შენარჩუნების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართულ წიგნს (ამ შემთხვევაში ტიპიკონს). რა ენაზე იქნებოდა იგი შესრულებული, რა ენაზე დაიწყებდა მრევლი კითხვას, წირვას, გალობას....

ისინი ფიქრობდნენ, რომ ქართული წიგნი შეამცირებდა უცხო ენების შემოტევას და დაიცავდა მის ეროვნულ თვითმყოფობას. ამ ფიქრს გადაყოლილმა ანტონ ხუციშვილმა ოჯახის მომღვეწო წევრმა იოსებ ხუციშვილმა (ხუციანო) 1836 წ. სრულიად დამოუკიდებლად ქ. ახალციხეში ჩამოასხა ლითონის ასოები და შექმნა თავისებური ორიგინალური ქართული სტამბა. ამ ფაქტს მესხეთის კულტურული დაწინაურების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მესტამბე-ვამომგონებელი თავისი მკითხველისადმი მოხსენებაში წერს:

¹²⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტი ფ. № 10, საქ. 403, ფურც. 6.

ჩემს ძალაზე მეტი საქმე დიაკნობაშიდ ავსახე,
სადნობელი მადნისაგან წერვის ასონი ჩავსახე.
საბეჭდავი არ მენახა, ორი საქმე გამოვსახე,
ქურსი ეპკარი ჩამოვასხი, ქალაზზედა ასო ვსახე
წამკითხველსა გიაღვილებს, ამ წიგნის თარეღი ნახე.

სტამბაში იოსებ ხუციშვილმა ჯერ სასულიერო და შემდეგ საერო წიგნების ბეჭდვა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მისი შრომა დაკავშირებული იყო ბევრ უსიამოვნებასთან, მესტამბე გამოშვონებელი ამავე მოზუნებელს ბოლოს სიამოვნებით გვამცნობს „სასჯელი ბევრი გავსწიე, გვირგვინილ მივეცი ერსა“ (ეს დაბეჭდილი წიგნებით — შ. ლ.). ახალციხის მწარეთმცოდნეობის მუზეუმსა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის საცავებში იოსებ ხუციშვილის სტამბაში დაბეჭდილი ხუთიოდე წიგნი დღემდე შემონახული. ეს ფაქტი მით უფრო საყურადღებოა რომ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში თბილისის უწყებათა ქართული სალიტერატურო ნაწილის გაუქმების შედეგ ქართულ ენაზე სტამბურის წესით საქართველოში აღარ იბეჭდებოდა არაფერი. ამ დროს ხუციშვილის სტამბა ერთადერთი ქართული სტამბა იყო ჩვენში.

როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა იოსებ ხუციშვილი არ ზოგავდა ძალასა და ენერგიას ქართული სწავლა-განათლებისათვის მესხეთში. სარწმუნო ცნობებიდან ჩანს, რომ პირველად მას საკუთარ ოჯახში ჰქონია ორი სასწავლებელი: ვაჟთა და ქალთა. ვაჟთა წვრთნა-განათლების საქმეს უძღვებოდა თვით იოსებ ხუციშვილი, ხოლო ქალებთან მუშაობდა მისი ახლობელი ნათესავი ქალი, თანამედროვეთა სიტყვით ზედმიწევნით განათლებული და სათნო მანდილოსანი თერე ხუციშვილი. სასწავლებელში იოსებ ხუციშვილი საკუთარ სტამბაში დაბეჭდილ წიგნებს ოყენებდა და მოსწავლეებს სრულიად უსასყიდლოდ ურიგებდა. ი. ხუციშვილი დაბეჭდილ წიგნში ალაგ-ალაგ სტოვებდა თავისუფალ ფურცლებს, რომელსაც შემდეგ საკუთარი ხელით ზატავდა და ჩუქურთმებითა და არშიებით აფერადებდა. ხუციშვილის სტამბაში ბოლოს და ბოლოს უაღრესად ეროვნული მოწოდებების ბეჭდვამ ის გამოიწვია, რომ გასული საუკუნის 70-იან წლების ახლოს მეფის აგენტებმა იგი მოსპეს.

იოსებ ხუციშვილი დაბადებულა 1797 წლის ახლოს სოფელ ხიზაბერაში და გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული 1890 წელს, მისი მოწაფე ვინმე მესხი ამ მეტად თავისებური ადამიანის შესახებ წერს:

„იგი გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული. სიკვდილის ორი წლის წინედ მან თავისი ხელით გათხარა და მოამზადა საფლავი; როცა

მოსხენება

ჩემს ბარბე მეტი საქმე რომეზნაძემი აქსახე
საგონილო მარანსვან, წყვილის ასონი ჩემსახე
სამეჭრავი არ მენახა, რიი საქმე გამოქსახე
ქუჩის უქანი ჩამოქსახე, ქარაქსახე ასო ქსახე
ქაშეთხვექსახე დეიქსახე, ამწივნილ თახეი ნახე
ჩინი ასო ქველი რაიქსახე, უქანი მოსახელის მინახე

როსტათი რასით უქანი უქანი მასთან გამოქსახე
სახელი თახეი მან გამოქსახე, მუხეთი თვის შვირანახე
არქანსახე იქსახე ბარბე, მუხოსხენდათ თახეი
სახელი ბუქი ბუქი, გვირგვინათ ბუქი ქსახე
სახელი ბუქი ქსახე, ქსახეთით ბარბე თახეი
მიმოსხენიო მუ ბარბე, თქენი რასი რასი

მოკვდები აქ დამმარხეთო. და მართლაც იქ თავის ამოთხრილს საფლავში განისვენებს ნეტარხსენებული ჩვენი მესხ-ჯავახი ჰუტენბერგიო¹²⁷.

ი. ხუციშვილის საფლავი დღეს დაკარგულად ითვლება. მისი მიკვლევა და დადგენა კი სრულიად იოლი საქმეა. იგი დასაფლავებულია ახალციხის კათოლიკეთა ჯვრის მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელთან.

სამშობლოდან უცხოეთში გადახვეწილ ქართველ კათოლიკე მოძღვართა ერთმა ნაწილმა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ხელი მიჰყო კულტურულ საქმიანობას და ქართული წიგნების დასტამბვით შეეცადა სამშობლოსათვის მიეგო თავისი მცირე მისაგებელი. თანდათან ამ მოძღვართა წრეში გაჩნდნენ მთარგმნელი ლიტერატორები, მწერლები და ამ საქმის ენთუზიასტები: მამულაშვილი, ხარისჭირაშვილი, წინამძღვრიშვილი, მერაბაშვილი, გვარამაძე, ხუციშვილი, ბათმანაშვილი და სხვანი.

50-იან წლების ახლოს ლიტერატურული საქმიანობა ყველაზე მეტად მომწიფებული ჩანდა იმ ქართველ მოძღვართა შორის, რომელნიც ვენეციის მხიტარისტთა კონგრეგაციაში იყვნენ გაერთიანებულნი*.

ბევრ მხიტარისტ მეცნიერს, როგორც ლინგვისტსა და აღმოსავლეთმცოდნეს ანგარიშს უწევდნენ ევროპელი მეცნიერები და სამეცნიერო დაწესებულებანი.

1846 წ. მხიტარისტთა კონგრეგაცია მონინახულა მარჩი-ფელისტე ბროსემ. მარი ბროსემ კონგრეგაციის ახლად დანიშნულ

¹²⁷ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი...

* სომეხ მხიტარისტთა კონგრეგაცია (გაერთიანება) ჩამოყალიბდა ჟერ კიდევ 1701 წ. კათოლიკე მღვდლის მხიტარ საბასტაციის ინიციატივით.

1717 წლიდან კონგრეგაცია ვენეციაში გადავიდა და დამკვიდრდა წმინდა ლაზარეს კუნძულზე, სადაც დღემდე არსებობს.

მხიტარისტებმა გარკვეული როლი შეასრულეს სომხური ფილოლოგიის განვითარების საქმეში. ისინი სცემდნენ ძველი სომეხი მწერლების შრომებს, გამოკვლევებს, ლექსიკონებს, თარგმნიდნენ ძველ ბერძნულ და რომაულ ლიტერატურას ძველ სომხურ ენაზე (გრაბარ), ზოგჯერ ისინი არქეოლოგიურ გათხრებსაც აწარმოებდნენ, კიდევ აგროვებდნენ ნუმიზმატიკურ და ეთნოგრაფიულ მასალებს და სხვა მხიტარისტების კონგრეგაციაში ბევრი ქართველი მოძღვარიც გვხვდებოდა, რომელიც სომხურ რიტზე იდგა და სომხურის ეამკანუნიო ლოცულობდა.


დირექტორ გეორქ ხურმუზიანტთან გამოსთქვა სურვილი კონგრეგაციის საშუალებით ქართული წიგნების გამოცემისა¹²⁰.

ეს საკითხი კონგრეგაციაში როგორც ჩანს შემდგომაც მრავალგზის ყოფილა დასმული. ისიც ნათლად დგინდება, რომ ამ საკითხს ყველაზე მეტად მხარს უჭერდნენ კონგრეგაციის ძმებად გაერთიანებული ქართველი კათოლიკენი. პოლოს და ბოლოს ამ ქართველ კათოლიკეთაგან ყველაზე დიდი უნარი და მორგანიზებელი ნიჭი გამოიჩინა ახალციხელმა აბატმა პეტრე ხარისჭირაშვილმა. მან მსიტარისტთა ძმობაში, როგორც ჩანს, შექმნა ქართული ჯგუფი, რომელმაც რთული საგამომცემლო საქმე ითავა.

პეტრე ხარისჭირაშვილი დაიბადა ქ. ახალციხეში 1804 ან 1805 წ. იგი სწავლობდა ჯერ ახალციხის წმინდა ნათლისმცემლის ეკლესიის სკოლაში პავლე შაჰყულიანის (ხომეზურაშვილი) ხელმძღვანელობით, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა და ლიტერატურა. პავლე შაჰყულიანი იმ დროის კვალობაზე ფრიად განათლებული და გამოჩენილი პიროვნება იყო. იგი, როგორც თარჯიმანი თურქეთ-საქართველოს პოლიტიკურ საქმეებშიც ჩართული პირი გახლდათ. სარწმუნოებით სომხურ კათოლიკურ რიტზე იღვა. თანამედროვეთა სიტყვით იგი აგრეთვე შესანიშნავი მწიგნობარი და მთარგმნელი იყო. მის მიერ სხვადასხვა ენებიდან ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნები მე-19 საუკუნის ბოლომდე ინახებოდა ახალციხის ნათლისმცემლის ეკლესიის წიგნთსაცავში, რაც შემდეგ უკვალოდ დაიკარგა.

პავლე შაჰყულიანთან საჭირო კურსის გავლის შემდეგ პეტრე ხარისჭირაშვილი სწავლობდა ევროპაში. ევროპიდან დაბრუნებულ პეტრე 1842 წ. ეკურთხა მღვდლად და მაშინ უკვე არქიმანდრიტ პავლე შაჰყულიანის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. 50-იანი წლების ახლოს სომეხ და ქართველ კათოლიკეთა შორის ატეხილი დავის გამო, პეტრე ხარისჭირაშვილი, რომელიც არარატაინის წინააღმდეგ იბრძოდა, ახალციხიდან სოფელ ხიზაბავრაში იქმნა გადაყვანილი (გაძევებული), ხოლო 1856 წელს წავიდა საზღვარგარეთ და მხატვარისტთა ძმობას შეეკედლა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქ მან ქართული წიგნების გამოცემისათვის თავგანწირულად იშრომა და 1858 წ. შესძლო დაებეჭვა საკმაოდ მოზრდილი წიგნი: „ისტორია გინა მოთხრობა ხალმრთო წერილისა ძველისა და ახლის აღთქმათა, თარგმნილი ქართულს ხმასა ზედა წიგნთ საბეჭდავსა შინა წმინდა ლაზარეს მონასტრისასა“. მოძღვენო 1859 წ. მან აქვე მოახერხა კიდევ ორი ქართული

¹²⁰ გაზ. „Кавказ“, № 48 30/II—1846.



პეტრე ხარისკირაშვილი

წიგნის დაბეჭდვა ეს წიგნებია „წმინდანების ცხოვრება“... და „იგავნი იეზებოს ფილოსოფოზისანი“... ყველაფერი ეს კეთდებოდა „ივერიის სასარგებლოდ“, მთელი ქართველი ზალხისათვის, და კეთდებოდა ეს ყველასათვის გასაგები ენით. ერთ-ერთი გამოცემის წინასიტყვაობაში მთარგმნელი შენიშნავს: „ვისურვეთ, რათა წიგნი ესე ყოფილიყო თარგმნილი მდაბიურს ენასა ზედა, რათა ყოველთა ამის კითხვით და სიადვილით გულისხმის ყოფითა ძალ იღვან ნაყოფის გამოღებამ“-ო.

ჩვენ არა გვკონია სიძაბულეს შეეფერებოდეს ძველი და ახალი აღთქმის ისტორიის წინასიტყვაობაში მოტანილი ავტორის განცხადება; რომ მას არა ჰყავდა წიგნის გამოცემის დროს „ვინმე შემწეობა და არცა თანამშრომელი პირი ვინმე ქართული ენის მცოდნე“. ძალიან ჭაბუკვოა, რომ ამხელა საქმე: თარგმნა, გალაწერა, აწყობა, დსტამბვა და სხვა ერთ კაცს შეეძრულებინოს. მით უმეტეს, რომ აქ გამოცემული წიგნები, როგორც ენისა და სტილის, ისე ტექნიკურის მხრით, საკმაოდ კარგად არიან შესრულებულნი. ამ წიგნთა ავტორ-გამომცემელნი უაღრესად თავდაბალნი, კეთილსინდისიერი და მორიდებული მუშაკნი იყვნენ. ამდენის უფასო შრომის გაწევისათვის ისინი მკითხველთაგან მხოლოდ მიტევებას ითხოვდნენ და თავმდაბლად იხვეწებოდნენ ნუ გაკიცხავთ ჩვენს ქართულსო.

„პატრიეცემულო აღმომკითხველნო
და წიგნთა ამათ დამმშუტნებელნო,
გლოცაეთ თქუტნ მდაბლად რათა შეგვინდოთ
თუ რომ რამ ცთომა მათშიდ იხილოთ.
ნუ ეკიცხოდგეთ ჩუტნსა ქართულსა
და ნურც თუ რამ ლექსს უშვეერს ჩართულსა.
უძლურებასა ბუნებრივს კაცის,
გულკეთილ ექმნეთ და ცთომას ბეჭდვის.
თუმც კი ვფრთხილობდით ყოველნაირად
განწყობად ყოველ ლექსთაცა წრფელად,
გარნა მოხვდების, ვითარცა უწყით
ზოგჯერ რამ ცთომა ქმნილი შემთხვევით“¹⁰⁰.

¹⁰⁰ ინჯაჩიანი ლუკა, „წმინდანების ცხოვრება“, თარგმნილი და გამოცემული ქართულს ხმასა ზედა. ვენეტიკი, წიგნთ საბეჭდავია წმინდა ლაზარეს მონასტრისასა, 1859 წ., გვ. 7.

ისინი ყოველთვის „დიდი ქართლოს სამამულოს“ საქართველოს ტრფიალში იყვნენ და უხაროდათ, რომ მეცხრამეტე საუკუნის შუაწლებსათვის

„განელო რჩეულს საქართველოსა
ბჰე ესე ქებულ მწიგნობრობისა
და მშუჭნიერთა წიგნთა ქონვისა“¹⁰⁰.

ვენეციაში გამოცემული ქართული წიგნებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „იგავნი იეზებოს ფილოსოფოზისანი“. წიგნში სულ 95 იგავია მოთავსებული. იგი ლათინურიდან თარგმნილი ჩანს. როგორც პირველი წიგნიდან ვგებულობთ, ნაგულისხმევი ყოფილა, ეს იგავეები გამოცემულიყო ორ ტომად. პირველი ტომი დასტამბულის სახით არის ჩვენს ბიბლიოთეკებში, ხოლო მეორე ტომი არსად ჩანს. შესაძლებელია იგი აღარც დასტამბულა. იეზებოს იგავთა მთარგმნელი ქართული ენის შესანიშნავი მცოდნეა. იგი თარგმნის დროს აშკარად ბაძავს სულხან-საბა ორბელიანის სტილს, და თითქმის იმეორებს მის ბოლომდე დაწურულსა და შემოკლებულ წინადადებებს, თუმცა საბა მაინც საბაა და იმ სიმაღლემდე ჩვენი მთარგმნელი ვერ აღის.

რაც შეეხება იეზებოს გავლენას ს. ორბელიანზე ჩვენ იგი უსაფუძვლოდ გვეჩვენება, რადგან ამ იგავთა ნამდვილი ავტორი ჯერ კიდევ არ ჩანს. მეცნიერთა უმეტესობა იეზებოს, ამ ხალხში მოარულ იგავთა მხოლოდ შემკრებად მიიჩნევს, ეს მოარული იგავეები თითქმის ყველა ხალხსა და ქვეყანაში იყო გავრცელებული და ამ იგავთა სიუჟეტებს ბევრი ცნობილი მწერალი იყენებდა ხოლმე. ცნობილია, რომ საბას თანამედროვე ფრანგი პოეტი და მეიგავე ეან დე ლა ფონტენ (1621—1695), რომელმაც იგავთა 12 წიგნი დაწერა, გაბედულად იყენებდა თავის ნაწერებში აგრეთვე ამ ცნობილ სიუჟეტებს, ასევე იქცეოდა ცნობილი რუსი მწერალი კრილოვი. ხალხში გაბნეულ ამ მარგალიტებს უდიდესი გულმოდგინებით კრებდა ჩვენი საბა ორბელიანიც და თავისი დიდი ნიჭისა და სიტყვის მაღლით უკვდავყოფდა მათ. ერთი და იგივე სიუჟეტებზე შექმნილ ნაწარმოებთა ავტორები ყოველთვის საასპარეზოდ გამოსულ ფალავენებს ჰგვანან, რომელთა ჭიდილი უმთავრესად მხატვრულს სფეროში მიმდინარეობს. ამ ასპარეზზე ბევრი დამარცხებულა და თავდახრით დაუტოვებია სარბიელი. ისტორიამ მხოლოდ იეზებოს, სულხან საბა ორბელიანს,

¹⁰⁰ „წმინდანების ცხოვრება“, გვ. 2.

ქან დე. ლ. ფონტენს კრილოვსა და რამდენიმე სხვას დაადგა თავზე მარალ გამარჯვებულს წმინდა გვირგვინი.

პეტრე ხარისჭირაშვილმა თავისი საქმიანობით ვატიკანის ყურადღება დაიმსახურა და იმდენს ეცადა რომ მისი უმაღლესი სამღვდლოებისაგან გამოითხოვა ნება—ქ. კონსტანტინოპოლში ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციის შექმნისა, ქართულის ენითა და ტიპიკონით. 1859 წ. პ. ხარისჭირაშვილმა „დააფუძნა მონასტერი კონსტანტინოპოლს ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახების სახელზედ. და განამრავლა მღვდელ მონაზონნი და მოლოზნები“. კონსტანტინოპოლში (ფერიქოვს) გადმოსვლამ რამდენიმე ხანს თითქოს შეაჩერა ვენეციაში დაწყებული საგამომცემლო საქმიანობა, მაგრამ ეს მოხდა დროებით. პ. ხარისჭირაშვილის მოუსვენარი ბუნება და დაუცხრომელი სული ვერ ითმენდა კეთილად დაწყებული საქმის მიტოვებას და მან აქაც დაიწყო შექმნა საბეჭდი მანქანისა, ზოგი რამ გადმოიტანა ლაზარეს კუნძულიდან, ზოგიც სხვაგან მოიძია, გამონახა სტამბახანის ადგილი და 1870 წელს ქ. კონსტანტინოპოლშიც აამუშავა ქართული სტამბა ეს სტამბა შემდეგ ისე გაიზარდა, რომ სრულიად დამოუკიდებელი წარმოების სახე მიიღო, რომელსაც ჰყავდა თავისი მომსახურე პერსონალი. 70—80-იან წლებში სტამბის დირექტორად მუშაობდა ანტონ გოზალიშვილი.

როგორც ქართველთა ძმობის, ასევე საგამომცემლო საქმის გაშვებელი იყო პეტრე ხარისჭირაშვილი. პეტრე ხარისჭირაშვილმა საგამომცემლო საქმე ისე დააყენა, რომ წიგნთა ავტორებსა და მთარგმნელებს ჰონორარიც კი დაუშინა, რასაც „შეთხზვის ხარჯი“ და „თარგმნის ხარჯი“ ეწოდებოდა. 1877 წ. პ. ხარისჭირაშვილი ი. გვარამაძეს სწერდა: „მიახლებია თქვენთვის 25 მანეთი... აქედან 5 მანეთი დაიჭირეთ წ-ა ესტატის ლექსებისათვის, 10-მანეთი წ-ა ეგნატის რვა დღის წურთვნისათვის და 10—მანეთი როტურველის წიგნისათვის, რომელიც უნდა დასთარგმნოთ“-ო¹²¹. ე. ი. ზოგიერთ შემთხვევაში „დათარგმნის ხარჯი“ წინდაწინაც ეძლეოდა მთარგმნელს.

არსებული წესის მიხედვით, დასაბეჭდად გამზადებული წიგნი სამცალად უნდა წარდგენილიყო. ერთი ცალი ინახებოდა მთავარ მონასტრის ბიბლიოთეკაში, მეორე დედათა მონასტერში, ხოლო მესამე მილიოდა სტამბაში, საიდანაც ხდებოდა აწყობა¹²². ზოგჯერ წიგნთა გადაწერისათვისაც ცალკე ხარჯი გაიცემოდა „ამ ორი წიგნის გადაწერისათვის რასაც თქვენ შერაცხამთ იმოდენ ფულსაც კიდევ მოგარ-

¹²¹ ახალიციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 2202.

¹²² იქვე.

თმევ მე მათი გადათარგმნის ფულს გარდა“¹²³ — წერდა ხარისჭირა-
შვილი ვინმე მესხს.

გამოცემლობის ძირითად შემოსავალს შეადგენდა გაყიდული
წიგნებიდან შემოსული თანხა. ამიტომაც იყო რომ გამოსაცემ წიგ-
ნებს ისინი გულმოდგინედ ადგენდნენ, „თუ დაიბეჭდება იმისთანა
რამე უნდა დაიბეჭდოს, რომელიც ჭერ არ იყოს დაბეჭდილი, ეგრეთ
საჭირო და სასარგებლო მსგავსად „ბუნების კარისა“¹²⁴ — წერდა
1873 წ. პეტრე ხარისჭირაშვილი. იგი ყოველმხრივ ცდილობდა დაბეჭ-
დილი წიგნები გაწყობილი ყოფილიყო კარგი ქართული ენით, რომ
ყველასათვის გასაგები ყოფილიყო და მყიდველიც მეტი დასტანე-
ბოდა. ხარისჭირაშვილი თავის მთარგმნელებს ყოველთვის გაზეთ
„დროების“ კარგ ქართულზე მიუთითებდა და ავალუბდა „დროება
გაზეთის ენაზე დაითარგმნოს ესენიო“¹²⁵. თორემ ცუდ ქართულზე
თარგმნილი წიგნები არ იყიდება და ჩვენც დიდ ზარალში ვცვივითო.
მაგალითად „ცხოვრებულ მანუშას ნათარგმნი წიგნები რომ დაესტამ-
ბე ცუდი ქართულის მიზეზით არ გაიყიდა და დავიღუპეო“¹²⁶ ჩი-
ოდა იგი.

ზოგიერთი, მონასტრის ძმა და მოძღვართაგანი კრიტიკულად
ეკიდებოდა საგამომცემლო საქმეს და პ. ხარისჭირაშვილის
გეგმები ყოველთვის არ მოსწონდა. ისინი მოითხოვდნენ გამოსაცემი
წიგნები შერჩეულიყო უფრო პრაქტიკული კუთხით. ე. ი. გამრავ-
ლებულიყო სასწავლო და საყოფაცხოვრებო ხასიათის წიგნების გა-
მოცემა და შემცირებულიყო თეოლოგიური ხასიათის წიგნების ბეჭ-
დვა და საერთოდ შეწყვეტილიყო კათოლიკური ტრაქტატების გა-
მოცემა „იმისათვის რომ, — ასაბუთებდა პავლე კალიაჯიშვილი —
ქართულს ენაზედ მოლაპარაკე კათოლიკები ძალიან ცოტანი არიან
და ამათგანიც ხუთიწილი უსწავლელი და ლარიბები. რუსის სარ-
წმუნოების გაღარიბებულ ქართველებს მაგისტანა საკითხავი წიგნე-
ბის კითხვა არ ეხალისებათ დ ისიც კათოლიკებისაგან გამოცემულე-
ბი. და თუ მისთვისა, რომ საქართველო ჭერ კიდევ სიყმაწვილეშია
მომეტებულ ნაწილი და მაგნაირი მძიმე საქმლის მონელება არ შეუძ-
ლია და არც მიიღებს რადგან გემო არ იცის. აუდ საქართველოს
ჩემის აზრით ამ დროში სჭირია სახალხო წიგნები, მაგრამ არა იმის-

¹²³ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 2202.

¹²⁴ იქვე.

¹²⁵ იქვე, № 2204.

¹²⁶ იქვე.

თანები, რომელშიც არავითარი აზრი და მიზანი არ არის თუ არ ყვლეფა ხალხისა. არა ბატონო ა-ღ იმნაირი სახალხო წიგნები რომ ხალხსაც უყვარდეს იმნაირი წიგნების კითხვა და სარგებლობაც მოუტანოს. ჩემის აზრით კარგი იქნება, რომ გამოიცეს ქართული გრამატიკა, მაგრამ ახალი ენისა, მოკლე ისტორია საქართველოსი, მოკლე გეოგრაფია საქართველოსი, თუ შეიძლება კარტებიც, საღმთო ისტორია მოკლე, სათემო ისტორია მოკლე და მისი გეოგრაფია, საქარისტიანო მოძღვრება მოკლე განაკვეთი და არა ასრე ყრუ. ბუნებითი საგნების განმარტება რაც კაცს გარეშე არტყია, ესეიგი მოკლე წიგნებით და ცალცალკე: ბოტანიკა; ასტრონომია, ზოოლოგია, ზი-მია, ფიზიკა და გეოლოგია. ასე რომ ესენი იყვნენ მოკლეთ და ცხა-დათ. ამასთან არც შეუფერებელი იქნება სამკურნალო საშინაო წიგ-ნის გამოცემა და სხვა ამისთანები და როდესაც ესენი გასაღდებთან და ხალხი მიეჩვევა ამ წიგნების კითხვას, მერმე შეიძლება მოაყოლოს ის სერიოზნი წიგნებიცა. სხვაფრივ კი უნაყოფოდ დარჩება და ხალ-ხი უფრო დაფრთხებაო“¹²⁷. პავლე კოლაიჯიშვილს არ სიამოვნებდა, რომ ზარისჭირაშვილს „არავისი არც ჭკუა მოსწონს და არც რჩევას მიიღებს“¹²⁸ ჩვენგან როცა რაიმეს ვეუბნებითო.

როგორც იტყვიან თავის საქმისა თვითონ უკეთესად იცოდა პ. ხა-რისჭირაშვილმა და მის სტამბაში ამ დროისათვის ბევრი სასწავლო და სახალხო წიგნებიც დაიბეჭდა.

1873 წ. ზარისჭირაშვილი ი. გვარამაძეს შეკვეთას აძლევდა: „მოგ-წერე ერთი ქართული ღრამატიკის გაკეთება და იმედი მაქვს, რომ თავის დროზე კიდევაც გააკეთებთ იმასა... ჯერჯერობით მჭირდება ერთი მოკლე ქართული ღრამატიკა, ამისათვის მე დავიწყე აქ მოკლე ქართული ღრამატიკის გაკეთება და კიდევაც გავაკე-თე. მისი დიდი ნაწილი და დანარჩენ მცირე ნაწილსაც მალე შევასრუ-ლებ და იმასაც გამოგიგზავნი შესასწორებლად“-ო¹²⁹

კონსტანტინოპოლის აღნიშნულ სტამბაში ამ წლებისათვის დაბე-ჭდილ წიგნებს შორის აღსანიშნავია: „ყვავილების კონა“, „გზა ცხო-ვრებისა“, „მოკლე რიტორიკა“.

აი თქვენ შლით „ყვავილების კონას“ და არ გჯერათ, რომ ეს ლექსები საეკლესიო წიგნებში იწერებოდა.

¹²⁷ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდები № 2670.

¹²⁸ იქვე.

¹²⁹ იქვე, № 2203.

„მიყვარს ვენახი ხევანი,
ხშირი სმა, ხილის ძლევენი;
ყურძნისა მწიფე მტვევანი,
ტკბილის სმა, ღვინის ლევეანი.
გაშლილა სუფრა ღვინისა,
ღრო არის აწ ნადიმისა,
ძმარ რამ გარდაღმისა?
ან ღაჭე ან გაღი მისსა.

მოყვრისა ჭაჭვეთ რთულითა
ღაბმულხარ ათეეც კრულითა
რიგდება ღვინო კულითა
ღალოცე ძმანი გულითა
ესვათ საღლეგრძელო ღვინითა,
მათ კათხით, ჩვენ კი მინითა
ვიხაროთ ტკბილის ღვინითა
გაეხაროთ მტერი ვინითა...“¹⁴⁰.

ღა მათ ამ ლექსებში სწამღათ რომ „ჩვენი მამული ჩვენი გვა-
რია, ქართლოსის მოღმა უკვღავ მყარია“ ღა ეს ქვეყანა მტერთა
მძღველი, კვღავ აღსღგებოღა როგორც შეჭფერის. მათი სიტყვით
ამგვარი ლექსები მამულის სიყვარულისაგან გულგანგრიღებულთა
წამღად ღაწაღები იყო¹⁴¹. მამულისა ღა საზოგადოების ზრუნევაზეა
საუბარი კონსტანტინოპოღშივე გამოცემულ „მოკლე რიტორიკაში“.
„ღღემღინ — ვკითხუღობთ მის წინასიტყვაობაში — არ ყოღიღა
რიგიანი ხეღად სახმარი მჭერმეტყვეღების წიგნი ჩვენს ღღეღენაზე-
ღა; ღა არც არავის მიუქცევიღა ჭეროვანი ყურადღება ამასა ზეღა,
რათა საზოგადოებღს მისცემოღა რამე საშვეღი სწავღის გაღღვიღე-
ბისა... ამისათვის შევეუღღქით ამ ხეღად სახმარი მჭერმეტყვეღების
გამოცემის შრომაღსა ღა სწავღულ პირთა მიბაძვით გამოვჭკრიბეთ
ძვეღი ქართული აღღვიღებითგან სახმარნი მაგალითები რაც შეიძღ-
ბოღა. რაც არა ღა გარღმოვიღეთ ქართულად, როგორც ოქროპირი-
სა ღა რომაელთ მწერღებისა აღღვიღები, რათა სასარგებლოდ ღაუ-
შთეს საზოგადოებღსა“-ო¹⁴². საზოგადოებისა ღა ერისათვის შრომა
მათი უპირვეღესი ამოცანა იყო.

¹⁴⁰ ყვაღიღების კონა, გინა რჩეულ ლექსები, 1877 წ. კონსტანტინოპოღი,
გვ. 18.

¹⁴¹ იქვე, გვ. 2.

¹⁴² მოკლე რიტორიკა, გინა მჭერმეტყვეღება სასარგებლოდ ახალგაზრღა ყმა-
წვიღ კაცთა, კონსტანტინოპოღს, ანთუან გეიზღინის სტამბაში, 1879 წ.

ერისათვის ზრუნვის გზაზე, მშობლიურ ენაზე მდიდარი ლიტერატურის შექმნას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან „სხვათა ენით განსწავლა და მშობლიური ენის არ ცოდნა მამულს ვერ მოუტანს ვერავითარ სარგებლობასაო“¹⁴³...

თარგმნის დროს ავტორმა მთავარი ყურადღება აზრის მართლად გადმოღებასთან ერთა თავისი დედაენის სიწმინდეს უნდა მიაქციოსო და ვინც თარგმნის დროს მიჰყვება თავისი დედაენის ფორმას, თვისებას და არა მხოლოდ სწორად გადმოღებასა — ცხადია, რომ კარგ ქართულს წარმოასთქვამს ის მთარგმნელიო¹⁴⁴. თარგმნით ხელოვნებაში მიუთითებდნენ ჩვენს წინაპართა მაგალითებზე. მათ განსაკუთრებით მოსწონდათ გიორგი ხუცეს მონაზონისა და ეფთიმე და გიორგი მთაწმინდელელების სხვათა ენიდან ქართულად გადმოღებული შრომანი¹⁴⁵. ამრიგად თარგმნილი წიგნები ხელს უწყობენ სწორ აზროვნებასა და სწორ მჭერმეტყველებასო.

ამ წიგნთა ავტორები ორიგინალური თხზულების ბრწყინვალე ნიმუშად ასახელებენ შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანსა“ და სულხან საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“. ამიტომ შემთხვევითი არ არის რომ „რიტორიკის“ შემდგენელმა მარტო რუსთველის ვეფხის ტყაოსნიდან მოიტანა ასორმოცდაათზე მეტი მაგალითი ღრმა აზროვნების, ხატოვანი თქმის, მარტივი გამოხატვის და სწორი მეტყველების ნიმუშად.

„როგორ გაიწყობა სიმარტივე ლაპარაკში?“—სვამს კითხვას ავტორი და იქვე მიუგებს: „როცა თავისი გვარის წარჩინებული ძველი მწერლების ლექსებსა ბუნებითი მნიშვნელობისამებრ და იმათი სიტყვის სქესსა (კილოს) იხმარებს, და არა შემოსულს, ახალგამოგონილს და რიგ გარეთსა... მით მჭერ მეტყველი ხშირად უნდა კითხულობდეს ძველებური კარგი მწერლების თხზულებებსა, რათა დახელოვნდეს დედა ენაშიდ“¹⁴⁶.

ავტორის აზრით ახალი „ლექსებისა“ თუ სხვა თხზულებათა „გაწყობი“ დიდად ნიჭიერი უნდა იყოს, რათა შესძლოს „ზოჩიერად“ გაწყობა-ჩამოსხმა, შეეძლოს „სხმით გარდასვლითა რთულ ჰყოს ლექსები, მაგრამ დიდად კი უნდა უფრთხილდებოდეს არ იხმაროს ღრამატიკის ახირებული კანონები“-ო¹⁴⁷. რადგან ენის კანონებს

¹⁴³ მოკლე რეტორიკა, ვინა მჭერმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა, კონსტანტინოპოლს, ანთუან გვიზლინის სტამბაში, 1879 წ.

¹⁴⁴ იქვე, გვ. 111—112.

¹⁴⁵ იქვე, გვ. 121—122.

¹⁴⁶ იქვე, გვ. 1.

¹⁴⁷ იქვე, გვ. 2.

ქმნის ხალხი, მწერლობა და არა გრამატიკა. „გრამატიკა — მისივე სიტყვით — არის ცოდნა თბულებების იმ კანონებისა, რომელნიც მოლექსეთა და მწერალთაგან... მრავალჯერ ხმარებულან და თქმულან“. ე. ი. მაღლიანი სამწერლო ენა ისწავლება მხოლოდ ხალხისა და ლიტერატურისაგანო. თუშცა იქვე შენიშნავს: ძველთა მწერალთა ყოველ კილოს ასევე ვერ მივიღებთ, როგორც მაშინ იყო, რადგან ენა ბევრ რამეში შეიცვალა და განვითარდაო.

რიტორიკის ავტორს განსაკუთრებით მოსწონს მწერლობა, სადაც ყოველგვარი რთული აზრი მარტივად, ყველასათვის გასაგების ენით არის გადმოცემული. უფრო მეტიც, მისი აზრით არა კმარა მარტო „ნივთიერი (სიტყვიერი შ. ლ) სიმარტივე... საჭიროება თხოულობს აზრების სიმარტივესა, ამის გამო მჭერმეტყველმან ჯერ ყარგად უნდა გამოისახოს გონებაში აზრები და მერე წარმოსთქვასო“. იგი გმობს ნამდვილის „აზრების ასახსნელად“ შენოკლებულ საუბარს და არც „გაზვიადებული საუბარი“ მოსწონს. გაზვიადებული საუბარის მაგალითად მოყავს ამონაწერი ბუზანდის თბულებიდან: „ზამთრის არესა როდისაც შეყრილ შეგროვილ იყო დიდძალი სიმრავლე თოვლთა და შვაგებდა შეჭვილი შესიულ იყვნენ საზამთრო ყინვითა მთები, მაშინ იმ მთებთა ზედა მისთანა ღროსა უნდოდა წასვლა სადმე მგზავრად“—ო. და მიუთითებს „ნაბე აქ როგორი გაზვიადებით აყრუებს აზრსა; შეეძლო ეთქვა: ცხარი ზამთრის დღეებში ფიქრობდა გარდაეველო დათოვლილი მთები და წასულიყო სადმეო“¹⁴⁸. მისი აზრით მხოლოდ მარტივი მაღლიანი და მდიდარი მშობლიური ენა აცოცხლებს ერის ლიტერატურასა და აძლევს საგანს თავის დანიშნულებას. თვით ისტორიკოსმაც მარტივი და გარჩეული სქესი და კილო უნდა დაიჭიროსო, თვინიერ მდარე სიტყვაობისა და ყარგად აღწერილთა სურათივით წარმოადგინოს თვითეული გვარის ყოფაქცევა, თვითეულთა პირთაცა მისთა ავი ზნენი და სათნოებანი. სარწმუნოება და ჩვეულებანი მისნი სხვებიო“¹⁴⁹, რომ „მოთხრობის მწერალსა არ უნდა ჰქონდეს მეთვისობა, მომხრეობა გინა მხარის დაჯერა ვისიმესი“¹⁵⁰. იგი უნდა იყოს მართალი და მიუკერძოებელი მაძიებელიო.

ამგვარი აზრია გატარებული კონსტანტინოპოლში მათ მიერ გამოცემულ ყველა წიგნში, რაც ერთხელ კიდევ აღასტურებს იმას რომ უცხოეთში მომუშავე ეს მწიგნობარნი თავიანთ სამშობლოსთან არ წყვეტდნენ არა მარტო სულიერ კავშირს, არამედ მისი პრაქტიკულ

¹⁴⁸ მოკლე რიტორიკა. 1879 წ.

¹⁴⁹ იქვე, გვ. 131.

¹⁵⁰ იქვე.

საქმიანობითაც იკვებებოდნენ. რაღა თქმა უნდა ამ მოღვაწე ბერ-მონაზონთათვის ყურადღების გარეშე არ დარჩენილა ამ დროის საქართველოში მამათა და შვილთა შორის ყველა ამ საკითხებზე ატეხილი დავა. როგორც ჩანს ისინი ამ დავისას შვილების თეორიულ შეხედულებებს იზიარებდნენ და თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით უცხოეთიდან ადასტურებდნენ მათი აზრების სიმართლესა და სისწორეს.

ქართველ კათოლიკე მოძღვართა საქმიანობა კონსტანტინოპოლში თანდათან ისე გაძლიერდა და გაიზარდა, რომ 70-იანი წლების ახლოს ამ ძმობამ საფრანგეთის ქ. მონთობანში დააფუძნა ქართველ კათოლიკეთა ახალი ძმობა. ახლად დაფუძნებულმა კონგრეგაციამ კონსტანტინოპოლის მსგავსად ხელი მიჰყო ლიტერატურულ საქმიანობას. აქაც გაჩნდა ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებანი და დაიწყო ზრუნვა სტამბის შექმნისათვის.

მონთობანის ქართული მონასტრის მთავარი მოძღვარი იყო ანდრია წინამძღვრიშვილი. იგი მეტად ენერგიული ხელმძღვანელი და პეტრე ხარისჭირაშვილსავე დაუზარელი მუშაკი გამოდგა. პეტრე ხარისჭირაშვილის სიკვდილის შემდეგ კონსტანტინოპოლსა და მონთობანის მოძღვართა შორის ანდრია წინამძღვრიშვილსა, ალფონს ხითარიშვილსა და სტეფანე გიორგაძეზე უფრო საქმიანი არავინ ჩანდა. 80-იანი წლების ახლოს ანდრია წინამძღვრიშვილმა მონთობანში ქართული წიგნების გამოცემა დაიწყო. მან პარიზიდან „დაიბარა“ საბეჭდი მანქანა, რომელიც 500 ფრანკი დაჯდა. „სტამბახანის ოთახები გააგლესინა“ და ყველაფერი წესიერად მოაგვარა.

უფრო გვიან ერთმა ფრანგმა დედაკაცმა ძმობას შესწირა ტიპოგრაფიის მანქანა და მონთობანის ქართული სტამბა საკმაოდ გაძლიერდა. თუკცა შემდეგ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს საბეჭდი მონთობანის ძმობას აღარ შერჩენია. „გვისამოვნებთ შემდეგი — წერდა ალფონს ხითარიშვილი მ. თამარაშვილს — პ. ანდრიას მონთობანში ყოფნის დროს შემოსწირა მონასტერს ერთმა ფრანკუზის დედაკაცმან, კარგი, ახალი სისტემის მანქანა ტიპოგრაფიისა: სტეფანე რა ჩავიდა მონთობანში უნდოდა გაეყიდა. მე სასწრაფოდ მივსწერე, რომ აქ გამოეგზავნა“ —ო¹⁸¹, მართლაც მანქანა მონთობანიდან კონსტანტინოპოლში ჩაიტანეს და იქ ძველ „რეფექტორიაში“ გამართეს“.

მონთობანელი გამომცემელი უფრო ლექსიკონებისა და სასოფლო სკოლებისათვის სახელმძღვანელოების ბეჭდვით იყვნენ გატაცებულ-

¹⁸¹ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. 10, საქ. 470, ფ. 9.

ნი, სახელმძღვანელოების გამრავლებით ცდილობდნენ ღარიბი ქართველი ბავშვებისათვის შეექმნათ სწავლის საშუალება. ამ წიგნთა გამოცემლებში იცოდნენ, რომ ქართველი საზოგადოება ამ დროისათვის მთელი მონღომებით ეკიდებოდა სწავლის საკითხებს. აშენებდა სკოლებს, ქირაობდა მასწავლებლებს და სხვა... „ალაშენე და განამრავლე რამდენათაც გინდა სკოლები, განაწესე იმათში რამდენათაც გინდა მეცნიერნი მასწავლებელნი, ალავსე სკოლები ბავშვებით, რა სარგებლობა წარმოსდგება ამათგან თუ რომ არ იქნებიან თანვე დასტაშებული წიგნები უხვად, რომელზედაც შეიძლებოდაც გაკეთილის მიცემა და სწავლება ყრმათა?“¹⁵². წერდნენ ისინი და ასაბუთებდნენ, რომ საქართველოში სკოლების გამრავლებისათვის საჭიროა სასწავლო წიგნების გამრავლება, რომელზედაც შეეძლებოდათ ესწავლათ პატარა შეგირდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში უწიგნოდ გახსნილი სკოლები დღენაკლულნი იქნებიანო.

რომ მარტო „ბუნების კარი“ არ იკმარებდა სკოლებში მოსწავლეთა გასაწვრთნელად, ისინი იმოწმებდნენ ი. გოგებაშვილის სიტყვებს: „ბევრ ყმაწვილ კაცს სურს და ცოდნაც ნებას აძლევს, რომ სხვადასხვა მეცნიერებაზედ წიგნები შეადგინოს, მაგრამ კითხვა—ვინ მოითხოვს და ვინ მოიპოვებს, იმას ხელითგან კალამს აჯდებიანებს სამუდამოდ“-ო¹⁵³ და ჩვენც იმისათვის, რომ ქართველთა შორის ყოფილიყო მომთხოვნაცა და მოპოვებელიც გადაწყვიტეთ „გვეშრომა გულისმოდგინებით ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვისა“-ო¹⁵⁴. რადგან ჩვენი ძმობაც ორ ძირითად ამოცანას ისახავს: (რომ ა) „ქვეყნიური გართბმულებისაგან მოცილებით. ...შევიძლოთ უფრო კეთილად მსახურება ღვთისა, საცხოვრებლად სულისა ჩვენისა“ და ბ) ქართული ენის მოუბარ რომის კათოლიკეთ და სომხის კათოლიკეთ საეკლესიო, გინა საბარბო სკოლებში მასწავლებლობის ქმნით ვასწავლოთ კათოლიკე ყრმათა კითხვა, წერა, კათეხიზმი, არითმეტიკა და სხვა ამნაირი სასწავლო რამეები“-ო¹⁵⁵. ისინი ურჩევდნენ მასწავლებლებსა და მშობლებს, წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ მოსწავლისათვის ეწვალებიანთ ჯერ ქართული გრამატიკა, შემდეგ მოკლე გეოგრაფია, საზოგადო ისტორიის დასაწყისები და სხვა „ყმაწვილს თავის დედაენაზედ. რომელიც საკმაოდ ესმის გონება სულ მალე

¹⁵² მოკლე ქართული გრამატიკა. სასოფლო სკოლებისათვის, მონთაზან-კონსტანტინოპოლში, 1877 წ., შესავალი.

¹⁵³ იქვე.

¹⁵⁴ იქვე.

¹⁵⁵ იქვე.

გაეხსნება და ადვილად შეისწავლის სამეცნიერო დასაწყისებსო“. ერთხელ კიდევ იმეორებდნენ იაკობ გოგებაშვილის სამართლიან აზრს.

სასოფლო სკოლებისათვის შედგენილი ეს სახელმძღვანელოები „ადვილად სასწავლებელ მეთოდზე“ იყო აგებული. ვინც ამ მშობლიურს ენაზედ შედგენილ წიგნებს საფუძვლიანად შეისწავლის, მას გიმნაზიაში რუსული საგნების შესწავლაც სამჯერ უფრო გაუადვილდებაო¹⁸⁶. წერდნენ ამ სახელმძღვანელოთა შემდგენელნი. და მართლაც, როცა ვაკვირდებით მათ მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებს, თვალში გვეცემა აზრების სისხარტეცა და სიმარტივეც. აი ზოგიერთი მაგალითი ქართული გრამატიკიდან: „გრამატიკა არის ხელოვნება კანონიერად ლაპარაკისა და წერისა. ასოთაგან შესდგებიან მარცვალნი, მარცვალთაგან ლექსნი, ლექსთაგან შესდგება სიტყვა, რომლითაც გამოითქმის აზრი“¹⁸⁷. „მოკვეთილი და შემთხვევითი წინადადების“ ანალიზი. — „ვახტანგ გორგასლანი მოკვდა ვითარცა გმირი — ამ ფრაზაში არის ორი წინადადება. ერთი არის მთავარი და დამოკიდებული, სრული და წრფელობითი, და თანვე შიგ შეტყობილი, რადგან შესმენილი ზმნაში შეტყობილია. ქვემდებარე არის ვახტანგ გორგასლანი, არის მარტივი და ძიებიანი ზმნა შეიტყობების აქ იქმნა. შესმენილი არის მომკუდარი, რომელიც არის მარტივი და შენაწიერებული, რადგან ძიებულ აქვს შემდეგი წინადადება ესე: ვითარცა გმირი. მეორე წინადადება არის — ვითარცა მოკვდების ერთი გმირი: ეს არის შემთხვევითი და განსაზღვრებითი წინადადება, რადგან მოეკიდების მთავარ წინადადებასა და აცხადებს მოუცილებრივ საჭირო გარემოებასა მისსა. არის მოკვეთილი, რადგან ზმნა და შესმენილი მოკვეთილი აქვს და ძალითად შეიტყობიან მასში. ქვემდებარე არის ერთი — გმირი, რომელიც არის მარტივი და ძიებანი. ზმნა არის — არს, ხოლო შესმენილი არის მომკუდარი, მარტივი და შეუნაწევრებელი“¹⁸⁸.

მონთობანელმა გამოცემელებმა დიდი ამაგი დასდეს ლექსიკონების გამოცემის საქმესაც. მათ ერთხანს გადაწყვეტილი ჰქონდათ დიდი ქართული ლექსიკონის გამოცემა, რომელიც შეჭერებული უნდა ყოფილიყო საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონთან. როგორც ირკვევა ჩვენს არქივებში დაცული წერილებიდან, მათ ასეთი ლექსი-

¹⁸⁶ მოკლე ქართული გრამატიკა. ქართული სკოლებისათვის, მონთობანს, ენრიკო ფაბრის სტამბაში. 1877 წ.

¹⁸⁷ იქვე.

¹⁸⁸ იქვე, გვ. 155—156.

კონის გამზადებული ხელთნაწერი უკვე ჰქონიათ, მაგრამ იმის გამო რომ ნებართვა ვერ აუღიათ, მისი დაბეჭდვა ვეღარ მოხერხებულა. სამაგიეროდ მათ დაბეჭდეს მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულ-ქართული და ლათინურ-ქართული ლექსიკონები, რომელიც განკუთვნილი იყო აგრეთვე სასოფლო სკოლების ყრმათათვის. ამ ლექსიკონების გამოცემით მათ თავიანთი წველილი შეიტანეს ქართული ლექსიკოგრაფიის შესწავლის საქმეში.

მონთობანელ ლექსიკოგრაფებს ამ გზაზე დახვდათ ერთგვარი სიძნელეც, რაც მათ დიდის დაკვირვებით გადაჭრეს და დაძლიეს. „რადგან დღემდე არ იყვნენ ქართულს ენაზედ — წერდნენ ისინი — დაბეჭდილნი მეცნიერების სწავლისათვის საჭირო ხელთა სახელმძღვანელო წიგნები, რომლებსაგანაც შესაძლებელი ყოფილიყო ზოგიერთი ტექნიკური ლექსების ამოკრება. ამისათვის ყოველის დონისძიებით ვეცადეთ, რათა გვეპოვნა იმნაირი ლექსები, რომელნიც ყოფილიყვნენ ქართული ენისთვისებისანი და ზოგნიცა ვსთარგმნეთ ფრანციცულითგან. მაგრამ, რადგან ამ ლექსთაგან ზოგიერთი პირველში ძნელი მისახვედრია, ვიდრეზღის კაცი კარგად შეეჩვიოს იმათ, ამის გასაადვილებლადაც ბევრს ადგილას გვერდითვე მიუწერეთ ის ფრანციცული ლექსები, რომელთაგანაც გადმოითარგმნენ ისინი, საცნობელად თუ რომელი ფრანციცული ლექსის მაგიერათ გვიხმარია ჩვენ ის ქართული ტექნიკური ლექსი“—ო¹⁸¹. კონსტანტინოპოლსა და მონთობანში გამოცემული ლექსიკონების გაცნობა მკითხველს ადვილად დაარწმუნებს მის შემდგენელთა დიდ განათლებასა და გემოვნებაში. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ასწორებდნენ დღეს გაბატონებულ უცხო სიტყვებს და ძველი ქართული მწერლობიდან მოტანილი ქართული სიტყვებით ცვლიდნენ მას. მაგ: *le canif*—ცილივი, კალმის დანა, *la citerne*—ცვარნიჭი—წვიმის წყალი. *Un noyau*—წალკატი—ორწვერა თოხი და სხვა.

ზოგჯერ კი ქართულ ენაზე არ არსებულ ტექნიკურ სიტყვებს უძებნიდნენ საყურადღებო შესატყვისებს და ჩვენს ენაში შემოჰქონდათ სრულიად ახალი ცნებები, მაგ: *Un coin*—ქვემეხი, *Un mortier*—ქვემეხიკი, *Un pantalon*—საწმართული შარვალი, *Un limonade*—ლიმონათი — თურინჯის შარბათი და სხვა.

კონსტანტინოპოლისა და მონთობანის ქართული წიგნების გამოცემელთა სასახელოდ მარტო ისიც კმარა, რომ მათ 1877 წლიდან 1881 წლამდე, სულ რაღაც ოთხი წლის განმავლობაში შესძლეს

¹⁸¹ მოკლე ქართული გრამატიკა, მონთობანი, 1877 წ. შესავალი.

25-მდე სხვადასხვა წიგნის დაბეჭდვა და გავრცელება საქართველოში. ეს კეთილშობილი ადამიანები, რომელთა გვარი არც ერთ წიგნს არ აწერია, წუხდნენ მხოლოდ იმაზე, რომ ეს „წიგნები ჩვენი ნატურის დაგვარ ჯერ კიდევ ვერ უპასუხებენ საქართველოს საზოგადოების ყოველს მოთხოვნილებას, და შეამჩნევს საზოგადოება ამათში სხვადასხვა სახის ნაკლებულობათაცა, რომელნიც საზოგადოდ მოხდებიან ხოლმე წიგნების პირველ გამოცემებში... მაგრამ იმედი ვაქვს ამ გზობად მოგვიტყვევებს საზოგადოება... რადგან ახლა მრავალი სიძნელეების გამო შეუძლებელი იყო უკეთესი გამოცემა“¹⁰⁰. და პირობას დებდნენ ამ წიგნების მეორე გამოცემაში „შევასწორებთ გულისმოდგინებით ყველა ნაკლოვანებას და დავაკმაყოფილებთ მკითხველს“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ პ. ხარისჭირაშვილმა დიდი ცდისა და შრომის შედეგად 1859 წ. პაპისა და თურქეთის მთავრობის ნებართვა აიღო და სტამბოლში, ფერიქვევს (უბანია სტამბოლში) დააარსა ქართველ კათოლიკეთა უმაწკო შთასახების ძმთა საგანე. შემდეგ აქვე დაარსდა ქართველ კათოლიკე მონაზონთა (დედათა) საგანეც. დაარსებიდან უკვე ერთი წლის შემდეგ მონასტერს გაუჩნდა მცირე სასულიერო სასწავლებელი. ამ სასულიერო სასწავლებლის პირველი მოსწავლენი იყვნენ სტამბოლის ბაზარზე გასაყიდად გაყვანილი გურული ბავშვები და ახალციხიდან სპეციალურად ჩამოყვანილი ყმაწვილები. იმისათვის, რომ ამ სასწავლებელს, სადაც ქართულ ენაზე მომდინარეობდა სწავლა, ოფიციალური სახე ჰქონოდა, ხარისჭირაშვილმა შეუდგინა სპეციალური დებულება, რომელიც დიდი ბრძოლის შემდეგ 1864 წ. ქ. რომში დაამტკიცებინა კარდინალებს¹⁰¹.

სტამბოლის ქართულ სასულიერო სასწავლებელში სწავლის ხანგრძლიობა პირველად ორი წელი იყო. 1870-იანი წლებიდან იგი სამწლიან სასწავლებლად გადაკეთდა და ქართული სასულიერო ღემინარიის შექმნის რეალური პირობები მოამზადა. საყურადღებოა, რომ 1894 წელს მონასტრის ახლოს დაწყებული ახალი 4 სართულიანი სახლის მშენებლობისას ნაგულისხმევი იყო, რომ აქვე მოთავსებულიყო მომავალი ქართული სასულიერო ღემინარია¹⁰².

ახლად დაარსებულ ქართულ სკოლაში საღვთისმეტყველო საგნების გარდა ისწავლებოდა: ქართული ენის გრამატიკა, ქართული ლიტერატურა და ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა. ასტრონომია, სა-

¹⁰⁰ მოკლე ქართული გრამატიკა, მონთბანი, 1877 წ. შესავალი.

¹⁰¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. № 10, საქ. 787, ფ. 9.

¹⁰² იქვე, საქ. 169, ფურც. 11.

მედიცინო საქმე და სხვ. სასწავლებელში დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი ფრანგული და ლათინური ენების სწავლებას. რადგან ლათინური ენა ძველი სამეცნიერო და აგრეთვე საეკლესიო ენა იყო და ამავე დროს კათოლიკური სამყაროს „უმალღესობა“ — ვატიკანი ლათინურ ენაზე მუშაობდა. ხოლო ფრანგული ენა იმდროინდელ ევროპაში ყველაზე უფრო გავრცელებული და ყველაზე უფრო პოპულარული ენა იყო. ცნობილია, რომ საფრანგეთის სახელმწიფო კათოლიკური სამყაროს ცენტრის შემქმნელიც და თავგამოდებული მფარველიც იყო ათეული წლობით. ალბათ ამიტომ კათოლიკური სარწმუნოება ბოლოს და ბოლოს ფრანგების სარწმუნოებადაც გაიგებოდა სხვადასხვა ქვეყნებში (ასე იყო ეს ჩვენშიაც). ამიტომაც სკოლაში ლათინური და ფრანგული ენები ყოველთვის წამყვანი საგნები იყვნენ.

სასწავლო პროგრამა ისეთნაირად იყო შედგენილი, რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ყველა მოსწავლეს შესძლებოდა ფრანგულ და ლათინურ ენებზე წირვის აღსრულება და ფრანგულ სემინარიაში სწავლის გაგრძელება. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ლიტერატურული ქართული ენის სწავლებასაც. კონსტანტინოპოლის ქართველ-კათოლიკე ძმთა მთავარი მოძღვარი პ. ზარისჭირაშვილი 1873 წ. წერდა: „ამისათვის გვსურს ახლა, რომ ვიდრემდო იმ სამ წელს ისწავლონ თანვე ქართულ და ძალი კლასის რამეები, რათა ოდეს დაასრულებენ ევროპულ ენების სწავლას იყვნენ მომზადებულნი მაღალი კლასების სწავლისათვის იმ ევროპულ ენებზე და იმ რიგობით თანვე შეისწავლონ კარგად სუფთა, დაბიური ქართული და თხზვა. კანონიერად, ქართულად. თვარემ უამისოდ რას არგებს მათ და ანუ მამულს, მარტო ევროპულის ენებით ლაპარაკი; ოდესმე თუ ვერაფერს ასარგებლებენ მამულსა და თავიანთ მამებსა; ვითარცა აგერ.იოსები, აგრედ საქებურად შეთხზავს ლათინურად, ფრანციკულად და იტალიანურად, რომ ბევრს ნასწავლ ფრანცუზს და იტალიანს გაუჭირდება ეგრეთ შეთხზვა, მაგრამ ოდეს მოვა ქართულად თხზვაზედ ორ სირას* ვერ შეთხზავს, ეგრედ, რომ სწორედ ქართული იყოს და წადგეს სადმე ის თხზულება“¹⁸³...

იმისათვის, რომ ფერეკოვის ქართველ კათოლიკეთა ძმობას ჰქონოდა ეკონომიური დასაყრდენი, პ. ზარისჭირაშვილის ინიციატივით და-

* სირა-მწკრივი, ხაზი ამ შემთხვევაში სტრიქონი (თურქული).

¹⁸³ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი. ანაწერი 2546.

არსდა საეკერო ამხანაგობა-ქარვასლა, რომლის შემოსავალი ძმობის საერთო ფონდში გადადიოდა და მის სხვადასხვა საჭიროებებს ხმარდებოდა. ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით, 1900 წლისათვის ამხანაგობის განქარვულებში ყოფილა 5 დუქანი და სხვა საეკერო, რომლის წლიური შემოსავალი უდრიდა 4 000 მანეთზე მეტს. 1900 წლისათვის ძმობას ბანკში დაბანდებული ჰქონია 45 000 მანეთი. გარდა ამისა ძმობას ჰქონდა თავისი პატარა ძროხების ფერმაც, სადაც საჭირო ხდებოდა აგრეთვე დაქირავებული მუშახელი.

ამ შემოსავალზე იყო დამოკიდებული კონსტანტინოპოლის ქართული სასულიერო სკოლის ბედიც, რომლის კონტინგენტი თანდათან იზრდებოდა. პეტრე ხარისჭირაშვილს მიაჩნდა, რომ ამ სასწავლებელ დამთავრებულა შეუძლია შეასრულოს როგორც სასულიერო, აგრეთვე სამოქალაქო სამახური. იგი განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდა სასწავლებელში ქართველ მამადიანების მოზიდვასა და მომრავლებას და ფიქრად ჰქონდა ყველა ისინი, როცა დამთავრდნენ სასწავლებელს, გაეგზავნა ადგილებზე. როგორც ქართული ენისა და მამულიშვილური გრძნობების დაცვიანათვის მებრძოლი მისიონერები. მისი აზრით, როცა ამგვარად მომზადებული პატრიოტებით დააფარებოდა „თურქეთის საქართველო“, მაშინ დადგებოდა რეალური პირობები საქართველოს სრული გაერთიანებისა. კათოლიკური სამყარო ამ საკითხს თავისი კუთხით უყურებდა და სულ სხვანაირად აფასებდა მას. „წმინდა რომა“ ფიქრობდა, რომ მუსულმან ქართველთა შორას „გვაროვნული“ პროპაგანდის წარმოება და ეროვნული გრძნობების გაღვიძება შექმნიდა პირობებს მათი გაკათოლიკებისათვის. ამ საქმეში ქართველი კათოლიკენი მეტად საქირონი იყვნენ. 1876 წ. ფრანგული გაზეთი „ინდებენდანტ ბელგიეში“ წერდა: „ცხრამეტ მარტს 1876 წ. წმ. იოსების დღესასწაულის დროს დიდძალი ხალხი დაესწრო სტამბოლში ქართველ კათოლიკეთ ეკლესიაში ქართულ ენაზე წირვას, სხვათამორის იყვნენ სამი პრიმასი (მღვდელი) ქართველ კათოლიკებთანა და მონაინიონერი კრასერი, არხიეპისკოპოსი დეკლოსერი, ვიკარიიტესტა და სხვანი. წირვის დროს ქართულად გალობდნენ. ქართული გალობა საამო სასმენელი ყოფილა. წირვის შემდეგ ამ ქართველთ ეკლესიის დამფუძნებელმა პ. ხარისჭირაშვილმა და ერთმა სხვა პატრმა სიტყვა წარმოსთქვეს ქართულად. ამ შესანიშნავ მონასტერთან გამართულია ორი სკოლა ერთი სავაყებო და მეორე საქალებო, რომელშიაც მოწაფეებს ქართულად ასწავლიან ყველა საგნებს. ეს სკოლები ამ თხუთმეტი წლის წინ არის დაფუძნებულნი. ამჟამად ამ სკოლაში 160 ყმაწვილი სწავლობს, თითქმის ყველა ქართველები არიან, თუმცა მცო

რედ ბერძნები და სომხებიც ურევიათ, რომლებიც ავრთვევ ქართულსა სწავლობენ. მიზანი ძმობისა არის ნაციონალურის ვრძნობების აღდგრის საშუალებით კათოლიკის სარწმუნოების გავრცელება ოსმალეთის გამაჰმადიანებულ ქართველებშიო¹⁶⁴.

წიუბედავად იმისა, რომ ჩვენ ოდნავ გვაეჭვებს აქ მოტანილი მოსწავლეთა რიცხვი (160), ვერწმუნებით იმ აზრს, რომ 80-იანი წლები-სათვის მისი კონტინგენტი საკმაოდ გაზრდილი იყო, რომ ქართველთა ამ სასწავლებლებში მართლაც სწავლობდნენ ბერძნები, სომხები და აქაიქ ქართველი მაჰმადიანებიც. ის ვარაუდი, რომ მართლაც ბევრმა ქართველმა მაჰმადიანმა მიაშურა სტამბოლის ქართულ სკოლას იქიდანაც მტკიცდება, რომ 1896 წ. სკოლის მასწავლებელი ალექსანდრე მედვინიშვილი ივ. გვარამაძეს ახალციხეში სწერდა: „მამაო გვარამაძეე მაქვს ვედრება თქვენდაში და ველი რომ ამ ჩემს ვედრებას უღებყოფთ და კიდევაც ეს გახლავთ თხოვნის მიზეზი... თუ რომ შეიძლება, თქვენგნით, როგორც წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი შეიძლოთ სახეში მიღება და ცოტაოდენი წიგნებისა ორ-ორი ეგზემპლარი მომიძებნოთ, რადგან ქართველ თათრებმა ზალლა წაიღეს და ზოგიც მაიბანი კიდევაც გაკვეთილს იღებენ ჩემგან და წიგნებს სიმიცირემ მეტის მეტად შეწუხება მომაყენაო“¹⁶⁵.


ბევრი ქართველი მაჰმადიანი იქამდე დაუახლოვდა „ქართველთა ძმობას“, რომ ეკლესიაში ქრისტიანულ ქადაგებაზედაც კი დაიწყო სწავლა. „აქ სამი რიგის ქართველები არიან — წერდა სასწავლებლის მოძღვარი სტეფანე ვიორგაძე 1909 წ. — კათოლიკენი, არა კათოლიკენი და მაჰმადიანიო“¹⁶⁶. მართლაც რელიგიური და პოლიტიკური წინააღმდეგობის მიუხედავად შორს გადაკარგული ბევრი მაჰმადიანი ქართველი თავიანთ თვისტომ ქართველებთან არჩევდა ყოფნასა და სიახლოვეს.

ფერიქოვის ქართული სკოლის მასწავლებლებს სკოლაში შემოდებულნი ჰქონდათ სწავლების თავისებური მეთოდები და ხერხები. 1900 წ. დ. მულაშაშვილმა მოინახულა სტამბოლის აღნიშნული სკოლა, მისი ყურადღება მიიპყრო იქ სწავლების ახლებურმა მეთოდებმა, რომელსაც თავისებური დადებითი შედეგიც გამოუღია, მულაშაშვილი კონსტანტინოპოლიდან თამარაშვილს სწერდა: „აქ ყმაწვილებ-

¹⁶⁴ ზ. კვიციანიძე, აბატი ხარისკირაშვილი, 1895 წ., გვ. 71-77.

¹⁶⁵ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზ. ხელნაწ. ფ. № 2684.

¹⁶⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10, საქ. 169, ფ. 81.



ქართულ კათოლიკეთა სკოლა და მონასტერი კონსტანტინაპოლში

ბენედიქტეს მშვენიერი მეთოდით კარგათ შეუსწავლიათ ფრანგულს, ფრანგულად ლაპარაკობენ უკვეო¹⁶⁷.

სკოლის მოსწავლენი განსაკუთრებული მონღომებით ეწაფებოდნენ ქართულ ლიტერატურას. მათ წრეში დიდი სიყვარულით სარგებლობდა „ვეფხისტყაოსანი“, რომლის გენიალური ავტორის, შოთა რუსთაველის პორტრეტი 1874 წ. თამარ მეფის სურათთან ერთად გადაბეჭდეს თავიანთ სტამბაში. როგორც ფაქტებიდან ჩანს ბევრმა მოსწავლემ ზეპირად იცოდა ვეფხისტყაოსნის ადგილები, ხოლო ზოგიერთმა მთლიანად ვეფხისტყაოსანიც. ამ ფაქტს ადასტურებს მათი პირადი წერილების გაცნობაც. ალბად ქართული ლიტერატურის დიდი სიყვარულის წყალობით იყო, რომ ამ მოსწავლეთაგან ბევრი თხზავდა ლექსებსაც. სკოლაში დიდი სიყვარულით სარგებლობდა აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა წიგნი და მისივე ევროპაში მოგზაურობა, რომელიც ხელნაწერის სახით ინახებოდა ბიბლიოთეკაში. ამავე ბიბლიოთეკაში იყო შენახული „ქართლის ცხოვრების“, „მარგალიტის“ (დიდაქტიკური კრებული), „ოთხთავების“, „იამბიკებისა“ და სხვა მრავალ წიგნთა ხელნაწერები¹⁶⁸.

სკოლის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმას თუ სკოლაში ვინ კითხულობდა გაკვეთილს ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ „ვინ აძლევდა დასებსა“¹⁶⁹. მოსწავლელები განსაკუთრებით მომზადებულნი „ფილოსოფოსნი“ უნდა ყოფილიყვნენ, რათა შეძლებოდათ მოსწავლეთა კარგი გაწვრთნა. ამგვარივე მკაცრი მოთხოვნები წარუდგებოდათ ხოლმე მოსწავლეებს. მოსწავლეები მართო „ღვთის მოშიშობითა“ და მორჩილი ბუნებით არ შეირჩეოდნენ. მოსწავლეს სკოლაში მიღებისას ანგარიში ეწეოდა იმას თუ ვის შეეძლო გამოსულიყო „სამაგალითო სწავლული“ და ვის შეეძლო გამოსდგომოდა თავისი ცოდნით სამშობლო ქვეყანას¹⁷⁰.

1880—1900-იანი წლებისათვის სკოლაში განსაკუთრებული რეჟიმი, თითქმის სპარტანული მეოდეები ყოფილა შემოღებული. სკოლადაზმავრებულ მოსწავლეთა ნაწილი (ვიცე სწავლაში გამოიჩინათ თავს) საეკლესიო ძმობის ხარჯზე სწავლას აგრძელებდა სხვადასხვა ფრანგულ და იტალიურ სემინარიებში. მოსწავლეთა მეტი ნაწილი მაინც სტამბოლის იენიშარის ფრანგულ სემინარიაში რჩებოდა, სადაც ქართველი სემინარისტებისათვის კვირაში ორჯერ განკუთ-

¹⁶⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10, საქ. 319, ფურც. 49.

¹⁶⁸ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხელნაწ. ფონდი № 2662.

¹⁶⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10, საქ. 410, ფურც. 3.

¹⁷⁰ იქვე, საქ. 165, ფურც. 14.

ვნილი იყო ქართული გაკვეთილების მიცემა ქართულ ენაში. ლიტერატურაში და ისტორიაში¹⁷¹.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისათვის კონსტანტინოპოლის ქართულ სკოლას ყურადღება მიაქცია საქართველოს საზოგადოებრიობამაც. ქართულ პერიოდულ პრესაში სულ უფრო ხშირად იბეჭდებოდა კორესპონდენციები და წერილები ამ სკოლის შესახებ.

1897 წ. გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი ეწვია სტამბოლის ქართველთა ძმობას და მოინახულა მისი სასწავლებელიც. კორესპონდენტის ჩასვლა დაემთხვა სკოლაში გამოცდების დაწყებას. იგი დაესწრო გამოცდებსაც. ყოველივე იქ ნახულით გაოგნებული და აღფრთოვანებული კორესპონდენტი ამავე წლის ივლისში „ივერიას“ სწერდა:

„მ ივლისს ამა წლისა იყო წლიური გამოცდა კონსტანტინეპოლს ჩვენ ქართველ კათოლიკეთა ახალ დაარსებულ ქართულ-ფრანგულ სკოლაში. ყმაწვილებმა ზედმიწევნით კარგად იცოდნენ ქართული კითხვა-წერა, კრამატიკა და ხალხური სიმღერები. ფრანგული და ლათინური გვარიანად იცოდნენ. ყველა იქ დამსწრენი კმაყოფილი დავრჩით. გამოცდამ გაატანა ოთხი საათი. ბოლოს დავარიგეთ საყმაწვილო წიგნები, რომელიც შემოსწირეს ჩვენს სკოლას ბ-ნ იოსებ ლეჟავამ და მაქსიმე შარაძემ. თექვსმეტი ცალი პატარპატარა წიგნაკები მშვენიერისა და შესაფერის შინაარსით. ის წიგნაკები დიდის სიხარულით და პატივით მიიღეს პაწაწინა მესხებმა, რომელთა მომავლისაც დიდი იმედი გვაქვს. დამფუძნებელი წინამძღვარი სკოლისა მამა სტეფანე გიორგაძე ძმებითურთ დიდ მადლობას უძღვნიან შეწირულობისათვის“-ო¹⁷².

კონსტანტინოპოლის ქართული სასულიერო სასწავლებლის მოსწავლენი ზისტემატურ მიწერ-მოწერას აწარმოებდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრებთან და ბევრ მოწინავე ქართველ მოღვაწესთან. მათი წერილების შინაარსი ყოველთვის სამშობლო ქვეყნის ამა თუ იმ საკითხს შეეხებოდა. ზოგიერთი მათგანი სკოლის მერხიდანვე ფიქრობდა ქართული ისტორიული მეცნიერების შესწავლისათვის მოეკიდა ხელი. ასეთი იყო მ. თამარაშვილი, მ. ანტონოვი, დ. მულაშაშვილი, მ. თარხნიშვილი და მრავალი სხვა.

„ყურადღებით შევაგროვებ ყველა ჩვენი ძველი ცხოვრების ნაშთსა—წერდა 1907 წ. ამ სკოლის ერთ-ერთი მოსწავლე ალიოზ ბათუმ-ნაშვილი¹⁷³ — ეს შრომა კიდევ დაწყებული მაქვს: ჩვენი მონასტ-

¹⁷¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10, საქ. 165, ფურც. 14.

¹⁷² გაზ. „ივერია“, 1897 წ. № 185.

¹⁷³ ახალციხის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი 507.

რის ბიბლიოთეკაში უყურადღებოდ მიყრილნი იყვნენ რამდენიმე ხელნაწერები, ძლილთაგან შექმულნი და ნოტიობისაგან დაზიანებულნი. ესენი შევაგროვე და სულ გაეჩხრიკე. ჭერჭერობით 10 ხელნაწერი მაქვს ხელში 1) ოთხთავი ტყავზე ნაწერი ჩვეულებრივ ხუცურით. დანაწერის ხელი საოცრად მშვენიერია, ისე რომ მრავალნი მეკითხებოდნენ დაბეჭდილი ხომ არ არისო. 2) ოთხთავი მსხვილ ქალაღზედ ნაწერი. გადაწერილია ვილაც დავითისაგან „ღ-შე ფ დ ცღელი — დავით და მეუღლე მისი გულივარდა“. ეს ოთხთავი დაუხსნია მხე-ქალას თვის შვილის სვიმონისათვის. თარიღი არსად უძევს: იქნება თქვენ ამ ზემოხსენებულ პირს იცნობდეთ და თარიღი ასე თუ ისე მიაგნოთ. 3) სამწირველო კონდაკი, ესეც ხუცურად ნაწერი. პირველ ფურცელზედ მხედრულად აწერია: ეს წიგნი ნარის ბეჟანსჯან ძეს შ-გ წელსა ათასი რვაასი. ჩემის აზრით ეს წიგნი ერთ ანტონთაგანის დროს ეკუთვნის, რადგან მხოლოდ ეს ორნი იყვნენ მგონია, რომელნიც დაყოფის შემდგომ თავიანთთავს უწოდებდნენ „ყოვლის საქართველოს კათალიკოსად“. აი აქ როგორ იხსენიება კათალიკოსი: „წ—მმთ. მთავარი ჩვენი სახელ პატრიარხი (?) სამეუფოსა ქალაქისა. ახლის იერუსალემისა მცხეთის ქართლოსა, კახეთისა და ყ დ საქართველოსა“. 4) იამბიკონი ჩართულ-მხედრულით ნაწერი ვილაც „პოლოსასაგან“. დანარჩენ ხელნაწერებზე სხვა დროს... აი მათი სახელები: 1) თელემაკი 2) ქრისტომათიასავით წიგნი (მგონია 1499 წლისა) ჩვეულებრივ ხუცურით ნაწერი, რომელიც შეიცავს ღვთისმშობლის ცხოვრებას, მარგალიტს, სამოთხეს და კვლავ მარგალიტს. წიგნი იმ-8 დიდის სახისაა და შეიცავს 608 გვ. დაწერილია ნათანაელისაგან. 3) ს. ს. ორბელიანის ევროპაში მოგზაურობა, ხუცურათ 1768 წ. 4) საღღესასწაულო 1786 წლისა, ხუცურათ, 5) რიტორიკა ანტონ კათალიკოსისა 6) ქცევეთი ღვთის მეტყველება, სომხურიდან ნათარგმნი 1785 წელს კონსტანტინეპოლს, ახალციხელ მღვდლის ანტონ სიმონ ქარუხნოვის მიერ.. ძნელად წარმოიდგენთ რარიგ ნუგეშია მწირ ქართველისათვის, როდესაც იგი ეღირსება მამაპაპათა დიდებულ ნაშთების ნახვას-ო“¹⁷⁴. ბათმანაშვილის მიერ აღწერილი ეკლესიის ბიბლიოთეკაში დაცული ეს ხელნაწერი წიგნები; დაწყებული ტყავზე ნაწერი ოთხთავიდან, გათავებული ქცევეთი ღვთის მეტყველებით, დღეს უფრო დიდ ინტერესს იწვევენ. სამწუხაროდ ახლა ამ ძეგლებს მდგომარეობის შესახებ ჩვენ აღარაფერი ვიცით. შესაძლებელია მათ აღვილი არც უცვლიათ. ამის დადგენა არც ისე ძნელი საქმეა ჩვენი ისტორიკოსებისათვის.

¹⁷⁴ ახალციხის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი 507.

ამ ხელნაწერთა რიცხვს ბათმანაშვილის ცნობით „36 მოზრდა-
 ლი სახის წიგნი“¹⁷⁶ შეადგენდა. გულისხმიერი მოწაფე დიდხანს
 უკირკიტებდა იოანე პეტრიწის თარგმან „მარგალიტს“, რომელიც
 მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს მესამედ გადაეწერა ნათანაელს. აქ
 ერთ-ერთ წარწერას: „ი ნემ ნ ფლსფსმნ კიმჭიმელმან ატტიკურისა
 ელადელთა ხმისაგან სპანთ მოსახლედ ენად მოცვალა ესე“¹⁷⁶ იგი სა-
 ფიქრებელში ჩაეგდო; ეს „სპანები“ ახალი საბუთი ზომ არ არს
 იმისა, რომ ქართველები ისპანელთ განაყოფნი არიანო და თბილი-
 სსა თუ სხვა ქალაქებში მოწერილი წერილებით ცდილობდა პასუხის
 გაგებას. „ბჭვე“ რა ნაწილია კარისა როცა „კარიბჭეს“ ერთად წარ-
 წოვსთქვამთ ან ბჭობა რა ურთიერთობაშია ამ სიტყვასთანო კითხუ-
 ლობდა რგი სხვაგან. კონსტანტინოპოლელ მოსწავლეთა მიზანი სამ-
 შობლოში დაბრუნება და აქ მოღვაწეობა იყო. მათ ენატრებოდათ
 უცხოეთში თავიანთი სამშობლო და მასზე ფიქრში აღაშებდნენ და
 ათენებდნენ. აი როგორი აღფრთოვანებით ლაპარაკობენ ეს მოსწავ-
 ლენი იმ ერთ შემთხვევაზე, როცა მათ კონსტანტინოპოლის ბაზარში
 საქართველოდან ჩამოსული ქართველი ნახეს: „ამ დღეებში ერთი
 ქართველი მგზავრი მოვიდა საქართველოდამ... ეს მგზავრი ბაზარში
 შეგვზვდა... სულ გაგვაგოჟა!... რამდენი ხანია ერთი ქართველი კაცი
 არ გვენახა. მაშინვე ვიცანით, მოწითალო ჩოხა ეცვა, წელზეც ხანჯა-
 ლი ერტყა. რა წამსვე მას თვალი მოვკარით დაუყვირეთ: ქართვე-
 ლო, ქართველს გაუმარჯოს! და დაგვავიწყდა რომ შუა ბაზარში ვო-
 ყავით. მოვრთეთ მაღალი ლაპარაკი და სიცილი. ფაიტონები გადიოდ-
 ნენ და გამოდიოდნენ. განვლელი და გამომვლელი აქეთ-იქით ეტანე-
 ბოდა, თანაც ბნელოდა.. მეორე დღეს სანლუის სალაპარაკოში მოვი-
 და და მამინ კარგათ ვილაპარაკეთ. საქართველოს ამბები გამოვკით-
 ხეთ“-ო¹⁷⁷.

ქართველი მოსწავლენი ფერიქოვის დედათა მონასტრის მონაზუ-
 ნებთან ერთად ხშირად სალაშოს წარმოდგენებსაც მართავდნენ. ისი-
 ნი ჩვეულებრივად მდიდარი პროგრამით გამოდიოდნენ (ფრანგულ,
 ქართულ, თურქულ ენებზე) და მაყურებელთა მოწონებას იმსახუ-
 რებდნენ. ქართველმა მოსწავლე ქალწულებმა ერთი ასეთი „წარ-
 მოდგენა გააკეთეს 1894 წ. მაისის 8-ს, რომელსაც ბევრი ხალხი და-
 ესწრო და 40-ოქროზე მეტი აიღეს“¹⁷⁸. აღნიშნული ფული საერთო

¹⁷⁶ ახალციხის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი № 2665.

¹⁷⁶ იქვე.

¹⁷⁷ იქვე.

¹⁷⁸ იქვე.

ფონდში ირიცხებოდა და ახლად დაწყებული სასახლის მშენებლობას ხმარდებოდა.

განსაკუთრებით მომზიბელები იყო აქ 1908 წ. 26 აპრილს აჯაკო წერეთლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. ამ საღამოს ერთ-ერთი მონაწილე გაზ. „ღროების“ კორესპონდენტი—ქართველიშვილი წერს: „ვინც 26 აპრილს ფერიქოვის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში იყო, იმას აღარ დაავიწყდება ეს დღე. მონასტრის უნცროს ამების ხელით მშენებრად იყო მორთული ზალა და სურათი აჯაკო ა. სურათის ყვავილების გვირგვინი ჰქონდა შემოვლებული და თავი-ზევით ოქროს ვარაყიანი ასოებით ეწერა: „აჯაკო ჩვენი, ვითა შოთა რუსთველი და სარგის თმოგველი“. ქრისტიანი ქართველები, კისაკი გიგო და ბარათი მიელო, თითქმის ყველა პოვოდა თავის ოქროს-ებით, დაესწრო სხვათა შორის სპარსეთიდან წამის ბრძანებით გაძევებული დღეს აქ მყოფი რუსული გაზეთების კორესპონდენტი ი. ამირაჯინი. მოახერხეს და მოვიდნენ ჩვენდა სასიამოვნოდ წამს-დიანი ქართველებიცო“¹⁷⁹.

საღამო პარაკლისის გადახდით დაიწყო. პარაკლისი გადაიხდა სტეფანე გაორგაძემ. პარაკლისის დროს მოსწავლეთა ვუნდი ქართულად გაღიზნა. შემდეგ წესიერი სიტყვა კვლავ გიორგაძემ წარმო-თქვა და კვლავ გალობა დაიწყო. მოსწავლეთა ორკესტრი ყოველი პიტევის შემდეგ მრავალჯამიერს ასრულებდა. ამის შემდეგ იასე რაჭ-ველი შეესო აჯაკის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. საღამოზე სიტყვა-ბა წარმოასთქვეს აგრეთვე დომინიკე მულაშაშვილმა, ვლ. წერეთელმა და სხვებმა. ფერიქოვის ქართული სკოლის მოსწავლე ნებაძემ აჯაკისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა. სხვები კიღვე აჯაკის ლექსებს კითხულობდნენ.

ქართული კულტურის ეს ცენტრები კონსტანტინოპოლში, მონ-თობანში თუ ვენეციაში წარმოადგენდნენ სინას, ათონის ქვრისა და სხვა ანედი კულტურული ცენტრების დაგვიანებულსა და ფერშეცუ-ლილ გამოძახილს, რომლის მოღვაწეობის მთელი შინაარსი საქართ-ველოს კრიკუნული და ეკონომიური კონსოლიდაციის ბაზაზე ევრო-პულ კულტურისთან დაახლოება იყო.

თუ შტო საუკუნეებში საქართველოს გარეთ დაარსებული ეს მონ-ასტრები (კულტურის კერები) ფეოდალური საქართველოს სამეფოს პოლიტიკური ძლიერების გამოხატულება იყო, მეცხრამეტე საუკუ-ნის ევროპაში დაარსებული ქართველ კათოლიკეთა აღნიშნული კულ-ტურული კერები დაქუცმაცებული და უფლება დაკარგული საქარ-თველოს გაერთიანება-აღდგენის სუსტი ილუზია გახლდათ.

¹⁷⁹ გაზ. „ღრობა“, 1908 წ., № 11.

ფერიქოვის ამ ცენტრში გზად გავლილი მეცნიერები, სტუდენტები, მოგზაურები, ვაჭრები და სხვ. ყოველთვის ქმნიდნენ ეროვნული და ეკონომიური ერთიანობის მომხიბვლელ ატმოსფეროს და კულტურული მოღვაწეობის დიდ გეგმებს ადგენდნენ. ამგვარი ურთიერთობის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს აზნაურ ვლადიმერ წერეთლის მიერ კონსტანტინოპოლში დაარსებული ქართველთა საევაქრო-ამხანაგობა. კომერსანტი ვლ. წერეთელი საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი ქართული ლიტერატურისა და საერთოდ კულტურის დიდი თაყვანისმცემელი იყო. ვლ. წერეთლის მიერ დაარსებული ქართველთა კომერსანტული ამხანაგობის შესახებ სტ. გიორგაძე მ. თამარაშვილს სწერდა: „შეიტყობდით. რომ აქ აზნაურ ვლადიმერ წერეთელმა მოიხურვა საევაქრო ამხანაგობის დაწესება აგერ ერთი წელიწადი იქნება. აქ ჩვენი ახალციხელები ყველა ჩაეწერნენ და აგრეთვე ბევრი ქართველი მაჰმადიანიც. ამან ჩვენ კათოლიკებს ჭერეთ ეს სიკეთე მოუტანა, რომ კვირაობით დუქნებს აღარ ალებენ. აქ ჩვენს მონასტერში ერთი ოთახიც მათთვის მიცემულია და ქართული პატარა ბიბლიოთეკაც აქვს. ამ დროს რომ ჰქონდეთ შემთხვევა შეკრებისა და თან ღვთის სიტყვისა. მენაც მოვიწვიე ყველა ქართველი ქრისტიანი თვეში ერთხელ—ერთ კვირას ქართული ქადაგებისათვის თუ მამანი და თუ ღედანი და ჭერჭერობით აგერ მეოთხე თვეა და ესწრებიან ქადაგებას. და აქ ქართველ თათრებმაც დაიწყეს მოსვლა... ასე რომ აქ არც ერთს წაეკრება ფეხი ქვაზე, რადგან სამი რიგნი არიან; კათოლიკენი, არა კათოლიკენი და მაჰმადიანნიო“¹⁰⁰, და თითქოს ზორციელდებოდა ეროვნული კონსოლიდაციის ლოზუნგი. რელიგიითა და გამოვლილი ისტორიული უბედურებით ერთიმეორეს დაცილებული ქართველობა თითქოს ერთიანდებოდა. ფერიქოვში დამყარებული ამგვარი ურთიერთობის მნახველ დომინიკე მულაშაშვილს მართლაც უფლება ჰქონდა ეთქვა „მე ამაში ზეგარდმო მადლსა ვხედავ და ვაწმუნდები, რომ სამი საარწმუნოების სამი შვილი ქართველთ გვაროვნებისა ისევ ერთს ხეზე ყოფილა დამყნული და თავის ფესვებს არ მოშორებია“-ო“¹⁰¹. ეს ფესვები ყველას საქართველოსკენ ეწეოდნენ.

ამგვარ სიტუაციას უფრო აცხოველებდნენ და სიცოცხლის უნარიანს ხდიდნენ ფერიქოვში დროდადრო სტუმრად ჩამოსული გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი, როგორიც იყვნენ: დიმიტრი ბაქრაძე, ალექსანდრე ხახანაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი,

¹⁰⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. 10, საქ. 169, ფურც. 81.

¹⁰¹ გაზ. „დროება“ 1908 წ., 12. IX.

თედო სახოკია, აკაკი წერეთელი, პ. უმიკაშვილი, მიხ. წერეთელი, ალექსანდრე მრეველიშვილი, იაკობ ნიკოლაძე და სხვა მოღვაწენი. ევროპაში შექმნილ ამ კულტურის კერებმა თავისებური როლი ითამაშეს საერთოდ ქართული კულტურის ისტორიის განვითარების საქმეში. ფერიქოვის ქართული სასწავლებლის ბევრმა მოწაფემ შემდეგ მეცნიერების ასპარეზზე გამოიჩინა თავი, როგორც იყვნენ ისტორიკოსი მ. თამარაშვილი, პუბლიცისტი დომინიკე მულაშაშვილი, რომელიც რედაქტორობდა „ჭვარი ვახისას“, მკვლევარი ალიოზ ბათმანაშვილი, რომელიც საქართველოს ისტორიისა და საეკლესიო მუსიკის საკითხებზე მუშაობდა, მიხეილ ანტონაშვილი (ანტონოვი) სარატოვის სასულიერო სემინარიის რექტორი, მიხეილ თარხნიშვილი გამოჩენილი ქართველოლოგი, ევროპაში ქართული კულტურის მგზნებარე პროპაგანდისტი, ქართული ლექციონარისა და ქართული ლიტურგიული ძეგლების გამომცემელი და კომენტატორი, ევროპაში ქართული ეპიგრაფიკის დამწერლობისა და კულტურის ძეგლების მკვლევარი და ბიბლიოგრაფი, რომელიც აქვეყნებდა შრომებს: გერმანულ, ფრანგულ. ინგლისურ, იტალიურ, ლათინურ და ქართულ ენებზე, თანამშრომლობდა ისეთ მნიშვნელოვან სერიულ გამოცემებში, როგორცაა „მუზეონი“, „კირიოსი“, „აღმოსავლური ქრისტიანული დამწერლობის ძეგლთა კრებული“ და სხვ. ამ უკანასკნელში იგი ხელმძღვანელობდა ქართულ სერიას. მერაბაშვილი, რომელმაც თავი ისახელა მედიცინის საქმეში. ბოლო დროს მოღვაწეობდა ეთიოპიაში, სადაც გამოსცა — ეთიოპიის ხალხური მედიცინის ისტორია რამდენიმე ტომად. შალვა ვარდიძე — ბეირუთის უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი, არაბისტი, დაუცხრომელი პატრიოტი და მრავალი სხვა.

ასეთი იყო მეცხრამეტე საუკუნეში დაარსებული ქართული კულტურის კერები ევროპაში თვალის ერთი გადავლებით, ასეთი იყო ის წრე, სადაც უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა აგრეთვე ჩვენს მიხეილ თამარაშვილს.

მიხეილ თამარაშვილი განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდა ფერიქოვის ქართულ სკოლას, სადაც 1896—1897 წლებში მასწავლებლობდა კიდევ¹²². იგი სკოლაში ფილოსოფიასა და თეოლოგიაში აძლევდა გაკვეთილებს. მ. თამარაშვილის სასწავლებელში მისულამ ერთბაშად შეატრიალა სწავლების საკითხები. გაძლიერდა და გადიდდა ფილოსოფიისა და ისტორიის გაკვეთილების მიცემა, ხოლო პროგრამა უფრო გართულდა და გამრავალფეროვანდა. ამის გამო

¹²² ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, № 142.

მიხეილი თვითონვე წერდა „მაღალი სწავლება ჩვენს სკოლაში სრულებით არ იყო, ისიც შემოვიტანე“¹⁸³ სკოლაში ჩემი მოსვლისთანავე.

საყურადღებოა, რომ კონსტანტინოპოლისა და მონთობანის ან სტამბებში არ დაბეჭდილა მ. თამარაშვილის არც ერთი წიგნი. მიუხედავად იმისა, რომ აქაური გამოცემელი მას ეხვეწებოდნენ წიგნები ჩვენთან გამოაგზავნე და ჩვენს სტამბებში დაბეჭდეო. 1898 წ. როჩონიძე მუშადაშვილი მ. თამარაშვილს სთავაზობდა: თუ მაგ წიგნის წიგნის ფრანგულად გამოცემას აპირებ. დოკუმენტების თარგმანსა დაგეხმარებით, ოღონდ აქ გამოაგზავნეო. იგი დახმარებას პირდებოდა აგრეთვე გამოცემის საკითხებში¹⁸⁴. მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, თამარაშვილმა პირვანდელი გადაწყვეტილება შეცვალა და განიზრახა წიგნი ქართულად გამოეცა. ამ გადაწყვეტილებისთანავე კონსტანტინოპოლიდან თუ მონთობანიდან თამარაშვილს სთხოვეს. წიგნი მათ სტამბაში დაებეჭდა, ხოლო თვით დაბრუნებულყო კონსტანტინოპოლს და იქ დედა მონასტერში ემოღვაწა სულიერი საქმეებისათვის. როგორც ვიცით, თამარაშვილი კონსტანტინოპოლის ქართული კონგოეგაციის ამ მოთხოვნას არ დაეთანხმა, რამაც საკითხის გამწვავება და მისი „ძმობიდან“ მოკვეთა გამოიწვია. ყოველივე ამას გამო თამარაშვილმა ვერ შესძლო კონსტანტინოპოლის და მონთობანის ქართულ სტამბებში თავისი შრომების გამოქვეყნება. იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისსა და რომში გამოქვეყნდა.

ამ დროისათვის მ. თამარაშვილს თავის საკვლევადიებო ქსელი ფართოდ ჰქონდა გაშლილი. მას მსოფლიოს თითქმის ყოველი კუთხიდან, საიდანაც კი საეარაუღებელი იყო ქართული დოკუმენტების არსებობა, მოსდიოდა წერილები და ცნობები. მისთვის თანდათან ნათელი ხდებოდა, რომ საქართველოს ისტორიის შესახებ დოკუმენტები მრავლად მოიპოვებოდა: პეტერბურგის, მოსკოვის, ლონდონის, პარიზის, კონსტანტინოპოლის, ტრაპიზონის, ბეირუთის, ქააროს, ალექსის და სხვა ქალაქთა წიგნსაცავებსა და არქივებში. ამგვარი დოკუმენტები უფრო დიდი რაოდენობით მოიპოვებოდნენ უცხოეთში გაფანტულ ძველ ქართულ მონასტრებში: პალესტინაში, შავ მთაზე, სირიაში, სინასა და თაბორის მთებზე — ეგვიპტეში, ათონზე ბულგარეთში და სხვ.

¹⁸³ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, № 143.

¹⁸⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10, საქ. 319. ფურც. 29.

„მე როდესაც ბეირუთში ვიყავი, — წერდა თამარაშვილს 1907 წ. მაისში კონსტანტინოპოლის ქართულ სკოლადამთავრებული იოსებ მარტაროზოვი, — იქ ძალიან ბევრი მღვდლები გავიცანი, ხშირად მათ მონასტერში დავდიოდი და ძალიან კაი მეგობრებიც ვავიჩინე მათთან. იქ იმათ ბიბლიოთეკაში და არხივებში ხშირად დავდიოდი და ბევრი ქართული წიგნები დამხვდა მათ ბიბლიოთეკებში თუ ხელნაწერი თუ ბეჭდური. არხივებშიაც საქართველოს შესახებ საკმარის საბუთები ვნახე იქ. მე დაჰპირდნენ, რომ თუ რომ მოინდობეს რაიმე უპველად მომცემდნენ... დაუვიწყარო მამაო თუ რომ გენუბროსთ მომწერეთ და მე ყოველგვარ სამსახურს გაგიწევთ-ო“¹⁸⁵.

ასევე უგზავნიდნენ ცნობებს ქართული მონასტრის შესახებ იერუსალიმიდან მარიამ თუშანიშვილი, პატრიარქი ფილიპე კამასეი და სხვა.

მ. თამარაშვილს, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს დიდად ახარებდა. მაგრამ იმ ხანად მისი თავი და თავი საფიქრებელი იყო იმ დიდი ვალებიან გასტუმრება, რომელიც წიგნის გამოცემას მოჰყვა და რომლის პროცენტები დღითი დღე იზრდებოდა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მკვლევარმა კვლავ თავის სამშობლოს სთხოვა შეველა და დასპარება. ამავე ღროს იგი გაბედულად მოითხოვდა: „ყველა პატიოსან ქართველს, ვისაც მამული უყვარს, მის წარსულს აფასებს, ღიდი ვალი აქვს ხელი მომიწყოს ამისთანა სამამულო შრომაში“-ო¹⁸⁶ მ. თამარაშვილი დაუსწრებლად ჩარიცხეს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრად¹⁸⁷.

1911 წ. 10 მაისს მან მიმართა ყიფშიძეს, რომ მას ეშუამდგომლა თბილისის თავად-აზნაურობის წინაშე, რათა შესაფერისი შემწეობა აღმოეჩინა წიგნის გამოცემისათვის აღებული ვალებიან გასტუმრებაში.

„დარწმუნებული უნდა იყო, — წერდა მკვლევარი, — რომ საქართველომაც, რომლისათვისაც განწირული ვიშრომე ჯეროვნად და აფასოს ესრეთი შრომა და მიიღოს შესაფერისი მონაწილეობა მის წარსაგებში. ამ წიგნის გამოცემამ ღიდი შრომის გარდა ღიდი ხარჯიც მამინება. ყოველნაირი შეწუხება თავზე ავიღე წიგნის სისრულეში მოყვანისათვის, რის გამო საკმაოდ ვალიც დამედო. იმედი მქონდა რომ საქართველოდან მალე აღმომიჩენდნენ შემწეობას, როცა ნახავდნენ ჩემს წიგნს; გარნა ჩემდა დიდად სამწუხაროდ დღემდინ არათუ-

¹⁸⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტი, 10, საქ. 296, ფ. 1.

¹⁸⁶ ლიტერატურის ინსტიტუტი, ხელნაწერთა ფონდი № 5463—ც.

¹⁸⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტი № 10, საქ. 173, ფურც. 103.

რი მივიღე. ამიტომ ვერც ვალი გადავიხადე შეპირებულ დროზე, რის გამო 500 ფრანკით მეტის თხოვნა დამიწყეს“-ო¹⁰⁸.

ყიფშიძემ მკვლევარს ბევრი ვერაფერი სანუგეშო ვერ აცნობა. მან ურჩია მხოლოდ, რომ ერთხელ კიდევ პირადად მიემართნა თბილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლისათვის. მართლაც 1911 წ. მაისში თბილისის თავად-აზნაურთა კანცელარიის დავთრებში კიდევ ჩაიწერა მ. თამარაშვილის გვარი, რომ მას დახმარებაზე უარი ეთქვა. სათხოვარ წერილში, რომლის მეორე ცალი მკვლევარის არქივში შემორჩა, ვკითხულობთ:

„თქვენს ბრწყინვალეებას მოეხსენება, რომ ქ. რომში დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე ისტორია ამ სათაურით „საქართველოს ეკლესია“. დიდი შრომა დასჭირდა ამ ისტორიის შედგენას, უფრო დიდი შრომა და ჯაფა მოვახმარე მის დაბეჭდვას: ვინაიდან მე ქონება არაფერ არა მაქვს, როგორც იყო დავძლიე ყველა დაბრკოლება. ვიშოვნე ვალი და დავამთავრე ისტორიის დაბეჭდვა... დაბეჭდვას მოუნდა 5000 მან. ეს ამდენი ვალი დამაწვა კისრად და საშუალება არა მაქვს რომ გადავიხადო. ამის გამო მოვალეებმა წიგნი დაატუსაღეს და თუ დროზე არ გადავიხადე სულ დაიკარგება ამოდენა შრომა... ასი თუბნითაც რომ გამიმართათ ხელი იმიც დიდი შემწეობა იქნება ჩემთვისო“¹⁰⁹.

თავადაზნაურთა სხდომაზე რამდენჯერმე გამოიტანეს დადგენილება დახმარების შესახებ, მაგრამ დადგენილება სისრულეში არავის მოყვდა. ასევე მოიქცა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა, რომელიც იმიზეზებდა, რომ ის, თბილისის თავადაზნაურობაზე ღარიბი იყო, რომ დახმარება მკვლევარისათვის პირველ რიგში თბილისის თავადაზნაურობას უნდა გაეწია.

ბოლოს და ბოლოს მცირე თანხის გამოღება კვლავ ზუბალაშვილებმა იკისრეს. ამასთანავე ბევრმა პატრიოტმა ქართველმა ინტელიგენტმა გამოიღო თავისი მცირე წვლილი და ყველა ეს შეკრებილი თანხა, თბილისის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის მოძღვარს ლ. გოზალიშვილის ინიციატივით გაეგზავნა რომში მ. თამარაშვილს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ თანხით თამარაშვილმა მთელი ვალები ვერ გაისტუმრა, ის მაინც შესძლო, რომ წიგნისათვის ყადაღა შეხადა და გავრცელებს ნება მიეღო.

მოწინავე ქართველი ინტელიგენცია დიდად წუხდა, რომ უცხოეთში გადაკარგულს და მაშულის სიყვარულში გაწამებულ მკვლევარს ასე განურჩევლად ეპყრობოდა საქართველოს „დიდკაცობა“,

¹⁰⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი № 10, საქ. 752, ფურც. 1.

¹⁰⁹ იქვე, საქ. 173, ფ. 97.

იგი კიცხავდა ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის ინდიფერენტიზმსა და უსულგულობას. თავის მხრივ ეს მოწინავე ქართველი ინტელიგენცია მუდამ აღაფრთოვანებდა, აიძულებდა და საქმიან დახმარებას უწევდა მკვლევარს. მ. თამარაშვილთან ამგვარ ურთიერთობაში ჩვენ ვხვდებით იმ დროს ბევრ გამოჩენილ მოღვაწეს.

მიხეილ თამარაშვილი, როგორც მკვლევარი და ისტორიკოსი, მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ ჯერ კიდევ 1897 წლიდან გაიცნო, როცა მან ილია ჭავჭავაძის ივერიაში მოათავსა წერილი ქართველი კათოლიკეების შესახებ.

ამის შემდეგ დიდი ილია, რომის არქივებში ჩამჯდარ ქართველ მეცნიერს, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე და მიხეილ თამარაშვილი არც პირადად და არც წერილობით ერთმეორეს არ იცნობდნენ, ერთმეორის დამფასებელნი და პატივისმცემელნი ყოფილან მუდამ. ი. ჭავჭავაძეს 1900 წ. თავისი რედაქციის თანამშრომლებისათვის ბრძანება მიუტია, რომ რომში ღარიბი ქართველი მეცნიერის მ. თამარაშვილისათვის უფასოდ ეგზავნათ გაზეთი „ივერია“.

მ. თამარაშვილი ნატრობდა ილია ჭავჭავაძის გაცნობას, როგორც საქართველოს უპირველესი და „უწარჩინებულესი კაცისას“. იგი ეხვეწებოდა ხან ივანე გვარამაძეს, ხან ზ. ჭიჭინაძეს და ხან სხვებს.¹⁰⁰, რომ როგორმე გაეცნოთ მისთვის ილია. თამარაშვილი თავის შეგობრებს უზიარებდა აზრს, რომ ილიას მსგავსი „აზრისა და ფიქრის“ კაცი „დიდსა და კულტურულ“ ქვეყნებშიც ძნელად მოსაძებ მოსახარბიანო. იგი აღფრთოვანებული იყო ილიას მწერლობით, პუბლიცისტობითა და ქვეყნის კაცობით. მ. თამარაშვილი პირდაპირ ცაჲ დაეწია, როცა ილიამ თავისი სიტყვა სთქვა საქართველოს ისტორიის საკითხებზეც. მაგალითად, როცა მიხეილ თამარაშვილმა წაიკითხა ილიას „ქვათა ღაღადი“, აღფრთოვანებული და გახარებული ზ. ჭიჭინაძეს სწერდა: „მე მსურდა რომ პირდაპირ წერილი მეახლებინა და მით დიდი მადლობა მომეხსენებინა მისთვის; ამ ყოვლად საყურადღებო წერილის გამო, რადგან დაახლოება და პიროვნული ცნობა არა მაქვს მაგ დიდად პატიოსანი და ჩვენდა სასიქადულო პირისა, ამისთვის ვერ გავბედე, რომ პირდაპირ წერილი მიმერთმია მაგ ყოვლად უწარჩინებელი მწერლისათვის. უკეთუ თქვენ სცნობთ, რომ მას სასიამოვნოდ დარჩება ჩემ მიერ მადლიერების მოხსენება, გთხოვთ სიდაბლით, რომ ჩემს მაგიერ გრძნობით ჯავსე და გულითადი მადლობა მოახსენებოთ“.

¹⁰⁰ ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 159 და ლიტ. ხელნაწერთა ფონდი № 5460—6.

ნოა ბ-ნს ილია ჭავჭავაძეს ამ თავის ფრიალ საყურადღებო წერილი-სათვის“-ო¹⁰¹.

ილია ჭავჭავაძის განცხადება რომ „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს... ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ ერთმანეთი ვიძმოდ“-¹⁰².— შეიძლება ითქვას რომ მ. თამარაშვილს თავისი ცხოვრების ხატად ჰქონდა გულს დაჩნეული. სწორედ ილიას „ივერიამ“ უწოდა მ. თამარაშვილს შემქმნელი „მეორე ქართლის ცხოვრებისა“.

მიხეილ თამარაშვილთან ნამდვილი სულთწილ სიახლოვე ჰქონდა „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ შემქმნელს ი. გოგებაშვილს. ცნობილია რომ მ. თამარაშვილის „ისტორია ქართველი კათოლიკეების“— გამოცემით, ქართველი ინტელიგენტიებიდან ყველაზე უფრო აღფრთოვანებული და გახარებული ყოფილა „ივენანამ რა ჰქმნა“-ს ავტორი¹⁰³.

მიხეილ თამარაშვილისა და აკაკი წერეთლის ურთიერთობა უფრო მჭიდრო და უფრო ახლოაღმოსავლური იყო. აკაკი წერეთლის ზღაპრული სახელი და ავტორიტეტი ყველა ქართველის გულში პოულობდა ბინას. აკაკი განსაკუთრებით უყვარდათ ქართველ კათოლიკეებსაც. აკაკის პირადი ხასიათი და ბუნება ხალხის ამ სიყვარულს აორკეცებდა. მნიშვნავ იყო რომ აკაკი ყველგან იყო და ყოველთვის ხალხთან ალბათ არც ერთ ქართველ პოეტს საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ იმდენი არ უმოგზაურია, როგორც აკაკის. ჭერ კიდევ 1895 წ. აგვისტოში მ. თამარაშვილი კონსტანტინოპოლიდან ივანე გვირგვინს სწერდა, რომ შეგვატყობინეს, თითქოს აკაკი აპირებს აქეთ გამოვლას და ჩვენ მის შესახებდარ სამზადისში ვართო¹⁰⁴. მართლაც ამის შემდეგ კონსტანტინოპოლის ქართველობა დიდხანს იყო აკაკის მოლოდინში.


აკაკი წერეთლის ევროპაში გამგზავრება საქართველოში რეაქციონის მძვინვარებას დაემატება. 1905—1907 წლების რევოლუციის მარცხით შეშფოთებული და იმედგაცრუებული ინტელიგენცია ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის ამ ერთ-ერთი ბელადის პარიზში გამგზავრებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და თავისებურ შეფასებას აძლევდა.

¹⁰¹ ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 5460—6.

¹⁰² ი. ჭავჭავაძე — წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე. თბილეთის სუბტომად.

¹⁰³ ხელნაწერთა ინსტიტუტი № 10. საქ. 459, ფ. 7.

¹⁰⁴ ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 137.



Normandy Hotel

7 Rue de Valenciennes
PARIS

24 April 1918

Telegrammes
NORMANDY-PARIS
TELEPHONE 919-68

გთხოვთ მადლობა!

19 ივნისს მადლობა გივხდით,
შეგპობ ამ დროს, და ვლავ
ხედავს ხს. ავ. ვ. და ვლავ
და სპორტს მათი მათი

დაც იპარს ხს. მათი
და მათი მათი მათი

და მათი მათი მათი

და მათი მათი მათი

და მათი მათი მათი

და მათი

1909 წ. აგვისტოში აკაკი ევროპაში გაემგზავრა. ამ ცნობას იქმაცხოვრებელი ქართველები დიდი სიხარულით შეხვდნენ. ქართველმა სტუდენტებმა და სათვისტომოებმა პოეტის შესაბვედრად მზადება დაიწყეს და დეპეშებითა და წერილებით დაქსელეს მთელი ევროპა. დიდებულ პოეტთან შეხვედრის ამ სამზადისში ევროპაში მაცხოვრებელ ქართველმა კათოლიკეებმა (კონსტანტინოპოლი, მონთობანი, რომი და სხვა) სპეციალური გეგმა შეიმუშავეს, რაც ევროპისა და საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობის შემდგომი დაახლოების სურვილით იყო ნაკარნახევი. ამ გეგმის ინიციატორები და სულისჩამდგმელები იყვნენ პატრი მერაბაშვილი, სტეფანე ვარდიძე და მიხეილ თამარაშვილი. მიხეილ თამარაშვილი ცხრაასიანი წლების ევროპაში ის ცენტრალური ფიგურა იყო, რომლის გარშემო ერთიანდებოდნენ ქართველი ახალგაზრდები. მისი ბინა (მშ. რომში საკუთარი ბინა ჰქონდა) ქართველთა ნაშდვილ შესაჯრებსა და სათათბირო სალონს წარმოადგენდა. ვისაც მნიშვნელოვანი რამ დასჭირდებოდა ევროპაში, რჩევასა და დახმარებას პირველ რიგში თამარაშვილს სთხოვდა. და იგიც დიდის გულმოდგინებით ასრულებდა ყოველგვარ დავალებას. ყველა „უზოუკლოდ“ დაკარგული ქართველი მასთან მიდიოდა და მის მფარველობასა და დახმარებას იღებდა. მიხეილ თამარაშვილი ევროპაში ჩასული ახალგაზრდა ქართველების ნაშდვილი გზის მაჩვენებელი იყო. ამ ერთის შეხედვით თითქოს წვრილმან საქმეს უდიდეს საკვლევ-საძიებო მუშაობასთან ათავსებდა და მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში თავისი ნიჭითა და თავისი არსებით ერის სამსახურში იღვა.

1909 წ. აგვისტოს პირველ რიცხვებში პატრი მერაბი კონსტანტინოპოლის ქართველი კათოლიკე ძმათა მონასტრიდან გაგზავნილ სპეციალური ბარათით აცნობებდა მიხეილ თამარაშვილს, რომ აკაკი ევროპაში სამოგზაუროდ მიდიოდა და თან აკაკის პარიზის მისამართს წერდა.

როგორც საარქივო დოკუმენტებიდან დგინდება აკაკი საქართველოდან ჯერ კონსტანტინოპოლში ჩასულა, სადაც მას კონსტანტინოპოლის ქართველების ერთი ჯგუფი შეხვედრია და პოეტისათვის გულთბილი საღამო მოუწყვია¹⁹⁶. ამ საღამოზე განსაკუთრებით აქტი-

¹⁹⁶ უფრო ადრე 1908 წ. კონსტანტინოპოლის ქართულმა კოლონიამ (ქართველი კათოლიკენი, მართლმადიდებლები და მაჰმადიანები) აკაკის ოფიციალური საიუბილეო საღამო აღნიშნა, სადაც სიტყვები წარმოსთქვეს ქართული კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარმა სტეფანე გიორგაძემ, პუბლიცისტმა „ჯვარი ვახისა“-ს რედაქტორმა დომინიკე მულაშაშვილმა, იასე რაქველმა და სხვებმა.

ურ მონაწილეობას იღებდნენ კონსტანტინოპოლის (ფერიქოვის) ქართული სკოლის მოსწავლენი. ამ სკოლის ერთ-ერთმა მოსწავლემ სოსო ვარდიძემ პოეტს მიმართა საკუთარი ლექსით. ლექსში ვარდიძემ პოეტს ქართველთა სულის მნათობი უწოდა, რომლის სხივები უცხოეთშიც ათბობდნენ ივერთა შვილებსო. შეხვედრისას საუბარი ყოფილა როგორც პოლიტიკურ, ისე პატრიოტულ თემებზე, საქართველოსა და ევროპის მომავალ ურთიერთობაზე, საარწმუნოებაზე და სხვა ლიტერატურულ საკითხებზე.

აკაკის კონსტანტინოპოლში ჩასვლას და საუბარს იქაურ ქართველ კოლონიაზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ ამ საუბარზე წამოჭრილი კითხვები მათ 1909 წლის 21 აგვისტოს სპეციალურად მოწვეულ ყრილობაზე განუხილავთ. „ამ ენკენის 5 თქვენებურად 23 აგვისტოს მოვანდინეთ ქართველების ყრილობაო“. აცნობებდა აკაკის პატრი მერაბაშვილი. ამ ყრილობას თავმჯდომარეობდა ივანე სიდავა. ყრილობაზე პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა ვინმე გელაძემ, რომელიც თურმე „ყველასათვის საამური არ იქნა“¹⁹⁶. რადგან იგი რუსის კონსულს შეეჩებოდა — ზოლო „ქაურები ყველანი რუსის კონსულატის შემხედავეები არიან და მის საწყყენ საქმეს ვერ შეუდგებიანო“¹⁹⁷, სწერდა მერაბაშვილი უკვე პარიზში მყოფ აკაკის კონსტანტინოპოლიდან. პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა აგრეთვე ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა ქუთაისის არბიმანდრიტ ნიკოლოზისა, რომელიც იმხანად სპეციალურად კონსტანტინოპოლში იყო ჩასული. ყრილობაზე შემუშავებულ იქნა აგრეთვე პრაქტიკული გეგმა, თუ როგორ უნდა დახვედროდა ქართული კოლონია ევროპიდან დაბრუნებულ და გზად გამოვლილ აკაკი წერეთელს. „თქვენს გამოვლაზედ, რაც გავლასა ვერ მოვანერხეთ—წერდა აკაკის მერაბაშვილი — ე. ი. თქვენი მიღება ერთხელ მთელი ქართველების შეკრებაზედ“¹⁹⁸. გადავწყვიტეთ და აუცილებლად აქეთ უნდა ჩამოიაროთო. ამ დროს იტალიისა და საფრანგეთში მყოფ ქართველმა კათოლიკებმა აკაკისთან შეხვედრის ახალი გეგმა შეადგინეს. 1909 წ. აგვისტოში რეითიდან ემანუილ ვარდიძე მ. თამარაშვილს ატყობინებდა, რომ შესაძლებელია აკაკი რომში ჩამოვიდეს მიმდინარე წლის სექტემბრის დამლევსაო.

¹⁹⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაკის ფონდი, საქ. 405.

¹⁹⁷ იქვე.

¹⁹⁸ იქვე.

ამავე წლის 12 აგვისტოს რეითიდან ქართველ—კათოლიკე პატრ-
 მა სტეფანე ვარდიძემ აკაკის რომში მოსალოდნელი ჩასვლის შე-
 საბუთად მ. თამარაშვილს მისწერა საკმაოდ ვრცელი და შინაარსიანი წე-
 რილი. ამ წერილში ნათლად არის ასახული, როგორც პოეტისადმი
 დამოკიდებულება ისე ის მიზნები და საქმიანობა, რომლის მოლო-
 დინშიც თვითონ იყვნენ. სხვათაშორის ამ მეტად საყურადღებო წე-
 რილში სტეფანე ვარდიძე წერს: „აკაკი მგზავრობს და ბოლოს რომ-
 ში შეერთებისათვის უნდა იშრომოს. პ. მერაბი ამბობს თქვენს წე-
 რილში ყველა დაწერილებით არისო. მამ შე აღარ დავახელმეორებ.
 მხოლოდ ყველა მოსწავლეებს გვთხოვენ აკაკი დიდის პატივით მი-
 ვილოთ. თვით აკადემია გაუუკეთოთ. ერთი კარგი ძღვენიც ყველას
 მოწყობა უნდა და ამისათვის რაჟამს წაიკითხავთ, გთხოვთ, რომ გვაც-
 ნობით თქვენი სურვილი. საცალკევოდ იხვეწებიან, რომ აკაკის
 ოდიანცი ვუშოვნოთ, რადგან თბილისის, ქუთაისის და ფოთის ეპის-
 კოპოზნიც თანახმანი ყოფილან შეერთებაზედ. აკაკის უნდა პაპს წარ-
 უდგინოს ოდიანცის დროს ვრცელი მოხსენება და პლანები. ამისათვის
 მამო გთხოვ, რომ როგორც აქამდის ღღეს უფრო. ისახელებთ თავს,
 უფრო დიდის მოწოდებით, თავაზიანად მიიღებთ ჩვენს თავადს და თა-
 ვადურად დაუხვდებით, ეს ისტორიაში დარჩება. ამისათვის ნურას
 დაზოგავთ. მეორე, პაპის ოდიანცის გარდა გააცნეთ იგი და დეკორა-
 ციანი მიაცემინეთ. მწერენ სამი თავდება აქვსო: 1. ვიღრემდის... წაგვ-
 ლიჯოთ საქართველოს ეკლესიის სიმღიდრე, იქამდის პაპიც მოვა-
 ლეობას შეეწიოსო. 2. ამავე დოგმატიკურ საკითხებზედ ლაპარაკი
 არ ჩამოვარდესო. 3. ჩვენ ვიცნობთო პაპას, ვითარცა თავს მთელი
 ეკლესიისათ... ესრედ რასაც თვით აკაკიზედ გვწერენ, ვითარცა მეც
 მწერს, და მისი აზრით, ერთობა აღვილად მოხერხდებაო. დანარჩე-
 ნებს თქვენვე გაიგებთ წერილით თუ აკაკის პირით. ახლა ჩვენი სა-
 ფიქრელი ის არის, რომ თუ როგორ უნდა დავხვდეთ აკაკის რომშიდ.
 აპა ჩვენი პლანი: 1. უთუოდ აკაკის მოსვლის ღღეს ჩვენ ყველანი
 მანდ ჩამოვიდეთ ერთი დისკური მოვაწყოთ. 2. რასაკვირვე-
 ლია თქვენსას მიიღებთ თავადურად და იქ შინაურად ჩვენ
 პატარა აკადემიას გაუუკეთებთ, თავის იუბილეის გამო და რომ-
 თან დაახლოების გამო. აკადემიის პლანს შევიმუშავებთ და
 გააცნობთ, როცა მივიღებთ თქვენს პასუხს. 3. უთუოდ ერთი ძღვე-
 ნი თუ ისურვებთ, და ამაზედ გვაცნობეთ რა იქნება მისთვის (აკა-
 კისათვის) საამო, რა უთავაზოთ. ასრედ მამო, დანარჩენი თქვენ იფი-
 ქრეთ და ჩქარა. დღიდან დღეზედ პასუხს ველით. თქვენვე უნდა მო-
 აწყოთ, რომ თუ აკაკი ჩვენი ჩამოსვლის წინ რომში მოვიდა, რო-
 გორ შეგვეძლება მანდ მოსვლა. უთუოდ ამათ ნება უნდა დავაძროთ

და თქვენც რომ მოახსენებდეთ კარგი იქნება, რადგან აკაკის მოსვლა მაგისტრის დიდი საქმეა, ვითარცა საბა-სულხან-ორბელიანი-სა. ვუჩვენოთ, რომ ჩვენც ქართველნი ვართ და ვწრომობთ და ვინ იცის თუ საქმე არ მოხერხდა მაინც ჩვენს გზით ფრიად მაღლიერი და აღტაცებული იყოს. უთუოდ უნდა დიდებულად გარიგდეს ყველა ეს. აქ შეწუხება არ გვაქლია და ეგ დაგვაფიწყებს და აღვაფრთოვანებს.

ჩვენ უნდა დავუხვდეთ რკინის გზაზედ და სახლშიდ ვუჩვენოთ პოეტს, რომ ქართველნი ვართ. გვიყვარს ქართველობა, მასთან მარადის კარგი ლაპარაკით¹⁹⁹.

მიხეილ თამარაშვილი აკაკის ევროპაში მოგზაურობის მიზნებით და მისი რომში შესაძლებელი ჩასვლით ისე აღფრთოვანებულა და მოხიბლულა, რომ იმთავითვე პოეტთან შეხვედრის სამზადისი დაუწყევია და რომიდან პარიზში მისთვის მისაპატიყებელი წერილი გაუგზავნია: „მაუწყეს თქვენი აქ მოსვლის სურვილი, — სწერდა იგი აკაკს, — ამ მოულოდნელმა ამბავმა მეტად გამახარა, რადგან თქვენი ნახვა ჩემთვის დიდი სიხარული იქნება. ამისათვის მოუთმენლად მოველით თქვენს აქ მობრძანებას. უმორჩილესად გთხოვთ წერილით წინდაწინ მაცნობეთ თქვენი აქ მოსვლის დრო... აგრეთვე მაცნობეთ როცა იტალიაში შემოხვალთ.. თქვენი აქ მოსვლის საათი. რათა მე ტანციაზე დაგიხვდეთ“²⁰⁰, რომ აკაკი წერეთელი მართლაც დაინტერესებული ყოფილა კათოლიკობის საკითხით და ამ კუთხით ევროპასთან საქართველოს შემდგომი დაახლოების ცდით, ეს თვით აკაკის წერილებიდანაც კარგად ჩანს. თამარაშვილისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში იგი პირდაპირ ითხოვს, გამომიგზავნეთ თქვენი ნაწერები კათოლიკობის შესახებ, რადგან ეგ დოკუმენტები ახლა ჩემთვის „დიდად სასწრაფო და საჭიროა“ო. აი აკაკის ეს წერილიც: „თქვენმა წერილმა დიდად მასიამოვნა! მართლა რომ ძალიან გულთ მინდა მანდ მოსვლა და თქვენი ნახვა, რადგანაც თქვენი რჩევა ჩემთვის დიდად საჭირო იქნება. ჭერჯერობით, ამ თვეში ვერ მოვდივარ და როცა წამოვალ შეგატყობინებთ. თქვენი ნაწერები კათალიკოსობის შესახებ ფასდაღებით სასწრაფოდ გამომიგზავნეთ. დიდად საჭიროა“—ო²⁰¹.

თამარაშვილმა თავისი „ისტორია კათოლიკოსობისა ქართველთა შორის“ პოეტს სასწრაფოდ გაუგზავნა და თითქოს ყველაფერი

¹⁹⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 10, საქ. 205, ფურც. 8—9.

²⁰⁰ იქვე, საქ. 467, ფურც. 1, 2.

²⁰¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი № 10, საქ. 467, ფ. 2.

ქარგად მიდიოდა, რომ აკაკიმ პარიზიდან აცნობა თამარაშვილს, რომ-
ში ჩამოსვლა შემთავაზებდა.

აკაკი წერეთლის რომში ჩასვლის გადავადება მ. თამარაშვილს
არ სიამოვნებდა, წერილებით ურჩევდა პოეტს, რადაც არ უნდა დას-
ჯდომოდა მაინც ჩასულიყო რომში; გზა და გზა იტალიის ლამაზ ქა-
ლაქებში შეჩერებულიყო და დაეთვალა ირგვლივ. იგი წერდა: ამ
ქალაქთა ნახვით „ყველგან დიდად კმაყოფილი დარჩებითო“ და
დაეინებოთ განაგრძობდა: „კვლავ დიდის სურვილით მოველი ჯერ
თქვენს მშვიდობის ამბავს და შემდგომ თქვენს მობრძანებას აქ, რომ-
შიო“²⁰².

მიხეილის ამ წერილებმა, როგორც ჩანს იმოქმედა პოეტზე და
ღია ბარათით სასურაფოლ შეატყობინა: ახლა „თქვენი წერილი რო-
გორც მომივა მალე წამოვალო“. მაგრამ აკაკიმ ვერ შეძლო „მარა-
ღიულ ქალაქში“ ჩასვლა. რომში მომლოდინე თამარაშვილმა მაშინ
აზრდა არ იცოდა, რომ აკაკის ჩაუსვლულობის ერთერთი მიზეზი
მისი „საგზალზე ნაკლებობაც“ იყო. თუმცა ეს მისი რომში ჩაუსვ-
ლულობის მთავარი მიზეზი მაშინ არ ყოფილა. 1909 წ. 24 ოქტომ-
ბერს აკაკი პარიზიდან ატყობინებდა: „ბატონო მიხეილ ამ დღეებში
მივდივარ კავკასიაში. გარემოებამ ისე მოიტანა და ვეღარ ჩამოვალ
სამ თვეზე ადრე, და მაშინ კი რომში ჩამოვალ უფრო დიდი ხნითო“²⁰³,
ამ „გარემოებაში“ თამარაშვილს არ შეიძლება პოლიტიკური მიზეზე-
ბი არ დაენახა. როგორც ევროპაში მაცხოვრებელ ქართველთა წერი-
ლებიდან ჩანს, აკაკი რუსეთში „გაიწვიეს“. ამ ამბის შეტყობამ ისე
დაანაღვლიანა მიხეილი, რომ აკაკის პირდაპირ მისწერა „სწორედ მო-
გახსენებ, რომ დიდად დამალონა ამ ამბავმა, რომ ეხლა ვეღარ მობრ-
ძანდებითო... დიდის აღსურაფებით მოგელოდი აქ. ახლა მოთმინების
მეტე რაღა გზა მაქვს“-ო²⁰⁴. ბუნებით ოპტიმისტი თამარაშვილი იქ-
ვე შენიშნავდა „ვინუგეშებთ იმით, რომ სამი თვის შემდგომ მობრძან-
დებითო“ რომში, გავიცნობთ ერთი მეორეს და საჭირო საგნებზედ
კვლავ ვილაპარაკებთო. აკაკის ჩაუსვლულობის მიუხედავად თამარა-
შვილმა გული არ გაიტება და როგორც იტყვიან თავისი გაიტანა.
რომში ჩაატარა პოეტის საპატივცემულო ლიტერატურული საღამო
და ამის აღსანიშნავად პარიზში მას მცირე ძღვენი და ადრესი
პიარათვა.

²⁰² ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაკის ფონდი, საქ. 404, ფ. 2, 3.

²⁰³ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. № 10, საქ. 467, ფ. 3.

²⁰⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაკის ფონდი. 404, ფ. 4.

როგორც ჩანს, არც აკაკის არ მიაჩნდა თავისი მისია შესრულებულად და ევროპაში, ისიც პირდაპირ რომში დაბრუნებას ფიქრობდა. მაგრამ ამის შემდეგ აკაკი ევროპაში ველარ ჩავიდა და ამიტომ ვერც მის ზრახვებს ეღიროსათ სრული გამომწეურება.

ჩვენ გვგონია, რომ სტოლიპინის შავბნელი რეაქციის დროს აკაკის ევროპაში მოგზაურობის მიზანი მართლაც არ უნდა ყოფილიყო თავისუფალი ეროვნულპოლიტიკური ტვირთისაგან, ეს მოგზაურობა მარტო პოეტის მკურნალობის ინტერესებით არ ამოიწურებოდა და ვფიქრობთ, რომ შემდგომ მისი საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლით დაინტერესებული პირი ამ საკითხსაც მიაქცევს სათანადო ყურადღებას: ეს მით უმეტეს საგულისხმოა, რომ მას ზოგიერთნი „ქართველთა მესიას“ უწოდებდნენ და პოეტის მოგზაურობას საბასულხან ორბელიანის მოგზაურობას ადარებდნენ და პრაქტიკული მოქმედების გეგმებს ადგენდნენ. აკაკის, საბაჟ გვერდით დაყენება, ეროვნული დამოუკიდებლობის გზაზე, ევროპასთან ურთიერთობის უწყვეტ ჯაჭვს ქმნის და ჩვენი ისტორიის ბევრ მტკივნეულ საკითხზე მიგვანიშნებს. როგორც ცნობილია გვიანფეოდალური ხანის საქართველოში უაღრესად დასუსტებული და გაღარიბებული ქართული ეკლესია ველარ გამოლიოდა ეროვნული მიზნების გამაერთიანებლისა და ხელმძღვანელის როლში. თუ მე-19 საუკუნემდე ამ ტვირთს საქართველოს სახელმწიფო უჯრედები (მისი სამეფოები) სწევდნენ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა ეროვნული კონსოლიდაციის ეს პოლიტიკური ცენტრიც მოიშალა, მისმა ისედაც სუსტმა ეკლესიამ დაკარგა თავისი ავტოკეფალია და ამ ტვირთის აწევა მოუხდათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადებს ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით.

ილიას სიკვდილის შემდეგ აკაკი წერეთელზე უფრო დიდი ფიგურა ჩვენი ეროვნული ერთიანობის გზაზე არ ჩანდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეს ბელადები საქართველოსა და ქართველების ერთიან მიზნებს სახავდნენ და არსებულ სოციალურ-პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი სხვაობის მიუხედავად, ახერხებდნენ ყველა მიზნების ეროვნულ ფოკუსში მოქცევას. ამიტომაც იყო რომ ეროვნულობის განსაზღვრისას ისინი პირველად გილს ერის ისტორიულ ცხოვრებას ანიჭებდნენ. „ჩვენის ფიქრით, ამბობდა ილია ჭავჭავაძე, — არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსკველებს ზოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა

ისტორიისა“²⁰⁶. მათ მართლაც თავიანთი საქმიანობით ჩვენი ერის შიგნით აღმოაჩინეს კიდევ რაღაც „რღვეულთა შორის იღუმალნი შემსჭვალეზის“ საოცარი უნარი. აკაკი წერეთლის 1908 წელს საქართველოში ჩატარებული იუბილე ამის ნამდვილი დემონსტრირება იყო. ასევე იყო ეს საქართველოს ფარგლებს გარეთაც მაგ. ოსმალეთში, სადაც აკაკისადმი მიძღვნილ საღამოზე, როგორც პატრი გიორგაძე წერდა: ოთხი რიგის ქართველნი მოვიდნენ, ქართველი მართლმადიდებლები, ქართველი კათოლიკენი, ქართველი მაჰმადიანები და ქართველი გრიგორიანებიო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ისტორიულს ავბედითს ცხოვრებას მათი ყველა გზები ერთიმეორისაგან დაეცილებინა და გაეთიშა, ეს ერთი იღუმალეზით მოცული გზა მაინც დარჩენილიყო. რომელიც კვლავ მომავალი ერთიანობისაკენ მოუწოდებდა.

არ შეიძლება უგულვებელეყოთ აგრეთვე ის დიდი ზრუნვა ქართულ ეკლესიისადმი, რომელსაც იჩენდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. როგორც ილიას არქივში შემონახული დოკუმენტებიდან მტკიცდება, მას 1900 წლის ახლოს სახელმწიფო სათათბიროში წარსაღგენად შეუღგენია სპეციალური პროექტი, საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიისაგან გამოყოფისა და მისი ავტოკეფალიის საკითხებზე. ყოველივე ამას რა თქმა უნდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ელფერი ეღო. როგორც ჩანს ილიას სიკვდილის შემდეგ აკაკი წერეთელმა მოკიღა ხელი ამ საქმეს და უფრო სხვა კუთხით სცაღა მისი გაღაქრა, იგი უფრო სულხან-საბა ორბელიანის გზას გაჰყვა. და „შეერთებისათვის“ ზრუნვა ღაიწყო. აღსანიშნავია, რომ 1909 წ. საქართველოს ეკლესიის 15 წინამძღვარმა წერილობითი თანხმობა განაცხაღა გაკათოლიკებაზე, რის წინაღმდეგი არც თბილისის, ქუთაისის და ბათუმის ეპისკოპოსნიც არ იყვნენ... ამის საწინაღმდეგო ღონისძიება იყო საქართველოს კათალიკოსის კირიონის „უმისამართო“ მკვლელობა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეკლესიასთან აშგვარ ურთიერთობაში სრულიად გამორიცხული იყო სარწმუნოებრივი საკითხი და ეს მხოლოდ ეროვნული უფლებების დე-იურეს შეეწებოღა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ; ფიგურალურ თქმას, რომ აკაკი წერეთელი ლექსებს კი არა საგალობლებს წერღა, ამტკიცებს საქართველოს ეპისკოპოსის ლეონიდის 1914 წ. 13 თებერვალს აკაკისადმი თხოვნა, რომ მას დაეწერა დამოუკიდებელი საქართველოს საეკლესიო სიმნნი.

²⁰⁶ ჭავჭავაძე, სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. II. გვ. 309.

ასეთი თხოვნის ღირსი უკანასკნელ საუკუნეებში იშვიათად გამადა-
რა რომელიმე პოეტს.

ევროპიდან დაბრუნების შემდეგ აკაკის არ გაუწყვეტია ურთიერ-
თობა არც ისტორიკოს მიხეილ თამარაშვილთან და არც სხვა კათო-
ლიკე მოღვაწეებთან. პირიქით, აკაკი წერეთელი მათ დიდი სიყვარუ-
ლითა და გულისხმიერებით ექცეოდა. ალბად ამიტომ იყო, რომ
მ. თამარაშვილი მას ერთგვარ დავალებასაც უბედავდა და თავის ფიქ-
რებს გულმართლად უზიარებდა. საქართველოში მომავალ აკაკის იგი
თავისი „ეკლესიის ისტორიის“ ფრანგულ ხელნაწერზე ესაუბრებო-
და და თან აღნიშნული შრომის საძიებელს უგზავნიდა. რომ პოეტს
სრული წარმოდგენა ჰქონოდა შრომაზე. „ეს დიდი შრომა ორი
სამი წლის წინედ უნდა დამებეჭდა, — წერდა მ. თამარაშვილი, —
მაგრამ აქამდის მისი დაბეჭდვა ვერ დავიწყე, რადგან დიდი ზარჯი
უნდა... ბევრგზის მივმართე ქართველებს, საცალკეოდ თავად აზნა-
ურთ წარმომადგენელს, რომ ცოტა რამ შემწეობა აღმოეჩინათ ამის
დასაბეჭდად, გარნა ჩემდა სამწუხაროდ, ცარიელა პასუხიც კი არ
მაკადრეს. წინათ ზუბალაშვილები წლიურ სუბსიდიას მაძლევდნენ,
ისიც მომისაძეს ამ ბოლოს წლებში. ეს ჩემი შრომა რა გაიცნეს პო-
ლიაკებმა, ასე წარმოიდგინეთ, იმათ შემწეობა აღმომიჩინეს და ქართ-
ველებმა კი მთლად ზურგი მომაქციეს. ამნაირ მათ უყურადღებობამ
ძლიერ დიდად გული გამიტეხა. ამისათვის არ ვიცი შემდეგში
კიდევ გავბედავ თუ არა შრომას საქართველოს სასარგებლოდ.

უკეთეს კეთილ ინებებთ და ქართველ საზოგადოებას ჩააგონებთ,
რომ ცოტა მაინც შემწეობა აღმომიჩინონ ამ წიგნის დასაბეჭდად
ძლიერ დაგიმადლებ. ხოლო ამას კი გთხოვთ უმორჩილესად, რომ
ვისი საშუალებითაც კი შეიძლება ზუბალაშვილებს, მეტადრე იაკობს
შემახვეწოთ, რომ ის წლიური სუბსიდია გადაწყვეტილი თავიანთი
მიცვალებული ძმის სტეფანეს მიერ, ისევე გამოიგზავნონ, როგორც
მისი სიკვდილის შემდგომ კვლავ გამოიგზავნეს. უკეთეს ამ სუბსი-
დიას კვალად თქვენის საცალკეო თხოვნით გამოაგზავნიდნენ ძლიერ
დაშავლებთ, რადგან მაშინ კაი საშუალება მექნება, რომ ამ ჩემი
წიგნის საქმე ვაწარმოო“²⁰⁶. და მართლაც აკაკი წერეთელს ძალღონე
არ დაუშურებია თამარაშვილის თხოვნის აღსასრულებლად. აკაკი
წერეთელი ქართველ კათოლიკებს მიიჩნევდა პატრიოტიზმის, დაუ-
ლაღავი შრომის, ევროპული განათლების ნამდვილ განსახიერებად.
მას მოსწონდა მათი მდიდარი და ძარღვიანი დედა ქართულიც. ამი-
ტომ იყო, რომ იგი ივანე გვარამაძეს სთხოვდა, შეედგინა ქართული

²⁰⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაკის ფონდი. საქ. 404, ფურცელი 4—5.

ლექსიკონი და შეედარებინა იგი მანამდე არსებულ ლექსიკონებისათვის. ამ დიდი დავალების გამო ვინმე მესხი თავის მხრივ მ. თამარაშვილს მიმართავდა, შეესმეტი ამ საქმეში მე დახმარებას ვერავინ გამიწევსო. გულმოდგინე მუშაობის შემდეგ აკაკის მოახსენებდა: „თქვენ რომ შემომიკვეთეთ ქართული ლექსიკონის დაწერა ხელი ვახლე უკვე. ბ. ჩუბინოვის ლექსიკონი გადავაპრუნ-გაღმოვაბრუნე და ოცი ათასი ლექსი მოვუმატე. სულ ცოტა რომ ვსთქვა, ახლა დაბადების წიგნიც გადაჩხრიკე და გაუგებარი ლექსები ამოვკრიბე“²⁸⁷ და დასაბეჭდად გავამზადეო.

აკაკი წერეთელი ბევრს ზრუნავდა აგრეთვე კათოლიკე მოღვაწეთა პოპულარიზაციის საკითხებზე. მისი პირადი შეკვეთითა და დავალებით, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ზ. ჭიჭინაძემ წიგნებად გამოსცა ამ მოღვაწეთა ბიოგრაფიები, ხოლო მათი სურათები რამდენჯერმე დაბეჭდა საქართველოს კალენდარმა. ეს მოღვაწენი თავის მხრივ აკაკი წერეთელს დიდად აფასებდნენ ერის მცველ-მფარველსა და ენის გამაცოცხლებელს უწოდებდნენ. არ როგორ შეფასებას აძლევდა ვინმე მესხი აკაკი წერეთელს იუბილეზე დაწერილ თავის სიტყვაში: „ერთად ერთი ენა დაგვრჩენოდა პირში სატირელსავაგლახო, ისიც ჩვენს მოსწრებაში 60—70 წლის წინაღ მიხავსებულ მიბრუნილი იყო. ის იყო სული უნდა დაელია რომ ღმერთმან სხვათაშორის ამ 60 წლის წინაღ მცველ-მფარველად გაგვიჩინა აქეთ ძლიერი მგოსანი თ. ილია ქავჭავაძე და იქით აკაკი წერეთელი. ღეთის მალალ ნიჭ-მადლით დალოცვილნი და კურთხეულნი. ამათ და ამათ მოწაფეებმან გამოგვიცოცხლეს ენა ჩვენი სიცოცხლე და სული“ ჩვენო.

მართლაც ამ დროისათვის ილია ქავჭავაძეს და აკაკი წერეთელს ჰქონდათ ისეთი მაგიური ძალა, რომელიც სხვადასხვა სარწმუნოებრივი და პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად აზღვნიდა რევოლუციამდელი საქართველოს ეროვნულ კონსოლიდაციას და მას ახალ ვზებსა და მიზნებს უსახავდა. ევროპაში მყოფი კათოლიკე ქართველებისა და აკაკი წერეთლის ხსენებული ურთიერთობა ამ ერთიანობის ნათელი დადასტურება იყო.

მთხილ თამარაშვილს პირადი ნაცნობობა ჰქონდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ, ცნობილ ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძესთან. თამარაშვილისა და ბაქრაძის გაცნობა მოხდა კონსტანტინოპოლს, ქართველ კათოლიკეთა ფერიქოვის მონასტერში 1889 წელს. ამ წლის გაზაფხულზე დიმიტრი ბაქრაძე მივილინე-

²⁸⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაკის ფონდი, საქ. 448, გვ. 3.

ბით მოგზაურობდა ევროპისა და წინა აზიის სხვადასხვა ქალაქებში და ძველ წიგნთსაცავებში ეძებდა ქართულსა თუ საქართველოს შესახებ საბუთებს. მოგზაურობის დროს მეცნიერმა კონსტანტინოპოლს წიგნთსაცავებიც მოინახულა და ფერიქოვის ქართველთა ძმობასაც მიაკითხა. ამ დროს ფერიქოვში დაბრუნდა პარიზში სწავლა მიღებული მიხეილ თამარაშვილი. კონსტანტინოპოლიდან იგი საქართველოში წამოსასვლელად, „სამოღვაწეოდ“ ემზადებოდა, რომ მოულოდნელად გაიცნო უკვე ასპარეზზე გამოსული და საკმაოდ ცნობილი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე. ბაქრაძის პირადად გაცნობამ და საუბარმა თამარაშვილზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ ახალგაზრდას პირველად გზა დ. ბაქრაძემ დაულოცა. ამ სასიხარულო ამბის გამო მიხეილი თავის მასწავლებელ ივ. გვარამაძეს 1888 წ. 5 აპრილს კონსტანტინოპოლიდან ახალციხეში წერდა „ღმიტრი ბაქრაძე სამოთხჯერ ამოვიდა მონასტერში და იმედი მაქვს კარგათ დაეუბნოდით. ამ აღდგომის მეორე დღესაც ამოვიდა კიდევ მოსალოცავად და ვგონებ უფრო უკეთესათ მივიღეთ. საწიგნეში შევიყვანეთ, მთელი ჩვენი წიგნები თუ ქართული და თუ ფრანცუზული ვანახეთ; მე პარიჯიდან მქონდა მოტანილი ერთი წიგნთსაძიებელი, რომელშიდაც იყო ქართული და საქართველოზე მოლაპარაკე წიგნთ აღრესები, ის მას ვუთავაზებ და მას დიდად ესიამოვნა. ვგონებ კარგი შთაბეჭდილება მიიღო“²⁰⁸.

დ. ბაქრაძეს, რომელსაც ამ დროისათვის ფეხით ჰქონდა მოვლილი ე. წ. „თურქეთის საქართველოს“ ერთი ნაწილი და საკუთარი თვალით ჰქონდა ნახული ერთ დროს დიდებული მესხეთის კულტურულ-პოლიტიკური დეგრადაციის ტრალიკული სურათი, არ შეიძლებოდა თავისი დამაჯერებელი და დარბაისლური ტონით დიდი გავლენა არ მოეხდინა კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეებზე.

მიხეილ თამარაშვილი დ. ბაქრაძის „საქართველოს ისტორიის“, „გურიანაქრაში არქეოლოგიური მოგზაურობისა“ თუ სხვა მისი ნარკვევების ყოველთვის დიდი დამფასებელი და პატივისმცემელი იყო. სამწუხაროდ, დ. ბაქრაძე ვეღარ მოესწრო მ. თამარაშვილის საყურადღებო გამოკვლევების ნახვას, „მისსავე ფიქრთა და ჰაზრთა აღორძინებას“.

1898 წ. ივნისში ქ. რომში მ. თამარაშვილმა პირადად გაიცნო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, რომელიც იმხანად ევროპის წიგნთსაცავებსა და არქივებში ქართულ

²⁰⁸ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 128.

დოკუმენტებს ეძებდა და კრებდა. მათი შეზვედრა რომის ერთ-ერთ წიგნთსაცავში მომხდარა. ალ. ცაგარელი თურმე არც ელოდა, რომ იქ დასვედებოდა ვინმე ქართველი, ისიც ამავე საქმიანობით გართული, როგორც თვითონ, რა თქმა უნდა ასეთ შემთხვევაზე არც თამარაშვილი ფიქრობდა. აი როგორ აღწერს თვითონ მ. თამარაშვილი ამ შეზვედრას: „მე იმის აქ ყოფნა არ ვიცოდი და არც იმან ჩემი. შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. მე ბიბლიოთეკაში ვიყავი. იქ ღირექტორს კეთბეს ქართული წიგნების შესახებ, რადგან ღირექტორმა ჩემი ვინაობა და გარემოება იცოდა გამაცნო ამასთან. თუმცე კი ერთმანეთის უცნობი ვიყავით მაგრამ დიდად გაგვეხარდა ერთმანეთის ნახვა. ზოგიერთი ჩემი მოძიებული დოკუმენტები ვუჩვენე, მეტად უსიამოვნა, ეგრეთვე რა შეიტყო ჩემი აზრი ისტორიების და დოკუმენტების შესახებ, დიდათ გაეხარდა და... შემაგულიანა რომ თავში გამეტანა... სამწუხაროდ ეს ღამრჩა რომ აქედგან მალე წამოვიდაო“-ო²⁰⁰. როგორც ჩანს ცაგარელმა მ. თამარაშვილის „ქართველი კათოლიკეების ისტორიის“ ძირითადი ნაწილი გაიცნო და თავისი შთაბეჭდილებებიც გაუზიარა. ა. ცაგარელს მიხეილწათვის უამბნია თავისი მუშაობის შესახებაც და ზოგიერთი მოსაზრებები დოკუმენტების გამოცემის შესახებ გაუზიარებია²¹⁰.

ალ. ცაგარელი მ. თამარაშვილის რჩევით რომიდან ტორე დელ-გრეკოში წავიდა, სადაც 13 ქართული წიგნი იყო (კაპუჩინების ნახელავი); ²¹¹. ტორე-დელ-გრეკოში დაცული ხელნაწერის ზერელე გაცნობამაც კი ალ. ცაგარელზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. 1899 წ. მ. თამარაშვილმა და ალ. ცაგარელმა ერთიმეორე კვლავ ინახულეს მსოფლიო ორიენტალისტების კონგრესზე ქ. რომში. ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო.

ქართველი მეცნიერებიდან მ. თამარაშვილს ყველაზე ახლო და ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდა ალ. სახანაშვილთან. 1899 წ. პეტრე უმიკაშვილის რჩევით (რომელიც იცნობდა მ. თამარაშვილის ვინაობას და საქმიანობას) ბალაშვილი მიხეილს ატყობინებდა: მომავალ პარიზის გამოფენაზე ჩამოვა პროფესორი ალექსანდრე სახანაშვილი და კარგი იქნება, რომ თქვენ ჩაბრძანდებოდეთ პარიზში. ამ დროისათვის გაიცნობდეთ მას და გააცნობდეთ თქვენს წიგნსო. რომ თქვენი ურთიერთ გაცნობა ჩვენ დავალებული გვაქვს რაფიელ ისარ-

²⁰⁰ ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 5457—6.

²¹⁰ ახალციხის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 153.

²¹¹ იქვე.

ლიშვილისათვის, რომელიც საქართველოდან წარმომადგენლად იქნება იქაო²¹².

როგორც ჩანს თამარაშვილს ვერ მოუხერხებია აღნიშნული დროისათვის პარიზში ჩასვლა და ხახანაშვილის გაცნობა.

სამაგიეროდ ალექსანდრე ხახანაშვილმა „შეიწუხა თავი“. 1900 წლის ივლისში რომს ეწვია და მ. თამარაშვილს გაეცნო.

ამ დროისათვის ალ. ხახანაშვილს რუსულ პრესაში ატეხილი ჰქონდა პოლემიკური დავა ქართველი კათოლიკეების საკითხებზე ზოგიერთ ცრუ მეცნიერებთან და ამიტომაც რომის არქივების ნახვა და მ. თამარაშვილს გაცნობა მისთვის აუცილებელი შეიქმნა. ალ. ხახანაშვილმა მ. თამარაშვილს შეკრებილი დოკუმენტები გაიცნო და პოლემიკისათვის ყველა საჭირო ცნობები მიიღო²¹³. ხახანაშვილი გაეცნო ამავე დროს თამარაშვილის მიერ შედგენილ ქართველ კათოლიკეთა ისტორიას და აღფრთოვანებული დარჩა. ხახანაშვილმა ამ წიგნს „მოულოდნელობით სავსე ისტორია“ უწოდა და ავტორს სთხოვა მისი გამოცემის დაჩქარება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხახანაშვილმა ევროპიდან დაბრუნებდისთანავე გაზეთ „ივერიაში“ დასტამბა წერილი მ. თამარაშვილის საქმიანობისა და მის მიერ შედგენილი წიგნის შესახებ. რითაც ქართველი ხალხის საერთო ინტერესი გამოიწვია.

ამის შემდეგ ალ. ხახანაშვილს არ გაუწყვეტია მეცნიერული ურთიერთობა მ. თამარაშვილთან. იგი ხშირად უგზავნიდა თამარაშვილს ფილოლოგიური ხასიათის შეკითხვებს და ყოველთვის დამაჯერებელსა და სრულ პასუხს ღებულობდა მისგან.

ალ. ხახანაშვილი ფიქრობდა, რომ უმდიდრესი ქართული სასულიერო მწერლობის საკითხთა კვლევისა და შესწავლის საქმეში მ. თამარაშვილი უდიდესი პიროვნება იყო. როცა ხახანაშვილმა ფიქრი დაიწყო, სრულყოფილის სახით სახარებისა და ბიბლიის ქართულად გამოცემაზე, მას მ. თამარაშვილი ყველაზე დიდ ავტორიტეტად მიაჩნდა. 1907 წ. იგი მკვლევარს კიდევ წერდა თანხმობა განეცხადებია ასეთი გამოცემის რედაქტირებაზე და საერთოდ დახმარებოდა შათ მის გამოცემაში²¹⁴. როგორც ვიცით, ამ დროისათვის თამარაშვილს საკრედიტოროდ არ ეცალა, იგი მაშინ თავისი „ეკლესიის ისტორიის“ გამოცემისათვის იბრძოდა. მ. თამარაშვილს მოსწონდა

²¹² ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10, საქ. 127, ფურც. 25,

²¹³ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. ანაწერი № 160.

²¹⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10, საქ. 910, ფურც. 7.

ხახანაშვილის პატრიოტული სული და მუდამ მისი მეცნიერული მემკვიდრეობის პატივისცემელი იყო.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ზ. ჭიჭინაძე ქართულ პუბლიცისტიკასა და ისტორიაში საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო: დაუზარელი მაძიებელი, რომელიც კრებდა ყველაფერს, რასაც ეროვნული ელფერი დაჰკრავდა. ამავე დროს იგი პატრიოტული იდეების უებარი პროპაგანდისტიც იყო. პუბლიცისტი, ისტორიკოსი-მკვლევარი, გამომცემელი, რედაქტორი და სხვა, და აი ამ დაუტყრომლად მაძიებელმა ზ. ჭიჭინაძემ ცნობილ ქართველ მოღვაწეთა შორის თითქმის პირველმა აღმოაჩინა თამარაშვილი მკვლევარი-ისტორიკოსი. მის შესახებ ცნობები ქართველ კათოლიკეთა მონასტრიდან გამოიტანა და შემდეგ რომში მოიკითხა და აღმოაჩინა შორს გადასროლილი ცხელი გული, რომელიც უცხო ქვეყანაშიაც საქართველოს სისხლს ძაფებით სცემდა. ზ. ჭიჭინაძესთან ურთიერთობაში თითქოს გადაიზნა თამარაშვილის ფიქრები, რომელსაც სიყმაწვილიდანვე ეროვნული ჯაღო მოჰკიდებოდა. ზ. ჭიჭინაძემ ჭერ კიდევ 1890 წ. სთხოვა თამარაშვილს, თუ შესაძლებლობა ექნებოდა შეეკრიბა ცნობები რომის ქართული სტამბის შესახებ. ვიხ დააარსა, ვინ მფარველობდა და რა საქმიანობას ეწეოდა თავის არსებობის მანძილზე ეს სტამბა²¹⁶. ყველა ეს საკითხები მ. თამარაშვილმა მართლაც გულპოღვინედ გამოიძია და შეისწავლა. რომში პირველი ქართული სტამბის შესახებ მის მიერ აღმოჩენილი მასალები ჩვენი კულტურის ისტორიის ახალ თავს ბნინან. თამარაშვილმა დაადგინა, რომ პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნის ქართულ-იტალიური ლექსიკონის შემდგენელნი იყვნენ იტალიელი მისიონერი პაოლინი და საქართველოს მეფის თეიმურაზ პირველის რომში წარგზავნილი ელჩი ნიკიფორე ირბაზი, ანუ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი. ნიკიფორე ირბაზის ვინაობის დასაზუსტებლად იგი ზ. ჭიჭინაძეს წერდა.

„ნიკიფორე ირბაზი არც პატრი და არც ევროპელი არ არის. არამედ ნამდვილი და პატრიოტი ქართველია. ეს შვილი ყოფილა ერთი ქართველი შესანიშნავი სპასალარისა, რომელსაც ბევრგზის დაუმარცხებია სპარსელები. ნიკიფორე საქართველოში ცნობილი იყო ნიკოლოზ ბერის სახელით, რადგან წმინდა ბასილეს მონაზონი იყო. ამის ევროპაში წასვლის დროს საქართველოს ჯარის უფროსი ყოფილა მისი ბიძაშვილი. ეს ნიკიფორე ბიძა ყოფილა ყარაყალხანის ერისთავ ზურაბისა. თეიმურაზ პირველმა ეს გავზავნა ევროპაში მთავრობისაგან შემწეობის მოსაშოვნელად — სპარსელთ წინააღმ-

²¹⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი, № 10. საქ 409, ფ. 1.

დღე. მოვიდა პირველად სიცილიაში 1626 წ. იქიდან ნეაპოლში, საიდანაც წავიდა მაშინვე ისპანიაში, რათა ისპანიის მთავრობა თეიმურაზთან დაეკავშირებია, იქიდან გამობრუნდა რომში. ისპანიის მეფემაც გამოატანა რეკომენდაციის წერილი პაპთან. აქ დიდის პატივით მიიღეს ესა. როგორც ჩანს ამან კათოლიკობა აქ მიიღო და ისე წარსდგა პაპთან, რომელსაც მოახსენა საქართველოს გაჭირვება. თეიმურაზის ერთგულება და გაჭირვება...

მან შეასწავლა ქართული სტეფანე პაოლინსაც. მას შემდეგ შეადგინეს ქართულ-იტალიანური ლექსიკონი.... ნიკიფორე რომში დარჩა 1628 წლის დამლევამდინ.. საქართველოში დაბრუნდა 1629 წ. აგვისტოს თვეში... როსტომ მეფესა და სპარსელების შემოსვლის დროს ქართლიდან თეიმურაზთან ერთად გაიქცა და წავიდა სამეგრელოში²¹⁶. როგორც ზემოთაც ვნახეთ, ამ ნიკიფორე ირბაზის შესახებ მიხ. თამარაშვილი ვრცლად შეჩერდა თავის გამოკვლევებში და დაახასიათა მისი მოღვაწეობა როგორ საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, სადაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნიკიფორეს პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი კამათი საქართველოს სამეფო კარსა და ეკლესიასთან.

ასევე აწვდიდა მკვლევარი ზ. ჭიჭინაძეს ანთიმოზ ივერიელის შესახებ ახლად მოძიებულ ცნობებს, რომელიც 1690-იანი წლებიდან რუმინეთში მოღვაწეობდა და ამ ქვეყნის კულტურულ რეფორმატორად გადაიქცა. სწორედ ამ ანთიმოზის წყალობით 1709 წ. სტეფანე უნგრო-ვლახეს მოუწყვია თბილისის ცნობილი სტამბა. სადაც ბევრი საყურადღებო წიგნი, მათ შორის „ვეფხისტყაოსანიც“ დაიბეჭდა. ზ. ჭიჭინაძე მ. თამარაშვილისაგან განუწყვეტლად იღებდა მისთვის საჭირო დოკუმენტებსა და ცნობებს. „თქვენი მოწერილი ცნობა მოურავის შესახებ მოვათავსე მის წიგნში“ მაღლიერების გრძნობით წერდა ზაქარია მას და სთხოვდა: შეეიტყვე, რაღაც ალბომი მოგიძევათ, დაბეჭდვას აპირებთ და შე თქვენს დიდ პატივისმცემელსა და მეგობარს ნუ დამივიწყებთ²¹⁷.

როდესაც მ. თამარაშვილის წიგნები იბეჭდებოდა თბილისში, ცენზურის ნებართვა ზაქარიამ მოახერხა და მთელი ბეჭდვის პროცესში თვითონვე დიდ ყურადღებას აქცევდა მას.

ზაქარია მიხეილს ხან აღფრთოვანებული წერილებით ელაპარაკებოდა 1907 წ. თბილისში ჩამოსული ფერეიდნელი ქართველების ჰოლა უსეინ ონიკაშვილისა და მოლა აგრებ ხუციშვილს შესახებ,

²¹⁶ ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი № 5461—6.

²¹⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი № 10, საქ. 469, ფ. 19—26.

რომ მათ ქართული ენა კარგად შეუნახავთ, ძველი გრამატიკული ფორმებით ლაპარაკობენ და ცრემლით მასტირიან საქართველოს ხსენებასო²¹⁸, ხან დაღონებული ეჩურჩულებოდა „ჩვენ ქართველები პოლიტიკურად დამონებული ხალხი ვართ, მასთან გულგრილნი ნაციონალურ დედაზრებში. ვითომც ვკოსმოპოლიტობთ ვითომც მსოფლიოს ძმობას ვეტრფით, მაგრამ იმავე დროს ყველაფერი მიგვლის ხელიდან: ენა, ისტორია, ტერიტორია, და ვრჩებით დაბრმავებული ცარიელნი. ის რაც არმენიას, ქალდეას, და ბიზანტიას მოეგლინა, ერთობის მხვედრი დღეს ამ მეოცე საუკუნეს გვევლინება ქართველებს“-ო²¹⁹, ხან კიდევ იმედიანად ესაუბრებოდა: ხალხის ნამდვილი ცხოვრების გადმოცემის გარეშე, ამ ცხოვრებაში ჩაურევლობის გარეშე, შრომა ე. წ. „წმინდა ცხოვრებით“ მამულისათვის მკვდარი ლანდი იქნება და იმედი მაქვს, რომ მანდ მყოფი ქართველი კათოლიკე მოძღვარნი მიბაძავენ თქვენს კვალს და ჩვენს სამშობლოს გამოაღებებინაო²²⁰.

ჭიჭინაძის ამ აზრმა უცხოეთში მყოფ ქართველ კათოლიკე მოძღვართა შორის დიდი მხარდაჭერა ჰპოვა. 1910 წ. სექტემბერში ქართული პოეზიის დიდად მოყვარული მოძღვარი სტეფანე ვარდიძე მ. თამარაშვილს მონტე-ფიასკოდან წერდა: „ჭიჭინაძისაგან ორი წერილი მივიღე ფრიალ საინტერესო. თქვენს ქებაში იყო. პასუხი მივეცი უფრო ვრცელი. აშობს საზღვარგარეთ ნუ ჰყრიხართო, აქ, აქ უნდა უშველოთ ქართველებსო. სიმართლე აქვს. ჩვენ კუდა-ხარასავით ვიქცევით, ბუზანკლებს ვახვევთ ურთიერთსო“²²¹.

მის. თამარაშვილი იმ ხანად სწორედ კახეთიდან და ქართლიდან მე-17 საუკუნის ოციან წლებში აყრილი და გადასახლებული ქართველების შესახებ მოძიებულ ისტორიულ დოკუმენტებს შიფრავდა და სწავლობდა, ამიტომაც იყო, რომ ორი ფერეიდნელი ქართველის აქ მოსვლამ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ზაქარია ჭიჭინაძეს სასწრაფოდ მოსწერა: „ყურადღების მიქცევა და ხელის შეწყობა მათ დიდ სიკეთეს მოუტანს და განუახლებს გვაროვნობის სიყვარულს“-ო²²².

²¹⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი № 10, საქ. 469, ფ. 19.

²¹⁹ იქვე, ფ. 20.

²²⁰ იქვე, ფ. 29.

²²¹ იქვე, საქ. 205, ფ. 14.

²²² ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 5463—6.

ზ. ჭიჭინაძე ამ ურთიერთობის თაობაზე საქვეყნოდ აცხადებდა. ჩემი გაგზავნილი წერილები მ. თამარაშვილთან უფრო შეკითხვები და მე მათი პასუხებით ყოველთვის კმაყოფილი ვარო²²³.

თავის მხრივ მ. თამარაშვილი ზ. ჭიჭინაძისაგან იღებდა მისთვის საჭირო ბევრ დაბეჭდილ ლიტერატურას. იგი. ზ. ჭიჭინაძეს სთხოვდა აღეწერა და გაეგზავნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილი რიტუალები წვიმის მოყვანისათვის და იქვე შენიშნავდა, — გამოძიგზავნე ყველაფერი გარდა ახალციხის მხრისა, რადგან მე ახალციხელი ვახლავარ და იქაური წესები ძალიან კარგად მაპსოვსო. მ. თამარაშვილი ერთხანს ცდილობდა ქართული ეთნიკური ჩვევების პარალელების მონახვას ევროპაში, რასაც ლეგენდარული დიდი გადასახლების შედეგს მიაწერდა. უკვირდებოდა ბევრი ხალხის ყოფას, ზნეჩვეულებას, წესს და ქართულ ცხოვრებას ადარებდა. ზოგჯერ ბევრ საერთოს აღგენდა და ცდილობდა კვლევის ისტორიული მეთოდებით აეხსნა და გაერკვია ყველაფერი.

მ. თამარაშვილს განსაკუთრებული ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ პუბლიცისტ თედო სახოკიასთან 900-იან წლებში. თ. სახოკიას ევროპაში ყოფნამ ისინი ერთიმეორეს მჭიდროდ დაახლოვა.

1901 წ. იანვარ-თებერვალში თ. სახოკიამ რომში იმოგზაურა. ამ მოგზაურობის დროს მან გაიცნო მ. თამარაშვილი. მ. თამარაშვილს მასინ უკვე გამზადებული ჰქონდა გამოსაცემად „ქართველ კათოლიკეთა ისტორია“ და შეკრებილი ჰქონდა აურაცხელი დოკუმენტური მასალა საქართველოს შესახებ. თ. სახოკია კარგად გაეცნო მ. თამარაშვილის მთელ საქმიანობას და აღფრთოვანებული დარჩა მისით. გადაწყვიტეს, სულხან-საბა ორბელიანის შესახებ მოძიებული დოკუმენტებისათვის დაერთოთ თავიანთი შენიშვნები და თბილისში გამოეგზავნათ გაზ. „მოამბეში“ ან „ცნობის ფურცელში“ დასაბეჭდათ. რათა მოეპოვებინათ უფლება ამ ქართულ გამოცემათა უფასოდ მიღების შესახებ²²⁴.

1901 წ. 4 მაისს მ. თამარაშვილმა თ. სახოკია რომში თავისთან მიიწვია, რათა მას დაბეჭდვის წინ ერთხელ კიდევ გადაეთვალეორებინა მისი წიგნი — „ისტორია ქართველი კათოლიკებისა“. თ. სახოკიამ სიამოვნებით მიიღო მიწვევა. საერთოდ თამარაშვილის ამ შესანიშნავი წიგნის გამოცემას თავისი ამაგიც დასდო.

²²³ ლიტერატურის მუზეუმში, ხელნაწერთა ფონდი № 5465—6.

²²⁴ ეს დანაპირები მათ მასინ ვერ შეასრულეს.

თ. სახოკია ხშირად კეთილი შუამავლის როლს ასრულებდა და ბედის საძიებლად ევროპაში ჩასულ ბევრ ქართველ ახალგაზრდას რჩევა-დარიგების მისაღებად თამარაშვილთან აგზავნიდა.

თამარაშვილი ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას დიდი სიყვარულითა და იმედით შეჰყურებდა. უზაროდა, რომ უკანასკნელ წლებში მამულის სიყვარულით შეპყრობილი ბევრი ქართველი თავდაუზოგავად სწავლობდა. იგი სულ მათი ამბის კითხვა-გაგებაში იყო. თამარაშვილი თ. სახოკიას ხშირად სწერდა მეტად ნიჭიერი მ. წერეთლის შესახებ. ერთ-ერთ პასუხში თ. სახოკია მას მოახსენებდა, რომ მ. წერეთელი ლაიპციგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დატოვებულია „მანდაურს უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომ მერე ლურსმული ნაწერებისათვის მუშაობა უფრო გაუადვილდეს“-ო²⁵, „ზურაბ ავალიშვილი პეტერბურგში პროფესორად დატოვებული თქვენ პირადად არ გიცნობთ, მაგრამ თქვენი მოღვაწეობის დიდი პატივისმცემელი და თაყვანისმცემელია და მოდის რომის დასათვალთურებლად... დიდი იმედი მაქვს ხელს მოუწყობთ ყველაფერშიო“.

მ. თამარაშვილმა დიდი დახმარება გაუწია აგრეთვე გამორჩენილ ახალგაზრდა მომღერალს აკოფაშვილს, რომელმაც ვოკალური ხელოვნების ღრმად ათვისებისათვის იტალიას მიაშურა. სამწუხაროდ მომღერალ აკოფაშვილს აღარ დასცალდა თავისი ნიჭის სრული გაფურჩქვნა, ის უდროოდ გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა.

თამარაშვილმა თავისებური პატივი დასდო გენიალური ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალურ მოღვაწეობასაც. 1911 წ. მარტში თ. სახოკია გამორჩენილ ისტორიკოსსა და მკვლევარს სწერდა: „აქერთს მოუვიდა ფალიაშვილის მიერ გადაღებული ნოტები ქართულ საეკლესიო საგალობლებისა, საჩვენებლად გამოგიგზავნით, თუ გნებავსთ, იქნება ვინმემ მოისურვოს აჩვენეთ და დააწერინეთ გაზეთში“ო²⁶. მ. თამარაშვილს, „კარგ-მგალობელს“, რა თქმა უნდა პნებავდა ამ ჩანაწერთა ნახვა და იგი სხვათაგან გაასინჯა²⁷, მაგრამ თვითონ ვეღარ მოესწრო ზ. ფალიაშვილის დიდ სიმღერას, რომელმაც თავის ხმებში გააერთიანა როგორც საერო, ისე სასულიერო ხმები და წარმოსდგა მეთავე-მეთორმეტე საუკუნეებში დამხობილი ქართული მუსიკის ახალ სფინქსად. ამგვა-

²⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტი № 10, საქ. 416-ა, ფურც. 36.

²⁶ იქვე, ფურც. 13.

²⁷ იქვე, ფურც. 32.

რი ერთიანობისათვის იბრძოდა ისტორიულ მეცნიერებაში მ. თამარაშვილიც.

მ. თამარაშვილისა და ივანე გვარამაძის ახლო ურთიერთობა მთელი მათი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდებოდა და ყველასათვის სამაგალითო იყო. ისინი თითქოს ერთნაირი ცხოვრებით და ერთნაირი მიზნებით ცხოვრობდნენ. ორივენი ახალციხის ძველ უბნის, რაბათის მკვიდრნი იყვნენ და თავიანთი ოჯახებით კეთილმეზობლობა ჰქონდათ. ორთავენი იყვნენ კათოლიკე მღვდლები და თავისი სამშობლოს დაუტყრომელი მეთესტორიენი. მიხეილ თამარაშვილი ივანე გვარამაძის მოწაფეც იყო, უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარიც. მიუხედავად იმისა, რომ ივ. გვარამაძე მაშინ 27 წლით უფროსი იყო ეს მათ გულწრფელ დამოკიდებულებაში ხელს სრულიადაც არ უშლიდა. ისინი ყოველთვის ერთ ბედს ქვეშ იყვნენ და ერთი საქმიანათვის ცხოვრობდნენ, იმ განსხვავებით, რომ ერთი საქართველოს გარეთ მოღვაწეობდა, ხოლო მეორე საქართველოში.

ვინმე მესხის ფსევდონიმით ცნობილი ივ. გვარამაძე იყო შესანიშნავი პუბლიცისტი, ისტორიკოსი, მკვლევარი, ეთნოგრაფი, არქეოლოგი, მოძღვარი-თეოლოგი, მწერალი, დრამატურგი, პოეტი-მგალობელი. ამ მართლაც „უნივერსალურ კაცს“ თავის დროისათვის დიდი გავლენა ჰქონდა კათოლიკე ქართველებში. მისი სიტყვა ყოველთვის დამაკანონებელ ძალას იღებდა და კათოლიკე და მუსლიმან ქართველებში ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას ემსახურებოდა. იგი ჩვენი ქვეყნის ისტორიული ცხოვრების დაუტყრომელი მოღარაჯე და პოლემისტიც იყო. მრავალი ენების ცოდნა მას ხელს უწყობდა თავისი სადარაჯო ასპარეზი ფართოდ გაეშალა და შორს გაეწია. სწორედ ამ ივანე გვარამაძემ გაუღვივა ჭერ კიდევ ხმაწვილ მ. თამარაშვილს სამშობლო ისტორიის სიყვარული და შემდეგ მანვე აჩვენა გზა ამ ისტორიის კვლევისა და შესწავლისათვის. ეს ყოველად „პატიოსანი ქართველი“ მ. თამარაშვილისა და მის ოჯახს ყოველგვარ დახმარებასთან ერთად ნივთიერ შემწეობასაც უჩენდა ხოლმე.

ვინმე მესხი განსაკუთრებით გახარებული იყო თავისი მოწაფისა და ახლობელი ადამიანის გამარჯვებებით საქართველოს ისტორიის ფრონტზე. იგი მის თამარაშვილს უმალ ატყობინებდა ყოველ ახალ აღმოჩენასა და შეკითხვებითა და პასუხებით მასთან ერთად არკვევდა ჩვენი ისტორიის მიზნელებულ საკითხებს. იგი სისტემატურად ესაუბრებოდა იმაზე, თუ რა საქმიანობას ეწეოდა, რას აპირებდა მომავალში და მოსაუბრეს აიძულებდა ასეთივე გულაზდილი ყოფილიყო მასთან. ვინმე მესხს მიხეილ თამარაშვილის საკვლევო მუშაობაში ყველაზე მეტად მისი ეკონომიური გაჭირვებისა ეშინოდა, რომ

ახალგაზრდა მკვლევარი იძულებული არ გამზარდო და თავი არ დაენებებინა ამ დიდი საქმისათვის. ამიტომ, სადაც კი ხმა მიუწოდებოდა ყველას სთხოვდა ნივთიერი დახმარება გაეწიათ თამარაშვილისათვის. თვით თამარაშვილს ამის შესახებ არაფერს წერდა. ხანდახან უკიდურესად ვაჭირვებულს და ეკონომიურად გამოუვალ მდგომარეობაში ჩაუარდნილ მიხეილს, ეს მოხუცი ვაყვაცურად შემოუყივლებდა „არ დაიზარო, ღმერთს შრომისათვის გაუჩენინხარ, ურთიერთს ხელი მივსცეთ, შევეწვიოთ ერსა“²²⁴. თამარაშვილს ვინმე მესხი თავის გამართლებულ იმედად სახავდა. ივ. გვარამაძე მისი საქმიანობით ყოველთვის გახარებული და მოხიბლული იყო. და ბოლოს მსხვე ერგო თავისი აღზრდილის გამოტირებაც. მ. თამარაშვილი ვინმე მესხზე ერთი წლით ადრე გარდაიცვალა.

მიხეილ თამარაშვილს წერილობითი თუ პირადი ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე ბევრ სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწესთან, როგორც არიან: ს. ჭვარციანი, მიხ. წერეთელი, ზ. ავალიშვილი, ნ. ლოდბერიძე, პ. მირიანაშვილი, ალ. მრეველიშვილი, იაკ. ნიკოლაძე, ალ. ყიფშიძე, ალ. სარაჯიშვილი, დ. სარაჯიშვილი და სხვა მრავალი. ეს ურთიერთობა ყოველთვის მეცნიერული თუ პატრიოტული საკითხებიდან გამოპლანარეობდა. 1910-იან წლებში თამარაშვილმა უკვე შენიშნა და იკრძნო, რომ ქართულ საისტორიო მეცნიერებაში გამოჩნდა სულ სხვა ძალა, რომელსაც შეეძლო ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე გაუგონარი ტვირთის აწევა. ეს ახალგაზრდა მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი იყო. ევროპიდან თბილისში დაბრუნებულ მიხ. წერეთელს თამარაშვილმა სთხოვა გაეცნო ის ჯავახიშვილისათვის, რათა მისცემოდა საშუალება ზოგიერთი საეკვო საკითხის დადგენისა და დაზუსტებისა.

„საქართველოს ეკლესიის ისტორიის“ გამოცემის შემდეგ მკვლევარი ფიქრობდა საქართველოს მოკლე პოლიტიკური ისტორიის დაწერაზე, სადაც მის მიერ მოძიებული ისტორიული საბუთებაც მრავლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ამ ისტორიის ერთი ნაწილი მან კიდევ დაწერა. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის გამოქვეყნების შემდეგ, მისი მოზანი იყო სამშობლოში ჩამოსვლა და შეგროვილი დიდძალი დოკუმენტალური მასალის დალაგება და დამუშავება. საქართველოსაკენ მოუწოდებდნენ მას ახლობელი ნათესავები და მეგობრებიც „ოღონდ შენ კარგად იყავი და იჯანმრთელე შენი ჭირიმე, ძმავო, საყვარელო... ძალიან მამნატრდი, ღმერთი კიდევ მალისებს შენს ნახვას, შენი ჭირიმე... ახ ნეტაი ჩამოხვიდე აქა“²²⁵.-ო.

²²⁴ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10, საქ. 165, ფურც. 30.

²²⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10, საქ. 173, ფურც. 84.

სწერდა თბილისიდან მიხეილს მისი ძმა სოლომონი. აქეთ მოუწოდებდნენ მას აგრეთვე ქართველი კათოლიკე მოძღვარნი.

მომხიბვლელად ეხატებოდათ ქართველ კათოლიკე მოძღვრებს მიხ. თამარაშვილის სახე, როგორც ისტორიკოსის, დოქტორის, თეოლოგიის დოქტორისა და მღვდლის სახე. 1910 წ. ქართველ კათოლიკე მოძღვართა მცირე თათბირზე გადაწყდა: ყველა ქართველი კათოლიკე გაერთიანდეს ქართული რიტის გარშემო და ეთხოვოს. რომს, რათა მიხ. თამარაშვილს ებოძოს ღირსება ქართველ კათოლიკეთა ეპისკოპოსისაო²⁰⁰. თუ მ. თამარაშვილი ეპისკოპოსად დაინიშნებოდა, შათი აზრით ქართველ მართლმადიდებლებისა და კათოლიკების გაერთიანების რეალური საფუძველიც მომზადდებოდა. ამას ფიქრობდნენ ზოგიერთი მოძღვარნი, თამარაშვილს კი ეპისკოპოზობაზე არასდროს არ უფიქრია. მისი საფიქრალი სულ სხვა რამ იყო..

როგორც კ. საფარაშვილის სიტყვიდან ჩანს²⁰¹. მ. თამარაშვილს თავისი მეცნიერული მოღვაწეობა მეტისმეტად ცალმხრივად ეჩვენებოდა და ეკლესიის ისტორიის გამოცემის შემდეგ, საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ ისტორიაში აპირებდა მუშაობას. მან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მიზნისათვის წინასწარი სამუშაო კიდევ ჩაატარა.

„ამ ზაფხულს არ აპირებთ რომის სიციხეს თავი მოარიდოთ“— ეკითხებოდა 1911 წლის ივლისში მას თედო სახოკია და მანაც დიდი სამუშაოს დაწყების წინ „ცხოვრებაში ერთხელ“ გადაწყვიტა დასვენება. აგვისტოში თავის მეგობარ ფრატელ ავგუსტოსთან ერთად ზღვის პირა სოფელ სანტა-მარინელაში დასასვენებლად გაემგზავრა და მცირე ხნით მოიცილა არქივის მტვერი. ახალციხეში ფოცხოვისა და მტკვრის ნაპირებზე გაზრდილ მიხეილს აღრიატიკის ზღვის ტალღები თითქოს ეძახდნენ, გულიც ერჩოდა.

ერთხელ მას მეგობრისათვის ხუმრობით ეთქვა: აღრიატიკის ზღვიდან საქართველომდე ცურვით ერთ წელიწადში მივალწევო და დაემატებია: რათ არის, რომ საქართველოს სახე ყველგან დამყვება: არქივიშიც, სახლშიც, გზაშიც და აქაცო... სწორედ იმ დღეებში, რაღაც ბედად კონსტანტინოპოლიდან პატრი მერაბაშვილის წერილი მიიღო. პატრი სიამაყით ატყობინებდა „ამ ზაფხულს ორი ბაღანა აღრჩობოდა ქოალათ სანას. შეეცურდი ტანისამოსით, ყელზედ შე-

²⁰⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 10, საქ. 173, ფურც. 84.

²⁰¹ საფარაშვილმა სიტყვა წარმოთქვა მ. თამარაშვილის დაბადებიდან ასიწლის თავზე პუშკინის ინსტიტუტში გამართულ სხდომაზე.

მომეხვევენ, ველარ გავინძერ, კინალამ დაეიხრაჩე მეც; მერე სხვაც მომეშველა და სამივე გადაგვარჩინაო²²². მერაბაშვილი თითქოს საბელისწყერო გაფრთხილებას იძლეოდა. ეს იყო რალაც წინ ნასროლო ჩრდილი.

1911 წ. 2(15) სექტემბერს ადრიატიკის ზღვა სოფ. სანტა-მარინელასთან ჩვეულებრივზე უფრო წყნარი იყო. მიხეილ თამარაშვილი პროფ. აგეუსტოსთან ერთად ამ წყნარი ზღვის სანაპიროზე სასეირნოდ გამოსულიყო და მეგობართან ლურჯი ხეივნების ქვეშ — საქართველოსა თუ იტალიის შორეულ მოგონებებით ტკბებოდა, უცბად დაირღვა ეს მყუდროება, ამოვარდა კორიანტელი, აიშალა ამინდი და აიჭორჩნენ ზღვის ტალღები. აბობოქრებულმა ზღვამ დასახრჩობად განწირული კაცის ხმა გადმოიტანა. შეშფოთდა ნაპირზე მოსეირნე ხალხი, ატყდა დედაკაცთა საშინელი კივილი, პანიკამ და დაბნეულობამ მოიცვა ყველა. უცბად ყველამ შენიშნა თუ როგორ შეცურდა მღელვარე ზღვაში ორი ვაჟკაცი და როგორ შეეჭიდა აბობოქრებულ ტალღებს, რომ გამოეტაცათ მისთვის დასადრჩობად განწირული ადამიანი.

1911 წ. 16 სექტემბერს თბილისის ფოსტა მთელი დამე იტალიიდან სამგლოვიარო დეპეშებს ღებულობდა. 17 სექტემბერს დილით უკვე „სახალხო გაზეთი“ იტყობინებოდა: „ჩვენმა რედაქციამ იტალიიდან სამწუხარო ამბავი მიიღო. აგარაკ სანტა-მარინელაში (რომის მახლობლად) მიხეილ თამარაშვილი ზღვაში დამღრჩველა; დაწვრილებით ცნობებს და ნეკროლოგს ხვალ მოვათავსებთო“²²³.

18 სექტემბერს „სახალხო გაზეთი“ უკვე ვრცელ ნეკროლოგს ათავსებს და მკითხველს აუწყებს, რომ მ. თამარაშვილი აღელვებულ ზღვაში შეცურებულა დასადრჩობად განწირული მუშის მისაშველებლად; თვითონ, თავის მეგობარ პროფესორთან ერთად დამღრჩველა, ხოლო მუშა მოდარაჯე მენავეთ გადაურჩინიათო, მიხეილ თამარაშვილი — განაგრძობს გაზეთი — 53 წლის იყო. დაიბადა ახალციხეს და დიდხანია რაც რომში მუშაოდა... ჯერ კიდევ ის სიცოცხლითა და მხსნეობით აღსავსე იყო, შრომის სურვილით გატაცებული და დაუღალავი. ასეთი ადამიანის დაკარგვა საზოგადოებამ დიდ დანაკლისად უნდა ჩათვალოს. სულ მცირე ხანში მან სამი დიდი თხზულება შეადგინა და დაჰბეჭდა... იგი შეეხო ისეთ დარგს. რომელსაც თამარაშვილამდე არავინ შეჰხებია. მან გარდა ვატიკანის და რომის სხვა წიგნთსაცავებისა შეისწავლა მრავალი წყაროები ფლო-

²²² ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი № 10, საქ. 300. ფურცელი 72.

²²³ სახალხო გაზეთი № 102, 1911 წ.

რეციის პალერმოს, პარიზის, ლონდონის, მოსკოვის, ტრაპიზონის და სხვა არქივებში. ყოველივე ეს მასალა გამოიყენა და კიდევ აპირებდა ეხლა ერთი დიდი საინტერესო წიგნის შედგენას²²⁴. რაიც აღარ დასცალდაო.

გაზ. „თეპი“ ჩერდებოდა რა შიბილ თამარაშვილის დიდ დამსახურებაზე თავისი სამშობლოს წინაშე. მას „ყველასაგან განსხვავებულ“, „იშვიათ პიროვნებად“ მიიჩნევდა და ხალხს მოუწოდებდა „ღირსეულად ვიტიროთ საქართველოს ღირსეული შვილიო“. გაზეთი „Тифлисский листок“-ი წერდა, რომ მას ბედმა არ დააცალა შეესრულებინა თავისი ზრახვები. „Полный сил молодой священник уехал с родины за границу для изучения исторических материалов в европейских архивах и здесь его подстерегла роковая судьба“.²²⁵

გაზ. „Закавказская речь“-ი თამარაშვილის დაღუპვას ქართული ისტორიოგრაფიის აუნაზღაურებულ დანაკლისად სთვლიდა; «Его преждевременная смерть является незаменимой утратой для грузинской истории и вызывает глубокую печаль в сердцах всех сознательных грузин. Этот молодой ученый, вполне вооружённый европейским знанием и подготовкой, с редкой энергией взялся за кропотливый труд собирания исторических данных и материалов в разных архивах и библиотеках Западной Европы и в частности в архивах Ватикана, касающихся истории Грузии. Покойный Тамарашвили в этом отношении достиг прекрасных результатов. Его издания составляют неоценимый вклад в грузинскую историю... Жизнь его оборвалась в тот момент, когда в сущности начинался расцвет его таланта и учёной деятельности»²²⁶.

და საქართველოს თითქმის ყველა გაზეთმა და ჟურნალმა დიდი გულისტკივილით აღნიშნა თავისი დაუღალავი და ერთგული მამულიშვილის უცხოეთში დაღუპვის სიმძიმე და დანაკლისი. ამ ამბავმა მთელ განათლებულ ქართველობას, ვინც კი იცოდა მეცნიერებისა და ქემპარიტი ისტორიის ფასი, გული დაუწყვიტა და დაამწუხარა. საქართველოს სხვადასხვა პროვინციებიდან: მესხეთიდან, კახეთიდან, სამეგრელოდან, გურიიდან, იმერეთიდან და სხვა რედაქციებში მოდიოდა აურაცხელი სამგლოვიარო დეპეშები. ამ დეპეშებში ხალხი

²²⁴ „სახალხო გაზეთი“ № 403, 18 სექტემბერი 1911 წ.

²²⁵ „Тифлисский листок“, 1911 წ. 19 სექტემბერი.

²²⁶ „Закавказская речь“ № 276, 17/IX—1911.

გამახატავდა თავის მწუხარებას და მ. თამარაშვილის დაღუპვას ჩვენი ერის დიდ კულტურულ დანაკლისად მიიჩნევდა²¹.

სამწუხაროდ, საქართველოდან მის დასაფლავებაზე ჩასვლა ვერკინ ვერ შესძლო, მიუბედავად იმისა, რომ რომიდან შავარშიამოვლებული მოსაწვევი ბრათები ბევრმა მიიღო.

რომში მ. თამარაშვილი დიდი პატივით დაკრძალეს. ლიტერატურულ მუზეუმში დღესაც ინახება ორკვირეული ილუსტრირებული გაზეთი იტალიურ ენაზე | *Ecce del pontificato gorretta del clero* |, რომლის 1911 წ. 30 სექტემბრის ნომრის 2 გვერდი მთლიანად დათმობილია მიხეილ თამარაშვილისადმი; აქვეა მოთავსებული მისი სურათი. გაზეთში მოთავსებული წერილები ხაზგასმით აღნიშნავენ თამარაშვილის დეაწლს ქართული ეკლესიის ისტორიის შესწავლის საქმეში, რომ თამარაშვილმა თავისი ღირსშესანიშნავი შრომებით ყველა მეცნიერთა გულში საპატიო ადგილი დაიკავა და სხვა. გაზეთი აქვე ჩერდება იმაზე, რომ ამ კაცში ბუნებრივად იყო შეთვისებული თავისი ერისთვის დამახასიათებელი ერთგულება და კაცთმოყვარეობისათვის გპირული თავგანწირვა რის შემდეგაც იტალიის საზოგადოებრიობამ გადასწყვიტა სოფელ სანტა-მარინელას ეკლესიის ეზოში, სადაც დაკრძალული იყო მკვლევარი, დადგმულიყო ძეგლი თამარაშვილის ბიუსტით. თამარაშვილის ძეგლის დასადგმელად გამოყოფილმა იტალიურმა კომისიამ თავისი გადაწყვეტილება აცნობა თაილისში საქართველოს საზოგადოებრიობას.

საქართველოს მოწინავე ინტელიგენციამ ამ აქტში თავისი ეროვნული პატივმოყვარეობის შელახვა დაინახა, დაფაცურდა, რათა მსგავსი ღონისძიება საქართველოშიც ჩაეტარებინა და იტალიური კომისიისათვის ინიციატივა ჩამოერთმია.

21 სექტემბერს თბილისის ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესია შავი თალხებით შეპოსეს. მონასტერში მ. თამარაშვილისადმი მიძღვნილ პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო. აქ მოვიდა წარმომადგენლობა ქართველი თავად-აზნაურობისა მაზრის წინამძღოლის თავად პ. ი. თუმანიშვილის მეთაურობით, აგრეთვე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, ქ. შ. წ. კ. ვაპერცულეპელი საზოგადოების, ქართული პრესის და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები. პანაშვიდზე მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ლაზარე გოზალიშვილმა: „სარკმელნი ფარდით დაბნელებულნი, ეკლესია შავით მოსილი და გალობის ხმა დასუსტებულ-მიმკრთალი ორს გამომთქმელნი არიან? რას გვისურათებენ? რას მოასწავებენ? ---

²¹ „Мѣсяцنامهкая речъ“, 21/IX—1911 წ.

ცრემლმორეულმა დაიწყო თავის სიტყვა და მტკიცედ და ომაზიანად დაამთავრა: „თავს ნუ დავზოგავთ, რომ მისგან გაქაფული კვალი და დაწყებული შრომა აყვავდესო“, პანაშვილზე ზოგი სიტყვითა და ზოგი მოგონებით გამოდიოდა. როგორც „ზაკავკასская речь“-ის კორესპონდენტი შენიშნავს „при рассказе о гибели Тамарашвили многие из присутствующих прослезилась“.²²⁸ მთელი პანაშვილის დროს დაბალ თითქმის მიმქრალ, მაგრამ მწუხარე ხმით ქართულ სიმღერებს გალობდა კათოლიკეთა სკოლის გუნდი.

პანაშვილის დამთავრების შემდეგ გრ. დიასამიძემ შეიტანა წინადადება მ. თამარაშვილის ნეშტის იტალიიდან საქართველოში გადმოსვენების შესახებ. გრ. დიასამიძის წინადადება დიდი მოწონებით, ერთხმად იქნა მიღებული და იქვე არჩეულ იქნა თამარაშვილის ნეშტის იტალიიდან საქართველოში გადმოსვენებელი საგანგებო კომისია. კომისიის თავმჯდომარეობა დაევალა მიხეილ ანტონოვს. წევრებად შევიდნენ: პ. ი. თუმანიშვილი, გ. ნ. დიასამიძე, გ. დ. ვეზირიშვილი, ი. პ. ისარლიშვილი, გ. ზ. ისარლიშვილი, ლ. გოზალიშვილი, ა. ი. სარაჯიშვილი, ვ. დ. ლამბაშიძე, ალ. ყიფშიძე. საგანგებო კომისიამ თავის პირველსავე სხდომაზე დაადგინა, რათა ანგარიში გასწეოდა თამარაშვილის ძეგლის დამდგმელ იტალიურ კომიტეტსაც და მცირე კამათის შემდეგ გადასწყვიტა: ეთხოვოს იტალიურ კომიტეტს, რათა თამარაშვილის ცხედარი ჩამოსვენებულ იქნას საქართველოში. ხოლო ძეგლი აღმართულ იქნას იტალიაშიო. ყველა ამ საქმის გასაძლიერად და სახსრების საშოვნელად კომიტეტმა გამოსცა მიმართვა. ამ მიმართვაში ისინი ქართველ ხალხს აცნობებდნენ, რომ კაცი, ვინც უარჰყო პირადი ბედნიერება და საქართველოს ბედითა და უბედობით ცოცხლობდა, ვინც გააშუქა ჩვენი ისტორიის ბნელი ადგილები და ქვეყანას მოუძია მრავალი ძვირფასი საბუთი, ვინც იყო ნამდვილი მესაიდუმლე ჩვენი წარსულისა, ის დაიღუპა და მისი გვამი დღეს უტხო ქვეყანას აბარია. რასაც ვერ აიტანს ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობაო²²⁹. კომიტეტი მოუწოდებდა ხალხს თამარაშვილის გვამის გადმოსვენებისათვის არ დაეზოგა თავისი შესაძლებლობა და შეწირულება შეეტანა. და თითქოს რეალური ჩანდა თამარაშვილის ნეშტის გადმოსვენების საქმე. იმდენად რეალური, რომ ქართულ პრესაში კამათიც კი ატყდა — სად უნდა ენახა მკვლევარ თავისი სამარადისო განსასვენებელი²³⁰. ერთნი დაუჩინებთ მოითხოვ

²²⁸ გაზ. „ზაკავკასская речь“ № 210. 22/9—1911.

²²⁹ გაზ. „თემი“ № 47, 1911 წ. 28 სექტემბერი.

²³⁰ იქვე.



L'Abbé MICHEL TAMARATI

Aux cris d'un infortuné
Se sacrifia lui-même
Et périt victime de son dévouement
Dans les eaux de "Santa Marinella",
Le 16 Septembre 1911

Toujours vivant sera le souvenir de son héroïsme tragique
La mémoire de sa bonté
Les sentiments suaves pour ses amis
L'amour de la patrie lointaine
Immortalisé en livres et écrits
Sacrés à la Religion
Qui eut en lui un prêtre exemplaire
Un apôtre zélé et fervent
Dans l'exil pour la foi.

იტალიურ-ფრანგული წარწერა თამარატილის ძეგლზე

დნენ, რომ თამარაშვილი თავის მშობლიურ ქალაქში უნდა დაიკრძა-
ლოს, რადგან, როგორც წერდა გოკიელი — „მ. თამარაშვილის დაკრ-
ძალვა და მისი საფლავზე აგებული ძეგლი ახალციხეში, გაამხნევებს
და იმელს განუმტკიცებს ჩვენგან მივიწყებულ ახალციხის და მთელი
მესხეთის ქართველებს“-ო. მეორენი ასაბუთებდნენ, რომ ამგვარი
მეცნიერის განსასვენებელი ქართველ მოღვაწეთა პანთეონში იყო.
მესამენი იმ აზრს ადგნენ, რომ იგი დასაფლავებულიყო ქართველ კა-
თოლიკეთა ძველ სასაფლაოზე, რომ სასაფლაოსაც დასტყობოდა თა-
ვისი ეროვნული სახე...

სამწუხაროდ, საქართველოში შემდგარმა კომისიამ თავისი დანაბრ-
ებები ვერ შეასრულა და მ. თამარაშვილის ნეშტი იტალიიდან ვერ
გაღმოსვენა.

სამაგიეროდ იტალიური კომისია თავისი გადაწყვეტილების პო-
ლოზე ერთგული დარჩა, მ. თამარაშვილის დაღუპვის ერთი წლის
თავზე აღმართა მკვლევარის შესანიშნავი ძეგლი. ძეგლის გახსნა დიდი
ცერემონიალით შესრულდა. გაზეთმა „Eco del pontificato gor-
retta del clero“-მ № 36, 1912 წ. 19—22—სექტემბერი, ორი
გვერდი დაუთმო თამარაშვილისადმი მიძღვნილ წერილებს. ამა-
ვე გაზეთშია მოთავსებული მისი ძეგლის ფოტოსურათიც. კომი-
სიის დადგენილებით რომში დაიბეჭდა და გავრცელდა ღია ბარათე-
ბი, მ. თამარაშვილის სურათით, რომსა და ვატიკანში გადახდილ იქნა
დიდი პანაშვიდი და სხვ.

საქართველოში კი ისლა ძლივს გაკეთდა, რომ 1912 წ. ხელახლა
გამოიცა მცირე ფორმატიანი, ოდნავ შესწორებული და გადამუშა-
ვებული ზ. ჭიჭინაძის მონოგრაფია: „ქართველთა კათოლიკე პატრი-
მიხილ თამარაშვილი“. თითქოს სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია, რომ
„ქართლის ცხოვრების“ დამწერის პირველი ჭირისუფლები და პირ-
ველი დამფასებელნიც უცხოელები იყვნენ. ეს ჩვენი მაშინდელი
ეროვნული ტრადედია იყო.

რევოლუციის შემდეგ ზოგიერთი „ვაი მეცნიერი“ მ. თამარაშვი-
ლის, ვითარცა კათოლიკური ეკლესიის მოძღვრის, შრომებს თავს
არიდებდა და გაურბოდა. მისი სრული დაფასება მხოლოდ უკანასკ-
ნელ წლებში ხდება შესაძლებელი.

იმისათვის რომ ნათლად წარმოვიდგინოთ მ. თამარაშვილის დიდი
მეცნიერული სახე, საჭიროა სრულყოფილად შევკრიბოთ, დავალა-
გოთ, ვთარგმნოთ და გამოვცეთ ყველა ის მნიშვნელოვანი წერილები,
დოკუმენტები და გამოკვლევები, რაც მან დაგვიტოვა ამ უდადესი
და ურთულესი საქმის შესრულება ერთი ხელის მოსმით არ შეიძ-
ლება.

აქვე ვბეჭდავთ მკვლევარის მიერ მოძიებული დოკუმენტური მასალის, ევროპული ლიტერატურიდან ამოღებულ საინტერესო ცნობებისა და გამოუქვეყნებელი შემოქმედების შემოკლებულ კატალოგს.

მისეულ თანარაშვილის მიერ მოძიებული დოკუმენტური მასალებისა და შემოქმედებითი მასალების შემოკლებული კატალოგი *

საქართველო იმპერიის დაცული მასალები

H 1559 --- ისტორიული ხასიათის მასალები დაკავშირებული საქართველოში ათონ-ლიცინის გავრცელებასთან. აქვე ვახტანგ VI წერილი რომის პაპთან. 27. 11. 1722 წ.

მასალები ნიკიფორე ირბახის რომში ყოფნის შესახებ, ლათინურ და იტალიურ ენებზე. ნაწილობრივ ავტოგრაფი—უთარილო — 78 ფურცელი

H 1560 — კაპუცინ დაბინანოს და ვიარეჯოს სამი წერილი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ (1846—48 წწ.)

კაპუცინების ორდენის მასალები. ამონაწერები ჩეხარე კამპანას. მორონის, ლამბერტის, ეენ ბორეს და სხვათა წიგნებიდან: იტალიურ, ლათინურ და ფრანგულ ენებზე. ნაწილობრივ ავტოგრაფი. — უთარილო — 97 ფ.

H 1561 — ცნობები საქართველოს შესახებ რომის, ფლორენციისა და პარიზის არქივებიდან. აქვე მასალები ნიკიფორე ირბახისა და სულხან-საბა ორბელიანის შესახებ.

ამონაწერები ტავერნიეს, შარდენის, ბროსეს შრომებიდან: ლათინურ. იტალიურ. ფრანგულ ენებზე. ავტოგრაფი -- უთარილო — 79 ფ.

H 1562 — რომის პაპების მიწერ-მოწერა. ამონაწერები დე კომანჯილის და ბროსეს შრომებიდან: ლათინურ და ფრანგულ ენებზე — უთარილო -- 23 ფ.

II 1563 — ამონაწერები წიგნებიდან: „Documents inédits concernant la Compagnie de Jesus, publiés par le P. Auguste Carayon“. 1869, tXX („დაუბეჭდავი საბუთები იეზუიტების შესახებ. გამოქვეყნებული პ. ავგუსტ კარაიუნის მიერ“) „პროპაგანდა ფიდელს“ წერილები საქართველოში კაპუცინ ფილიპე და ფორამოსთან (1823—1833 წწ.), ბიბლიოგრაფიული შენაშენები ფრანგულ და იტალიურ ენებზე. ნაწილობრივ ავტოგრაფი. უთარილო—26 ფ.

H 1564 -- ამონაწერები ვატიკანის არქივიდან. აქვე: მასალები ვახტანგ VI და სულხან-საბას შესახებ. ამონაწერები თომას პერბერტის, ეზოვიას და სხვა ავტორების წიგნებიდან; ლათინურ, იტალიურ, და ფრანგულ ენებზე. ავტოგრაფი. უთარილო — -- 47 ფ.

H 1565 -- ანოტაციები საქართველოს შესახებ დაწერილი გამოკვლევებისა. რო-

* კატალოგის შედგენისას მეგობრული დახმარებისათვის მადლობას მოვასვენებ ბ. გიორგაძეს.

მღებიც დაიბეჭდა: *Journal „Asiatique“*—ში 1823—1858 წლებში. ამონაწერები და ბიბლიოგრაფიული ხასიათის შენიშვნები ლათინურ და ფრანგულ ენებზე. ავტოგრაფი. — უთარილო — 26 ფ.

H 1566 — ამონაწერები სომხეთისა და სომხების შესახებ კლაპროთის, შარდენის, გამბას, კონტარინის, ბროსეს, როტიეს, დულორიეს, ხახანაშვილისა და სხვა ავტორების შრომებიდან, ფრანგულ ენაზე. ავტოგრაფი. უთარილო — 39 ფ.

H 1567 — ამონაწერები საქართველოსა და სპარსეთის შესახებ ბროსეს, კლაპროთის, გოეას, ლე ბრენის, პულესა და სხვა ავტორების წიგნებიდან. აქვე: ვახტანგ VI წერილი ავსტრიის იმპერატორთან. 29. 11. 1722 წ. ლათინურ იტალიურ და ფრანგულ ენებზე. ავტოგრაფი. უთარილო — 25 ფ.

H 1568 — ამონაწერები ისტორიული ნაშრომებიდან და მოგზაურთა აღწერებიდან: სამონის, თომას, პერბეტის, გარსია დე სილვა ფიგეროას, პულესა და სხვა ავტორების წიგნებიდან; ფრანგულად. ავტოგრაფი. უთარილო — 30 ფ.

H 1569 — ამონაწერები სომხების შესახებ: გადიანოს, პეისონელის, ტურნეფორის, გატერიას, ბროსეს, გამბას, შახნაზარიანისა და სხვათა შრომებიდან; ლათინურ, იტალიურ და ფრანგულ ენებზე. ავტოგრაფი — 30 ფ.

H 1569 — ამონაწერები და ბიბლიოგრაფიული ხასიათის შენიშვნები ქართულ და ფრანგულ ენებზე. ავტოგრაფი — 15 ფ.

H 1570 — მასალები საქართველოსა და სომხეთის ისტორიისათვის. აქვეა ამონაწერები ხაფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან. (1712—1724 წწ.). ლათინურ, იტალიურ და ფრანგულ ენებზე — 31 ფ.

H 1571 — მასალები საქართველოს ისტორიის ძველ პერიოდზე და საეკლესიო ამბებზე. ამონაწერები თეოლოგიური ენციკლოპედიებიდან, საეკლესიო ისტორიებიდან, ბარონიუსის, ბროსეს, პეროდიტესა და სხვა ავტორებიდან ლათინურ და ფრანგულ ენებზე. ავტოგრაფი — 50 ფ.

H 1572 — მასალები თეაინელთა არქივებიდან (1627—1637 წწ.). ამონაწერები ბალანოს, შარდენისა და სხვა ავტორების ნაშრომებიდან; ლათინურ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე. ნაწილობრივ ავტოგრაფი — 40 ფ.

H 1572 — ამონაწერები და ბიბლიოგრაფიული ხასიათის შენიშვნები. აქვეა სიძა მასალებისა ნიკიფორე ირბანის, სულხან-საბა და ვახტანგ VI-ის შესახებ. ფრანგულ, იტალიურ, ლათინურ ენებზე. ავტოგრაფი — 36 ფ.

H 1573 — მასალები საქართველოსა და სომხეთის ისტორიის ძველ პერიოდზე, ლათინურ და ფრანგულ ენებზე. ავტოგრაფი — 23 ფ.

H 1573 — მასალები საქართველოს ისტორიისათვის „პროპაგანდა ფიდეს“ არქივიდან იტალიურ ენაზე — 7 ფ.

H 1574 — „პროპაგანდა ფიდეს“ არქივის მასალები საქართველოს შესახებ (1626—1707 წ. წ.). იტალიურ ენაზე.

შეოთხე რვეულში დამატებითი მასალა: ქართველ მოღვაწეთა წერილები რო-

- მის პაპებთან. აქვეა: ხელრთვების პირები (12 პატარა ფურცელი); ქართულ ენაზე მე-4 რვეული ნაწილობრივ ავტოგრაფი. — 4 რვეული, 172 ფ.
- H 1577 — ამონაწერები, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, გაზეთებიდან ამონაბე-რები; ფრანგულ, იტალიურ და ქართულ ენებზე. ნაწილობრივ ავტოგრაფი — 17, ფ.
- H 1578, 1579, 1580, 1581, 1582 — „პროპაგანდა ფიდეს“ არქივის მასალები საქართველოს შესახებ (1708—1760 წწ.); იტალიურ ენაზე — 5 რვეული. 177 ფ.
- H 1583, 1584, 1585, 1586 — „პროპაგანდა ფიდეს“ არქივის მასალები საქართველოს შესახებ (1761—1778 წწ.).
- მეოთხე რვეულში დამატებითი მასალა: ურბანოს კონვეიუმის ქართველ მოწვევლეთა სია (1633—1733 წწ.) იტალიურად მე-4 რვეული ნაწილობრივ ავტოგრაფი. — 4, რვეული — 146 ფ.
- H 1587, 1588 1589, 1590 — „პროპაგანდა ფიდეს“ არქივის მასალები საქართველოს შესახებ (1770—1790 წწ.), მეოთხე რვეულში დამატებითი მასალა. კაპუცინების მიწერ-მოწერა 1663 წ. როტიეს ანგარიში საქართველოს შესახებ (1819 წ.); იტალიურ და ფრანგულ ენებზე. — 4 რვეული, 160 ფ.
- H 1591, 1592, 1593 — „პროპაგანდა ფიდეს“ არქივის მასალები საქართველოს შესახებ (1792—1830 წ.წ.) იტალიურად.
- H 1594 — ამონაწერები „პროპაგანდა ფიდეს“ არქივიდან საქართველოს შესახებ (მე-17 ს.). აქვეა: მასალები ნიკიტორე ირბახის ევროპაში ყოფნის შესახებ იტალიურად. — 46 ფ.
- H 1595, 1596, 1597, 1598 — მასალები საქართველოს, სამეგრელოსა და სპარსეთის შესახებ „პროპაგანდა ფიდეს“ არქივიდან (მე-17 საუკუნის პირველი ნახევარი), ლათინურ და იტალიურ ენებზე. — 4 რვეული, — 189 ფ.
- H 1599, 1600 — მისიონერების წერილები „პროპაგანდა ფიდესში“ საქართველო-სა და სამეგრელოს შესახებ (1663 — 1667 წ. წ.) მეორე რვეულში დამატებითი მასალა: გერნარდო მარია ნეაპოლიტანელის ანგარიში საქართველო-ში მისიონერების მუშაობის შესახებ *Journal „Asiatique“*, 1832 № II) იტალიურ და ფრანგულ ენებზე. — 2, რვეული, — 96 ფ.
- H 1602, 1603. — „პროპაგანდა ფიდეს“ წერილები საქართველოში მყოფ მისიონერებთან და სხვა პირებთან. აქვეა: წერილები ნიკიტორე ირბახთან. ცალკე ფურცელზე ორი წერილის თარგმანი ქართულ ენაზე (ავტოგრაფი); იტალიურ ენაზე, — 2 რვეული — 94 ფ.
- H 1604 — „პროპაგანდა ფიდეს“ წერილები მისიონერებთან საქართველოში და კონსტანტინოპოლში (მე-18 ს.); იტალიურ ენაზე. — 46 ფ.
- H 1605 — მასალები „პროპაგანდა ფიდეს“ არქივიდან მისიონერების მუშაობის შესახებ საქართველოში, განჯაში და სპარსეთში (მე-17—18 ს.); იტალიურ ენაზე. — 18 ფ.

- H 1606 — მასალები საქართველოში მისიონერების მუშაობის შესახებ მიწერ-
მოწერა — „პროპაგანდა ფიდესთან“ (მე-19 ს.) იტალიურ ენაზე. — 22 ფ.
- H 1605 — ამონაწერები იბერიის შესახებ შრომიდან: *Migne, patrologia graeca*,
ლათინურად. — 47 ფ.
- H 1607 — ამონაწერები საქართველოს შესახებ იტალიური ენციკლოპედიებთან
და ისტორიული ნაშრომებიდან; ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ ენა-
ზე. — 28 ფ.
- H 1607 — ამონაწერები საქართველოსა და კავკასიის შესახებ მოგზაურთა და
მეზღვაურთა აღწერებიდან (მე-13 — 16 სს.); ლათინურ და იტალიურ
ენებზე. — 18 ფ.
- H 1607 — მასალები საქართველოს შესახებ ბარონიუსის საეკლესიო ანბლებიდან.
ამონაწერები ანტუან დე ვოვეას წიგნიდან შაჰ-აბასის შესახებ. ნაწილობრივ
ავტოგრაფი ლათინურ და ფრანგულ ენებზე. — 9 ფ.
- H 1608 — ამონაწერები საქართველოს ისტორიის ძველ პერიოდში პროკოფი კე-
სარიელისა და აპიანე ალექსანდრიელის შრომებიდან; ლათინურად. — 20 ფ.
- H 1609 — ამონაწერები საქართველოს შესახებ ფრანგული ენციკლოპედიებთან
და ისტორიული ნაშრომებიდან. და მოგზაურთა აღწერებიდან ბოლო სა-
ფურცელა ავტოგრაფი; ფრანგულ ენაზე. — 53 ფ.
- H 1609 — *Cesar Famin, Region Caucasiennne*. (მე-19 ს.) გადმოწერილი კრე-
ბულადან: *L'histoire universal et description de tous les peuples*.
ფრანგულად. — 38 ფ.
- H 1610 — მასალები საქართველოს შესახებ სტრაბონის, ვერციხელის შრომე-
ბიდან, იტალიურ ენციკლოპედიებიდან და სხვა წყაროებიდან. ნაწილობ-
რივ ავტოგრაფი; ლათინურ და იტალიურ ენებზე. — 44 ფ.
- H 1610 — ამონაწერები საქართველოს შესახებ მორომის ლექსიკონიდან; იტა-
ლიურ ენაზე. — 10 ფ.
- H 1612 — მასალები საქართველოს შესახებ კაუტენელთა ორდენის რომის არ-
ქივიდან; ლათინურ და იტალიურ ენებზე. — 60 ფ.
- H 1612 — კაუტენ ბერნარდო მარია ნეპოლიტანელის 1672 წელს დაწერილი ან-
გარიში საქართველოში მისიონერების მუშაობის შესახებ. (*Journal „Asi-
atique“*, 1832 № 2), ავტოგრაფი; ფრანგულ ენაზე. — 9 ფ.
- H 1612 — ბატ რიშარის წერილები საფრანგეთში საგარეო საქმეთა სამინისტროს
არქივიდან (1710—1714 წწ.). ფრანგულად — 6 ფ.
- H 1614 — „პროპაგანდა ფიდეს“ წერილები საქართველოში მისიონერებთან და
სხვა პირებთან საქართველოს შესახებ (1672—1816 წ. წ.) აქვია: მასალები
სულხან-საბა ორბელიანის შესახებ. იტალიურად. — 350 ფ.
- H 1615 — მისიონერების წერილები „პროპაგანდა ფიდემი“ გაგზავნილი კონს-
ტანტინეპოლიდან და თბილისიდან (1723—1755 წ. წ.) იტალიურად. —
39 ფ.

- H 1616 — რომის პაპების წერილები საქართველოს მეფეებთან და კათოლიკე მისიონერებთან. მასალები საქართველოს შესახებ „პროპაგანდა ფიდეს“ არქივიდან ნაწილობრივ ავტოგრაფი; ლათინურ და იტალიურ ენებზე. — 80 ფ.
- H 1616 — მასალები „პროპაგანდა ფიდეს“ არქივიდან საქართველოში მისიონერების გაგზავნის შესახებ. წერილები რომის პაპებისა საქართველოს მეფეებისა და კათოლიკე მისიონერებისა; ფრანგულად. — 24 ფ.
- H 1616 — წმინდა ნინოს ცხოვრება და ქრისტიანობის მიღება საქართველოში. ავტოგრაფი; ფრანგულად. — 43. ფ.
- H 1616 — საქართველოს შესახებ მასალების სია ვატიკანის არქივიდან. სხვადასხვა ამონაწერები და ბიბლიოგრაფიული ხასიათის შენარჩუნები. ნაწილობრივი ავტოგრაფი, ლათინურ და ფრანგულ ენაზე. — 13 ფ.
- H 1616 — საქართველოს შესახებ მასალების სია „პროპაგანდა ფიდეს“ არქივიდან. ნაწილობრივ ავტოგრაფი, იტალიურ ენაზე. — 48 ფ.
- H 1617 — მისიონერების წერილები და ანგარიშები საქართველოს შესახებ, გაგზავნილი „პროპაგანდა ფიდესში“ (მე-17-მე-18 ს. ს.) იტალიურად. — 65 ფ.
- H 1619 — საბუთები საქართველოს შესახებ. რომის პაპის წერილები, მასალები „პროპაგანდა ფიდეს“ არქივიდან ფრანგულად. — 18 ფ.
- H 1620 — ამონაწერები საქართველოს შესახებ პიედრო დელა ვალეს ნაშრომებიდან. — იტალიურად. — 24 ფ.
- H 1621 — მასალები „პროპაგანდა ფიდეს“ არქივიდან მისიონერების წერილები და ანგარიშები საქართველოს შესახებ (მე-17—18 სს.); იტალიურად. — 76 ფ.
- H 1622 — ავგუსტინელების ანგარიში, გაგზავნილი „პროპაგანდა ფიდესში“ — 1640 წ. აქვეა მასალები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ; იტალიურად. — 8 ფ.
- H 1623 — საქართველოს მეფეების პატრიარქებისა და კათოლიკე მისიონერების წერილები, გაგზავნილი რომში მე-17 ს. ლათინურ და იტალიურ ენებზე. 35 ფ.
- H 1627 — ამონაწერი გუსენის ნაშრომიდან ბიბლიის ქართული თარგმანის შესახებ; ფრანგულად. — 8 ფ.
- H 1628 — ალექსანდრე ცაგარელის წერილი საქართველოს ეკლესიის შესახებ, ფრანგულად. — 3 ფ.
- H 1629 — წერილი საქართველოს ეკლესიის შესახებ. გაზეთი „დროება“ 1909 წ. № 262, თარგმანი ფრანგულად. — 2. ფ.
- H 1630 — ამონაწერი ბროსეს წიგნიდან *Histoire de la Géorgie* ფრანგულ და ქართულ ენებზე. — 2 ფ.
- H 1631 — ბიბლიოგრაფიული მასალები. ავტოგრაფი; ფრანგულ, იტალიურ, ლათინურ, ქართულ ენებზე. — 105 ფ.

- 1109 — სხედასხვა ნაბეჭდი მასალები ფრანგულ, იტალიურ, ენებზე, — 12 ფ.
- H 1532 — სასულიერო საკითხების შესახებ სემინარის მასალები. ფრანგულად (1883 წ. შესრულებული) — 33 ფ.
- H 1533 — საუბრები სასულიერო თემებზე. ავტოგრაფი ფრანგულად 1886 წ.—35 ფ.
- H 1534 — ამონაწერები ქრისტიანული რელიგიის შესახებ. ფრანგულად — 23 ფ.
- H 1535 — პატრი დომინიკის 5 მოქმედებათა პეისა, რომელშიც მოქმედება ტარდება ჩინეთში, ფრანგულად. — 29 ფ.
- H 1536 — მასალები საქართველოს შესახებ, რომის პაპების წერილები საქართველოს, სპარსეთისა და ევროპის ქვეყნების მეფეებთან; ლათინურ და ფრანგულ ენებზე. — 91 ფ.
- H 1538 — წერილები სასულიერო საკითხებზე ფრანგულად — 5 ფ.
- H 1537 — მასალები საქართველოს შესახებ რომის არქივებიდან და ნაბეჭდი წყაროებიდან: ბრონიუსის, ბურბონეს, ტილემონის, ბეიესა და სხვათა შრომებიდან ლათინურ, ფრანგულ, ქართულ ენებზე. — 132 ფ.
- 1117 — სხედასხვა ჩანაწერები. ნაწილობრივ ავტოგრაფი; ლათინურ, იტალიურ და ფრანგულ ენებზე. — 4 ფ.
- H 1539 — მ.ხ. თამარაშვილის — ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ავტოგრაფი. — 553 ფ.
- H 1531 — უმანკო ჩასახების კონგრეგაციის წესების შესახებ. მ. თამარაშვილის ხელით გადაწერილი. — 14 ფ.
- H 1618 ზ — მ. თამარაშვილი — ისტორიული ზასიათის კითხვა — 9 ფ.
- H 1618 თ — მ. თამარაშვილი — სომეხ კათოლიკეთა სიები, ავტოგრაფი — 10 ფ.
- H 1661 ა — დოკუმენტების კრებული თამარაშვილის ხელით გადაწერილი — 12 ფ.
- H 1611 — დოკუმენტების კრებული თამარაშვილის გადაწერილი — 49 ფ.
- H 1618 გ — ქართველ კათოლიკეთა კითხვა. — 18 ფ.
- H 1601 ბ, გ — ტორე დელ გრეკოს მონასტერში დაცულ ქართულ ხელნაწერთა სია მ.ხ. თამარაშვილის ხელით გადაწერილი (სიას დართული აქვს სხვა ხელით გადაწერილი იგივე სია იტალიურ ენაზე) იქვე: ორი ქართული ზღაპარი მ.ხ. თამარაშვილის ხელით გადაწერილი. — 12 ფ.
- H 1618 ა — საგაზეთო სტატიები სომეხ კათოლიკეთა შესახებ — 5 ფ.
- H 1625 — ქრისტეფორე კასტელის ნახატების ზედწარწერები მ. თამარაშვილის წინასიტყვაობით. — 15 ფ.
- H 1624 — ქრისტეფორე კასტელის ნახატების ზედწარწერები მ. თამარაშვილის წინასიტყვაობით. — 14 ფ.
- H 1618 ა, ი, ბ — დოკუმენტების კრებულს მიხედვით თამარაშვილის ხელით გადაწერილი; ქართულ, იტალიურ და ლათინურ ენებზე. — 48 ფ.

- H 1618 ბ — სარუხან—ტფილისის სომხის კათოლიკეების სეკლესიო კითხვა—2 ფ.
- H 1618 ი, ა — მ. თამარაშვილი — მასალები ქართველ კათოლიკეთა შესახებ, ივტოგრაფი. ქართულ და ფრანგულ ენებზე. — 10 ფ.
- H 1529, 1530 — მ. თამარაშვილი — საგაზეთო სტატია, ივტოგრაფი ივეი ბესარიონ კათოლიკოსის „იღსარება სარწმუნოებისა“ მ. თამარაშვილის ხელით გადაწერილი. — 29 ფ.
23. — დიონიო კარლი და პიეჩენცა ილ შორის ცნობები მე-17 საუკუნის საქართველოზე. — 12 ფ.
24. — ამონაწერები რეინოლდის თხზულებიდან, რომელიც მეთოთხმეტე საუკუნის ცნობებს შეიცავს საქართველოზე (1475 წ.) — 2 ფ.
29. — პაპისა და საქართველოს მეფე მთავართა წერილების სია. — 2 ფ.
31. — იფხაზეთის კათოლიკოსების სია 1 ფ.
33. — სულხან-საბა ორბელიანის წერილები, ამოწერილი საგარეო საქმეთა საჭინისტროს არქივიდან. — 3 ფ.
34. — ამონაწერები ისტორიული ღოკუმენტებიდან, რომელიც შეეხება თბილისს, გორსა და თაერისს.
47. — ამონაწერები კლაროტის შრომიებიდან 3 ფ.
48. — ამონაწერები საქართველოს შესახებ პეტრუს ავტობიოგრაფიული ნაშრომიდან. — 2 ფ.
49. — „მომელანგო დი ორიენტეს“ არქივიდან ამოკრებილი მასალები ქრისტეფორე კასტელის ნახატების შესახებ.
50. — ამონაწერები „პროპაგანდა ფიდეს“ არქივიდან. 1 ფ.
85. — ამონაწერები ღომინიკელების არქივიდან.
92. — მოხსენება მ. თამარაშვილისა — ქართულ და სომეხ კათოლიკეთა განხილვების შესახებ. 18 ფ.
777. — ურბანო IIIV-ს წერილი ფერდინანდ იმპერატორისადმი, რომელშიაც ნიკიფორე ირბახის შესახებაა საუბარი { 1678 წ. 2 ფ.
778. — კოლხიდის ეპისკოპოსების მიერ ქრისტიანული დოგმების შებღოლვა და მისი ინტერპრეტაცია { 1672 წ. 5 ფ.
780. — ნუსხა სხვადასხვა წერილებისა, რომელიც პაპმა ქართველ მეფეებს გაუგზავნა, აქვე ქართველ მეფეთა წერილები პაპთან { 1687 წ. 2 ფ.
781. — პაპი ინოკენტ მე-11 — წერილები იბერიის მეფე გიორგისადმი (ვატეკანის არქივიდან) { 1688 წ. 14 ფ.
782. — ამონაწერები მეფეებთან გაგზავნილ წერილებიდან (ამოწერილი მასალები ინოკენტ მე-12-ის წერილებიდან სპარსეთის მეფესთან) { 1695 წ. 1 ფ.
783. — ინოკენტ მე-12 — წერილი { 1639 წ. 1 ფ.

794. — რიზარდის წერილი სპარსეთის მძისის საქმიანობის ირგვლევ	{	1715 წ. 1 ფ.
785. — პაპი კლიმენტ მე-14 დეკრეტი საეკლესიო წერილების შესახებ	{	1773 1 ფ.
788. — ფრანგულ-ქართულ წერილების ასლები.		8 ფ.
735. — მასალები კათოლიკე სომეხთა შესახებ.	{	1909 1 ფ.
852. — ლოცვები და იამბიკოები წმ. ნინოს სახელზე დაწერილად		5 ფ.
858. — საგალობელთა ტექსტი (მარიაშის სახელზე)		2 ფ.
860. — ჩანაწერები საიდუმლო შრიფტის შესახებ		3 ფ.
861. — განმარტება ლათინთა ტაპიკონის ზოგიერთი ადგილისა		3 ფ.
862. — დოკუმენტი რუსეთის კოლონიალური თვითმპყრობელობის პოლიტიკის შესახებ.	{	4 ფ.
866. — სპარსული ტექსტები		3 ფ.
867. — თამარაშვილის წერილი იტალიის მთავრობისადმი მანველი-შვილის კოლეჯში მიღების შესახებ.	{	1 ფ.
870. — ლეგენდა ივერიის ღვთისმშობლის ხატის შესახებ 2 ვ.		2 ფ.
875. — სკოტუს მე-IV მიერ უზუნ პასანთან პატრი ლუდოვიკო ბონინიემენის ელჩად გაგზავნის შესახებ.		
887. — ბრძანების ამონაწერი კათოლიკეთა ეკლესიაში ქართული ენის აკრძალვის შესახებ.		
889. — ჩანაწერები სქოლასტიზმის საკითხის შესახებ. —		
893. — მიხეილ თამარაშვილის წერილი პაპისადმი კათ. საეკლესიო საკითხების შესახებ.		
895. — ამონაწერები საქართველოს საგარეო საქმეთა არქივიდან საქართველოს შესახებ.		
899. — მიხეილ თამარაშვილის წერილი, რომელიც ეხება რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოს სომეხ კათოლიკეთათვის სემინარიის დაარსებას.		
901. — ამონაწერები ბარ-ჰემბრეიდან		
903. — დეკრეტი „დებროპაგანდა ფიდეს“ სეკრეტარის აღიარებით გასელისა პეტრე ხარისკირაშვილისათვის საეკლესიო უფლებების მინიჭების შესახებ.		
904. — გამოქანდაკების ნაშუალებანი.		
906. — სულიერი მედიტაციის პუნქტები.		

907. — თამარაშვილის წერილი ვანიეტელისადმი ქართულ და სომეხ კათოლიკეთა ურთიერთობის შესახებ.

H 1618 ჟ.კ. — თხოვნა ქართველი კათოლიკე მღვდლებისა ეპისკოპოს იოსებ კესლერს; ქართულ და ფრანგულ ენებზე (დაწერილი 1910 წ. 12. II). — 6 ფ.

H 1613 — დოკუმენტების პირობი რუსულ და ქართულ ენებზე.—

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული მასალა

39/455 — თიათინელი პატრის არქანჯელო ლამბერტის შრომ. — ისტორია წმინდ. კოლხეთისა. იტალიურად. 200. გვ.

Шота Васильевич Ломсадзе

МИХАИЛ ТАМАРАШВИЛИ

(на грузинском языке)

Издательство Академии наук ГССР
Тбилиси — 1964

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი შ. ხ ა ნ თ ა ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი დ. ლ ე ვ ა ვ ა
ტექნიკური ნ. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე

გადაეცა წარმოებას 11.10.1963; ანაწყობის ზომა 6×10; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 8.1.1964; ქალაქის ზომა 60×92^{1/2}მმ; ქალაქის ფურცელი
4,31; საბეჭდო ფურცელი 8,62; სააგტორო ფურცელი 7,52; სააღრიცხვო-
საგამომცემლო ფურცელი 7,64

ფასი 50 კპპ.

შეკვეთა № 1661

უე 03816

ტირაჟი 1 000

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, თ. ჯავახიშვილის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета, Тбилиси, проспект И. Чавчавадзе, 1.